საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№43 (230)
20 - 26 ნოემბერი, 2013
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

3 სამართლიანობის აისბერგი და სოციალისტური რევოლუცია



6

# ირაკლი ალასანიას «მაკარონი პო-ფლოტსკი»

ღარიბაშვილის გაფრთხილება თავდაცვის მინისტრს



რატომ მართავს ქვეყანას ნორლანდი და როგორ იყენებდა ბიძინა ივანიშვილი ამერიკის ელჩს თავისი მიზნებისთვის 8



ასეთი რიტორიკით ხელისუფლება მალე დაკარგავს საზოგადოების პატივისცემას და განიძარცვება პოლიტიკურად 9



ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება თვითმკვლელობის ტოლფასია 12

ტერიტორიული მთლიანობა თუ ნატოსთან ინტეგრაცია? 16

პედოფილია, როგორც ნეოლიბერალიზმის განვითარების უმაღლესი ფაზა 20

ქართველების უფლებების დაცვა — ეროვნული სიბნელე თუ ბრძოლა ბორდელიზაციის წინააღმდეგ? 5



საგარეო ვალი მილიარდ ოთხასი მილიონით გაიზრდება 10



2

ამერიკის ელჩმა რესპუბლიკელებს აფხაზეთის აღიარების სიგნალი მისცა

ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს თითქმის იმავე მდგომარეობაში არიან რესპუბლიკელებიც — ისინი „ნაცებზე“ დიდი ხნით ადრე, დასაბამიდან არიან ჭიპლარით მიბმულნი ამერიკაზე და რადგან ივანიშვილის წასვლის შემდეგ, დიდი ალბათობით, შეიძლება დღის წესრიგში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი დადგეს, რაც რესპების საბოლოოდ ამოძირკვას ნიშნავს ქართული პოლიტიკიდან, მათაც მხოლოდ ამერიკისკენ ცქერა დარჩენიათ საშველად და ისინი ამ ცქერაში ყველაფერზე წამსვლელნი არიან...**

# ამერიკის ელჩმა რესპუბლიკელებს აფხაზეთის აღიარების სიგნალი მისცა

**გათენდა თბილისური გვიანი შემოდგომისთვის ჩვეული ხავერდოვანი დილა და გიორგობისთვის უკვე სუსტი, მაგრამ ჯერ კიდევ ალერსიანი მზის შემხედვარე ვფიქრობდი — ნუთუ მართლა 17 ნოემბერს დამთავრდა ის კოშმარი, რომელსაც სააკაშვილის 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმი ერქვა?**



დაჯერება მიჭირდა, რადგან კარგად მახსოვს, სულ რაღაც 2 წლის წინ როგორი ძალმოსილი და აქედან „მარადჟამს შეურყეველი“ ჩანდა საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი და ულმობელი შინაური დამქცევარის სადისტური რეჟიმი! შინიდან გამოვედი და დავრწმუნდი, ცხადში ვიყავი. „გილოცავ, გილოცავ მიშას წაშავებას, გადაბნელებას, წათრევას!“ — ისმოდა მარჯვნივ თუ მარცხნივ, ახალი წელივით ულოცავდნენ ერთმანეთს ნაცნობ-უცნობნი. ამ სურათის შემხედვარეს თვალები ამიწყლიანდა და ყელში ჯავრის გორგალი გამეჩხირა... **როგორ უნდა გაამწარო, გააუბედურო საკუთარი სამშობლო, ხალხი, რომ შენს გადაშენებას ასე ხარობდეს?! 17 ნოემბერს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია კი არა, ძველი მიშა სააკაშვილის ლეშის დაკრძალვა იყო — რას გადავურჩით, რა ჭირი მოვიშორეთ, ხალხო, წარმოგიდგენიათ?!**

ამისთვის დიდი მადლობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს (ნუ ვიქნებით უმადურები!) და მაშინდელ წინააღმდეგობის მოძრაობას, რომელთა სინერგიამაც გახადა გუშინდელი ზეიმი შესაძლებელი; მადლობა იმ რიგით ქართველებსაც, რომლებიც წლების მანძილზე, როგორც შეეძლოთ, ისე ებრძოდნენ „ალიბაბა და 40 ყაჩაღის“ ტერორს და, უპირველესად, მადლი უფალს, რადგან, „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“! თუმცა იქნებ გაგიკვირდეთ, მაგრამ წინამდებარე წერილის მთავარი თემა სულ სხვა რამ იქნება...

## შენი ყველაყისამ, მისტერ ნორლანდ!

**აი, ასე — ქიზიყურად და მარტივად „მიჯირყვნიდნენ“ ამერიკის დესპანს საქართველოში, რომ ის, რაც თბილისში თქვა სტუდენტებთან, სადმე, მადლიან ქიზიყში რომ წამოეყროყინებინა ამ სახედარს (შეურაცხყოფას არ ვაყენებ, ვირი აშშ-ის დემოკრატიული პარტიის სიმბოლოა!).**

ზოგადად საქართველოში აშშ-ის ელჩებისგან თუ ამერიკის პრეზიდენტებისგან განა რა უნდა გაგვიკვირდეს, ისინი ხომ ყოველთვის მიზანმიმართულად მოქმედებდნენ „მეგობარი“ საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ.

დაწყებული ზვიად გამსახურდიას „დინების საწინააღმდეგოდ ცურვით“, რამაც პრაქტიკულად განაჩენი გამოუტანა უახლეს ისტორიაში ჯერჯერობით ერთადერთ ეროვნულ ხელისუფლებას, და დამთავრებული ჯონ ბასით, რომელმაც „მწვანე შუქი“ აუნთო 26 მაისის სისხლიან კალოს რუსთაველზე!

მაგრამ არა, მისტერ ნორლანდმა მართლაც გაგვაკვირვა თავისი დაკვირვებით:

„ქართველები აფხაზებსა და ოსებს დაახლოებით ისე ეპყრობოდნენ, როგორც მანამდე რუსები – ქართველებს და ამისთვის ბოდიშის მოხდა მოუწევთ“!

აი, რა „დაახეთქა“ ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის კვირაძალს ქართველ სტუდენტებთან შეხვედრისას და რაოდენ სამწუხაროა, რომ სტუდენტთაგან არავინ აღმოჩნდა დიდი ვაჟასგან „ისარნაკრავი“, რომ პირში მიეხალა თავხედი სტუმრისთვის — „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა“!..

აბა იგივე გაებედა ვინმეს ჩემი თაობის, გასული საუკუნის 70-ანი წლების სტუდენტობისთვის, გონივრული ეჭვი მაქვს, დაუზიანებელი ვერ წაგვივიდოდა და ამიტომ არც ქიზიყელთა დახმარება დაგვჭირდებოდა, მაგრამ სწორედ საქმეც ესაა — გამოცდილმა დიპლომატმა კარგად იცოდა, სად, ვისთან და რას ამბობდა — ალიბაბას 9-წლიანმა ნეოლიბერალურმა დიქტატურამ ბევრ სხვა „სიკეთესთან“ ერთად ისიც დაგვმართა, რომ მინიმუმ ერთი თაობა ჩვენი შვილებისა, აი ისინი, ვინც დღეს სტუდენტური ასაკისანი არიან, მათი აბსოლუტური უმრავლესობა პატრიოტთა ბანაკების ბუჩქებში გარყვნა და გაათახსირა. კახა ლომაიას „რეფორმით განათლებულები“ კი მხოლოდ საკუთარი სიამოვნების უფლებას აღიარებენ, იმას კი არად დაგიდევენ, რომ ცხოვრებით ტკბობის უფლების (რაზეც არც ჩემი თაობა ამბობდა უარს, მაგრამ...) გარდა, ვალდებულებებიც არსებობს ქვეყნისა და ერის წინაშე!

და რუსოფობია, აღვირახსნილი რუსოფობია, რაც, პირველ რიგში, გაუნათლებლობის, უცოდინრობის ბრალია — მათ ხომ იმას ასწავლიდნენ, რომ საქართველოს ისტორია „დიადი“ „ვარდების რევოლუციით“ იწყება, რომ ჩვენი ისტორიული მეგობარი თურქეთია, ამიტომ არაფერი იციან ამ „მეგობრის“ ქართველთა ტერიტორიებითა და სისხლით გაუმაძღრობის შესახებ და „ყველაფერი იციან“ ჩვენი „ისტორიული მტრის“ — რუსეთის შესახებ...

ჰოდა, სად თუ არა უხნავ ყამირში, ჩვენი გზააბნეული შვილების ტვინებში უნდა ჩააგდო ბოროტების თესლი?! და მისტერ ნორლანდმაც ჩააგდო — პირველი. მყისიერ შედეგზე გათვლილი მიზანი ნორლანდის განცხადებისა ის იყო, რომ ამ ბოლო დროს შედარებით მინავლული ანტირუსული ისტერია ხალახალი ძალით გაჩაღდეს, რადგანაც, მათი საყვარელი მიშასგან განსხვავებით, „მეოცნებე“ ხელისუფლებამ აშკარად მოუკლო ანტირუსულ რიტორიკას და „ნაცების“ დაქირავებული ახალგაზრდათა „ენჯეოები“ აშკარად ვერ ქაჩავენ რაოდენობრივ-ხარისხობრივად და მითუმეტეს ველარ გაქაჩავენ მიშა სააკაშვილის ოფიციალურად გაფარჩაკების, 17 ნოემბრის შემდეგ!

**მეორე და მთავარი, შორსმიმავალი მიზანი ელჩის განცხადებისა, სავარაუდოდ, ჩვენი რესპების სანუკვარი ოცნების ზონდირება ხომ არ არის, ანუ საქართველოს მიერვე ცნობა აფხაზეთ-ცხინვალის დამოუკიდებლობისა, რაც რეალური და უმოკლესი გზაა ნატოში ჩვენი გაწევრიანებისა?..**

ვნახოთ, რა იქნება. მანამდე კი ერთი რამ უეჭველია — 2007 წლიდან დღემდე ნაცბანდის ელიტის ერთადერთი ხსნა მხოლოდ დასავლეთისკენ უპირობო ყურება და მაამებლური კუდის ქიცინი იყო. დღემდეც ასეა და უნდა ითქვას, რომ არც თუ უშედეგოდ — შარშანდლამდე ხომ შეინარჩუნეს ხელისუფლება და მას მერეც სრული განადგურებისგან ალიბაბა და 40 ყაჩაღი ამერიკამ იხსნა და აშშ მომავალშიც აპირებს საკუთარი პროექტის ლობირებას, რისი დასტურიც თუნდაც ბარაკ ობამას მილოცვაა მარგველაშვილის მიმართ, რომელშიც, ეს მერამდენედ და ქართველთა გულის გასახეთქად, საუბარი კვლავ მიშა სააკაშვილის ფასდაუდებელ ღვაწლზეა!

**დღეს თითქმის იმავე მდგომარეობაში არიან რესპუბლიკელებიც — ისინი „ნაცებზე“ დიდი ხნით ადრე, დასაბამიდან არიან ჭიპლარით მიბმულნი ამერიკაზე და რადგან ივანიშვილის წასვლის შემდეგ, დიდი ალბათობით, შეიძლება დღის წესრიგში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი დადგეს, რაც რესპების საბოლოოდ ამოძირკვას ნიშნავს ქართული პოლიტიკიდან, მათაც მხოლოდ ამერიკისკენ ცქერა დარჩენიათ საშველად და ისინი ამ ცქერაში ყველაფერზე წამსვლელნი არიან...**

რეალურად უკვე დაწყებულია ფარული ბრძოლა კოალიციის შიგნით, თუ ვინ „წაიყვანს სტოსს“ ქართულ პოლიტიკაში — რესპუბლიკელების პარლამენტი თუ ირაკლი ღარიბაშვილის ახალი მთავრობა და ეს ბრძოლა ინაუგურაციის შემდეგ აშკარა გახდება.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ სამართლიანობის აღდგენის იმედს ახლა ირაკლი ღარიბაშვილს უკავშირებს ამ მხრივ გაწბილებული ქართველი საზოგადოება. ვნახოთ...

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდებია, მაგრამ ვარაუდები, მოვლენათა ანალიზის და, რაც ყველაზე მთავარია, სანდო წყაროების ინფორმაციაზე დაყრდნობის შედეგი!

იმავე წყაროს ინფორმაციით, **„ქართულ ოცნებას“ პარლამენტში მხოლოდ 50, 52 სანდო დეპუტატი ჰყავს, რაც სულაც არ არის გარანტია მუდმივი მდგრადობისა, რადგან მოვლენათა გარკვეული სცენარით განვითარებისას, მაგალითად, თუ ღარიბაშვილის ახალმა პროკურორ-შს მინისტრმა რეალურად დაიწყეს ბოზოლა „ნაცების“ პასუხისგებაში მიცემა, რადგანაც ეს არ უნდა ამერიკას (მითუმეტეს სააკაშვილის დაპატიმრება), არ გამოირიცხება ვარიანტი, რომ რესპებ-ალასანიამ ახალი უმრავლესობა „ნაცებთან“ ერთად შეკრან პარლამენტში!**

მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარების სასარგებლოდ პირდაპირ მეტყველებს თუნდაც ლევან ბერძენიშვილის ამასწინანდელი „აღიარება“, ქართული დემოკრატიის კლასიდან კლასში ხტუნვასთან დაკავშირებით, და ირიბად კიდევ ის, რომ ირაკლი ალასანია, როგორც მატროსოვი ამბრაზურას, ისე გადაეფარა მისტერ ნორლანდს — ქართველებო, ღმერთი არ გაგიწყრეთ და არ დაიჯეროთ, ის განცხადება კონტექსტიდან ამოვარდნილი იყო, თორემ ამერიკა ჩვენი უერთგულესი მეგობარია და ასეთად დარჩება მარადჟამსო!

— ნოდარ დუმბაძის ოლღა ბებია გამახსენა ბატონი ირაკლის „ადვოკატობამ“, — „მე რომ გწყევლი, ზურიკელა, ბებია, ჩემი გული გლოცავსო“...

აჰა, წერილის ბოლოს ნებით თუ უნებლიეთ ისევ მივადექით გაიძვერა ნორლანდის ნაბჟუტურევს და ახლა მისი განცხადების მორალურ მხარეს შევხედოთ, უფრო სწორედ, ამორალურს:

რუსების ქართველებთან მოპყრობის სისასტიკეზე რომ აკეთებს მინიშნებას, ეს იმ ქვეყნის მოქალაქე ხომ არ არის, სადაც პრაქტიკულად ნოლზე დაიყვანეს აბორიგენი ინდიელების რაოდენობა და აფრიკიდან ამერიკელი პლანტატორების მიერ ჩაყვანილ მონებს საუკუნეების განმავლობაში სულს ხდიდნენ და აგერ, სულ ახლახან, გასული საუკუნის 60-იან წლებამდე შავკანიანებს ცოცხლად ატყავებდნენ კოკლუქსკლანელები, ხოლო რასობრივ დისკრიმინაციას კიდევ დიდი ხანი განიცდიდნენ, იქამდეც კი, რომ რასობრივი სეგრეგაციის სიმწარე თვით ამერიკის ახლანდელ პრეზიდენტსაც უგემნია სიყმაწვილეში და ახლა იმავე ამერიკას ჰყოფნის ცინიზმი, სიტყვა „ზანგის“ ხსენებაზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მისცენ მავანი!

**ან ეს ის იანკები ხომ არ არიან, რომლებმაც მარტივ მამრავლებად დაშალეს იუგოსლავია, მიწასთან გაასწორეს მართლმადიდებელი სერბეთი, კოსოვოს „ახევა“ არ აკმარეს და ჩერნოგორიაც მიაყოლეს. არადა, სვანსა და კახელს შორის უფრო მეტი განსხვავებაა, ვიდრე ჩერნოგორიელ სერბებსა და სერბეთის სერბებს შორის!**

ის დემოკრატები ხომ არ არიან, რომლებმაც ცეცხლითა და მახვილით „დაამყარეს დემოკრატია“ ერაყში, ყირგიზეთში, ლიბიაში, ტუნისში, სირიაში და აგერ ავღანეთში, სადაც საზარბაზნე ხორცად ქართველ ბიჭებს ერეკებიან?!

რაც შეეხება რუსეთსა და საქართველოს, დავიღალე ამაზე წერით და ლაპარაკით. ამიტომ **ჩვენს შვილებს ვურჩევ, ბუჩქიდან ბუჩქებში გადასვლის შუალედებში წიგნი წაიკითხონ, მაგალითად, დიდი ილია და ნახავენ, რომ რუსები „ისე სასტიკად გვეპყრობოდნენ“, რომ ფიზიკურ განადგურებას გადავრჩით, მოვმრავლდით და წერა-კითხვის უცოდინარი ერი ისეთ ევროპულ განათლებას ვეზიარეთ პეტერბურგში, რომ ილია, აკაკი და ვაჟა ვშობეთ XIX საუკუნეში, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში ამერიმერი ერთიანი საქართველო მივიღეთ „კინკილა“ ქართლ-კახეთის სანაცვლოდ, რომელიც პირველი შეიერთა რუსეთის იმპერიამ 1801 წელს. აღარაფერს ვიტყვი უკვე საბჭოთა კავშირის დროინდელ საქართველოზე, როცა მეცნიერებამ, კულტურამ, მწერლობამ და ა. შ. ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, რომელზედაც დღეს მხოლოდ ოცნება თუ შეგვიძლია!**

წიგნი იკითხეთ, წიგნი და უნივერსიტეტის წინ როცა გაგაჩერებენ და გკითხავენ, შოთა რუსთაველი რომელ საუკუნეში მეფობდა ან თამარ მეფე რა გვარი იყოო, სამარცხვინო პასუხებს კი არ გასცემთ, არამედ მიხვდებით დაცინვას და კითხვის დამსმელს დედ-მამის სულს ამოუტრიალებთ...

**დავით მხეიძე**

**P.S. მივმართავ ჩვენს ე. წ. შემოქმედებით ინტელიგენციას და სხვებსაც, ქართველ საზოგადოებაში ცნობილ პიროვნებებს — როგორც პედერასტების დამცველ თომას ჰამერბერგს მოსთხოვეთ პასუხი, ასევე პასუხი აქვს მოსათხოვი მისტერ რიჩარდ ნორლანდს, რადგან, ბოდიში თუ ვინმეს აქვს მოსახდელი, ეს ბატონი ელჩია და იქნებ ინებოთ, ბატონებო და ქალბატონებო, გაისარჯოთ, თორემ, როგორც ჩანს, სხვა არავინ არის ხმის ამომღები...**

**შესაძლოა, სამართლიანობის აღდგენა გაცილებით მასშტაბური რამ არის, ვიდრე წარმოგვიდგენია და, შესაბამისად, გაცილებით დიდ ძალისხმევას მოითხოვს. როდესაც 2012-ში უამრავი ადამიანი სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგს გაჰყვა, ბევრი მათგანი ქვეტექსტში სოციალურ სამართლიანობასაც გულისხმობდა და ეს მოტივი არსად გამქრალა.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სამართლიანობის აისბერგი და სოციალისტური რევოლუცია

**გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მშვიდად, შინაურულად, ზედმეტი პათეტიკისა და მელოდრამატული ჟესტების გარეშე ჩაიარა. მიხეილ სააკაშვილი ცერემონიას არ დასწრებია, რაც საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილს ძალიან(აც) მოეწონა; მათი აზრით, 2008 წლის არჩევნების გამყალბებლის და, შესაბამისად, უზურპატორის დასწრება დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციაზე ყოვლად უადგილო იყო. 17 ნოემბერს მოხდა ძველ რეჟიმთან კავშირის სიმბოლური გაწყვეტა, რომელსაც ეს ადამიანები ამდენხანს ელოდნენ — ინაუგურაცია „ნაციონალების“ გარეშე ჩატარდა, ახალმა პრეზიდენტმა კი საბოლოოდ უარი თქვა ავლაბრის რეზიდენციაში გადაბარგების იდეაზე, რომლის აშენებაზე სააკაშვილმა უსინდისოდ დიდი თანხა დახარჯა და სადაც ამდენი რეპრესიული, ანტიდემოკრატიული გადაწყვეტილება მიიღო. ახლა გასარკვევი მხოლოდ ის დაგვრჩა, გადაიქცევა თუ არა ეს სიმბოლური დისტანცირება წარსულისგან შესაბამისი პოლიტიკის პირველ მერცხლად.**



**ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოში მოხვეჭილ სიმდიდრეს მოსახლეობის დიდი ნაწილი ლეგიტიმურად არ აღიქვამს. ის მიიჩნევს, რომ მისი მოპოვება კანონისა და ზნეობის ნორმის გადაბიჯებით მოხდა, არსებითად უსამართლოა, შესაბამისად, შექმნილი სიტუაცია არამყარი და დროებითია**

ამ პოლიტიკის დაყვანა მხოლოდ მაღალჩინოსანი დამნაშავეების დასჯამდე ან თუნდაც სააკაშვილის მმართველობის წლებში მოქალაქეებისთვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნებამდე, ალბათ, დიდი შეცდომა იქნება. ყოველივე ეს, აქტუალურობის მიუხედავად, მხოლოდ აისბერგის ხილული ნაწილია. **სამართლიანობის აღდგენის პრობლემა არაერთ სხვა ასპექტს მოიცავს და უკანონობის აღმოფხვრით როდი შემოიფარგლება.**

თუ ჩვენ დავუბრუნდებით ეროვნული მოძრაობის პერიოდს, ვნახავთ, რომ **მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დამოუკიდებლობის აღდგენის გულისთვის სავსებით შეგნებულად უარი თქვა სოციალურ უსაფრთხოებაზე, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო სთავაზობდა. ბევრი მოქალაქე (ყველა ნამდვილად არა) აცნობიერებდა, რომ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდებოდა და წარსულს ჩაბარდებოდა** (სსრკ-ის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებზე დაფუძნებული) **სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველეყო მოქალაქე საცხოვრებლით, სამუშაო ადგილით, უფასო ჯანდაცვით, განათლებით** (და ა. შ.) **და შეენარჩუნებინა დაახლოებით ისეთი სიტუაცია, როდესაც კომუნალური გადასახადები ოჯახის შემოსავლის 3%-ს არ აღემატებოდა.** სსრკ-ს ბევრი მინუსი ჰქონდა, მაგრამ, ალბათ, არავინ იდავებს იმაზე, რომ ყოველივე ჩამოთვლილი რეალურად იყო, განსაკუთრებით ბრეჟნევის მმართველობის წლებში, როდესაც (მაგალითად) ახალ ბინებში 161 მილიონი საბჭოთა მოქალაქე შესახლდა. მაგრამ უარი ამ გარანტიებზე არ ნიშნავდა თანხმობას საბჭოთა საქართველოს მატერიალური მემკვიდრეობის იმგვარ განაწილებაზე, რომელსაც ადგილი ბოლო ოცი წლის განმავლობაში ჰქონდა, თავისი ძარცვა-გლეჯვით, „პრიხვატიზაციით“, ფაქტობრივი კონფისკაციებით და კონტრკონფისკაციებით.

მოკლედ რომ ვთქვათ, **ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოში მოხვეჭილ სიმდიდრეს მოსახლეობის დიდი ნაწილი ლეგიტიმურად არ აღიქვამს. ის მიიჩნევს, რომ მისი მოპოვება კანონისა და ზნეობის ნორმის გადაბიჯებით მოხდა, არსებითად უსამართლოა, შესაბამისად, შექმნილი სიტუაცია არამყარი და დროებითია.** ეს ადამიანები შინაგანად არ ეგუებიან იმ რეალობას, რომლის ფარგლებში მოქალაქეები „ა“ და „ბ“ მდიდრები უნდა იყვნენ, „გ“ და „დ“ ქვეყანას მართავდნენ, „ე“ და „ვ“ მათთან კომპრომისზე წასულ საშუალო კლასს წარმოადგენდნენ, ხოლო ანბანის ყველა დანარჩენი ასო შიმშილის ზღვარზე არსებობისთვის იბრძოდეს. ისინი თვლიან, რომ მათ 90-იანებიდან მოყოლებული ატყუებენ, ძარცვავენ და არსებითად არა რომელიმე პარტიას ან პოლიტიკას, არამედ მთელ ამ რეალობას უპირისპირდებიან. მათ არ ტოვებს განცდა, რომ უსამართლოდ ექცევიან. ამ ნიადაგზე **ყალიბდება ორი ცხოვრებისეული სტრატეგია: ა) მიბაძვისა და კონფორმიზმის, ანუ ათასი უკანონო, ამორალური ხრიკის გამოყენებით გამდიდრების, პოლიტიკაში „შეძრომის“ და შესაბამისი სოციალური პლაცდარმის მოპოვების; ბ) ტოტალური უარყოფის, ამ სისტემის** (და შესაბამისად, ქვეყნის) **მუდმივი დესტაბილიზაციით.** ორივე შემთხვევაში სტრატეგიის მწვერვალს, ფაქტობრივად, წარმოადგენს სხვისი ქონების ექსპროპრიაცია, გამდიდრება მისი გადანაწილების ხარჯზე; ამ მიდგომების ფართო გავრცელება ზღუდავს, დევნის ქართული რეალობიდან ადამიანებს, რომელთაც სურთ, პატიოსნად იშრომონ და დალაგებულ სახელმწიფოში იცხოვრონ.

**ინტელექტუალების დიდი ნაწილი სააკაშვილის რეჟიმს არ ეკარებოდა, ხოლო ის, ვინც მის სამსახურში ჩადგა, ვერ მოახერხა, აეხსნა გაღატაკებული მოსახლეობისთვის, რატომ უნდა იყოს „ასე და არა სხვაგვარად“, რატომ უნდა მდიდრდებოდნენ და სარგებლობდნენ ყველა უფლებით ერთნი, ხოლო მეორენი შიმშილობდნენ და პოლიციელების შიშით თავს მაღლა ვერ წევდნენ.** მიუხედავად იმისა, რომ მათ ხელთ იყო უმძლავრესი პროპაგანდისტული მანქანა, მათ ვერაფერი შესთავაზეს საზოგადოებას პრიმიტიული სოციალური რასიზმის და ანტირუსული ისტერიული შეძახილების გარდა (იმ ფონზე, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნები მშვენივრად თანამშრომლობდნენ მსხვილ რუსულ კომპანიებთან). ამიტომაც მოხვდნენ ისტორიის სანაგვეზე, თუმცა ეს გარემოება პრობლემას არ ხსნის.

**ახალ ხელისუფლებასაც, თუ სიტუაციას არ გააუმჯობესებს, მსგავსი პრობლემები შეექმნება — ერთის მხრივ, პრობლემებს სწრაფ** (ნებისმიერ ფასად) **გამდიდრებაზე ორიენტირებული „თავისიანები“ შეუქმნიან; მეორე მხრივ, სოციალურ სამართლიანობაზე მეოცნებე უზარმაზარი მასა, რომელიც პრაქტიკულად გარანტირებულად გადაიქცევა ფეთქებადსაშიშ რესურსად უპასუხისმგებლო დემაგოგების ხელში.**

რა თქმა უნდა, დღეს წარმოუდგენელია საბჭოთა კავშირის დროინდელი სოციალური გარანტიების დაბრუნება და ასევე ფიზიკურად შეუძლებელია თავის დროზე მიტაცებული ქონების ხელახალი, სამართლიანი განაწილება. **მაქსიმუმი, რასაც ხელისუფლება მოახერხებს, განსაკუთრებით ცინიკურ შემთხვევებში ქონების ძველი მფლობელებისთვის დაბრუნებაა. მდიდრები, მიუხედავად იმისა, რა გზით გამდიდრდნენ თავის დროზე, დარჩებიან მდიდრებად, ხოლო ღარიბები — ღარიბებად, შესაბამისად, არსად გაქრება უსამართლობის განცდა და მისგან გამომდინარე რადიკალური ცვლილებების მოთხოვნაც.** ახალ ხელისუფლებას მანევრის შესაძლებლობა არ აქვს — ეკონომიკა პრაქტიკულად მკვდარია და გაჭირვებულთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მას მხოლოდ მოკრძალებული ნაბიჯების გადადგმა ძალუძს.

შესაძლოა, ამ სიტუაციაში ქვეყნისთვის დადებითი როლის შესრულებას შეძლებდნენ ახალი, პასუხისმგებლობის მქონე მემარცხენე ძალები, რომელნიც, ერთის მხრივ, აიყოლიებდნენ გაღატაკებულ მასებს უფრო სამართლიანი, სოციალურად კომფორტული წყობის დამკვიდრების იდეებით, მაგრამ, მეორე მხრივ, თავს შეიკავებდნენ რადიკალური დესტაბილიზაციისგან და დასახული მიზნების მიღწევას ნაბიჯ-ნაბიჯ, ეკონომიკის გაძლიერების პარალელურად შეეცდებოდნენ. არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ქართველმა ლეიბორისტებმა საკუთარი შესაძლებლობები მნიშვნელოვანწილად ამოწურეს და **„მარცხენა ფლანგზე“ სასურველია ახალი, გაცილებით მიმზიდველი, გონიერი ძალა გამოჩნდეს. საერთოდ, მოთხოვნა ახალ მემარცხენეებზე აქტუალურია მთელ დღევანდელ, კრიზისში მყოფ მსოფლიოში; საქართველოში კი ჰაერივით საჭიროა ახალი იდეები, იმისთვის, რათა მოქალაქეების კრიტიკულად დიდ ნაწილს თანდათან გაუქრეს განცდა, რომ გამოსავალი შექმნილი, აშკარად უსამართლო სიტუაციიდან არ არსებობს. მათ უნდა დაინახონ სამართლიანი, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს შექმნის მიმზიდველი და, ამავე დროს, რეალისტური პროგრამა.**

ნუთუ სამართლიანობის აღდგენა, როგორც უმნიშვნელოვანესი ეტაპი ქვეყნის ცხოვრებაში, გულისხმობს მხოლოდ დამნაშავე მაღალჩინოსნების დასჯას ან თუნდაც მათ მიერ მიტაცებული ქონების კონფისკაციას, მაშინ, როდესაც საქართველო პირველ ადგილზეა ევროპაში 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობით? არის შემთხვევები, როდესაც ადამიანები შიმშილით იღუპებიან, ემიგრაციის მასშტაბმა ყველა ზღვარს გადააჭარბა, ქართველი ქალის მუშაობა ბორდელში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ხოლო მამაკაცების არცთუ მცირე ნაწილს მონათმფლობელობის ხანისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგია და უნარ-ჩვევები გამოუმუშავდა. აღვიქვამთ თუ არა ასეთ საქართველოს სამართლიანად, თუნდაც ციხეში სააკაშვილის რეჟიმის უკლებლივ ყველა წარმომადგენელი მოხვდეს, რომელთაც ამ სიტუაციის შექმნაში უდიდესი წვლილი მიუძღვით? **შესაძლოა, სამართლიანობის აღდგენა გაცილებით მასშტაბური რამ არის, ვიდრე წარმოგვიდგენია და, შესაბამისად, გაცილებით დიდ ძალისხმევას მოითხოვს. როდესაც 2012-ში უამრავი ადამიანი სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგს გაჰყვა, ბევრი მათგანი ქვეტექსტში სოციალურ სამართლიანობასაც გულისხმობდა და ეს მოტივი არსად გამქრალა.**

რა შეიძლება გააკეთოს ახალმა ხელისუფლებამ, ვიდრე ეკონომიკა არ გამოცოცხლდება (რაც ჯერჯერობით სათუოა), ხოლო ჰიპოთეტური „ახალი მემარცხენეები“ (საიდან?) თავისი გენიალური იდეებით ასპარეზზე არ გამოჩნდებიან? რაოდენ ბანალურად უნდა გაიჟღეროს, მან უნდა მკაცრად დაიცვას კანონი და (როგორც მინიმუმი, შეეცადოს) ყველანაირად შეზღუდოს „წილში ჩაჯდომის“ პრაქტიკა; შესაბამის მცდელობებს ადგილი, სამწუხაროდ, დღესაც აქვს. ამასთანავე, მან უნდა დაანახოს მოქალაქეებს, რომ არსებობს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გაცილებით კარგი, უსაფრთხო გზები, ვიდრე პოლიტიკური კარიერა (მასთან დღესდღეობით დაკავშირებული ნეპოტიზმით და ლიდერების მონური მორჩილებით) ან ფსევდო-ბიზნესი, „ჩალიჩი“ ხელისუფლების ქოლგის ქვეშ, კანონდარღვევის ზღვარზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მიიღებს დაძაბულობის მორიგ, ერთი შეხედვით, არალოგიკურ ზრდას, შემდეგ კი — არსებითად სოციალურ უკმაყოფილებაზე დაფუძნებულ ბუნტს, ტოტალურ დესტრუქციას, რომელსაც ახალი ბელადები იმ დროისთვის აქტუალურ პოლიტიკურ ლოზუნგებში შეფუთავენ.

**დათრგუნვის პოლიტიკა, რომელსაც სააკაშვილი მიმართავდა, უშედეგო გამოდგა და მის რეჟიმთან კავშირის გაწყვეტა, ალბათ, არამხოლოდ ხელკეტის ქნევაზე უარის თქმას უნდა გულისხმობდეს, არამედ იმის აღიარებასაც, რომ სახელმწიფო საფუძვლიან გარდაქმნას მოითხოვს. დღევანდელი ელიტისთვის კომფორტული პირობების ხელოვნური დაკონსერვების მცდელობას კარგი არაფერი მოჰყვება. საჭიროა არამხოლოდ სააკაშვილის რეჟიმის, არამედ მის მიერ შექმნილი სოციალური გენოციდის კონვეიერის დემონტაჟი.** შესაძლოა, ამისთვის საჭიროა ახალი ელემენტი სისტემაში, ახალი მემარცხენე ოპოზიცია, რადგან დღეს პარლამენტში წარმოდგენილი ძალები ამ ამოცანას, 99%-იანი ალბათობით, ვერ შეასრულებენ; ხილული დაპირისპირების მიუხედავად, ისინი იდეოლოგიურად ერთმანეთისგან არც ისე შორს დგანან. ბევრ მათგანს, უბრალოდ, ვერ წარმოუდგენია სხვა პრინციპებზე დაფუძნებული, მოქალაქეთა კეთილდღეობასა და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული საქართველო და, შეიძლება ითქვას, „წარსულის დეპუტატები“ არიან; მათი წინდაუხედაობა შეიძლება ახალი, ამჯერად ნამდვილი რევოლუციის ფასად დაგვიჯდეს. ნუ დაველოდებით ავანსცენაზე ქართველი ფიდელ კასტროს და ჩე გევარას გამოსვლას, თორემ იმ მომენტში ფიქრი სოციალურად ორიენტირებულ რეფორმებზე უკვე დაგვიანებული იქნება.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გარკვეული დროის შემდეგ, დიდი ალბათობით, მივიღებთ კიდევ ერთ ჩვეულებრივ პოსტსაბჭოთა სახელისუფლო პარტიას, რომელიც მთლიანად მიბმული იქნება ერთი კაცის ნება-სურვილზე და რომლის შიგნით გაჩაღდება სხვადასხვა ჯგუფის ფარული ბრძოლა გავლენის გაფართოებისთვის, როგორც ეს, თავის დროზე, „მოქალაქეთა კავშირსა“ და „ნაციონალურ მოძრაობაში“ მოხდა; რაღაც მომენტში ის შეიძლება თვითგანადგურების ფაქტორად გადაიქცეს.**

# ღარიბაშვილის მთავრობა «მარტო სახლში»

**ორი წლის წინ ყველას როდი სჯეროდა, რომ ბიძინა ივანიშვილი დაწყებულ საქმეს ტრიუმფალური გამარჯვებით დააგვირგვინებდა და სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი სისხლისღვრის გარეშე მოხერხდებოდა. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება: უმძიმესი სასტარტო პირობების მიუხედავად, ქართული საზოგადოების უმრავლესობამ სასურველ მიზანს მიაღწია, თანაც ისე, რომ ქვეყანა ძმათამკვლელი ომის უფსკრულში არ გადაჩეხა, რაც მსგავს სიტუაციაში არაერთ უცხო ქვეყანაში არაერთგზის მომხდარა. ორწლიანი, დრამატული ბრძოლა დასრულდა და საქართველოს უახლეს ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო; ქართული პოლიტიკა, სავარაუდოდ, გაცილებით მშვიდი და პროგნოზირებადი გახდება, მაგრამ, ამავე დროს, მაინც საინტერესო იქნება.**



## არმაგედონი ჯერ არ მოხდება

**მომავალი კვირის ცენტრალური მოვლენა, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის ცერემონიაა. ის, სავარაუდოდ, ორწლიანი მოღვაწეობის შედეგებს შეაჯამებს და ახალ მთავრობას ძირითად ორიენტირებს დაუსახავს, რის შემდეგაც ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობა, ცნობილი კომედიის „მარტო სახლში“ გმირის მსგავსად, როგორც ძველი ისე ახალი, ჯერაც ამოუცნობი გამოწვევების პირისპირ დარჩება.**

მიუხედავად იმისა, რომ კონსპიროლოგები უახლოეს მომავალში მწვავე პოლიტიკურ კრიზისს გვიწინასწარმეტყველებენ, ახალ მთავრობას ხელშესახებ პერსპექტივაში განსაკუთრებული არაფერი ემუქრება. ახალი საკონსტიტუციო ნორმების შესაბამისად, მისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის დაყენებაც კი (არათუ უნდობლობის გამოცხადება) „ნაციონალებთან“ ალიანსში მმართველი კოალიციის რომელიმე ფრაქციის, მაგალითად, რესპუბლიკელების ან „თავისუფალი დემოკრატების“ (ნაკლებად სავარაუდოა, ეს რომელიმე სხვა ფრაქციამ გააკეთოს) შესვლას მოითხოვს, რადგან ამისთვის საჭიროა სიითი შემადგენლობის 2/5-ის მხარდაჭერა. შემდეგ, თუ საკითხი დღის წესრიგში დადგება, პროცესის დაწყებისთვის „შეთქმულებს“ სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი დეპუტატის მობილიზება მოუწევთ, ხოლო „ნაციონალების“ და ორი ხსენებული ფრაქციის ძალები ამისთვის საკმარისი არ არის. თუ ჩვენ თეორიულად დავუშვებთ, რომ ისინი კიდევ რამდენიმე დეპუტატს დაითანხმებენ და ახალი პრემიერმინისტრის კანდიდატურაზეც შეთანხმდებიან, პრეზიდენტს შესაძლებლობა ექნება, ვეტოს უფლება გამოიყენოს, რომლის გადალახვას და ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებას უკვე სიითი შემადგენლობის 3/5 დასჭირდება. მოკლედ რომ ვთქვათ, **ღარიბაშვილის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება უახლოეს პერსპექტივაში პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანს. 2010 წელს მიღებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა, რომელთა მეშვეობით მიხეილ სააკაშვილი საკუთარი ხელისუფლების „ჩაბეტონებას“ ლამობდა, ეს პროცესი მეტად გაართულა.** ამასთანავე, რესპუბლიკელები ან „თავისუფალი დემოკრატები“ მანიაკები არ არიან და დაუფიქრებლად არ წავლენ ავანტიურაზე, რომელიც, წარუმატებლობის შემთხვევაში, სრულ პოლიტიკურ ანიჰილაციას (წარმოვიდგინოთ ამომრჩეველთა უმრავლესობის რეაქცია მსგავს ნაბიჯებზე) უქადის. საუბარი ამ თემაზე ძალზე ნაადრევია, არააქტუალური და, ალბათ, სასაცილოც.

**მიუხედავად იმისა, რომ ღარიბაშვილის მთავრობის დათხოვნა ხელშესახებ პერსპექტივაში თითქმის წარმოუდგენელია, ოპონენტები მის წინააღმდეგ, დიდი ალბათობით, ფართომასშტაბიან საინფორმაციო ომს გააჩაღებენ, თანაც ძალიან მალე, ვიდრე გაძლიერდება მისი მთავარი დასაყრდენი, დღესდღეობით ფრიად ამორფული პარტია** (და არა კოალიცია) **„ქართული ოცნება“, რომლის ყრილობა ასევე 24 ნოემბერს ჩატარდება.** საპარლამენტო უმრავლესობის წევრის — ზვიად კვაჭანტირაძის თქმით, პარტიას ეყოლება ახალი თავმჯდომარე, ახალი გენერალური მდივანი და განახლებული პოლიტსაბჭო, ამასთანავე, **„პარტიამ ყრილობის შემდეგ განახლებული ენერგიით უნდა გააგრძელოს მუშაობა, რათა იგი გახდეს რეალურად გამარჯვებული პოლიტიკური ძალის სახე და იყოს ჭეშმარიტად მმართველი პარტია საქართველოში, შეიძინოს მეტი შესაძლებლობები და პოტენციალი, რათა მხარში დაუდგეს მთავრობას“** (ინტერპრესნიუსი). ალბათ, არავინ იდავებს იმაზე, რომ, **რაც უფრო გაძლიერდება ეს პარტია, მით უფრო დაკნინდება მისი კოალიციური მოკავშირეების მნიშვნელობა და გავლენა და ნაკლებად სავარაუდოა, ეს პერსპექტივა მათ ხიბლავდეს.**

მიუხედავად იმისა, რომ კვირას ყრილობაზე, სავარაუდოდ, ბევრს ისაუბრებენ შიდაპარტიულ დემოკრატიასა და იდეურ სიახლოვეზე, ჩვენ **გარკვეული დროის შემდეგ, დიდი ალბათობით, მივიღებთ კიდევ ერთ ჩვეულებრივ პოსტსაბჭოთა სახელისუფლო პარტიას, რომელიც მთლიანად მიბმული იქნება ერთი კაცის ნება-სურვილზე და რომლის შიგნით გაჩაღდება სხვადასხვა ჯგუფის ფარული ბრძოლა გავლენის გაფართოებისთვის, როგორც ეს, თავის დროზე, „მოქალაქეთა კავშირსა“ და „ნაციონალურ მოძრაობაში“ მოხდა; რაღაც მომენტში ის შეიძლება თვითგანადგურების ფაქტორად გადაიქცეს.** კრიზისი „მოქალაქეთა კავშირში“ კარგად შესწავლილია, ხოლო „ნაცმოძრაობაში“ — ჯერჯერობით ნაკლებად, მიუხედავად იმისა, რომ მან სააკაშვილის რეჟიმის კრახში არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა. მაგრამ ის, რომ მწვავე შიდა დაპირისპირება მსგავსი წარმონაქმნების შიგნით გარდაუვალია, არ ნიშნავს იმას, რომ ის „ქართულ ოცნებაში“ მალევე დაიწყება; გავლენის გაფართოებისა და გაძლიერების ეტაპზე მსგავსი რამ, როგორც წესი, არ ხდება, განსაკუთრებით ნორმალური პარტიული მენეჯმენტის პირობებში. ეს ცოტა სხვა, ადრეული სტადიაა, როდესაც ახალი მმართველი პარტია ძალას იკრებს და პოლიტიკურ პროცესში ჩართულ სხვა ჯგუფებზე გაცილებით ძლიერი ხდება.

## ვაშინგტონი თუ მოსკოვი?

**რესპუბლიკელების სურვილი, შეინარჩუნონ უცაბედად მოპოვებული, არაპროპორციულად დიდი გავლენის ზონა, ირაკლი ალასანიას დაუკმაყოფილებელი ამბიციები, „ნაციონალების“ შიში და ყოვლისმომცველი სიძულვილი ახალი ხელისუფლების მიმართ, პარლამენტს გარეთ დარჩენილი ძალების სურვილი — საკუთარი პოზიციები გაიუმჯობესონ — ყოველივე ეს ობიექტურად არსებობს, მაგრამ არასაკმარისია იმისთვის, რომ მთავრობას და გაძლიერების გზაზე მდგომ სახელისუფლო პარტიას სერიოზული პრობლემები შეექმნას.** საბოლოო ჯამში, ეს განსხვავებული მოტივებია (უფრო ფართოდ კი პოლიტიკური ვექტორებია) და ამ ფუნდამენტზე ძლიერი ოპოზიციის ჩამოყალიბებას მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის მასშტაბის მოთამაშე (ასეთი არ ჰყავთ) ან მძლავრი უცხო სახელმწიფო თუ შეძლებს. ასეთად ამერიკის შეერთებულ შტატებს მოიაზრებენ, მითუმეტეს, რომ ჩამოთვლილი ძალების უმრავლესობა აღიქვამს ვაშინგტონის პოზიციას ჭეშმარიტებად უკანასკნელ ინსტანციაში, მაგრამ **ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამერიკელებმა უახლოეს მომავალში მათი გავლენის ქვეშ მყოფ ძალებს ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ ფრონტალური შეტევის დაწყება ურჩიონ.** ობიექტური წინაპირობები ამისთვის არ არსებობს, ხოლო ხელისუფლება სავარაუდო ოპონენტებზე გაცილებით ძლიერი ჩანს.

მსგავს შეტევებს (თუკი ჩვენ თეორიულად დავუშვებთ, რომ ის დაიგეგმება) წინ უძღვის საკმაოდ ხანგრძლივი ან ზეინტენსიური პრელუდია, დამკვეთის მიერ კონტროლირებადი არასამთავრობოებისა და მედიის მუდმივი იერიშებით; „სამხედრო მეტაფორას“ თუ გამოვიყენებთ, ამ შემთხვევაში „ტანკების“ (პოლიტიკოსების) გადასვლას შეტევაზე წინ უნდა უძღოდეს საარტილერიო მომზადება (საინფორმაციო სივრცისა და საზოგადოებრივი აზრის ინტენსიური დამუშავება), ამის ნიშნები კი ჯერჯერობით არ ჩანს. **საქართველოს ახალი ხელისუფლება საკმარისად დამჯერია და უამრავი სხვა ამოცანის გადაწყვეტით დაკავებულ ვაშინგტონს მის შეცვლაზე ზრუნვა ამ ეტაპზე, სავარაუდოდ, არაფერში სჭირდება.** ხოლო **მსჯელობა იმაზე, რომ ივანიშვილის ხელისუფლება შეეცდება, თანდათან დააღწიოს თავი დასავლელი პარტნიორების მკაცრ კონტროლს, რომელიც სააკაშვილის მმართველობის წლებში ლამის ყოვლისმომცველი გახდა და გადაწყვეტილების სივრცე გაიფართოვა, აქტუალური მას შემდეგ გახდება, რაც ამის პირველი ნიშნები გამოჩნდება** (თუ გამოჩნდება).

მიხეილ სააკაშვილი სასტიკი, ზოგჯერ კი აშკარად პათოლოგიური გადაწყვეტილებებით, ოპონენტებს პრაქტიკულად ყოველდღე აძლევდა საბაბს მწვავე კრიტიკისთვის, ხოლო ახალი მთავრობა წინამორბედთან შედარებით გაცილებით ფრთხილი ჩანს. ნაკლებად სავარაუდოა, მან სააკაშვილს მიბაძოს და მკვლელ პოლიციელებს ხელი დააფაროს, სადისტურად დაარბიოს მიტინგები, ტელეკომპანიები, ცინიკურად წაართვას მოქალაქეებს ქონება და ა. შ. ამ მხრივ, საფრთხე შედარებით მცირე ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მძიმე სიტუაციური შეცდომებისგან არც ერთი მთავრობა დედამიწის ზურგზე დაცული არ არის. **მოკლევადიან პერსპექტივაში ყველაზე სერიოზული საფრთხეები, ალბათ, ორ პრობლემურ ზონას დაუკავშირდება: ა) ურთიერთობები რუსეთთან; ბ) მზარდი დაძაბულობა და შესაძლო დაპირისპირება მძიმე შედეგებით ეროვნულ ან რელიგიურ ნიადაგზე, მაგალითად, ქართველებისა და თურქების ჯგუფებს შორის** (თბილისში, აჭარაში და ზოგიერთ სხვა რეგიონში ტემპერატურა, ამ მხრივ, აშკარად მატულობს).

**კრემლს არ მოსწონს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ევროინტეგრაციული მისწრაფებები** (ეს გაღიზიანება ვილნიუსის სამიტის წინ განსაკუთრებით საგრძნობია) **და მათ წინააღმდეგ შეიძლება გარკვეული სანქციებიც აამოქმედოს, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ დაპირისპირებამ ძალისმიერი ხასიათი შეიძინოს.** მარტივად რომ ვთქვათ, ომი ამის გამო არ დაიწყება, თუმცა რუსულ ბაზარზე შეიძლება ახალი პრობლემები შეგვექმნას. მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც მოხდება იმ შემთხვევაში, **თუ მოსკოვი საბოლოოდ დარწმუნდება, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება არ აპირებს, ნატოში სწრაფი ინტეგრაციის გზას გადაუხვიოს და ალიანსში მისი მიღების ალბათობა გაზარდოს. ამ სიტუაციაში რუსები, სავარაუდოდ, გამოიყენებენ მათ ხელთ არსებულ ყველა საშუალებას, მკვეთრად გააძლიერებენ ზეწოლას საქართველოზე და უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება კიდევ ერთხელ იომონ, რადგან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არშეშვება სამხრეთ კავკასიაში მათთვის ზეპრინციპული საკითხია.**

ამასთან დაკავშირებით, არსებობს მოსაზრება, რომ საკითხის გადაყვანა მუდმივი მოლოდინის რეჟიმში (ოფიციალური თბილისი, ვაშინგტონი და ბრიუსელი მუდამ ისაუბრებენ საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე, მაგრამ რეალურად არაფერი მოხდება) ამ საფრთხეს ანეიტრალებს. თუმცა **მოსკოვი, სავარაუდოდ, შეეცდება, საკითხი დღის წესრიგიდან საერთოდ მოხსნას, როგორც ეს უკრაინაში მოახერხა, რადგან დღეს მისი გადაწყვეტა მიბმულია გერმანიისა და ალიანსის წევრი „ძველი ევროპის“ სხვა ქვეყნების პოზიციაზე და მას არ სურს, ეს მდგომარეობა დიდხანს შენარჩუნდეს.** მოკლედ რომ ვთქვათ, მოსკოვი არ იტყვის პრინციპულ უარს კონფრონტაციაზე, ვიდრე თბილისში ნატოზე ისაუბრებენ და ახალი მთავრობა მოულოდნელად შეიძლება სერიოზული გართულებების წინაშე აღმოჩნდეს.

## ბორდელი უნდა დაიხუროს

**ინციდენტი ალმაშენებლის გამზირზე, როდესაც ერაყულ ბარში ქართველების ჯგუფი არ შეუშვეს და მცირერიცხოვანი საპროტესტო დემონსტრაციები, რომლებიც ამას მოჰყვა, ბევრს პერიფერიულ მოვლენად ეჩვენება, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას არ იმსახურებს.** თუმცა ფრთხილი და წინდახედული კომენტატორები ფიქრობენ, რომ **სააკა-**

**კლუბების უცხოელი მეპატრონეები პირდაპირ არღვევენ საქართველოს კონსტიტუციას, რომლის თანახმადაც საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. ამას გარდა, ირღვევა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომლის მე-14 მუხლი პირდაპირ კრძალავს დისკრიმინაციას.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀**შვილის „ღია კარის“ პოლიტიკამ, რომლის შედეგად საქართველო უცხოელებისთვის „პროხოდნოი დვორად“ იქცა, მომავალში შეიძლება უმძიმესი კრიზისი გამოიწვიოს.** ბოლო წლებში ჩვენ არაერთგზის ვიხილეთ, თუ როგორ „კეთდება კონფლიქტი“ — დეტონატორის როლს ხანდახან ასრულებს ბანალური ჩხუბი ცივი იარაღის გამოყენებით (რომლის პროვოცირება უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს), რის შემდეგაც პროცესები შეიძლება უმართავი გახდეს.

**ქართველი ახალგაზრდების პროტესტი „ერაყულ ინციდენტთან“ დაკავშირებით სავსებით გასაგები და ბუნებრივია, მაგრამ ახალი ნაციონალური ჯგუფების სტიქიური ფორმირება საფრთხეს მნიშვნელოვნად ზრდის, მათი რიცხობრივი სიმცირე არაფერი შეღავათი არ არის** (დეტონატორიც პატარაა), **ერთი ლოკალური დაპირისპირება შეიძლება იქცეს პირველი რგოლად საბედისწერო მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვში, რომელსაც თურქეთთან ურთიერთობების სწრაფი დაძაბვა** (ამოუცნობი შედეგით) **ან საქართველოში** (ალტერნატიული სცენარის ფარგლებში) **რადიკალი ისლამისტების მკვეთრი გააქტიურება მოჰყვება.**

ახალი კანონპროექტი, რომელიც (იდეაში) საქართველოში უცხოელი მიგრანტების ზღვარგადასული შემოდინების გარკვეულ შეზღუდვას და პროცესზე შსს-ს კონტროლის დაწესებას გულისხმობს, შესაძლოა, არასაკმარისი, თუმცა აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია. მაგრამ ამასთან ერთად, **მთავრობამ მაქსიმუმი უნდა გააკეთოს, რათა სტიქიური ნაციონალური მოძრაობა კალაპოტს არ გასცდეს.** ცხადია, **ვერავინ გააუქმებს ერთბაშად სააკაშვილის გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგებს და მიგრანტების ტოტალურ დეპორტაციას ვერ მოახდენს** (მსგავსი მოთხოვნების დაყენება არანორმალურია), **მაგრამ ხელისუფლებამ თანდათან უნდა მოსპოს ის ნახევრადკრიმინალური ბიზნესი** (უპირველესად, ბორდელები და საეჭვო კაზინოები), **რომლებიც მათ საქართველოში გახსნეს.** ეს იოლი საქმე სულაც არ არის, რადგან მათ მეპატრონეებს, 99%-იანი ალბათობით, მაღალჩინოსანი მფარველები ჰყავთ. **სასურველია, ახალმა ხელისუფლებამ მთლიანობაში უარყოს გამანადგურებელი კონცეფცია, რომლის ფარგლებში ყოფილი ხელისუფლება საქართველოს განიხილავდა, როგორც საროსკიპოს და სამორინეს უცხოელი, უპირველესად, აღმოსავლელი სტუმრებისთვის და დაფიქრდეს ზოგიერთ ქვეყანასთან უვიზო რეჟიმის გაუქმებაზე.** ეს პრობლემას არ მოხსნის, თუმცა კონფლიქტოგენური წერტილების ნაწილი ნამდვილად მოისპობა, რაც მოსალოდნელ საფრთხეს ნაწილობრივ მაინც შეამცირებს.

**დიმიტრი მონიავა**

# ქართველების უფლებების დაცვა — ეროვნული სიბნელე თუ ბრძოლა ბორდელიზაციის წინააღმდეგ?

**რამდენიმე დღის წინ საქართველომ ტოლერანტობის საერთაშორისო დღე აღნიშნა. ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, გაიმართა და, როგორც ყოველთვის, ქართველმა უფლებადამცველებმა ამჯერადაც აღნიშნეს, თუ როგორი არატოლერანტულები ვართ ქართველები ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობების მიმართ. თუმცა არც ახლა და არც ბოლო წლების მანძილზე რატომღაც არავის გახსენებია უმრავლესობის უფლებების დაცვის საკითხი. თუ ჩვენი უფლებადამცველების მოქმედების მიხედვით ვიმსჯელებთ, უნებლიეთ ჩნდება მოსაზრება, რომ უმრავლესობის უფლებებს დაცვა, უბრალოდ, არ სჭირდება. არადა, რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ იმავე უმრავლესობის უფლებაც ხშირად ირღვევა? და როცა მის უფლებებს არ იცავენ, აღნიშნული უმრავლესობა საკუთარი უფლებების დაცვას თავად ცდილობს, რამაც, შესაძლოა, გაუთვალისწინებელ შედეგებამდე და ეთნიკურ ან რელიგიურ დაპირისპირებამდეც მიგვიყვანოს.**



შორს რომ არ წავიდეთ, უმრავლესობის უფლებების დარღვევის საკითხმა ახლახან მთელი სიცხადით იჩინა თავი, როდესაც გაირკვა, რომ უცხოელი (მეტწილად — თურქი, არაბი, ერაყელი) მეპატრონეები ქართველ მამაკაცებს ღამის კლუბებში შესვლას ერთადერთი მიზეზით — ეროვნული ნიშნით უკრძალავდნენ. ამ ფაქტმა ქართველი ახალგაზრდების სამართლიანი პროტესტი გამოიწვია, გაიმართა საპროტესტო აქციებიც, რომლებზეც მათ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის აღკვეთა და აღნიშნული კლუბების დახურვა მოითხოვეს. პრობლემა იმდენად ცხადი იყო, რომ ამ ფაქტს, წესით, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანის აღშფოთება უნდა გამოეწვია, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. არადა, ადვილი წარმოსადგენია, იმავე მიზეზით თურქი ან სხვა ეროვნების წარმომადგენლისთვის რომ აეკრძალათ კლუბში შესვლა, იმავე თურქების უფლებებს ჩვენი უფლებადამცველები რა მგზნებარებით დაიცავდნენ.

თუმცა **საქართველოში ქართველების უფლებების დაცვა ხომ დღეს არამოდურია. ამჯერადაც ასე მოხდა. ერთსულოვნების ნაცვლად, ქართული საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში თურქი და არაბი მეპატრონეების ულირსმა საქციელმა სრულიად საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია. ქართულმა მასმედიამ აქცია საკმაოდ უარყოფითად გააშუქა.** აღმოჩნდა, რომ თურმე ეს ქართველები დაესხნენ თავს თურქული და არაბული კლუბების მეპატრონეებს და მათ „ბართლომეს ღამე“ მოუწყვეს. გაირკვა ისიც, რომ ქართველები ჩხუბისთავები და ლოთები ყოფილან და თურქებისა და არაბების „მაღალკულტურულ დაწესებულებებში“ მათი ადგილი, უბრალოდ, არ ყოფილა. ამ ახალგაზრდებს სკინჰედები და ფაშისტები, მათ დამცველებს კი „ბნელები“ უწოდეს.

თუმცა **გამუდმებით ტოლერანტობაზე მოსაუბრე უფლებადამცველების რეაგირება არც ინტერნეტსივრცეში გავრცელებულ ვიდეორგოლს მოჰყოლია, სადაც აჭარელი გოგონა ყვება, როგორ გაათავისუფლა თურქმა მეპატრონემ მისი მშობელი სამსახურიდან შვილების მართლმადიდებლად მონათვლის გამო.** როგორც ჩანს, ეროვნული თვითშეგნება მართლაც დაგვიჩლუნგდა. ასე რომ, როდესაც ქართველი ერის არატოლერანტულობაზე ვსაუბრობთ, ალბათ, იმის აღნიშვნა და გახსენებაც არ იქნება ურიგო, ხშირ შემთხვევაში როგორი არატოლერანტულები ვართ ერთმანეთის მიმართ, როდესაც ერთი, რიგითი ქართველის უფლება ირღვევა.

**მეპატრონეს უფლება აქვს, გააძევოს კონკრეტული ადამიანი საკუთარი დაწესებულებიდან ულირსი საქციელის გამო და არავითარ შემთხვევაში ეროვნული ან სქესობრივი კუთვნილების გამო. სამწუხაროდ, ეს მარტივი ჭეშმარიტება ზოგიერთი ჩვენი „ტოლერანტი“ და არაბნელი „ინტელექტუალისთვის“ რატომღაც გაუგებარი აღმოჩნდა.**

არადა, პრობლემის არსი სრულიად მარტივია. **კლუბების უცხოელი მეპატრონეები პირდაპირ არღვევენ საქართველოს კონსტიტუციას, რომლის თანახმადაც საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა.** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი კი პირდაპირ მიუთითებს, რომ დაუშვებელია ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო. ამას გარდა, **ირღვევა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომლის მე-14 მუხლი პირდაპირ კრძალავს დისკრიმინაციას.**

**გარდა ეთნიკური დისკრიმინაციისა, ამ დღეებში მეორე სერიოზული პრობლემაც გამოიკვეთა.** გავრცელებული ინფორმაციით, **კლუბებში პროსტიტუცია** (მათ შორის არასრულწლოვანთა) **ყვავის, თუმცა შუაგულ დედაქალაქში აღნიშნულ კლუბებს რატომღაც ყურადღებას არავინ აქცევს.**

ჩვენ ხშირად გვიყვარს ევროპული საზოგადოების მაგალითების მოყვანა. რთული წარმოსადგენია, საფრანგეთში, იტალიაში ან თუნდაც თურქეთში ფრანგს, იტალიელს ან თურქს რომელიმე დაწესებულებაში შესვლა აუკრძალო. ამავე დროს ეს არ გეგონოთ ე.წ. Face control. მსგავსი შეზღუდვა საქართველოშიც არსებობდა, თუმცა ამხელა პროტესტი არ გამოუწვევია, სანამ ყველაფერი ეთნიკურ დისკრიმინაციამდე არ მივიდა.

**საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი არჩილ გამზარდია ამბობს, რომ თანამედროვე მსოფლიოში არც ერთ შემთხვევაში არ არსებობს რეგულაცია, რომელიც თუნდაც დახურული ტიპის ორგანიზაციაში ეთნიკური ნიშნით შერჩევაზეა ფოკუსირებული.** „არსებობს მხოლოდ შემთხვევები, როდესაც, შესაძლოა, ესა თუ ის დაწესებულება იყენებდეს უფლებას, ზოგიერთ შემთხვევაში, რაიმე ნიშნით დახუროს ორგანიზაცია, მაგრამ ეს ცალკეული ეთნიკური ნიშნების საწინააღმდეგოდ ყოვლად მიუღებელია. **მსგავსი შემთხვევები ხდებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ცალკეულ ქვეყნებში არ ემსახურებოდნენ, მაგალითად, ებრაელებს, ასევე — ამერიკის შეერთებულ შტატებში წინა საუკუნეების დასაწყისში, როდესაც თეთრკანიანები არ ემსახურებოდნენ შავკანიანებს და ა. შ. დღეს ეს გამორიცხულია.**

ეს არის საერთო სასამართლოს ძირითადი მაჩვენებლების შელახვის სივრცე და მათ შორის, კრიმინალური სივრცეც, მაგრამ მისი თავიდან აცილება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მეტ კონტროლს დააწესებს არაერთი მიმართულებით. მაგალითად, როგორიცაა სხვა ქვეყნების საზოგადოებრივი ჯგუფების საქართველოში მოღვაწეობის მეთვალყურეობა (პოზიტიურ მაჩვენებლებში ხელშეწყობა, ნეგატიურში — აღკვეთა); საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების უფლების უფრო მეტად ნაციონალურ ინტერესებზე მორგება, ისე, რომ არ შეილახოს სხვათა უფლებებიც; ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის მეტად კვალიფიციური მონიტორინგი და ცალკეული მიმართულებებით მუშაობა. მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფოა სწორედ ვალდებული, გაავლოს ზღვარი „შეიძლებასა“ და „არ შეიძლებას“ შორის და საქართველოში მცხოვრები როგორც ქართველების, ისე არაქართველებისა უფლებების დაცვა უზრუნველყოს“.

**იურისტ ქეთი ბექაურის განცხადებით, დისკრიმინაცია საქართველოს კონსტიტუციით დაუშვებელია.** „გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ ბარებში გარყვნილების ბუდეებია განთავსებული, რაც ასევე აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით და სამართალდამცავმა ორგანოებმა მეტი სიფხიზლე დ ყურადღება უნდა გამოიჩინონ.

**— რამდენად აქვს მეპატრონეს უფლება, არ შეუშვას ადამიანი ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით საკუთარ დაწესებულებაში ან გააგდოს სამსახურიდან და გვიცავს თუ არა კანონი ამ შემთხვევაში?**

— ეს დისკრიმინციაა და არავის აქვს რელიგიური და ეთნიკური ნიშნით სხვა პირის დევნის უფლება. ეს ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კონსტიტუციას, ასევე ევროპული სამართლითაც დაუშვებელია ადამიანთა დისკრიმინაცია რწმენის, რელიგიური ნიშნისა თუ წარმომავლობის მიხედვით.“

**„ქართული დასის“ ლიდერს, ჯონდი ბაღათურიას, მიაჩნია, რომ საქართველოში ქართველოფობია აყვავდა.** „ის ფაქტი, რომ საქართველოში ჩამოსულ უცხოელებს თავში აზრად მოსდით, ქართველები ეთნიკური ნიშნით ბარში არ შეუშვან, არაბებისა და თურქების ბრალი კი არა, ქართველების ბრალია. ვინაიდან, ისინი ისე მოიქცევიან, როგორც გაუვათ და, რომ გასდით, ეს ჩვენი სირცხვილია. მართალია, რიგითი ქართველი ამას ყოველთვის შეეწინააღმდეგება, მაგრამ **პრობლემა ის არის, რომ ეს აზიური ბარები გარყვნილების, ნარკოტიკების გასაღებისა და პროსტიტუციის ბუდედ იქცა.** შესაბამისი სამსახურები აქამდე არ აქცევდნენ ყურადღებას, ვინაიდან სწორედ ეს **შესაბამისი სამსახურები და მაღალი რანგის ჩინოვნიკები ამ სრულიად სამარცხვინო ბიზნესით — ტრეფიკინგით, ხელს ითბობენ.** ამ ბიზნესს ჰყავდა თავისი მფარველები ხელისუფლებიდან და, ბუნებრივია, დღესაც ჰყავს.

**შუა აზიიდან აჭარაში მოტყუებით ჩამოჰყავთ 14-15 წლის გოგონები, იყო შემთხვევა, როცა 14 წლის გოგონამ თავი ჩამოიხრჩო.**

**— თქვენ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნეთ ვიდეო, სადაც აჭარელი გოგონა ყვება, როგორ გაათავისუფლა დედამისი თურქმა მეპატრონემ სამსახურიდან შვილების მონათვლის გამო. თუ მოჰყვა აღნიშნულ ფაქტს რეაგირება ამ დრომდე?**

— სახალხო დამცველისა და ჩვენი უფლებადამცველი ორგანიზაციების სამარცხვინოდ, ამაზე ხმა არავის ამოუღია. არც ოჯახს არავინ დაკავშირებია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის. **ბათუმსა და ხელვაჩაურში კი არა, თბილისში როგორ იქცეოდა იაშვილის კლინიკის თურქი მეპატრონე, ხომ ყველას გახსოვთ? მიუხედავად ჯანდაცვის მინისტრ სერგეენკოს ღირსეული პოზიციისა, ისიც გააჩერეს. დაუსჯელი რატომ გაუშვეს ქვეყნიდან კაცი, რომელიც ეთნიკური ნიშნით ამცირებდა და ულირს რაღაცებს ითხოვდა თანამშრომლებისგან?** ვფიქრობ, ხელისუფლების ბევრ წარმომადგენელს თავმოყვარეობის პრობლემა აქვს.“

**სტატისტიკური მონაცემებით, 2012 წელს საქართველოში 40 ათასამდე უცხოელი ჩამოსახლდა, მათგან 7 ათასი თურქი და 675 ირანელია. ამას ემატება მიხეილ სააკაშვილის მიერ თურქეთის მოქალაქეებისთვის გამარტივებული წესით მოქალაქეობის მინიჭების უამრავი ფაქტიც. რა თქმა უნდა, ქსენოფობია არ გვაწუხებს, მაგრამ გაზრდილი ემიგრაციის ფონზე, უცხოელთა მიგრაცია არცთუ საიმედო პროგნოზის საფუძველს იძლევა.**

**შორენა ციჭქარაშვილი**

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2013 წლის 18 თებერვალს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა ორი ელექტრონული ტენდერი (SPA130004297, SPA130004296), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფის მიზნით, რომელთა შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენდა შესაბამისად 73 მილიონ 932 ათას 200 და 34 მილიონ 739 ათას 500 ლარს. ორივე ტენდერში შპს „ფუდ ლაინ ჯორჯიამ“ მიიღო მონაწილეობა. კომპანიის გენერალური დირექტორი ირინე იმერლიშვილის მეუღლე — შალვა ბეგოშვილია.**

# ირაკლი ალასანიას «მაკარონი პო-ფლოტსკი»

## ღარიბაშვილის გაფრთხილება თავდაცვის მინისტრს

**ირაკლი ალასანია ისევ სკანდალში ეხვევა. მართალია, თავდაცვის მინისტრი პოსტზეა და ჯერჯერობით იხტიბარს არ იტეხს, მაგრამ, როგორც ინფორმირებული პირები ამბობენ, ირაკლი ღარიბაშვილმა მას ამჯერად ბოლო გაფრთხილება და „ყვითელი ბარათი“ მისცა: თავდაცვის სამინისტროს შესყიდვებს მიხედე, ჯარისკაცების კვებას ახლობელ-მეგობრების კომპანიებს ნუ გადააყოლებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მინისტრის პორტფელს დაემშვიდობებიო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ალასანია ღარიბაშვილს შს მინისტრობისას რამდენიმეჯერ დაუპირისპირდა, ღარიბაშვილმა, შესაძლოა, ძველი წყენებიც გაუხსენოს. არაოფიციალური ინფორმაციით, სააკაშვილის ხელისუფლების დროს ციხეებისა და ჯარის საკვებით მომარაგება ბაჩო ახალაიასა და „დელტას“ ხელმძღვანელის, რევაზ ჭარბაძის, სახელს უკავშირდებოდა. 2011 წლის 19 ივლისს პრემიერმა ნიკა გილაურმა დადგენილებაც კი გამოსცა შპს „კვების კომპანიისთვის“ საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების თაობაზე. ამჯერად კი ალასანიას უწყებას ადანაშაულებენ ასეთივე მიდგომებში.**



ოსიაურის საწვრთნელ ბანაკში ამ რამდენიმე დღის წინ 61 სამხედრო მოსამსახურე მოიწამლა, თუმცა ეს არც პირველი და არც უკანასკნელი ფაქტია თავდაცვაში მომხდარი მოწამვლების ქრონოლოგიიდან. ამ კონკრეტულ ფაქტს მზარეულის დაუდევრობით ხსნიან შპს „ქართული კვების კომპანიაში“. ცნობილია, რომ შეუძლოდ გამხდარმა სამხედრო მოსამსახურეებმა „მაკარონი ფლოტურად“ დააგემოვნეს. არსებული ინფორმაციით, მზარეულმა რეცეპტი თვითნებურად შეცვალა, რადგან ივარაუდა, რომ მომზადებული კერძი ზედმეტად მშრალი იყო. მან გადაწყვიტა, ძროხის ხორცით გამზადებული მაკარონისთვის ქათმის ბულიონიც დაემატებინა. შედეგად, კერძში ცხიმიანობამ ზომაზე მეტად მოიმატა — ასეთია კომპანიის ვერსია.

**ბოლო პერიოდში სამხედრო ნაწილებში ჯარისკაცთა მოწამვლის რამდენიმე ფაქტი გამოვლინდა, რომლებსაც პროკურატურა სწავლობს. პროკურატურა სწავლობს იმ 320 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტსაც, რომელიც 31-ე ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ბრიგადაში, მე-11 ბრიგადასა და საინჟინრო ბრიგადაში 16-22 სექტემბრის შუალედში მოხდა.** 320 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტი „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ გაასაჯაროეს. ადვოკატები მიიჩნევენ, რომ ალასანიამ აღნიშნულ ფაქტებს სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს. თუმცა **ალასანიას მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები არ ადანაშაულებენ გაუმჭვირვალე ტენდერებსა და ახლობლების სამინისტროში საკვანძო პოსტებზე მიყვანაში.** „საქართველო და მსოფლიომ“ მოიძია ფაქტები და კონკრეტული შემთხვევები, როცა ალასანიას უწყებაში ტენდერებს დეპუტატების ქმრების კომპანიები იგებენ, ასევე ახლობელ-მეგობრები საქმდებიან და ისიც ცნობილია, რომ აღნიშნული საკვები ჯარში სწორედ მინისტრის ახლობლების ფირმებიდან შეჰქონდათ.

**თავდაცვის სამინისტროში კვების ტენდერში 19 და 39-მილიონლარიანი ლოტები მოიგო შპს-მ, რომლის სახელწოდებაა „ელექტრომონტაჟ სერვისი“. ამის შესახებ ცოტა ხნის წინ საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთმა წევრმა, გივი თარგამაძემ, განაცხადა.** გივი თარგამაძის განცხადებით, თავდაცვის მინისტრსა და სამინისტროს აფრთხილებდნენ ირანულ კვერცხთან დაკავშირებით, რომ ის შეიცავს მოწამვლის საფრთხეს. **„თუმცა, როგორც ჩანს, მაინც გაუწია ალასანიამ ანგარიში გია ხუხაშვილს. პოლიტიკური რევერანსი გაუკეთა ამ ჯარისკაცების მოწამვლის ხარჯზე და შემდეგ ჩვენ ვნახეთ, რომ ხუხაშვილის რიტორიკა ალასანიას მიმართ შეიცვალა და საკმაოდ შერბილდა“,** — განაცხადა თარგამაძემ. მისივე თქმით, ეჭვს იწვევს ოთხი ტენდერის გაუქმება-არგაუქმების თემაც. **„ჩვენ გვახსოვს, როდესაც გვქონდა ლაპარაკი იმაზე, რომ ერთ-ერთი საკმაოდ მსხვილი ლოტი, 35 მილიონი ლარის, მოიგო შპს „ფუდ ლაინ ჯორჯიამ“, ქალბატონი ირინე იმერლიშვილის მეუღლის ფირმამ. შემდეგ ვნახეთ განცხადება, რომ ეს ტენდერი გაუქმდა და ხელახლა ჩატარდება, მაგრამ დღემდე შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ საიტზე ჩვენ გამარჯვებულად სწორედ ამ კომპანიას ვხედავთ. როგორც ჩანს, ეს არის ასეთი პოლიტიკა — სიტყვით ითქმება, რომ ეს გაუქმდა, დაწყნარდება ხალხი და ის მიიღებს მაინც თავის 35 მილიონს საბოლოო ჯამში“,** — განაცხადა თარგამაძემ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ აღნიშნული ტენდერის შესახებ ინფორმაცია მოიძია და საკუთარი მოსაზრება გამოაქვეყნა. დოკუმენტის მიხედვით, **2013 წლის 18 თებერვალს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა ორი ელექტრონული ტენდერი (SPA130004297, SPA130004296), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფის მიზნით, რომელთა შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენდა შესაბამისად 73 მილიონ 932 ათას 200 და 34 მილიონ 739 ათას 500 ლარს. ორივე ტენდერში შპს „ფუდ ლაინ ჯორჯიამ“ მიიღო მონაწილეობა. კომპანიის გენერალური დირექტორი ირინე იმერლიშვილის მეუღლე შალვა ბეგოშვილია.** „სამეწარმეო რეესტრიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ შალვა ბეგოშვილი შპს „ფუდ ლაინ ჯორჯიას“ დირექტორად 2013 წლის 4 აპრილს დაინიშნა (გვ. 5), თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში წინადადების მიღების დაწყებამდე ერთი დღით ადრე. იმავე დღეს „ფუდ ლაინ ჯორჯიას“ 100% წილის მფლობელმა, კონსტანტინე მანაგაძემ, კომპანია ვინმე არჩილ ტუღუშზე გაასხვისა (გვ. 9). აღსანიშნავია, ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის შინაარსი (გვ. 14), რომლის თანახმად, ნასყიდობის საგნის უკან დაბრუნება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შპს „ფუდ ლაინ ჯორჯია“ ვერ გაიმარჯვებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფის (CPV 55500000 — სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებები) შესყიდვის ელექტონულ ტენდერში, რომელიც ტარდება 2013 წლის 15 აპრილამდე.

რაც შეეხება უშუალოდ თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებს, ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, **2013 წლის 10 აპრილს ვაჭრობის შედეგად პირველ ტენდერში გამარჯვებულად შპს „ფუდ ლაინ ჯორჯია“ (ს.კ. 205289463) გამოცხადდა, რომელიც მოგვიანებით დისკვალიფიცირებულ იქნა ტექნიკური დოკუმენტების წარუდგენლობის გამო.** კერძოდ, შესყიდვების სააგენტოს სატენდერო კომისიამ კომპანიას დაავალა კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილი შენიშვნების აღმოფხვრა არაუგვიანეს ამა წლის 15 აპრილისა. კომპანიამ შენიშვნები აღმოფხვრა, თუმცა — მოგვიანებით და არა დადგენილ ვადებში. კომისიის ოქმში წერია, რომ შპს „ფუდ ლაინ ჯორჯიას“ მიერ შესაბამისი ინფორმაციის (დოკუმენტაციის) უმეტესი ნაწილი სისტემაში აიტვირთა 2013 წლის 16 აპრილს, 00 საათსა და 01 წუთიდან 2 საათსა და 49 წუთამდე, ▶

## ხურჩის ინციდენტის დამკვეთებს აუცილებლად დასჯიან

**პრემიერმინისტრობის კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილი პარლამენტის ტრიბუნიდან პირობას დებს, რომ ხურჩის ინციდენტის დამკვეთები დადგენილი და დასჯილნი იქნებიან.**

აღნიშნულ თემაზე საუბარი საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრაზე გაგრძელდა, სადაც ღარიბაშვილმა გაეროს ექსპერტების დასკვნაზე გაამახვილა ყურადღება.

„ხურჩის ინციდენტთან დაკავშირებით გამომრჩა; გაეროს დასკვნაში აღნიშნულია, რომ ინციდენტი მომზადებული იყო წინასწარ და იყო პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოყენებული, რაც ინციდენტის ინსცენირების ეჭვს ბადებდა. ეს არის გაეროს ექსპეტების დასკვნა. ფაქტი, რომელიც გამოძიებულია ჩვენ მიერ, საგანგაშოა. გამოძიებამ დაადგინა, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების მონაწილეობით განხორციელდა ე. წ. ტერორისტული აქტი საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ. ეს არის ფაქტი, ეს არის რეალობა, რაზეც საუბრობდნენ არა მხოლოდ მაშინდელი ოპოზიცია, არამედ გაეროს ექსპერტები. გრძელდება გამოძიება და საბოლოო ვერდიქტს სასამართლო გამოიტანს“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა უმრავლესობასთან შეხვედრაზე.



**მართალია „ქართული კვების კომპანია“, რომელსაც ამჟერად ჯარის საკვებით უზრუნველყოფა ევალება, სახელმწიფო კომპანიაა, მაგრამ ის მუდმივად აცხადებს ტენდერებს და მხოლოდ დამკვეთია პროდუქციის შეძენაზე, რეალურად სხვა კომპანიებისგან იძენს მაკარონს, ხორცსა თუ სხვა საკვებს. ფულის კეთებისა და ახლობლების ფირმებისგან მათი შეძენის ალბათობა კი სწორედ აქ იმალება მოხერხებულად.**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ხშირად ისმის სხვადასხვა ნაწილში მომსახურე ჯარისკაცებისგან პრეტენზიები, რომ საკვებმა და დღიურმა ნორმებმა საგრძნობლად იკლო

რაც კომისიამ კანონით დადგენილი ვადის დარღვევად ჩათვალა. ამ მიზეზით, 16 აპრილს სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, შპს „ფუდ ლაინ ჯორჯიას“ დისკვალიფიკაციის შესახებ. **თავდაცვის სამინისტროს 34 მილიონ 739 ათას 500 ლარის ღირებულების მეორე ტენდერშიც (SPA130004296) „ფუდ ლაინ ჯორჯია“ გამოცხადდა გამარჯვებულად, რომელმაც დისკვალიფიცირებული შპს „ლამპარი 2008“ ჩაანაცვლა.**

თავდაპირველად ტენდერში შპს „ლამპარი 2008“-მ გაიმარჯვა, თუმცა 2013 წლის 16 აპრილს, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, მოხდა მისი დისკვალიფიკაცია, სატენდერო დოკუმენტაციის დროულად წარუდგენლობის გამო. ამავე სხდომაზე სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, მიემართა სატენდერო წინადადების მომდევნო დაბალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტისთვის – შპს „ფუდ ლაინ ჯორჯიასთვის“. ამასობაში, „ფუდ ლაინ ჯორჯიას“ მფლობელთა მონაცემებში კვლავ განხორციელდა ცვლილება. კერძოდ, **2013 წლის 16 აპრილს კომპანიის 50% 1 ლარად გასხვისდა ისრაელის მოქალაქე მერაბ კიკოზაშვილზე იმ პირობით, რომ მყიდველი მოახდენს კომპანიაში 1 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას** (გვ. 8). **თუმცა ინვესტირება განხორციელდება ეტაპობრივად. ინვესტირების ეტაპები განისაზღვრება იმ ვალდებულებათა შესრულების გრაფიკით, რომელიც დადგინდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფის** (CPV 55500000 — სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებები) **შესყიდვის ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და „ფუდ ლაინ ჯორჯიას“ შორის დადებული ხელშეკრულებით.**

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, **შპს „ფუდ ლაინ ჯორჯიას“ 2013 წლის 5 აპრილამდე არასოდეს მიუღია მონაწილეობა ელექტრონულ ტენდერებში. ასევე, უნდა ითქვას, რომ კომპანია „ფუდ ლაინ ჯორჯია“ თავდაცვის სამინისტროს პირველი ტენდერიდან დისკვალიფიცირებულ იქნა ამ საკითხის საჯაროდ გახმაურებამდე.** მიუხედავად იმისა, რომ არსებული ინფორმაციის საფუძველზე არ შეიძლება დავასკვნათ, ჰქონდა თუ არა ადგილი კანონის დარღვევას ან კორუფციულ გარიგებას, ცხადია, რომ **ირინა იმერლიშვილის მეუღლის დირექტორად დანიშვნა აუქციონამდე ერთი დღით ადრე და კომპანიის გასხვისება იმ პირობით, რომ იგი თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვებდა, გონივრულ ეჭვს წარმოშობს,** — გაცხადებული იყო „საერთაშორისო გამჭირვალობა — საქართველოს“ დასკვნაში.

**ამჟერად კი ჯარსა და პენიტენციალურ სისტემას კვებით უზრუნველყოფს „ქართული კვების კომპანია“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი თავდაცვის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტაა“.** თუმცა საპარლამენტო უმცირესობაში მიუთითებენ, რომ ესეც ერთგვარი ფანდია. **მართალია „ქართული კვების კომპანია“, რომელსაც ამჟერად ჯარის საკვებით უზრუნველყოფა ევალება, სახელმწიფო კომპანიაა, მაგრამ ის მუდმივად აცხადებს ტენდერებს და მხოლოდ დამკვეთია პროდუქციის შეძენაზე, რეალურად სხვა კომპანიებისგან იძენს მაკარონს, ხორცსა თუ სხვა საკვებს. ფულის კეთებისა და ახლობლების ფირმებისგან მათი შეძენის ალბათობა კი სწორედ აქ იმალება მოხერხებულად.** ამის შემდეგ უნდა ჩატარებულიყო თავდაცვის სამინისტროს ჯარების კვებითი მომსახურების ტენდერი რამდენიმე ლოტად, დასავლეთის, აღმოსავლეთის და ა. შ. ტენდერის ღირებულება 107 მილიონ ლარს აღწევდა, თუმცა მოულოდნელად სიტუაცია აირია. თავდაცვის სამინისტროს კვებითი მომსახურების ტენდერში ისევ გამოჩნდა კომპანია „ჯიემემ“-ი, რომელმაც ორი საკმაოდ ძვირადღირებული ლოტი აიღო, თუმცა სხვადასხვა ფირმების სატენდერო საბჭოში შეტანილმა საჩივრებმა კვლავ გააჭიანურა ტენდერების საბოლოო შედეგის დადება. შპს G.M.M. სატენდერო კომისიას კერძო ინტერსების გატარებაში ადანაშაულებდა.

**„მიგვაჩნია, რომ კომისიამ იმოქმედა კერძო ინტერესებით ნაკარნახევი მოტივებით. უპირველესად, ყურადღებამისაქცევია ის გარემოება, რომ კომისიის ერთ-ერთი მოწვეული ექსპერტი, რევაზ გოგოლაშვილი, ამავე დროს აღმოჩნდა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის – შპს „ნიკა 2010“-ის წარმომადგენელი და მისი CV ატვირთულია ამ ფირმის დოკუმენტაციაში. ეს ფაქტი თავისთავად წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტს და „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონების მოთხოვნის დარღვევას.“** შპს „სამება 2011“-მა ასევე შეიტანა საჩივარი დავების საბჭოში. აღსანიშნავია, რომ შპს „სამება 2011“ შპს G.M.M-საც უპირისპირდება. **„ტენდერის მიმდინარეობის პირველივე დღიდან შპს „სამება 2011“ მოხვდა ზეწოლის ქვეშ — ტენდერში მონაწილე შპს „ნიკა 2010“-ის ხელმძღვანელობიდან ჩვენს თანამშრომლებზე ხორციელდებოდა ზეწოლა სატელეფონო საუბრებით, დაჟინებით გვთხოვდნენ, მოგვეხსნა ჩვენი კანდიდატურა ტენდერიდან, ვინაიდან ჩვენ არ გვყავდა ე. წ. ლობი, ტყუილად ვწვალობდით და ვერ შევძლებდით ტენდერში გამარჯვებას. თავად სატენდერო კომისიის წევრი რევაზ გოგოლაშვილი შპს „ნიკა 2010“-ის თანამშრომელია, ასევე იგი „ქართული კვების“ კომპანიის კვების ორგანიზების დეპარტამენტის დირექტორია. ხოლო „ქართული კვების კომპანიის“ აღრიცხვისა და ანალიზის განყოფილების უფროსი გოჩა შულღიაშვილი ტენდერშივე იღებდა მონაწილეობას შპს G.M.M.-ის სახელით“,** — ნათქვამია კომპანიის საჩივარში.

მოკლედ, როგორც იტყვიან, **ალასანიას უწყებაში „რაღაც აშკარად“ ყარს. ამასთან ერთად, ხშირად ისმის სხვადასხვა ნაწილში მომსახურე ჯარისკაცებისგან პრეტენზიები, რომ საკვებმა და დღიურმა ნორმებმა საგრძნობლად იკლო.** თავდაპირველად ალასანიამ „ქართული კვების კომპანიაში“ დირექტორატი შეცვალა, მაგრამ საქმეს ამანაც ვერ უშველა, პირველი კატეგორიის ხორცის შეტანა და კვების სხვა პირობების გაუმჯობესება. ალასანიამ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა, რომ წლის ბოლომდე ქართული ჯარის კვების მომსახურებაზე გამოყენებული ადგილობრივი საკვები პროდუქტების მთლიანი ღირებულება 15%-დან 45%-მდე გაიზრდებოდა. თუმცა **რეალურად ჯარისკაცების კვება არ გაუმჯობესებულა და დღემდე ალასანიას აქილევსის ქუსლად რჩება. როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ღარიბაშვილმაც სწორედ ამის გამო მისცა შენიშვნა ალასანიას, თუ ჩემი პრემიერობის დროს აღნიშნული ისევ განმეორდება, პოსტს ველარ შეინარჩუნებო.**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

# აშშ-ის ელჩის მუქარა

**სწორედ შეფარულ მუქარად შეიძლება აღვიქვათ, საქართველოში აშშ-ის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის, მიერ ქართული საზოგადოების მორიგი დამოძღვრა (ამჟერად თსუ სტუდენტებთან გაკეთებული განცხადება):**

**„რაც შეეხება ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების შესაძლებლობას, ეს არის ხანგრძლივ პერსპექტივაში განსახილველი თემა და აქ სწრაფი გადაჭრა, როგორც ასეთი, არ არის. არ მიმაჩნია, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი განიხილავენ საკუთარ მომავალს მხოლოდ ერთი — ჩრდილოეთის მიმართულებით. მათ ბევრი შესაძლებლობა აქვთ, მათ შორის ეკონომიკური, სამხრეთითაც. ჩვენ ვსაუბრობთ ახალ „აბრეშუმის გზაზე“, სატრანზიტო დერეფანზე, რომლის ნაწილად ყოფნის სურვილი, ვფიქრობ, ექნებათ იმ ადამიანებს, რომლებიც სოხუმში თუ გუდაუთაში ცხოვრობენ. ჩემი პირადი შეხედულება თუ გაინტერესებთ, მაშინ, როდესაც ოცი წლის წინ საქართველოში ვიმყოფებოდი ეუთო-ს წინამორბედი ორგანიზაციის ეგიდით, თქვენი დინამიკა მაშინ მაგონებდა ისეთ ვითარებას, რომ ქართველები ეპყრობოდნენ ეთნიკურ უმცირესობებს დაახლოებით ისე, როგორც რუსები ეპყრობოდნენ მანამდე თავად ქართველებს. აფხაზებსა და ოსებს ჰქონდათ იმის საფუძველი, რომ თავი ეგრძნოთ უმცირესობად საქართველოში. იმ პროცესში, როდესაც საქართველო ცდილობს, მიმზიდველი გახადოს თავისი თავი ამ რეგიონებისთვის ეკონომიკურად და პოლიტიკურად, ალბათ, მოუწევს ისიც, რომ მოახდინოს გადაფასება, აღიაროს და მოიხადოს ბოდიში წარსულის შეცდომებისთვის. განტოლების მეორე მხარე არის ის, რომ უფრო წარმატებულად უნდა მოხდეს რუსეთთან ურთიერთობების მართვა, რადგან რუსეთი უდავოდ შეეცდება გამოიყენოს სისუსტეები, მაგრამ გამოცდილება იმ ქვეყნებისა, რომლებიც რუსეთის პერიფერიაზე მდებარეობენ, გვაჩვენებს, რომ ამ ურთიერთობების მართვა შესაძლებელია წარმატებულად კონფლიქტების თავიდან აცილებით“.**

რეალურად, ნორლანდი მიუთითებს ქართულ საზოგადოებას, რომ საქართველომ უარი უნდა თქვას თავის სახელმწიფოებრივ ერთიანობაზე, რადიკალურ დათმობაზე წავიდეს აფხაზებთან და ოსებთან ერთი მიზნით, რათა ეს ხალხები ჩამოშორდნენ რუსეთს. ბუნებრივია, ნორლანდი არაფრად აგდებს საქართველოს სტრატეგიულ ინტერესს, რომელიც რუსეთთან სრულმასშტაბიან დარეგულირებას გულისხმობს. პირიქით, ამ მხრივ ელჩის სიტყვებში შეფარული მუქარა იკითხება: საქართველომ წარმატებულად უნდა „მართოს“ რუსეთთან ურთიერთობები, რაც აფხაზებთან და ოსებთან კონფლიქტის თავიდან არიდებას გულისხმობს. კეთილი და პატიოსანი, ელჩი მართალია იმაში, რომ აფხაზებთან და ოსებთან კონფლიქტები უნდა გამოვრიცხოთ, მაგრამ, ფაქტობრივად, ელჩი ამის გაკეთებას რუსეთთან დაახლოებაზე უარის თქმის ფასად გვთხოვს! კარგად დავაკვირდეთ ზემოთ მოყვანილ ციტატას და იქნებ ყველამ დავინახოთ ქვეტექსტი: **თუ საქართველო „არასწორად მართავს“ ურთიერთობებს რუსეთთან, მაშინ „სწორ“ ნაბიჯს აფხაზებთან და ოსებთან დაკავშირებით აშშ გადადგამს! რა შეიძლება იყოს რუსეთთან „არასწორი“ ნაბიჯი, ამერიკელი დიპლომატის აზრით? — რა თქმა უნდა, რუსეთთან საქართველოს დაახლოება, მაგალითად, საბაჟო კავშირში შესვლა. გამორიცხული არ არის, რომ ამ შემთხვევაში ამერიკამ აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს, რითაც თავდაყირა დააყენებს სიტუაციას კავკასიაში და რუსეთ-საქართველოს დაახლოების შედეგების გადაფარვას შეეცდება.**

აშკარაა, რომ მოცემულ ეტაპზე პატივცემული ელჩი და მისი ადმინისტრაცია ფრიად შეშფოთებულია საქართველო-რუსეთის დაახლოებით, მათ შორის, აფხაზეთზე სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენის პერსპექტივით. უნდა ვაღიაროთ, რომ ამერიკელი დიპლომატი საკითხის ღრმა ცოდნით გამოირჩევა, მისი სიტყვები კი ზედმიწევნით გათვლილია როგორც ქართველების კიდევ ერთხელ გაბრუებაზე, ისე აფხაზებისა და ოსების გულის მოგებაზე.

**ევრაზიის ინსტიტუტი**

# ღარიბაშვილმა კანდელაკი დატუქსა

**ტყუილი ძალიან კარგად გეხერხებათ, — ასე მიმართა პრემიერმინისტრობის კანდიდატმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, უმცირესობასთან შეხვედრაზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, დეპუტატ გიორგი კანდელაკს.**

გიორგი კანდელაკის განცხადებით, მას სურს, გამოხატოს შეშფოთება და აღშფოთება ტერმინ „ნეოფაშისტურის“ სრულიად შეურაცხმყოფელ კონტექსტში გამოყენებაზე.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, მან გიორგი კანდელაკს აღშფოთება და შეშფოთება მაინცდამაინც ვერ შეატყო. **„მაგრამ დავრწმუნდი, პირველ თვეებში რომ ხდებოდა დეზინფორმაციული გზავნილების გაგზავნა ევროპაში, ამერიკაში, ესეც თქვენი დამსახურებაა. კომპლიმენტად არ მიიღოთ, ტყუილი კარგად გეხერხებათ“,** — მიმართა ღარიბაშვილმა კანდელაკს.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის მთავრობის არც ერთი დაპირება არ დარჩენილა შეუსრულებელი. **„ჩვენ რაც დავპირდით მოსახლეობას, იმაზე მეტი გავაკეთეთ. თუ დეტალები გაინტერესებთ, შეგიძლიათ მიმართოთ ჩემს მომავალ მინისტრთა კაბინეტს. შეგვიძლია დეტალური ინფორმაცია წარმოგიდგინოთ. მე დარწმუნებული ვარ, მაინც აღშფოთდებით, იმიტომ, რომ იქ თქვენთვის საინტერესო ციფრები არ იქნება მოყვანილი. მე ვიცი, რომ მაინც დაამახინჯებთ ამ მონაცემებს და დამახინჯებულს გაუშვებთ ევროპაში“,** — აღნიშნა პრემიერობის კანდიდატმა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ივანიშვილი ყოველთვის ამ გუნდს ეხმარებოდა... გაიხსენეთ, 26 მაისზე, 7 ნოემბერზე და ა. შ. არც ერთი საპროტესტო განცხადება არ დაუფიქსირებია. დიახ, 2011 წლამდე არანაირი პროტესტი არ განუცხადებია. აი, როგორც ახლა სურს, კულისებიდან მართოს ხელისუფლება (ღარიბაშვილი ხომ არ იქნება რეალური მმართველი, ყველაფერი იქნება შეთანხმებული ივანიშვილთან), ანალოგიურად იყო სააკაშვილის დროსაც, აფინანსებდა და მაშინაც კულისებიდან მოქმედებდა.“**

# რატომ მართავს ქვეყანას ნორლანდი და როგორ იყენებდა ბიძინა ივანიშვილი ამერიკის ელჩს თავისი მიზნებისთვის

**ინაუგურაციას მაინც, ალბათ, მოჰყვება ახალი საკადრო პოლიტიკა, „იგი წავა და სხვა მოვა“... მოკლედ, ღარიბაშვილი, ალბათ, მართლაც შეეცდება, იყოს უფრო მკაცრი და სამართლიანი, ვიდრე მისი წინამორბედი. სასამართლო, პროკურატურა და შსს თუ აქამდე შეხმატკბილებულად ამბობდნენ უარს „ნაცების“ გასამართლებაზე, ახლა, შესაძლოა, სხვა დრო მოვიდეს, მაგრამ „ნაცებისთვის“ პასუხის მომთხოვნი მთავრობა, ალბათ, კიდევ კარგა ხანს არ გვეყოლება. საქართველოს მართავს ამერიკის ელჩი, ახალი პრემიერი ძალიან ჩქარობს კადრების საკითხში, — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა ადვოკატი მამუკა ნოზაძე.**



## მამუკა ნოზაძე: ღარიბაშვილს მმართველობის ისეთივე სტილი ექნება, როგორიც ჰქონდა სააკაშვილს

**— მართლმსაჯულების სისტემაში ძალიან სერიოზული ცვლილებებია, რას ნიშნავს ახალი მთავარი პროკურორის დანიშვნა – ხელისუფლებას კბილაშვილზე უკეთესი პროკურორი სჭირდება თუ, უბრალოდ, ახალი სახე იყო საჭირო იმისთვის, რომ გაემართლებინათ, რატომ არ იჭერენ იმ „ნაციონალებს“, რომელთაც სისხლში აქვთ ხელი გასვრილი?**

— არა, აქ სხვა რამესთან გვაქვს საქმე... ჯერ ერთი, ფარცხალაძე კბილაშვილზე უკეთესი პროკურორი ნამდვილად ვერ იქნება. სხვა თუ არაფერი, კბილაშვილი განათლებული ადამიანი და პროფესიონალია, უბრალოდ, პროკურატურაში ძველი კადრები დახვდნენ, ახალმა ხელისუფლებამ კი არ მისცა შესაძლებლობა, რომ რაიმე რადიკალური ცვლილებები განეხორციელებინა. დიახ, ბევრ რამეში იყო შეზღუდული, რასაც არ ამბობს, თუმცა მის გამოსვლებში ეს იგრძნობა.

**რაც შეეხება ახალ პროკურორს, ჯერ ერთი, „ნაცმოძრაობის“ აქტიური სახეა, ისევე, როგორც ახალი შს მინისტრი, კეზერაშვილის დროს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილში მუშაობდა. გარდა ამისა, ფარცხალაძე სწორედ ის ადამიანია, რომლის დროსაც მოხდა სკანდალური ფაქტი — ამერიკელი კონგრესმენები რომ იყვნენ ჩამოსულები, სწორედ მან განახორციელა ოპერაცია მერიის თანამშრომლების დაკავების მიზნით, რომელიც შემდგომ სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია. აქედანაც აშკარად ჩანს, რომ ამ ადამიანს ბევრი რამ ეშლება პროცესუალური თვალსაზრისით, უფრო სწორად ეს ქმედებები მან მიზანმიმართულად განახორციელა.** ეს ის მეთოდებია, რომლებიც აპრობირებული იყო „ნაცმოძრაობის“ დროს. რა გასაკვირია?! ეს ადამიანი იმ დროს მუშაობდა და ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი იმ პერიოდის მეთოდები. ქელაში მომხდარი ინციდენტიც მისი დამსახურებაა, მხოლოდ მას შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება. ჰოდა, ასეთი სამსახურებრივი შეცდომები რომ აქვს დაშვებული კაცს და ამავე დროს არასდროს უმუშავია პროკურატურაში, მისი მთავარ პროკურორად დანიშვნა, ბუნებრივია, მიზანშეუწონელია. ის არაკომპეტენტური კადრია და ამ თანამდებობაზე დაინიშნა მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ახალი ხელისუფლების მითითებები შეასრულოს. ესეც ისე დაგვისვეს სკამზე, როგორც მარგველაშვილი.

სხვათა შორის, ხერხეულიძემ ჭიკაიძეზე განაცხადა, — ისევ ჩვენი მომხრე გვეგონაო; გაუკვირდა, „ქართული ოცნების“ მთავრობის წევრად, რომ დასახელდა ეს კაცი. აქ ასევე ნათესაურ-ნაცნობურ დამოკიდებულებას აქვს ადგილი, ეს ხომ ყოველთვის ასე იყო საქართველოში. **დიახ, არ აქვთ პრიორიტეტი მინიჭებული პროფესიონალებს და ეს საგანგაშოა. არავის აქვს უფლება, მით უმეტეს, ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც ივანიშვილის ფონზე მოვიდა** (დამოუკიდებლად ღარიბაშვილი ვერასდროს გახდებოდა პრემიერი), **საზოგადოების წინააღმდეგ წავიდეს და წარადგინოს ისეთი კანდიდატი, რომელიც არ გამოირჩევა პროფესიონალიზმით ან იმ ღირსებებით, რომლებიც მთავარ პროკურორს უნდა ჰქონდეს.**

**— „ნაცებს“ სწორედ ამას არ საყვედურობდნენ?!**

— დიახ, ანალოგიური სიტუაციაა... არც 28 წლის ადამიანს, ჭიკაიძეს, აქვს ის გამოცდილება, რომ შსს-ს მმართველობის სადავეები ჩაუგდო ხელში. ვიმეორებ, ეს ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ ერთგულების ნიშნით დაინიშნენ და არა პროფესიონალიზმის გამო. და ის, რომ ჭიკაიძის მამა წარსულში პოლიციის თანამშრომელი იყო, ან თავად ჭიკაიძე რომ მუშაობდა შსს-ში გამომძიებლად (ნაცსისტემის გამომძიებელი, დაკავებები უშუალოდ ასეთი ადამიანების მხრიდან ხორციელდებოდა), არ არის საკმარისი იმისთვის, რომ კაცი მინისტრად დაინიშნოს. **ესენი სააკაშვილის სისტემის ჭანჭიკები იყვნენ, რომლებიც დაკვეთებს ასრულებდნენ. წარმოიდგინეთ, ასეთ ადამიანებს კი არ უშვებენ სამსახურებიდან, არამედ აწინაურებენ.**

ასევე, მნიშვნელოვანია აქ ერთი გარემოება – როცა ერთი სისტემიდან გადადიხარ მეორე სისტემაში, აბსოლუტურად ყველას თავისი კადრები მიჰყავს. აი, ამ შემთხვევაშიც თვალნათლივ დავრწმუნდებით, რომ **ფარცხალაძე მთელი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილს წაიყვანს მთავარ პროკურატურაში. და, იცით, რატომ გააკეთებს ამას? ფარცხალაძეს რომ მისცემენ დავალებას, თავის ერთგულ ხალხს დაავალებს მის შესრულებას, ჰოდა, დაიწყება მეორე უკანონობის განხორციელება — რეპრესიული მექანიზმი ამოქმედდება. და მერე საერთოდ ქვეყანაში რომელი სამართლიანობის აღდგენაზე იქნება საუბარი?!**

**— თუმცა დღეს საზოგადოებაში რეპრესიების დაწყება აღიქმება, როგორც სამართლიანობის აღდგენა...**

— არა, ეს არ არის სამართლიანობის დამკვიდრება. დანაშაული აქვს ჩადენილი ადამიანს, მაგრამ ხელისუფლების ნება არ არის, რომ წაუყენოს რეალური მტკიცებულებები. ეს იგივეა, რაც მოხდა ახალაიასთან დაკავშირებით – უყენებენ ისეთ ბრალდებებს, რომლებიც სასაცილოდ იქცა, ფაქტობრივად, პოლიტპატიმრად აქციეს ეს ადამიანი. და ყველა ინსტანცია ამ გამამართლებელ განაჩენებს დატოვებს ძალაში. ასევე, დიდი ალბათობაა, რომ მერაბიშვილის საქმეზეც დადგება გამამართლებელი განაჩენი. ეს ყველაფერი სამართლიანობასთან კავშირში ნამდვილად არ არის. **პრემიერს ფარცხალაძე პროკურატურაში რეპრესიული მექანიზმის განსახორციელებლად სჭირდება. მაგრამ „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ არ იქნება რეპრესიები, რადგან ესენი კოაბიტაციაში არიან.** „ოცნება“ „ნაცების“ გარეშე პარლამენტში არაფერს წარმოადგენს, რიგგარეშე არჩევნები არც ერთს უნდა, რადგან ვერც ერთი მოხვდება იქ. ამიტომ მათ ერთი ინტერესი აქვთ – როგორმე თავი გადაირჩინონ. ნახეთ, ვინ მიიწვიეს ინაუგურაციაზე? — მხოლოდ „ნაცები“.

ახლა ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება და ცვლილებისთვის საჭიროა სამი მეოთხედი ხმებისა, ანუ, თუ არ იქნება „ნაცმოძრაობის“ თანხმობა რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებთან დაკავშირებით, ვერც ერთი ვერ განხორციელდება, ამიტომაც ესენი არიან გარიგებულნი და ეს პროცესი არ დასრულდება. საზოგადოება შეცდომაში შეჰყავთ. ბუნებრივია, გარეგნულია დაპირისპირება სასამართლოსთან დაკავშირებითაც.

**— 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ პრესაში რამდენიმეჯერ გაკრთა ინფორმაცია, რომ სააკაშვილი ევაჭრებოდა ახალ ხელისუფლებას, არ დამიჭიროთ და სამსახურიდან არ მოხსნათ არც ერთი ჩემი ერთგული კაციო. დასავლეთის დირექტივების გარდა, ესეც ხომ არ ადასტურებს იმ აზრს, რომ კოაბიტაცია სინამდვილეში გარიგება იყო?**

— ბუნებრივია, ეს აშკარად ჩანს. უცხოეთის ქვეყნებმა სააკაშვილს უთხრეს შემდეგი – ამ ეტაპზე ასეა საჭირო, თქვენ ხელშეუხებლები იქნებით, ხალხის თვალში ნაცრის შეყრის მიზნით მოხდება გარკვეული პირების დროებითი დაკავება, რამდენიმე თვე ისხდებიან ციხეში, შემდეგ სასამართლო, როგორც დემოკრატიის განსახიერება, გამოიტანს გამამართლებელ განაჩენს და გამოუშვებენ ამ ხალხსო. სხვათა შორის, ივანიშვილი და ძმანი მისნი აპელირებენ კიდეც იმაზე, რომ აგერ სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, სასამართლო დამოუკიდებელი ორგანოა და ჩვენ ვერ ჩავერევითო. არ არის ძველი დრო და „ნაცებივით“ ზემოქმედებას ვერ მოვახდენთ სასამართლოზეო, ანუ ამ გარიგებაში სასამართლოს მექანიზმიც კარგად არის გამოყენებული. და გავიხსენოთ, როგორ ეახლა ივანიშვილი კუბლაშვილს, როგორც რეფორმატორს. მოკლედ, პირდაპირ გეტყვით: **ივანიშვილი ყოველთვის ამ გუნდს ეხმარებოდა... გაიხსენეთ, 26 მაისზე, 7 ნოემბერზე და ა. შ. არც ერთი საპროტესტო განცხადება არ დაუფიქსირებია. დიახ, 2011 წლამდე არანაირი პროტესტი არ განუცხადებია. აი, როგორც ახლა სურს, კულისებიდან მართოს ხელისუფლება** (ღარიბაშვილი ხომ არ იქნება რეალური მმართველი, ყველაფერი იქნება შეთანხმებული ივანიშვილთან), **ანალოგიურად იყო სააკაშვილის დროსაც, აფინანსებდა და მაშინაც კულისებიდან მოქმედებდა. უბრალოდ, როცა დაინახა, რომ არაპროგნოზირებად მიშას ვეღარ მართავდა, მაშინ მოვიდა პოლიტიკაში. დიახ, კულისებიდან მართავდა „ნაცმოძრაობას“ და ახლა აპირებს, „ქართული ოცნება“ მართოს მაფიოზურად კულისებიდან.**

**— ხელისუფლება ამბობდა, რომ დასავლეთიდან იყო პირდაპირი მითითება, არ დაეჭირათ „ნაციონალი“ მაღალჩინოსნები, შეიძლება თუ არა და რამდენად კანონიერია, დასავლეთი ასე რომ ერევა საქართველოს შინაურ საქმეებში?**

— თუ თავმოყვარე ერი და დამოუკიდებელი სახელმწიფო ხარ, არავის აქვს უფლება, დაგაძალოს რამე, თუნდაც კოაბიტაცია. **ივანიშვილი უხეშად რევს ამერიკას ჩვენს შინაურ საქმეებში. ფაქტობრივად, აშშ-ის ელჩი მართავს დღეს ქვეყანას. რაღაც რომ ხდება, ამერიკის ელჩი რასაც იტყვის, ეს არის უზენაესი კანონი და მერე უმღერიან სხვა პარტიები და ადამიანები ოსანას. არც ერთ საელჩოს არ აქვს უფლება, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ძვრებთან დაკავშირებით ან ცვლილებებთან დაკავშირებით მძაფრი კომენტარები აკეთოს.** დიახ, ივანიშვილი აქტიურად იყენებდა ნორლანდს არჩევნების წინ. კი მაგრამ, ვინ არის ეს ამერიკის ელჩი ასეთი უკრიტიკო ფასეულობა?! შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც პირდაპირ ეუბნება ივანიშვილს, — „ნაცები“ უნდა იყვნენ ხელშეუხებლებიო.

**— შეიძლება თუ არა, ჩაიწეროს კანონში, რომ ყოფილი „ნაცები“ ხელშეუხებლები არიან?**

— დიახ, ძალიან უნდოდათ, რომ პოლიტიკური ამნისტია გამოეცხადებინათ, მაგრამ ეს, საბედნიეროდ, არ გამოუვიდათ ივანიშვილის ხელში. ვფიქრობ, არც ღარიბაშვილის დროს გამოუვათ. ღარიბაშვილი არაეფექტური პრემიერი იქნება, არ მინდა, სკეპტიკოსი ვიყო, მაგრამ ეს მისი ქმედებებიდან ჩანს. ჯერ პრემიერი არ არის და პირდაპირ წარდგინებას აკეთებს შს მინისტრისა და მთავარი პროკურორის. რა გარანტია აქვს, რომ პარლამენტი დაამტკიცებს? ნომინალური ორგანოა? გარანტიაა, ივანიშვილმა თქვა, ეს ასე იქნებაო. რატომ გადაიდგა ასეთი ნაჩქარევი ნაბიჯი მისი მხრიდან? აქედან გამომდინარე, უკვე ჩანს, როგორი მმართველობის სტილი ექნება ღარიბაშვილს — ისეთივე, როგორიც ჰქონდა სააკაშვილს.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

„არავინ და არაფერი დგას ქვეყნის ინტერესებზე მაღლა. თუ ის დასავლეთი ისეთ რამეს გვთხოვს, რაც ამ ინტერესებს ეწინააღმდეგება, კუდის ქიცინი კი არ უნდა დავიწყოთ, სათქმელი პირდაპირ უნდა ვთქვათ. ვერც კოაბიტაციაში შევალ დამნაშავეებთან ვიღაცის ხათრით და ვერც უსამართლობაზე გავჩუმდები. ჩვენ იმისთვის არ ვიბრძოდით ცხრა წელი, რომ გარე ძალების გული მოგვეგო...“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გურამ ფირცხალავა:

# ასეთი რიტორიკით ხელისუფლება მალე დაკარგავს საზოგადოების პატივისცემას და განიძარცვება პოლიტიკურად

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მსახიობი გურამ ფირცხალავა.**

**— ბატონო გურამ, ხელისუფლების შეცვლიდან ერთი წლის თავზე მოსახლეობაში უკმაყოფილება დღითიდღე იზრდება. საზოგადოების მთავარი მოთხოვნა, რომ სამართლიანობა აღდგენილიყო და დამნაშავეები დაესაჯათ, „ოცნების“ სხვა დაპირებების მსგავსად, შეუსრულებელი დარჩა. თქვენ როგორ უყურებთ ამ ყველაფერს და რამდენად კმაყოფილი ხართ მმართველი გუნდის მოქმედებით?**

— მე მგონი, დღეს რაღაც შეფარული და მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკის დრო არაა, სათქმელი პირდაპირ უნდა ითქვას, — ამ კოაბიტაციამ შემაძულა ამერიკაც და ევროპაც, რომელზეც ვლოცულობდი ახალგაზრდობაში; მაშინ ყველას გვეგონა, რომ იქ იყო ჭეშმარიტი დემოკრატიის სავანე, რომ ხალხი სამოთხეში ცხოვრობდა და პრობლემები არავის ჰქონდა. ის კი არა, ხმებიც იყო გავრცელებული, — ტყუილი რა არის, არ იციან ამერიკელებმაო; სულ იქით ვიყურებოდით, იმედი გვქონდა, რომ ოდესმე ჩვენამდეც მოვიდოდა ეს „ბედნიერება“. სამწუხაროდ, ჩვენი მოლოდინი აბსოლუტურად მცდარი აღმოჩნდა. **რა დემოკრატია ან რის თავისუფლება?! თურმე წლების მანძილზე მითებში ვცხოვრობდით. რაც ახლა გვესმის, საერთოდ წარმოუდგენელია — არც სამართალი გჭირდებათო, არც — კანონი, მთავარი წინა ხელისუფლების მთავარ ოპოზიციურ ძალად შენარჩუნება და მასთან თანაცხოვრება ყოფილა.**

**— გინდათ, თქვათ, რომ ამერიკასთან პარტნიორულმა ურთიერთობამ საქართველოზე უარყოფითად იმოქმედა?**

— საერთოდ, ზედმეტი და გადაჭარბებული არაფერი ვარგა, მათ შორის — არც პარტნიორობა. თუმცა **დღევანდელ ქართულ-ამერიკულ ურთიერთობას ნამდვილად ვერ დაარქმევ მეგობრულს. ეს არის წმინდა ვასალური დამოკიდებულება ერთი ქვეყნისა მეორისადმი, რასაც, ხშირ შემთხვევაში, ჩვენი ეროვნული ინტერესები ეწირება.** რაც შეეხება კოაბიტაციას, 1 და 27 ოქტომბრის არჩევნებში ქართველმა ხალხმა დააფიქსირა საკუთარი ნება. ამან ცხადყო, რომ საზოგადოებისთვის ვიღაც მისაღებია, ვიღაც — მიუღებელი. ახლა, თუკი ჩვენს არჩევანს პატივს სცემენ, უნდა მიიღონ ის რეალობა, რომელიც ოქტომბრის შემდეგ შეიქმნა, თუ არა და, გამოდის, რომ მათთვის საქართველო კი არაა მნიშვნელოვანი, როგორც სახელმწიფო, არამედ ამ ქვეყანაში არსებული ერთი პოლიტიკური პარტია და მისი ლიდერები. ამგვარი მიდგომით, პირდაპირ ვამბობ, დასავლეთი აქ ფეხს ვერ მოიკიდებს...

**— ფეხი მან უკვე მოიკიდა. დღეს ფაქტობრივად პროდასავლურობაა ყველაფერის განმსაზღვრელი.**

— სწორედ ამან დაღუპა ქვეყანა. მე არ ვამბობ, რომ დასავლეთისკენ არ უნდა გავიხედოთ, მაგრამ არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად იძახო, მარტო ესაა კარგი და სხვა ყველაფერი ცუდი, ანტისახელმწიფოებრივიაო. ასეთი მიდგომა სააკაშვილის რეჟიმმა დაამკვიდრა და ახალმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ეს მავნე კლიშეები, სტერეოტიპები დაამსხვრიოს.

**— ეს შეიძლება, საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაში ჩაგვითვალონ.**

— ვინც რაშიც უნდა, იმაში ჩაგვითვალოს, ჩვენ ერთი რამ უნდა გავიგოთ, — **არავინ და არაფერი დგას ქვეყნის ინტერესებზე მაღლა. თუ ის დასავლეთი ისეთ რამეს გვთხოვს, რაც ამ ინტერესებს ეწინააღმდეგება, კუდის ქიცინი კი არ უნდა დავიწყოთ, სათქმელი პირდაპირ უნდა ვთქვათ. ვერც კოაბიტაციაში შევალ დამნაშავეებთან ვიღაცის ხათრით და ვერც უსამართლობაზე გავჩუმდები. ჩვენ იმისთვის არ ვიბრძოდით ცხრა წელი, რომ გარე ძალების გული მოგვეგო...**

**— 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი საზოგადოებაში დღემდე კამათს იწვევს, თუმცა ყველა თანხმდება იმაზე, რომ ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა ხელისუფლებისადმი მოსახლეობის იმედგაცრუებამ გამოიწვია. თქვენი აზრით, ერთი წლის განმავლობაში ხალხის უკმაყოფილებამ იმხელა მასშტაბებს მიაღწია, რომ ეს არჩევნებზე ასახულიყო?**

— ერთი წელი არ არის მცირე დრო პოლიტიკური პროცესებისთვის. მითუმეტეს, როცა მოლოდინი, ახალი ხელისუფლების მიმართ ესოდენ დიდია. უკმაყოფილება, რასაკვირველია, არსებობს და ვფიქრობ, ეს სავსებით ბუნებრივია. ან საიდან იქნება ხალხი კმაყოფილი, როდესაც, ერთის მხრივ, ამდენი დაზარალებულია, ამდენი უფლებაშელახული ადამიანი და მეორეს მხრივ დასჯილი, ფაქტობრივად, არავინაა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით სამართლიანობის აღდგენის კუთხით არ არის პრინციპული ნაბიჯები გადადგმული, რომელიც დაგვანახებდა პერსპექტივას. ზუსტად ამიტომ ჩაიქნია საზოგადოების დიდმა ნაწილმა ხელი არჩევნებზე, მაგრამ იმედი მაქვს, ხელისუფლება ამაზე დაფიქრდება.

**— ახლოვდება ვილნიუსის სამიტი. საუბარია იმაზე, რომ საქართველოს, პარაფირებისთვის, შესაძლოა, გარკვეული პირობები წაუყენონ. ამასთან დაკავშირებით საპრეზიდენტო არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე შვედეთისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმაც გააკეთეს მინიშნება: უკრაინის შეცდომა არ უნდა გაიმეოროთო. თქვენი აზრით, თუკი მათი მოთხოვნა იქნება „ნაცმოძრაობის“ ლიდერების მიმართ სამართლებრივი დევნის შეწყვეტა, რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ხელისუფლებამ?**

— არც ასეთი ნატო მინდა, არც ევროპა და არც მასთან ასოცირება. თუ მათთვის მთავარია სააკაშვილი, ჰყავდეთ, ჩვენ ერთი ადამიანის კეთილდღეობას ვერ გადავაყოლებთ ქვეყანას.

**— მარგველაშვილი არჩევნებამდე ხაზგასმით ამბობდა, რომ კოაბიტაცია 27 ოქტომბერს დასრულებოდა. თქვენ როგორ ფიქრობთ, დასრულდა უკვე?**

— პირველ რიგში, ყველამ უნდა მივულოცოთ ერთმანეთს, რომ სააკაშვილის ცხრაწლიანი ბოგინი დასრულდა. ეს მართლაც დიდი მიღწევაა, მაგრამ პირადად ჩემთვის კოაბიტაცია ამით არ მთავრდება. ყველამ ვიცით, რა იყო ხალხის მთავარი მოთხოვნა ამ წლების მანძილზე და ახლა პრეზიდენტს არ უნდა დაავიწყდეს ხალხისთვის მიცემული სიტყვა... მხოლოდ ასე შეინარჩუნებს ის ნდობას, თუ არა და დაკარგავს ყველაფერს და აბსოლუტურად განიძარცვება პოლიტიკურად. მერე ეს განძარცვული პოლიტიკოსები როგორ ამთავრებენ, კარგად ვიცით...



> **«დღევანდელ ქართულ-ამერიკულ ურთიერთობას ნამდვილად ვერ დაარქმევ მეგობრულს. ეს არის წმინდა ვასალური დამოკიდებულება ერთი ქვეყნისა მეორისადმი, რასაც, ხშირ შემთხვევაში, ჩვენი ეროვნული ინტერესები ეწირება»**

**— სააკაშვილის მაგალითი თუ გაქვთ მხედველობაში, ის არსად მიდის. მართალია, განაცხადა, ცოტა ხნით აქტიურ პოლიტიკას შევეშვებიო, მაგრამ სამაგიეროდ პარლამენტში ჰყავს 40-პროცენტიანი უმცირესობა.**

— არამარტო პარლამენტში ჰყავს უმცირესობა, მის კანდიდატს საპრეზიდენტო არჩევნებშიც სერიოზული მხარდაჭერა ჰქონდა. მე არ ვიცი, ამის მიზეზი რა იყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს არის ჩვენი სირცხვილი. **„ნაცმოძრაობა“ რომ მეორე ადგილზე გავა და თან ასეთი მაღალი პროცენტით, ამას სხვა არაფერი ჰქვია, თუ არა თავზე ლაფის დასხმა.**

**— კოალიციაში გარკვეული პოლიტიკური სუბიექტები მისი, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციის, სამართლებრივ დონეზე აკრძალვის მოთხოვნით გამოვიდნენ. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ეს ყველაფერი?**

— არათუ რეალური, ეს აუცილებელია. ჩვენ თუ სამართლებრივი სახელმწიფო გვინდა, მაინც მოგვიწევს ამაზე ფიქრი. **არ შეიძლება დამნაშავეები, კრიმინალები ქვეყნის მართვაში მონაწილეობდნენ.** ასე, უბრალოდ, პერსპექტივა ვერ გვექნება; დღეს კი ისეთი განცდა მაქვს, რომ რეჟიმი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მოცილებული. ხელისუფლებას სერიოზულად აქვს ამაზე საფიქრალი...

**— სააკაშვილი ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე არ მივიდა, არც საპარლამენტო უმცირესობა დაესწრო ღონისძიებას. რას ნიშნავდა ეს და საერთოდ, რამდენად ადეკვატურად მიგაჩნიათ მათი მხრიდან მსგავსი საქციელი?**

— ვფიქრობ, თვითონ ხელისუფლება არ მოიქცა ბოლომდე სწორად, რომ ამხელა პატივი დასდო დამნაშავეთა პარტიას და მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსით მიიწვია. ჩემი აზრით, იქ სააკაშვილის ადგილი არ იყო და მისი მისვლა სრულიად საქართველოსთვის იქნებოდა შეურაცხყოფა.

**— საერთოდ გაუგებარია, რა კრიტერიუმებით შეარჩიეს ინაუგურაციაზე დამსწრე სტუმრები. ამან არასაპარლამენტო ოპოზიციის უკმაყოფილებაც გამოიწვია.**

— კრიტერიუმებზე ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ „ნაცმოძრაობა“ რომ იქ არ უნდა ყოფილიყო მიწვეული, როგორც მთავარი ოპოზიცია, ამაში, ალბათ, ყველა დამეთანხმება. საერთოდ, მე თუ მკითხავთ, **ამ ღონისძიებას, უპირველესად, უნდა დასწრებოდნენ ის ადამიანები, რომლებმაც უშუალოდ საკუთარ თავზე გამოსცადეს ცხრაწლიანი რეჟიმის სიმძიმე, მაგალითად, ქუჩაში დახოცილი ბიჭების მშობლები, მათი ნათესავები და ოჯახის წევრები. ზუსტად მათთვის ბოდიშის მოხდით უნდა დაეწყო ახალ პრეზიდენტს ფიცის შემდეგ სიტყვის წარმოთქმა.**

**— წინასაარჩევნო პერიოდში ბიძინა ივანიშვილმა და არჩილ კბილაშვილმა რამდენიმეჯერ ახსენეს სააკაშვილის მიმართ სამართლებრივი დევნის შესაძლო დაწყება. როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია ეს?**

— ყველა უბედურება, რომელიც კი ამ ცხრა წლის მანძილზე ხდებოდა, სააკაშვილის მოფიქრებული იყო. ამიტომ, თუ ვინმეს პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სააკაშვილის. ახლა გააკეთებს ხელისუფლება ამას თუ არ ან ვერ გააკეთებს საერთოდ, სხვა საკითხია, მაგრამ დანაშაული აშკარად სახეზეა. **ამ კაცს თვითონვე აქვს აღიარებული სატელევიზიო გამოსვლებში, რომ კანონი დაარღვია და, სხვა თუ არაფერი, ამის ნათელ მაგალითად აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტაზე გაკეთებული განცხადებაც კმარა.**

**— ფიქრობთ, რომ ეს მტკიცებულებად გამოდგება?**

— სავსებით რეალურია, თუმცა არ ვამბობ, რომ მხოლოდ ამის საფუძველზე შეიძლება მისი გასამართლება. აქ საკითხი ბევრად უფრო რთულად დგას, ამიტომ მთლიანად საზოგადოებამ უნდა მოითხოვოს დამნაშავეების დასჯა. ხალხმა არ უნდა აპატიოს არავის კანონის დარღვევა, ვინც უნდა იდგეს ამ შემთხვევაში დამრღვევის უკან...

**— ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე რას ფიქრობთ? რამდენად გაქვთ იმედი, რომ ის ჩატარდება?**

— ჩემი აზრით, ხალხი კონსტიტუციურ ვადამდე ვერ მოითმენს „ნაცმოძრაობის“ ბოგინს პარლამენტში და იქნება ვადამდელი არჩევნები.

**— გასაგებია, მაგრამ მარგველაშვილი ჯერ კიდევ 27 ოქტომბრამდე ამბობდა, ჩემი გამარჯვების შემთხვევაში ვადამდელი არჩევნები არ იქნებაო.**

— ასეთი რიტორიკით ბატონი მარგველაშვილი დაკარგავს ხალხის პატივისცემას და ძალიან მალე საზოგადოებას მისდამი გაუჩნდება ისეთივე დამოკიდებულება, როგორიც ჰქონდა წინა ხელისუფლების მიმართ. პრეზიდენტი იქნება ეს თუ რომელიმე სხვა თანამდებობის პირი, ყველა უნდა დაემორჩილოს მოსახლეობის ნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიწყება რღვევა და მათ გაუჭირდებათ ძალაუფლების შენარჩუნება.

**— საპროტესტო გამოსვლების შესაძლებლობას რამდენად უშვებთ?**

— ახლო პერსპექტივაში ეს, ალბათ, ნაკლებადაა შესაძლებელი, მაგრამ ვიმეორებ: ხალხი მოლოდინის რეჟიმშია. ჯერ კიდევ სჯერათ ადამიანებს, რომ მომავალში რაღაც ცვლილებები იქნება, თორემ მერწმუნეთ, საზოგადოება აღარ გაჩუმდება. ყოველ შემთხვევაში, **მე არ ვურჩევ ხელისუფლებას მოსახლეობის ნებისყოფის გამოცდას. ამას არც მათთვის მოჰყვება სიკეთე და მით უფრო — ქვეყნისთვის.** უბრალოდ, აქ რაღაც სხვა საკითხებზე არ უნდა მოხდეს ყურადღების გადატანა, რის მცდელობაც იკვეთება, და მთავარი პრობლემა უნდა გადაიჭრას — რეჟიმი უნდა გასამართლდეს. დანარჩენზე მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ეკონომიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„2013 წლისთვის რეალურად საუბარია 12 მილიარდზე, ახალ მთავრობას 2014 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებული აქვს, რომ 1 მლიარდ 400 მილიონ ლარზე მეტი ვალი კვლავ აიღონ სხვადასხვა დონორისგან, რადგან ბიუჯეტს არ გააჩნია და არც არასოდეს გააჩნდა იმის საშუალება, რომ შიდა სახსრებით ეარსება. ეს გამოიწვევს კვლავ საგარეო ვალის მატებას და 2014 წელს უკვე 13 მილიარდს გადააჭარბებს.“**

# რამაზ გერლიანი: საგარეო ვალი მილიარდ ოთხასი მილიონით გაიზრდება

**წინა ხელისუფლება ახალ ხელისუფლებას ვალების აღებასა და 2014 წლის ბიუჯეტში არსებულ გარღვევაში ადანაშაულებს. დიდი ხმაურით მიმდინარებდა ახალი ბიუჯეტის დამტკიცება, რაც თავად „ოცნების“ წევრებმაც კი გააპროტესტეს. ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ „ოცნებაც“ ზუსტად ისეთივე მეთოდებით აგრძელებს ხელმძღვანელობას, როგორც „ნაცებიო“ და, ალბათ, მართალიც არის, რადგან ახალი ბიუჯეტი აშკარად ამას ამტკიცებს. საგარეო ვალი, რომელიც ქვეყანას 2013 წელს აუცილებლად უნდა გადაეხადა, აღმოჩნდა, რომ 2021 წლამდე გადაუწევიათ. ამ ამბის შეტყობის შემდეგ, ივანიშვილის სიტყვები ამოტივტივდა — 2020 წელს ყველაფერი კარგად იქნებაო. ყველანაირი დათვლით, 2020 წელს „ოცნება“ უკვე ხელისუფლებიდან უნდა წავიდეს და 2021 წელს ამ ვალებს ვინც ჩაიბარებს, „თავში ქვაც უხლიათ“, ზუსტად ისე, როგორც ეს „ნაცებმა“ გააკეთეს. „საქართველო და მსოფლიო“ საგარეო და საშინაო ვალებზე, მისი გადახდის ვადებზე და ბიუჯეტში არსებულ გარღვევაზე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, ექსპერტ რამაზ გერლიანს ესაუბრა.**





**«ოცნებაც» მცდარი მეთოდებით ხელმძღვანელობს. ალბათ, ყველა მოქალაქეს გამოუცდია თავის თავზე, როდესაც ბანკის ვალს მეორე, უფრო დიდი ვალის აღებით იხდი, რა სავალალო შედეგი მოჰყვება**

**— რამაზ, რამდენია საქართველოს საგარეო ვალი?**

— მთლიანობაში საქართველოს ვალი 12 მილიარდამდეა. 2014 წელს ეს ვალი 13 მილიარდი გახდება. აქედან ოფიციალურად სახელმწიფოს საგარეო ვალია 4,2 მილიარდი, თუმცა, გარდა ამ თანხისა, სახელმწიფოს ლარებში აქვს 1 მილიარდ 600 მილიონი შიდა ვალი. რას ნიშნავს შიდა ვალი? ეს არის ქვეყნის შიგნით აღებული ვალდებილება, რაც გამოიხატება ფასიან ქაღალდებში.

**— გარკვეული ანალიზი გავაკეთოთ და ციფრები დავასახელოთ.**

— მართალია, ანალიზი მოგვცემს საშუალებას, გავარკვიოთ, 2014 წელს რა გვექნება გადასახდელი, მაგრამ საუბარი ცოტა შორიდან, 2008 წლიდან დავიწყოთ, რადგან ვალების ყველაზე მნიშვნელოვანი რაოდენობა მაშინ ავიღეთ. **2013 წლისთვის რეალურად საუბარია 12 მილიარდზე, ახალ მთავრობას 2014 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებული აქვს, რომ 1 მილიარდ 400 მილიონ ლარზე მეტი ვალი კვლავ აიღონ სხვადასხვა დონორისგან, რადგან ბიუჯეტს არ გააჩნია და არც არასოდეს გააჩნდა იმის საშუალება, რომ შიდა სახსრებით ეარსება. ეს გამოიწვევს კვლავ საგარეო ვალის მატებას და 2014 წელს უკვე 13 მილიარდს გადააჭარბებს.**

**— რატომ ამბობენ, რომ ეს ვალი სახელმწიფოსი არაა და კომპანიების ვალია?**

— დღევანდელი მდგომარეობით, უშუალოდ სახელმწიფოს საგარეო ვალია 4,2 მილიარდი. ამას გარდა, სხვადასხვა სექტორსა და კომპანიასაც აქვთ სახელმწიფოს გარანტიებით ვალები და ყველაფერი ერთად აღებული სახელმწიფოს საგარეო ვალად ეთვლება, მაგრამ წინა მთავრობის წარმომადგენლები ამ ვალებს ყოფენ და ამიტომ ამბობენ, რომ ეს სახელმწიფოს ვალი არ არისო. **საგარეო ვალების მთავარი პრობლემა საქართველოს 2008 წლიდან დაეწყო. მთავრობამ აიღო ვალი 500 მილიონი დოლარი, თავისი პროცენტით, საქმე ისაა, რომ მაშინ საქართველოს ბიუჯეტს არ ჰქონდა პრობლემა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელიც ცუდი არ იყო. მაშინდელ მთავრობას ეს 500 მილიონი პირადი პოლიტიკური მიზნებისთვის სჭირდებოდა.**

**— გინდათ, თქვათ, რომ სახელმწიფომ ამხელა თანხა არჩევნებში გასამარჯვებლად აიღო?**

— დიახ, 500 მილიონი არჩევნებისთვის აიღეს და დახარჯეს. ეს თანხა სახელმწიფოს უნდა დაებრუნებინა 2013 წელს. ამ ვალის სარგებელი შეადგენდა 7,5 პროცენტს, რაც მძიმე ვითარებაში ჩააგდებდა ქვეყანას, მაშინ **„ნაცებმა“ მიიღეს ქვეყნისთვის უმძიმესი გადაწყვეტილება და 2011 წელს კვლავ აიღეს სესხი 500 მილიონის ოდენობით და გადაფარეს წინა დავალიანებიდან დარჩენილი თანხა, რომელიც იმ დროისთვის 417 მილიონი იყო. ასე და ამგვარად, ძველ ვალს 83 მილიონი კვლავ დაემატა. მაშინ ყველა ექსპერტი ამ ვალის აღებას ამართლებდა იმ მიზეზით, რომ ეს ახალი ვალი 2021 წელს უნდა დაიფაროს.**

სახელმწიფო თავს იმით იმართლებდა, რომ მეორე ვალი 6,9 პროცენტში აიღეს, ხოლო წინა ვალის პროცენტი 7,5 იყო, მაგრამ არც მაშინ და არც მერე არავის უხსენებია, რამდენი გადაიხადა ქვეყანამ წინმსწრებად გადახდილ თანხაში, ვიცით, რომ ასეთ დროს საკომისიო აუცილებლად უნდა გადაიხადო. ყველანაირი დაანგარიშებით, საკომისიო 40 მილიონი დოლარი იყო. ვითარებას ასე თუ შევხედავთ, ვერავინ დაამტკიცებს, რომ ბოლოს აღებული ვალის 6,9 პროცენტი წინა ვალის 7,5 პროცენტს ჯობდა. ამან გამოიწვია ის, რომ მთელი ამ წლების მანძილზე, 2008-დან მოყოლებილი, ვალის ზრდის ტენდენცია მიმდინარეობდა. **2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ბრიუსელში, დონორთა ერთ-ერთ კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველოს მიეღო 4 მილირდნახევრიანი დახმარება, აქედან 2,2 მილიარდი სუფთა ვალი იყო.**

ექსპერტები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ საქართველო მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ სხვა ქვეყნებთან შედარებით ძალიან დაბალ პოზიციაზეა, ე. ი. შიდა პროდუქციაზე ვალი ნაკლები გვაქვს, მომავალი წლიდან ეს მაჩვენებელი 30 პროცენტი იქნება, ჩვენისთანა ქვეყანას, რომელსაც ასეთი უარყოფითი ბალანსი აქვს, აქვს მცირე ექსპორტი, მარტო შიდა პროდუქტთან დაკავშირებით საგარეო ვალი არ უნდა განვსაზღვროთ. მთელ მსოფლიოში მიღებული ნორმა შიდა პროდუქტის 50 პროცენტია და სწორედ ამას იყენებენ არგუმენტად, რომ ვალის გაზრდა ჯერ კიდევ შეგვიძლია და კატასტროფამდე არ ვართ, მაგრამ პრობლემა მაინც არის ის, რომ ექსპორტთან დაკავშირებით დანახარჯი ძალიან დიდი გვაქვს. ნორმა არის 8 პროცენტი, ხოლო საქართველოს 3-4-ჯერ მეტი აქვს, თითქმის 29 პროცენტი, რაც დეფოლტის მიზეზი შეიძლება აღმოჩნდეს. დეფოლტი არის შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო გაკოტრებას აღიარებს და ვალების ჩამოწერას ითხოვს. ამ ეტაპზე საქართველოს ჯერჯერობით ეს არ ემუქრება, მაგრამ შორსაც არ არის ასეთი ვითარებისგან.

თუ ჩავუღრმავდებით, ქვეყანას მხოლოდ ვალის პრობლემა არ აქვს. როდესაც იმპორტი სამჯერ აღემატება ექსპორტს, ანუ რეალურად მეტი თანხა გადის, ვიდრე შემოდის, ძირითადი პრობლემაც აქედან მომდინარეობს.

**— რამდენად საშიშია ქვეყნისთვის 12 მილიარდი დოლარის ოდენობის ვალის ქონა?**

— **ქვეყნისთვის 12 მილიარდი დოლარი საშიში არანაირად არ იქნებოდა, თუ გვექნებოდა მაღალი ეკონომიკური ზრდა, რომელიც დღეს ნამდვილად არ შეინიშნება. არის კიდევ ერთი მომენტი, ბიზნესსა და საბანკო სექტორზე არსებული ვალდებულებები არაეფექტური იყო და შედეგს ვეღარ იძლევა, რაც თავის დროზე მათთვის განკუთვნილი თანხის დაკარგვას ნიშნავს. სამომავლოდ ასეთი ვითარება ძალიან დიდ პრობლემებამდე მიგვიყვანს.** დღეს სახელმწიფოს პოლიტიკა ზუსტად ასეთი არამიზნობრივი ხარჯვის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული.

ტენდენციას რომ გადავხედოთ, წლის განმავლობაში, იანვრიდან ოქტომბრამდე საგარეო ვალმა გარკვეულწილად დაიკლო, მაგრამ შემდეგი წლის დასაწყისიდან, მაშინ, როდესაც ახალ ვალს ავიღებთ და ახალი ვალდებულებები დაგვეკისრება, ჩვენი საგარეო ვალი 1 მილიარდ 400 მილიონით გაიზრდება.

**— რატომ უნდა ავიღოთ ახალი ვალი, აუცილებელია?**

— 2014 წლის ბიუჯეტი უკვე გაწერილია, რადგან ბიუჯეტი ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს, ამიტომ ამ ვალით უნდა დაფინანსდეს. დღეს საქართველოს ბიუჯეტი საგარეო ვალებსაც ემსახურება და შიდა ხარჯებსაც.

**— ე. ი. ბიუჯეტს გარღვევა აქვს და ეს ტყუილი არ არის?**

— ბიუჯეტს გარღვევა, რა თქმა უნდა, აქვს და წლის ბოლოს ეს თანხა იქნება მინიმუმ 600 მილიონი ლარი, რაც დიდი დანაკარგია. ინფლაცია დეფლაციაში როცა გადადის, რა ვითარებაც ჩვენ გვაქვს, ეკონომიკური ზრდა იკლებს.

**— რამდენად მძიმედ აისახება ბიუჯეტის ასეთი გარღვევა მოსახლეობაზე?**

— ნაკლებად დაგვეტყობა, რადგან აქამდე ისედაც ვალებით ვფინანსდებოდით და კვლავ იგივე გაგრძელდება. ახლა მთავარია, შემოსული თანხები ეფექტურად დაიხარჯოს, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, თუ ასე არ მოიქცევიან, წინა ხელისუფლების მიერ ჩადებულ ნაღმზე, შესაძლებელია, ახალი მთავრობა აფეთქდეს.

**— რა ნაღმზე საუბრობთ?**

— **წინა ხელისუფლების დამსახურებაა ის, რომ დღეს ბიუჯეტს არ ჰყოფნის ძალა, წინა ვალდებულებებს უპასუხოს. ამას ემატება დეფიციტი, რომელიც გარდაუვალია და ბიუჯეტი დგას აუცილებლობის წინაშე — ახალი საგარეო ვალი აიღოს.**

**— სასწრაფოდ რა და რამდენი ვალი გვაქვს გადასახდელი?**

— სასწრაფოა ყველა ვალი და ჩვენ ამას 2012 წლიდან ეტაპობრივად ვიხდით ბიუჯეტიდან. **2014 წლისთვის საგარეო ვალების მომსახურებაზე წელიწადში 693 მილიონი ლარია საჭირო.**

**— ასეთი დანაკლისი პენსიებზე აისახება?**

— ბიუჯეტში არსებული დანაკლისი შეიძლება აისახოს ყველაფერზე, ეს არის ხარჯი, რომელსაც უკუგება არ აქვს. შესაძლებელია, ცოტა ხანი სოციალურ სფეროზე გავლენა არ მოახდინოს, რადგან 9-მილიარდიანი ბიუჯეტი ჯერ კიდევ იძლევა საშუ- ▶

**«რეგიონებში კომპანიებს, რომლებსაც ინფრასტრუქტურა უნდა მოეწესრიგებინათ, შავ ვალდებულებებს აკისრებდნენ, «ნაცმოძრაობის» პარტიულ მუშაკებს აფინანსებინებდნენ»**

**„კერძო სექტორი კვლავ ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. დიახ, არის თავისუფლების მომენტი, არავინ ძარცვავს და არავინ ართმევს ქონებას, მაგრამ ეს სექტორი, რომელიც წლების განმავლობაში ნადგურდებოდა, ახლა ხელისუფლებისგან ხელშემწყობ პირობებს მოითხოვს.“**

ეკონომიკა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ალებას, ასეთ სფეროებს მოემსახუროს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია, რომ ისედაც მწირი ბიუჯეტიდან 1 მილიარდ 400 მილიონს სხვას უხდი.

**— ვისი ვალი გვაქვს ყველაზე მეტი?**

— პირველ ადგილზე დგას მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, მსოფლიო ბანკის რეკონსრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი. აი, ესენი არიან ძირითადი მოვალეები. არიან ასევე ევროპისა რეკონსტუქციისა და გავითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი. ხოლო **ქვეყნებიდან ყველაზე დიდი ვალი, 3,58 მილიარდი დოლარი, გერმანიის გვაქვს.** ეს არის ოქტომბრამდე მონაცემები.

იმისთვის, რომ უახლოეს წლებში პრობლემები არ შეიქმნას, მთავრობა ახალი ვალის აღებას ამართლებს.

**„ნაციონალებს“ თავის დროზე ჰქონდათ საკითხისადმი ასეთი მიდგომა, რომ ინფრასტრუქტურაზე გაწერილი თანხა სხვა რამეზე არ უნდა დახარჯულიყო, მაგრამ რეალურად რეგიონებში კომპანიებს, რომლებსაც ინფრასტრუქტურა უნდა მოეწესრიგებინათ, შავ ვალდებულებებს აკისრებდნენ, „ნაცმოძრაობის“ პარტიულ მუშაკებს აფინანსებინებდნენ.**

დიდი იმედი ვიქონიოთ, რომ დღევანდელი მთავრობა იმავეს არ გააკეთებს, მაგრამ მონიტორინგი მაინც აუცილებელია, რადგან საშიშროება არსებობს. მთავრობამ უნდა დაგვისაბუთოს ყოველი კაპიკის ხარჯვის აუცილებლობა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელ მთავრობას ამაზე პასუხი არ გააჩნია. როგორც ეკონომისტს, მე არ მაქვს პასუხი იმაზე, რატომ უნდა ავილოთ ვალი: იმიტომ, რომ წინა ხელისუფლებას ეს ვალი ჰქონდა? ამ ვალის დასაფარად სხვა ეკონომიკური აქტივობის დაგეგმვა შეიძლებოდა.

**— ანუ გინდათ თქვათ, რომ იმავე მცდარი მეთოდებით ხელმძღვანელობენ?**

— რა თქმა უნდა, **„ოცნებაც“ მცდარი მეთოდებით ხელმძღვანელობს. ალბათ, ყველა მოქალაქეს გამოუცდია თავის თავზე, როდესაც ბანკის ვალს მეორე, უფრო დიდი ვალის აღებით იხდი, რა სავალალო შედეგი მოჰყვება.**

მე, როგორც მოქალაქეს, მაწუხებს ის, რომ საგარეო ვალი იზრდება, მაგრამ, როგორც ეკონომისტს, ძალიან მაშფოთებს ის ციფრები, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. მაწუხებს, ასევე, სახსრები, რომლებიც სოციალური მიმართულებით უნდა წავიდეს და უკუგება არ ექნება. ასევე პრობლემაა ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ქვეყანაშია და რომლის გადახედვასა და გადახალისებას არ აპირებენ, არადა, ნამდვილად არ გვაწყენდა.

ესაუბრა **ეკა ნასყიდაშვილი**

---

**დემურ გიორხელიძე:**

# «ნაციონალების» დროს საბაჟო ბანდიტური ორგანიზაცია იყო

**რას გვიქადის უზარმაზარი საგარეო ვალის მომსახურება, როგორ შეიძლება განვითარდეს საქართველოს ეკონომიკა, რა მეთოდებით უნდა გაიზარდოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მნიშვნელოვან ნიშნულამდე და რამდენი პროცენტით გაიზრდება საქართველოში უმუშევართა რაოდენობა? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძე.**



**— წელს ბიუჯეტს თითქმის 600 მილიონ ლარამდე შემოსავალი დააკლდა. ბიუჯეტის შემოსავლებში დაგეგმილი იყო ეკონომიკის 6%-იანი ზრდა, ხოლო მივიღეთ მაქსიმუმ 2,5%-იანი ზრდა. თქვენი აზრით, რა იყო არასწორი დაგეგმვის მიზეზი — საკითხისადმი ხელისუფლების არაეფექტური მიდგომები თუ გამოუცდელობა?**

— ჩვენ შეფასებები უნდა გავაკეთოთ არა კრიტიკის თვალსაზრისით, არამედ უნდა გავიაზროთ, თუ როგორ რეალობასთან გვაქვს საქმე. წლის დასაწყისში ვწერდი, რომ მთავრობას უნდა ჰყოფნოდა გამბედაობა და წასულიყო ეკონომიკური ზრდის ტემპების ვარდნაზე იმიტომ, რომ ეკონომიკა გადასაწყობი იყო. გადაწყობა კი ყოველთვის გამოიწვევს ვარდნას. სუბიექტურ მხარეზე თუ ვისაუბრებთ, მთავრობა არ მოქმედებდა ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში და გააზრებული არ ჰქონდა სისტემური კრიზისი. ეს კი ძალიან მკაცრ ტრაექტორიას, თანმიმდევრულ და ზუსტ ქმედებებს მოითხოვდა. **ინიციატივები, რომლებიც ცალკეული სამინისტროებიდან მოდიოდა, შენელებული იყო, რადგან მაინც ივანიშვილის ფაქტორი დომინირებდა მთავრობაში და მის გარეშე არავინ არაფერს აკეთებდა. მთავრობას კრიზისიდან გამოსვლის ერთიანი ხედვა არ ჰქონდა. მინისტრები მოქმედებდნენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ ცალკეული სამინისტროების დონეზე. ამით კი სინერგიის ანუ ურთიერთგავლენის ეფექტის მოხდენა, არ გახდა შესაძლებელი.**

2013 წლის თებერვალში დავწერე, რომ ამავე წელს ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის, ანუ ეკონომიკის ზრდა 2,5-3%-ზე მეტი. მაშინ მითხრეს, გაბრაზებული, ნაწყენი ხარ და ამიტომ ამბობ ამასო. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის ყველა წევრთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს, მათ ერთხელაც არ მკითხეს, რატომ ვფიქრობდი ასე. ინტერვიუებში, პირად საუბრებში ძალიან მკაცრ შეფასებებს ვაკეთებდი და მთავრობას ყოველთვის ვაფრთხილებდი, რომ „წითელი ნათურები“ უკვე ანთებული იყო. წინა მთავრობის ყველაზე დიდი პრობლემა მოსმენის პრობლემა იყო და ეს გახდა შედეგი იმისა, რომ დროულად არ იქნა უსაფრთხოების მექანიზმები ჩართული.

მთავრობის მეთაურები კმაყოფილნი არიან იმით, რასაც აკეთებენ. ყველანაირი პოზიცია, გამაგრებული უნდა იყოს შედეგით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ პოზიციას სასწრაფო კორექტირება სჭირდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის საქართველოს ეკონომიკა, რომელიც სულს ლაფავს. ეკონომიკა, რომლის მოცულობა არის ტრაგიკულად მცირე. საქართველოს შიდა პროდუქტი 13 მილიარდს არ აღემატება და მას, ჩვეულებრივი მეთოდებით, ნორმალურ სიდიდემდე ვერ მიიყვან. **ქვეყანას, პრობლემების გადასაჭრელად, ზრდის ახალი ფაქტორები სჭირდება. ეს ფაქტორები კი გაჩნდება მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში, თუ ეკონომიკა თანდათან ინოვაციურ რელსებზე გადავა. ჩვენი მთავარი ამოცანაა, არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსები ბრუნვაში მოვიდეს და ეკონომიკის განვითარებაში ჩაერთოს. პარალელურად კი ჩავყაროთ საფუძვლები იმისა, რომ 8-10 წელიწადში ჩვენი ეკონომიკა ნელ-ნელა ინოვაციურ რელსებზე გადავიდეს.**

როდესაც მთავრობა ასეთი მასშტაბური სტრატეგიის ფარგლებში არ მოქმედებს და მათი გადაწყვეტილებები ყოველდღიურობის ფარგლებს არ სცილდება, მაშინ მთავარი სტრატეგიები და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იფარება. არ მჯერა არანაირი სამთავრობო გადაწყვეტილების, რომელიც გრძელვადიანი ან საშუალოვადიანი სტრატეგიის ფარგლებში არ ჯდება. გააზრებულობა იმისა, რომ ხარ სისტემური კრიზისის პირობებში, სრულიად განსხვავებულ აზროვნებას, სხვანაირ მართვას და გადაწყვეტილებების უფრო ღრმად მიღებას მოითხოვს. **საქართველო რომ იყოს დალაგებული და ორბიტაზე გასული ქვეყანა, მაშინ ხელისუფლების წარმომადგენლებს შეცდომების დაშვებაც ეპატიებოდათ. რეალობა კი სხვაგვარია, ქვეყანა არ ვითარდება და კრიზისიდან გამოსვლა აუცილებელია.** ეს კი მხოლოდ ხისტი, კარგად მოფიქრებული და გაანალიზებული ნაბიჯებით შეიძლება. სხვა შემთხვევაში ჩვენ 2014 წელიც ისეთივე გვექნება, როგორიც 2013 წელი.

**— საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, მომავალი წლისთვის უმუშევრობა კიდევ უფრო მოიმატებს და დსთ-ს სივრცეში, სომხეთის შემდეგ, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გვექნება. თქვენ ეთანხმებით ამ პროგნოზს?**

— ასიათასობით ადამიანს უნდა მუშაობა და ვერ იწყებს. მათთვის ფინანსები ხელმიუწვდომელია. აუცილებელია სამართლებრივი ცვლილებები, ერთიანი თამაშის წესების ჩამოყალიბება, ანტიმონოპოლიური კანონი, საბაჟოზე სამართლებრივი დამოკიდებულება და ა. შ. **„ნაციონალების“ დროს, საბაჟო ბანდიტური ორგანიზაცია იყო ყველას მიმართ, ვინც ხელისუფლების წრეში არ შედიოდა. დიახ, დღეს არავინ ძარცვავს ბიზნესმენს, არავინ უკავებს საბაჟოზე ტვირთს, მაგრამ ის წესები, რომლებიც ძველი ხელისუფლების დროიდან შემორჩა, შესაცვლელია. კერძო სექტორი კვლავ ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. დიახ, არის თავისუფლების მომენტი, არავინ ძარცვავს და არავინ ართმევს ქონებას, მაგრამ ეს სექტორი, რომელიც წლების განმავლობაში ნადგურდებოდა, ახლა ხელისუფლებისგან ხელშემწყობ პირობებს მოითხოვს.** მათი უნარი და ნიჭი ნელ-ნელა უნდა განვითარდეს. ვიდრე საგადასახადო პოლიტიკა კერძო სექტორის განვითარებისკენ არ იქნება მიმართული, მანამ ძნელი იქნება ეკონომიკის განვითარებაზე საუბარი. მთავარია იმის გააზრება, რომ ჩვენ გვინდა არა უბრალოდ კერძო სექტორი, არამედ კონკურენტუნარიანი და საერთაშორისო დონეზე მოქმედი. ამას კი ძალიან გონიერი სახელისუფლო გადაწყვეტილებები და თავისუფლებები სჭირდება კანონის ფარგლებში.

**— პირველ რიგში, რა პრობლემები უნდა აღმოიფხვრას ეკონომიკის მაქსიმალურად მოკლე დროში განვითარებისთვის?**

— ისეთ პირობებში მყოფი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ყველაზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდა და სამუშაო ადგილები. სხვა ყველა მაჩვენებელი მეორეხარისხოვანი და რეგულირებადია. **მთავრობისთვის ყველაზე მთავარი უნდა იყოს, შეძლოს ადამიანების დასაქმება. თვითონ ხელისუფლება ვერ შექმნის სამთავრობო სტრუქტურებს, სადაც ეს ხალხი დასაქმდება. ხელისუფლება ვერ აიძულებს დიდ ბიზნესს, გაზარდოს სამუშაო ადგილები და ხალხი მიაღებინოს. ადამიანებმა თავად უნდა დაასაქმონ ერთმანეთი.** შემოსავლების დონე იქნება ისეთი, რომელსაც თითოეული ადამიანი თავის დამქირავებელთან შეათანხმებს. რად გვინდა საუბარი სავალუტო რეზერვების გაზრდაზე?! სავალუტო რეზერვები თუ გეზრდება, ეკონომიკა გენგრევა. კორელაცია შენი სავალუტო რეზერვების ზრდასა და ეკონომიკის ზრდას შორის არ არსებობს. გამოდის, რომ ის რესურსი, რომელიც ქვეყანაში გაქვს, მათ შორის ადამიანური რესურსიც, ვერ აგიმოძრავებია. ვამბობთ, რომ არის ნულოვანი ინფლაცია, და მაქვს დეფლაციაც კი, ანუ ფასების კლება. თუ ამ ყველაფერს პროფესიულ დონეზე შევხედავთ, ეს არაა მთავარი მაჩვენებელი. მთავარი მაჩვენებელი ეკონომიკური ზრდა და სამუშაო ადგილებია.

როგორ უნდა დავაბათ ინფლაცია, რომ სწრაფმა ეკონომიკურმა ზრდამ ინფლაცია არ გამოიწვიოს? — ეს პროფესიული საქმეა და ამის გაკეთება საკმაოდ იოლად შეიძლება კომპეტენტური ადამიანებისთვის. ჩვენს სიტუაციაში გაგებული არ არის ყველაზე მთავარი — **ეს ქვეყანა შეიძლება განვითარდეს საკუთარი მოქალაქეების შრომის ხარჯზე. ვერავითარი უცხო ინვესტიცია, დახმარება თუ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ვერ გაათავისუფლებს საქართველოს ხელისუფლებას გონიერი საშინაო და საგარეო პოლიტიკისგან.** ყვარყვარესეული აქცენტირება იმაზე, რომ რაღაცას ხელს მოვაწერთ და ამით იბერია გაბრწყინდება, არის დილეტანტური ბჟუტური და მეტი არაფერი. მთავარია, შეგეძლოს ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც შენი ხალხის ნიჭისა და უნარის განვითარებას შეუწყობს ხელს. **ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებამ ხალხის ნიჭისა და უნარის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი და ამას არა ევროკავშირი, არამედ გონიერი ხელისუფლება გააკეთებს.** არაფერი აკეთო, ნაცრის ქექვისას კმაყოფილი იყო, კონტრაგენტიც ნაპოვნი გყავდეს და შესანიშნავ დუეტში ყვარყვარიზმს ავითარებდე, არის გზა განუვითარებლობისკენ.

> **«ინიციატივები, რომლებიც ცალკეული სამინისტროებიდან მოდიოდა, შენელებული იყო, რადგან მაინც ივანიშვილის ფაქტორი დომინირებდა მთავრობაში და მის გარეშე არავინ არაფერს აკეთებდა»**

**— რამდენია ქვეყნის საგარეო ვალი, ფარავს თუ არა მას დღევანდელი ხელისუფლება და რის ფასად უჯდება მისი გადახდა ქვეყნის ბიუჯეტს?**

— საგარეო ვალის საკითხი ჯერჯერობით ტრაგიკული არაა, მაგრამ დამაფიქრებელია. ეკონომიკა რომ ვითარდებოდეს, საგარეო ვალზე ყურადღებას არ გავამახვილებდით. დღევანდელ ხელისუფლებას შევთავაზებდი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ვალების თანხა ბიუჯეტის ხარჯებს გამოეყოფოდა. სხვა ხარჯები და შემოსავლები კი ისე დაიგეგმებოდა, რომ ბიუჯეტის პროფიციტი გვქონოდა, ანუ შემოსავლები უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე მიმდინარე ხარჯები. მაშინ ეს თანხები, რომლებიც ნამეტით შემოვიდოდა ბიუჯეტში, კრიზისში მყოფ ქვეყანასა და ხელისუფლებას მისცემდა შესაძლებლობას, მანევრები გაეკეთებინა. ეს თანხები კი, საბოლოო ჯამში, უკან დაბრუნდებოდა და ამით სტიმულს მისცემდა ეკონომიკას. მოკლედ, საბიუჯეტო პოლიტიკაც შესაცვლელი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, არ შეიცვალა. სწორედ ამიტომ, ნაკლებმოსალოდნელია, რომ გაისად წლევანდელზე უკეთესი შედეგი მივიღოთ.

ესაუბრა **შორენა ღვაჩლიანი**

## რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ ვართ საზოგადოების ის ნაწილი, რომლის დასაბუთებული პოზიციაც სინოდალურმა კომისიამ შეისწავლა და ჩათვალა, რომ უნდა მოგვცენ ალტერნატიული საბუთი და შესაბამისად, სახელმწიფომ ალტერნატიული საბუთებით უნდა დაგვაკმაყოფილოს. ვადასტურებთ და ვეთანხმებით სინოდის განჩინებას, რომ ID ბარათი არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი, მაგრამ ეს ბარათი არის ანესთეზია, როდესაც ადამიანი ნელ-ნელა კარგავს რაციონალური აზროვნების უნარს და მთლიანად ელექტრონულ სისტემაზე დამოკიდებული ხდება."**



## მამა ბასილი (ახვლედიანი): ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება თვითმკვლელობის ტოლფასია

**რა საფრთხე დაინახა და რატომ დაუპირისპირდა საპატრიარქო „იდენტობის" ინიციატივას, აქვს თუ არა სიკეთის კეთების უფლება ყველას და ასევე, უნდა ისჯებოდეს თუ არა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ქვეყანაში — ამ და სხვა მიმდინარე საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრა აკაურთას სიონის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი მამა ბასილი (ახვლედიანი).**

**— რატომ დაუპირისპირდა საპატრიარქო ორგანიზაცია „იდენტობის" ინიციატივას, გაეხსნა თავშესაფარი უსახლკაროებისთვის, ამ შემთხვევაში რა საფრთხე დაინახა ეკლესიამ?**

— ამ საკითხთან დაკავშირებით საპატრიარქოს განცხადებაში ცალსახად იკითხება, რომ „იდენტობის" მიერ წამოყენებული ნებისმიერი ინიციატივა შეიძლება შეფასდეს როგორც ანტიდემოკრატიული, ანტისახელმწიფოებრივი და ანტიქრისტიანული ქმედება. აქედან გამომდინარე, როგორც არ უნდა შეიფუთოს ამ ორგანიზაციის ნებისმიერი ინიციტივა თუ ნოვაცია, სავარაუდოდ, თავშივე მიუღებელი იქნება და დაიბლოკება. ეს ადამიანები თავიანთი რეალური მიზნების შესახებ, ბუნებრივია, ოფიციალურად არ განაცხადებენ, მაგრამ **საზოგადოება, რომელიც სოდომ-გომორს უჭერს მხარს, უკვე საფუძველშივე უპირისპირდება სახელმწიფოს ტრადიციულ, რელიგიურ თუ კულტურულ ფასეულობებს და ის სასიკეთოს ვერასდროს შემოგვთავაზებს.**

**— მაგრამ, მამაო, სიკეთის კეთების უფლება ხომ ყველას აქვს?**

— ქრისტეს აღიარება და მასში ღვთის შეცნობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განკაცდა, იყო სიკეთის ერთ-ერთი უმაღლესი გამოვლინება, მაგრამ განმმარტებლები გვაუწყებენ, რომ უფალს ბოროტისგან უმაღლესი სიკეთის გამოვლინებაც არ აინტერესებდა, ვინაიდან, ბოროტში აუცილებლად ფარული მზაკვრობაა ჩამალული. ბუნებრივია, კანონით ამ ადამიანებს აქვთ ამის უფლება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ქრისტიანობა და არსებული კანონმდებლობა წინააღმდეგობაში მოდის. მაგალითად, კანონით თავისუფალია ადამიანი სოდომური ცოდვის გამოვლინებაში, მაგრამ სჯულის კანონით ეს სასტიკი ბოროტებაა. ქართველმა ბოლოსდაბოლოს უნდა გაიგოს, რომ კანონზე მაღლა საღვთო სჯულთან შეზავებული ის ტრადიცია და კულტურა დგას, რომელმაც საქართველო დღემდე მოიყვანა.

**„იდენტობა" ამდენად რომ კადნიერდება და საპატრიარქოს უხდება მისთვის პასუხის გაცემა, ხალხი კი, ფაქტობრივად, თვლემს, სწორედ ამიტომ არ არის გამორიცხული, მომავალში ამ ორგანიზაციამ კიდევ უფრო მეტი სიურპრიზი შემოგვთავაზოს. ადამიანები უნდა გამოფხიზლდნენ და გაიხსენონ, ვისი გორისანი არიან.**

**— 17 მაისი არ იყო გამოფხიზლება? მაშინ ხომ 40 ათასი კაცი გამოვიდა ჰომოსექსუალთა წინააღმდეგ...**

— სხვათა შორის, 17 მაისს, საზოგადოების გარკვეული ნაწილი და არა მცირე ნაწილი, სოდომ-გომორის წინააღმდეგ და ტრადიციებისა და ფასეულობების დასაცავად არ გამოსულა. ეს იყო ქართული მენტალობის გავლენის შედეგი. როდესაც, მაგალითად, უბანში ერთმა თქვა, რომ ჰომოსექსუალთა წინააღმდეგ უნდა გასულიყვნენ, მეორემ და მესამემ უარი ვერ თქვეს, რათა მასზე სხვანაირად არ ეფიქრათ. ფაქტობრივად, რამდენი ათასი კაცი ამ პრინციპმა შეკრიბა. ვინაიდან, **რეალურად მართლაც ქართული ტრადიციების დასაცავად რომ გამოსულიყო იქ ხალხი, როცა ორი მღვდელი დაიჭირეს, ამ ფაქტის გასაპროტესტებლად ას კაცზე მეტი არ მივიდა.** ასევე არ მინდა დავიჯერო და ვერც დავიჯერებ, რომ საპატრიარქომ ორი სასულიერო პირის დასჯაზე თანხმობა გასცა. მჯერა და მწამს, რომ საპატრიარქო კულუარებში ამაზე განგაშს ატეხდა. **წარმოუდგენელია, მაგრამ მღვდელი დასაჯეს მხოლოდ იმიტომ, რომ სოდომ-გომორის ცოდვას წინ აღუდგა. წინა ხელისუფლებასაც კი, რომელიც აშკარად შიზოფრენიის ზღვარზე იყო მისული თავისი განდიდების მანიითა და მოქმედებით, ეს არ გაუკეთებია.**

**— მამაო, ჩვენს წინა ინტერვიუში გლობალიზაციის საფრთხეზე ისაუბრეთ, როგორი უნდა იყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკა, რომ გარკვეული საფრთხეებისგან დაცულები ვიყოთ და ამ შემთხვევაში ნატო და ევროკავშირი არის თუ არა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია?**

— ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება უსაფრთხოების გარანტიად მხოლოდ უმეცარი საზოგადოებისთვის აღიქმება. ადამიანი თუ კარგად გაერკვევა ნატოს მუშაობის პრინციპში და ევროკავშირის ისტორიას, მის მოქმედებას გაეცნობა, თავად დარწმუნდება, რომ არავითარი უსაფრთხოების გარანტია ეს არ არის. **ნატო და ევროკავშირი ჩვენისთანა ქვეყნებს მეათეხარისხოვან ქვეყნებად განიხილავენ, მათთვის ჩვენ საცდელი ლაბორატორია ვართ და ეს ჩვენს ყოფილ პრეზიდენტსაც არაერთხელ უთქვამს. პირიქით, ეს არის ლომის ხახაში თავის შეყოფა და თვითგანადგურების პროცესი. ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება შეიძლება აღვიქვათ, როგორც თვითმკვლელობის ტოლფასი.**

**— მაშინ სად ხედავთ გამოსავალს?**

— საქართველო დიდ სახელმწიფოებს შორის ლავირებას ყოველთვის ახერხებდა და ასე უნდა გააგრძელოს. როდესაც ერთ რომელიმე დიდ ქვეყანას მიეკედლები, უკვე ჩნდება საფრთხე, დაკარგო საკუთარი იდენტობა. ყველასთან უნდა ეცადო საერთო ენის გამონახვას. რუსეთზე იტყვი რამეს და ეგრევე პრორუსულობას დაგაბრალებენ, ამერიკაზე იტყვი და პროამერიკელობას დაგწამებენ. ეს „პრო" უნდა მოვაშოროთ და ყველასთან უნდა შევეცადოთ ურთიერთობის მოგვარებას. როგორც ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, ხორბალი შემოვიტანოთ, მაგრამ ღვარძლს ნუ შემოვაყოლებთ.

**— მთავრობის მიერ პარლამენტში ინიცირებული საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის გარკვეულ სასჯელს ითვალისწინებს, უფლებადამცველებმა არაკონსტიტუციურად ჩათვალეს. რამდენად მართებულია, რელიგიური გრძნობების შეურცხყოფისთვის ადამიანს სასჯელი დაეკისროს?**

— ეს არის ანტიმართლმადიდებლური ქმედება და ამ კანონის მიღება მართლმადიდებლურ მრწამსს უპირისპირდება. ხედავდე ცოდვას და არ ამხილო, მონაწილე ხარ ცოდვის, მაგრამ, მეორე მხრივ, „ღმერთნი წარმართთანი ეშმაკ არიან." ჩვენ ვიცით, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოება მართლმადიდებლობაა და ჩვენი მთავარი მიზანი არის ადამიანის გადარჩენა. შესაბამისად, მე ყოველთვის შევეცდები, მოვუწოდო ადამიანებს მართალი სარწმუნოებისკენ და დავანახო მათი სარწმუნოების ცდომილება და ვამხილო ისინი, რასაც აკეთებდნენ წმინდა მამები, მოციქულები და, როგორც კი ვიწყებ ადამიანის სულების გადარჩენაზე ზრუნვას, ამ კანონით ეს უკვე მათი შეურაცხყოფა გამოდის და დანაშაულად მეთვლება.

**ეს ანტიმართლმადიდებლური ინიციატივაა, სხვა რელიგიური დენომინაციების დასაცავად მიმართული, რომელიც, ერთის მხრივ, მათ პოზიციებს კიდევ უფრო გაამყარებს და ხელს შეუწყობს მართლმადიდებლური სარწმუნოების დისკრედიტაციას. ეს არის გარკვეულწილად ლოგიკური გაგრძელება კანონპროექტისა, როდესაც ყველა რელიგიურ გაერთიანებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიანიჭეს და გაათანაბრეს.**

**— ბერ-მონაზონი ლუკა კოკორაშვილი მეუფე კალისტრატეს უშიშროებასთან თანამშრომლობაში ადანაშაულებს. რა ინფორმაცია გაქვთ თქვენ? მართლაც თანამშრომლობდნენ თუ არა სასულიერო პირები ხელისუფლებასთან?**

— მე, ბუნებრივია, ამ კონკრეტული საკითხის განხილვას ვერ დავიწყებ, ამაზე ეკლესია, იერარქები მუშაობენ, რომლებმაც ნებისმიერ მსგავს ფაქტს უნდა მიხედონ. სადაც 12 მოციქულში ერთი იუდა იყო, არ არის გამორიცხული ეკლესიაშიც იყვნენ ასეთები, მაგრამ მე ვერავის დავადანაშაულებ და, რომც მქონდეს ასეთი ფაქტები, საჯარო განხილვის თემად არ ვაქცევდი. ასეთი ქმედებისგან ჟურნალისტებმაც თავი უნდა შეიკავონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღვთისგან მკაცრად დაისჯებიან. **სასულიერო პირების საქციელის საჯაროდ განხილვა რომ დავიწყოთ, ბევრი ადამიანი დაბრკოლდება, აღარ წავა ეკლესიაში და მათი სულებიც დაიღუპება.**

**— მაგრამ, მამაო, თუნდაც იმსახურებდეს სასულიერო პირი, მაინც ცოდვაა მხილება?**

— რაოდენ არ უნდა იმსახურებდეს, მღვდლის განკითხვა არ შეიძლება. ეს ყველაფერი ეკლესიის წიაღშივე უნდა მოგვარდეს. ამას გარდა, მღვდლის მხილების სპეციალური წესი არსებობს. როდესაც ხედავ, რომ ცდომილებაშია მღვდელი, უნდა მიხვიდე და პირადად უთხრა, თუ არ მოგისმენს, მეორედ რამდენიმე კაცთან ერთად უნდა მიხვიდე. თუ კიდევ არ შეისმენს, ეპარქიის ეპისკოპოსთან უნდა მიხვიდე, სადაც ეს მღვდელი მსახურობს. **ძალიან გახშირდა სასულიერო პირების განკითხვა სოციალურ ქსელებში. „აფეთქებულია" „ფეისბუქი" მღვდლების განკითხვით, რაც ძალიან დიდი ცოდვაა.**

სხვათა შორის, ჩვენს წინა ინტერვიუსაც ბევრი კომენტარი მოჰყვა. ერთი რამ უნდა ვიცოდეთ: **ვირტუალური მხილება არ არსებობს. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ინკოგნიტოდ ცდილობს სხვის მხილებას, განიკითხავს, ამისთვის ღმერთი მას მკაცრად დასჯის.** თუ განსხვავებული მოსაზრება აქვს ვინმეს, მზად ვარ, შევხვდე და ავუხსნა, რატომ ვფიქრობ ასე და არა სხვაგვარად, თუნდაც იმავე ID ბარათებთან დაკავშირებით და დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანები თუ არ დამეთანხმებიან, მინიმუმ, ადამიანის გალანძღვასა და დაცინვას მიატოვებენ.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

---

მოკლედ

## ახალი პრემიერი ცოცხებისა და დუბინკების შესახებ

**თქვენ გეშინოდათ თქვენი ლიდერის, რადგან ციხე იყო საშინელი და ადამიანებს ცოცხებით და „დუბინკებით" აუპატიურებდნენ, — ასე მიმართა პრემიერმინისტრობის კანდიდატრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საპარლამენტო უმცირესობას პარლამენტში მიმდინარე შეხვედრაზე.**

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მთავარი მიღწევა არის ის, რომ ქვეყანაში თავისუფლება დაბრუნდა, ადამიანებმა თავი იგრძნეს თავისუფლად.

პრემიერობის კანდიდატის განცხადებით, თუნდაც ის, რომ ნებისმიერ მოქალაქეს აქვს საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებობა, ეს არის დიდი მონაპოვარი.

„ეს არის რეალური დემოკრატია, რომელზეც თქვენ ყოველთვის საუბრობდით, მაგრამ არასოდეს აგიშენებიათ რეალური დემოკრატია. თქვენი დემოკრატია იყო ფასადური, სიცრუესა და სიყალბეზე დაფუძნებული. გინდათ გითხრათ, რატომ არ იყო ასეთი?! ყველას გეშინოდათ, თქვენ გეშინოდათ სწორედ თქვენი ლიდერის, გეშინოდათ შენიშვნების მიცემის, რატომ, იცით?! იმიტომ, რომ ციხე იყო საშინელი, ადამიანებს აუპატიურებდნენ ცოცხებით, „დუბინკებით" და ა. შ. ეს არის რეალობა და ეს უნდა ალიაროთ", — მიმართა „ნაციონალებს" ღარიბაშვილმა.



„2010-12 წლებში შემუშავდა სექსუალური განათლების ევროპული სტანდარტები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია, 6-დან 9 წლამდე ასაკის ბავშვებს რა უნარ-ჩვევები უნდა გამოუმუშაონ. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება საპროგრამო დოკუმენტი ახალი ხელისუფლებისთვის და ისინი ზედმიწევნით შეასრულებენ ყველა მითითებას. ძალიან არ მინდა, ჩემი მოლოდინი გამართლდეს, მაგრამ ვფიქრობ, მალე ჩვენ გავხდებით ფსევდოლიბერალურ ძალთა მხრიდან ახალი შეტევის მომსწრენი და ამისთვის სერიოზულად უნდა მოვემზადოთ."

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ავთანდილ უნგიაძე:

# მიმდინარეობს მუსლიმანური ექსპანსია საქართველოში...

**17 ნოემბერს სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი ოფიციალურად დასრულდა. ცხრაწლიანი ტერორი, შიში და რეპრესიები საბოლოოდ წარსულს ჩაბარდა, მაგრამ საზოგადოების სიხარული, როგორც ჩანს, დიდხანს ვერ გაგრძელდება. „ნაცების" მიერ რესპუბლიკელების სახით დატოვებული პოლიტიკური შთამომავლობა წინამორბედის გზას არ ღალატობს. მეტიც, მენტალური რევოლუცია მძვინვარებს და შეტევა ეროვნულ ფასეულობებზე ადრინდელივით გრძელდება. რას მოუტანს ეს მიდგომა ერის თვითმყოფადობას, ამთავითვე ნათელია, თუმცა ხალხი ჯერჯერობით ახალ რეალობას სრულად ვერ აღიქვამს. მოსახლეობაში სიმშვიდეა, ფსევდოლიბერალურ ძალებს გზა ხსნილი აქვთ; პარლამენტში კი უკვე ინიცირებულია რამდენიმე სახიფათო კანონპროექტი და, თუკი რესპუბლიკური პარტია მოინდომებს, ეჭვგარეშეა, რომ დაამტკიცებენ კიდეც...**
**საით მიჰყავს ხელისუფლების პოლიტიკას ეროვნული იდეოლოგია და რა საფრთხეებს უქმნის იგი ქართულ იდენტობას, ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის" ხელმძღვანელი ავთანდილ უნგიაძე.**



«თავის დროზე, როცა ივანიშვილმა რესპუბლიკელები დაიყენა გვერდით, ვამბობდით, რომ დასავლეთი აძლევდა მას ამ მითითებას. სამწუხაროდ, ჩვენი შეფასება გამართლდა...»

**— ბატონო ავთანდილ, რამდენიმე დღის წინ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ლევან ბერძენიშვილმა ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში შეკითხვაზე — ხართ თუ არა მორწმუნე? — ასე უპასუხა: „მე და ქრისტე სხვადასხვა ლიგაში ვთამაშობთო". ამით მან, ფაქტობრივად, ხაზი გაუსვა თავის დამოკიდებულებას რელიგიისა და სულიერებისადმი. როგორ ფიქრობთ, ამ ხელისუფლების პირობებში რეალურად რაიმე შეიცვალა ეროვნული ფასეულობების დაცვის კუთხით?**

— პირველ რიგში, ბერძენიშვილს მინდა, ვუპასუხო და უფლის სიტყვა გავახსენო: ვინც ჩემთან არ არის, ჩემი მტერია. გასაგებია, ვინ და რა ძალები დგას მათ უკან, მაგრამ ჩვენ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: რწმენას, ღვთის სიყვარულს წინ არაფერი უდგას და ნებისმიერი მცდელობა, მის წინააღმდეგ გალაშქრების, იმთავითვე განწირულია დამარცხებისთვის. რაც შეეხება შეტევას ეკლესიაზე, ნამდვილად ყველა ვხედავთ, რომ ამ კუთხით არაფერი შეცვლილა, თუმცა ჩვენ ეს არ გაგვკვირვებია. **თავის დროზე, როცა ივანიშვილმა რესპუბლიკელები დაიყენა გვერდით, ვამბობდით, რომ დასავლეთი აძლევდა მას ამ მითითებას. სამწუხაროდ, ჩვენი შეფასება გამართლდა...**

**— დავაკონკრეტოთ, რა მითითებას აძლევდა ივანიშვილს დასავლეთი?**

— მოგეხსენებათ, იმ ფსევდოლიბერალური ძალებისთვის, რომლებიც დღესდღეობით გაბატონებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და განსაკუთრებით დასავლეთში, ქართული მენტალიტეტი მიუღებელია. ამიტომ აქ უნდა მომხდარიყო ერთგვარი პოლიტიკური ჩანაცვლება იმავე იდეოლოგიის ახალი ძალით, რომელიც დაასრულებდა წინამორბედის დაწყებულ საქმეს. ამას რესპუბლიკელებზე უკეთ ვერავინ გააკეთებდა, ივანიშვილი კი, უბრალოდ, გამოიყენეს ამ ყველაფრის შესაფუთად, რადგან სამპროცენტიანი პარტია დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა არჩევნებში გამარჯვებას.

**— ვთქვათ პირდაპირ: რა მიზანი აქვთ ამ ე. წ. ლიბერალურ ძალებს საქართველოში?**

**— მათი საბოლოო ამოცანა იყო და არის მართლმადიდებლობის დისკრედიტება. დასავლეთი აღშფოთებულია იმით, რომ ეკლესიას აქვს დიდი ავტორიტეტი, ამიტომ ყველაფერს აკეთებენ მის შესამცირებლად.** ხშირად გაიგონებთ ხოლმე ფრაზებს: ეს არაჰუმანურია, არადემოკრატიულია და ა. შ. ჩვენ ვამბობთ, რომ დემოკრატიისთვის კი არა, ეს დემონოკრატიისთვისაა მიუღებელი.

**— 17 ნოემბერს, პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს, გაკეთდა განცხადება, რომ უახლოეს მომავალში დაიწყება რეფორმების ახალი ტალღა. როგორ გესმით თქვენ ეს ყველაფერი? რა რეფორმებს უნდა ველოდოთ?**

— რეფორმები კი არ დაიწყება, ის უკვე მიმდინარეობს. აგერ ახლა სექსუალური განათლების შემოღებაზე დაიწყეს საუბარი სკოლებში. მარტივად რომ ვთქვათ, **ის, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ 9 წლის მანძილზე ვერ მოასწრო, ამათ უნდა დაასრულონ. ამის ნიშნები უკვე არის.**

**— რა შეიძლება დაუპირისპიროს საქართველომ ამ გლობალიზაციის პროცესს?**

— სახელმწიფოს დონეზე დაპირისპირებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, იმიტომ, რომ, როგორც გითხარით, ხელისუფლება თავიდან ბოლომდე მათი ინტერესების გამტარებელია. გარდა ამისა, დიდი ხანია, საქართველო მიერთებულია მთელ რიგ ისეთ კონვენციებს, რომლებიც პირდაპირ გვავალდებულებს მათი სტანდარტების დანერგვას ქვეყანაში.

მაგალითად, 2010-12 წლებში შემუშავდა სექსუალური განათლების ევროპული სტანდარტები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია, 6-დან 9 წლამდე ასაკის ბავშვებს რა უნარ-ჩვევები უნდა გამოუმუშაონ. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება საპროგრამო დოკუმენტი ახალი ხელისუფლებისთვის და ისინი ზედმიწევნით შეასრულებენ ყველა მითითებას. ძალიან არ მინდა, ჩემი მოლოდინი გამართლდეს, მაგრამ ვფიქრობ, მალე ჩვენ გავხდებით ფსევდოლიბერალურ ძალთა მხრიდან ახალი შეტევის მომსწრენი და ამისთვის სერიოზულად უნდა მოვემზადოთ.

**— რას იტყვით „იდენტობის" ინიციატივაზე უსახლკაროთა თავშესაფრის გახსნასთან დაკავშირებით?**

— ეს ხომ საერთოდ ცინიზმია?! **ორგანიზაციამ, რომელიც ლგბტ პირების უფლებებს იცავს, როგორ შეიძლება, ბავშვი გაზარდოს.** სხვათა შორის ძალიან საინტერესო მოვლენაა ევროპაში იუვენალური იუსტიციის მოძლიერება. ჩვენ, ფაქტობრივად, დღეს ვხედავთ, რომ **დასავლეთში სწორედ ეს იუვენალური ფაშიზმი იკიდებს ფეხს და ხდება ტრადიციული ოჯახების შეზღუდვა, შევიწროება.**

**— კერძოდ რაში გამოიხატება ეს?**

— მათ არ უნდა ჰყავდეთ შვილები, ბავშვი არ უნდა იზრდებოდეს ტრადიციულ ოჯახში და არ უნდა ვითარდებოდეს იმ ფასეულობებით, რომლებიც ბუნებრივად გააჩნია ადამიანს. კონკრეტული ფაქტებიც შემიძლია მოგიყვანოთ. მაგალითად, **გერმანიაში, ოფიციალური მონაცემით, 2011 წელს 38 500 ბავშვი წაართვეს მშობლებს და მიაშვილეს ერთსქესიან ოჯახებს.**

**— წართმევის მიზეზი რა შეიძლება გახდეს?**

— ამასწინათ ჩვენ ვიხილეთ კადრები, როგორ დაიჭირეს გერმანიაში მეოთხე კლასელი მოსწავლის მამა იმის გამო, რომ ბავშვმა გააცდინა სექსუალური განათლების ორი გაკვეთილი. ასევე ჩვენთვის ცნობილია ფაქტი, როგორ წაართვეს ჰოლანდიაში ლიტვიდან გადასახლებულ ეროვნებით რუს ქალბატონს ორი შვილი — ტყუპები. მიზეზი კი იყო ადგილობრივი ენის არცოდნა, რაც თავისთავად აბსურდია. მერე ორივე ბავშვი გადაიყვანეს რომელიღაც აღმზრდელობით დაწესებულებაში და ახლა მათ ურთიერთშორის უკრძალავენ რუსულად საუბარს. ეს, პირდაპირ შეიძლება ითქვას, ფაშიზმის ელემენტები, ნელ-ნელა მთელ მსოფლიოში იკიდებს ფეხს.

**— მათ შორის — საქართველოშიც?**

— ჩვენდა საუბედუროდ, ნიშნები აქაცაა. მე შემიძლია გითხრათ, რა რეკომენდაცია არის ევროპის მხრიდან საქართველოსადმი. მაგალითად, 2012 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში წერია: **„იმის გათვალისწინებით, რომ მშობლის უფლებასთან და მეურვეობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესი, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გადაწყვეტილების მიღება მოხდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით. სახელმწიფომ არასრულწლოვან ლგბტ პირებს უნდა შესთავაზოს ეფექტური დაცვა ოჯახური ძალადობისგან, მათ შორის ფსიქოლოგიური ზეწოლისგან, რომელიც აიძულებს მათ, გაიარონ სამედიცინო მკურნალობა ორიენტაციის შესაცვლელად".** ხვდებით აქ რაზეა საუბარი?! აი, ასეთი რეკომენდაციებია ევროპიდან და ჩვენ ვიცით, რომ **რესპუბლიკური ხელისუფლების მოყვანის წინაპირობა იყო ზუსტად ამის განხორციელება. რას უნდა ველოდოთ მომავალში, საზოგადოებამ თვითონ განსაჯოს. ჩანაფიქრი, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, ჩვენთვის ძალიან დიდი საფრთხის შემცველია.**

**— დასაწყისში თქვენ თქვით, რომ ივანიშვილს დასავლეთისგან ჰქონდა ხელისუფლებაში რესპუბლიკელების მოყვანის პირობა წაყენებული. როგორ ფიქრობთ, პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილებაც ანალოგიური წინაპირობის შედეგი ხომ არ იყო?**

— ამაში ლოგიკა ნამდვილად არის. მე პოლიტიკოსი არ ვარ და ანალიზს ვერ გავაკეთებ, მაგრამ ვფიქრობ, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ფლობს დიდ ფინანსურ ბერკეტებს, არაა იზოლირებული; ანუ ის არის მსოფლიო პიროვნება და შესაბამისად მსოფლიო პოლიტიკის, ეკონომიკის კონტექსტში თამაშობს.

**— შეიძლება ითქვას, რომ ივანიშვილი იმთავითვე გამოჭერილი ჰყავდათ?**

— ეს სიტყვა რამდენად მიესადაგება მის მდგომარეობას, არ ვიცი, მაგრამ გარკვეულწილად იგი მძევალია თავისი მილიარდების. აქედან გამომდინარე, მას ყოველთვის მოუწევს რაღაც პირობების შესრულება და ვერასოდეს იქნება დამოუკიდებელი თავის გადაწყვეტილებებში.

**— საკუთარი საკონსტიტუციო ვადის ბოლო დღეები სააკაშვილმა მაქსიმალურად გამოიყენა იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი უცხოელისთვის მიენიჭებინა მოქალაქეობა. ძირითადად, საუბარია თურქეთის მოქალაქეებზე, რომელთა შემოდინებამ უკვე სტიქიური ხასიათი მიიღო. როგორ ფიქრობთ, რეალურად რამდენად საფრთხის შემცველია ეს ჩვენთვის?**

— მოდი, პირდაპირ ვთქვათ, **ეს არის მუსლიმანური რელიგიური ექსპანსია საქართველოში. ამას ხელს უწყობენ იგივე რესპუბლიკელები და ის ძალები, რომლებიც მათ უკან დგანან.** გავიხსენოთ თუნდაც ჭელაში მინარეთის ამბებთან დაკავშირებული ისტორია. ჩვენ ვიყავით იქ ჩასული, შევხვდით მოსახლეობას და მათგან გავიგეთ, რომ თურმე დავით ბერძენიშვილმა დარეკა ადიგენის საკრებულოში ამ მინარეთის რესტავრაციის თაობაზე. **არც მეტი, არც ნაკლები, ესაა თურქეთის პოლიტიკის განხორციელება და აქედან გამომდინარე, უკვე პერსპექტივაც სახეზეა...**

**— სააკაშვილმა განაცხადა, რომ მან მხოლოდ თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურად ქართულ მოსახლეობას მიანიჭა მოქალაქეობა.**

— ჩვენ ყველა ჩვენი თანამემამულე და მონათესავე ხალხი გვიყვარს, მაგრამ ვერც ერთი ის წარმომადგენელი, რომელიც აქ ემსახურება თურქული პოლიტიკის განხორციელებას, ცნობიერი და სულიერი თვალსაზრისით, ვერ ჩაითვლება საქართველოს მოქალაქედ.

**— დასასრულ, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზეც გკითხავთ: მარგველაშვილის გამარჯვებამ უკვე გარკვეულწილად გამორიცხა ამის შესაძლებლობა, თუმცა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში მაინცაა მოლოდინი. ხალხს მოქმედი პარლამენტი არ მიაჩნია ლეგიტიმურად. როგორ ფიქრობთ, დღევანდელ ვითარებაში რამდენად რეალურია რიგგარეშე არჩევნების ჩატარება?**

— რესპუბლიკელები ყველანაირად ეცდებიან, ეს არ მოხდეს, იმიტომ, რომ რეალურად დღეს მას და „ნაცმოძრაობას" არანაირი შანსი არ ექნება გამარჯვების. მეორეც, თვითონ „ოცნებაში" უკვე ისეთი სიტუაცია იქმნება, რომ რიგგარეშე არჩევნებში ისინი კოალიციის ფარგლებში ვეღარ გამოვლენ. ეს კიდევ უფრო ამცირებს მათ შანსებს. ასე რომ, ყველაფერს გააკეთებენ, რათა არ შესრულდეს ხალხის მოთხოვნა და არ დაიშალოს მოქმედი პარლამენტი.

**— თვითონ მარგველაშვილის ფიგურა რამდენად შეესაბამება საქართველოსა და ქართველ ხალხს, როგორ ფიქრობთ?**

— მარგველაშვილის შემთხვევაში ყველაფერი გასაგებია, — ისიც იმავე ფრთას წარმოადგენს, იმავე „თავისუფლების ინსტიტუტთანაა" დაკავშირებული და მათი წარმომადგენელია. ჩვენ არავის წარსულში არ ვიქექებით, მაგრამ ლიბერალიზმი, როგორც ასეთი, მისთვის არსებობს. ამაზე მეტყველებს თუნდაც მისი ადრინდელი გამონათქვამები, მისი კავშირები „ნაცმოძრაობის" მაღალჩინოსნებთან და ა. შ. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, ყველას გვიხარია, სააკაშვილის ცხრაწლიანი რეჟიმის დასასრული. ეს არის მართლაც დიდი შვება და ამოსუნთქვა ქვეყნისთვის. იმედი გვაქვს, საბოლოოდ ხალხი მაინც არ დაუშვებს ამ მიღწევის ჩაფარცხვას და ერთსულოვნებით, ერთმანეთის გვერდით დგომით შეძლებს ყველა განსაცდელის გადალახვას.

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რეპლიკა

**აგრესორ ლიბერასტებს დღევანდელ ხელისუფლებაშიც საკმაოდ ძლიერი ლობი ჰყავთ რესპუბლიკური პარტიის სახით. რესპუბლიკური პარტია მხოლოდ პარლამენტში არ „გრიმიტობს“. მის დაქვემდებარებაშია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და მარადგამჭვირვალე არასამთავრობო ორგანიზაციების მთელი კოჰორტა, რომლებიც ლიბერასტების პირველივე დაძახილზე საზოგადოების ცხვირწინ სხვადასხვა კომისიისა თუ მონიტორინგის დასკვნებს აფრიალებენ, სხვადასხვა ევროპარლამენტარის შეშფოთებებს ახმიანებენ და ნატოს კარის ჩაკეტვით იმუქრებიან.**

# აგრესიული ლიბერალიზმი და გაუკუღმართებული დემოკრატია

**როცა ამ წერილის დაწერა გადავწყვიტე, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გავრცელებული ერთი ფოტო გამახსენდა. ფოტოზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცები წიხლით ამტვრევენ მუსლიმანური სოფლის მცხოვრების, ალიზის სახლის კარს. ფოტოს ქვემოთ კი წარწერაა: Открывай, падла, демократия пришла!**
**ფაქტობრივად, ამ ფოტოთი ყველაფერია ნათქვამი. ყველაფერია ნათქვამი თანამედროვე „დემოკრატიის“ გავრცელების მექანიზმებზე, რომლებსაც დღევანდელი ლიბერალური დემოკრატიის იდეოლოგები სთავაზობენ მსოფლიოს. პრინციპში, ყველამ კარგად ვიცით, რომ სიტყვა „ლიბერალური“ არ შეესაბამება იმ იდეოლოგიას, რომელიც დღეს ვრცელდება, ამიტომ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევ და „ლიბერალურის“ ნაცვლად ჩემი კოლეგისა და მეგობრის, დავით მხეიძის, მიერ დარქმეულ სახელს „ლიბერასტულს“ გამოვიყენებ.**
**ამ წერილს კი ორ ნაწილად გავყოფ. პირველ ნაწილში, შევეცდები, ძალიან მოკლედ განვიხილო ის თეორიული საფუძვლები, ის ე. წ. ინსტრუქცია, რომლითაც სარგებლობენ „ჩვენი“ ლიბერასტები, ხოლო მეორე ნაწილში შემოგთავაზებთ ამ მართლაცდა სასიცოცხლო პრობლემის გადაჭრის ჩემეულ გზას.**




## ლიბერასტული აგრესიის თეორია

ბუნებრივია, რომ ლიბერასტულმა სიომ საქართველოშიც დაბერა და მის მესაბერველეებად არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის“ ინკუბატორში გამოჩეკილი, სხვადასხვა ჯურის ლიბერასტ-დემოკრატები მოგვევლინენ.

2001 წელს გამოქვეყნდა დასავლური ფასეულობების ერთ-ერთი „სპეციალისტის“, ფარად ზაქარიას, სტატია „არალიბერალური დემოკრატიის აღზევება“, რომელიც ე. წ. კავკასიურ ინსტიტუტში (გია ნოდია), საკმაოდ ფართო დისკუსიისა და მის ქართულ მენტალობასთან მორგების გზების მოძიების მთავარი თემა გახდა.

**„ჩვენი“ ლიბერასტები საკმაოდ დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. მათი მთავარი საფიქრალია, თუ როგორ გაავრცელონ ქართულ საზოგადოებაში ლიბერასტული იდეოლოგია, როგორ შეფუთონ ის დემოკრატიის მანტიაში და როგორ მისცენ ამ ყველაფერს ისეთი „ტავარნი ვიდი“, რომელსაც დაეწაფება ყველა — მოხუციც და ახალგაზრდაც.**

ამ საფიქრალის ასახსნელად გამოვიყენებ ოტო ნოიერის ე. წ. გემის ხატს.

ამ თეორიის მიხედვით, ისინი ჰგვანან მეზღვაურებს, რომლებიც იძულებულნი არიან, ზღვაში მოახდინონ თავიანთი გემის რეკონსტრუქცია, მაგრამ ამას ვერასოდეს შეძლებენ, რადგან, შესაძლებელია, გემის ნებისმიერი ნაწილის შეცვლა (კიჩოს, ბორტის, ანძის), თუ არის ისეთი ადგილი, რომელზეც შეიძლება დადგომა, ანუ დაყრდნობა, საჭეც შეიძლება შეცვალო, მაგრამ ძირს ვერასოდეს ვერ გამოცვლი.

**სწორედ იმის გამო, რომ „ძირის შეცვლა“ შეუძლებელია, ამ „ჩვენმა“ ლიბერასტებმა ჯერ „ჩარეცხილების ინსტიტუტი“ შემოიღეს და შემდეგ შეეცადნენ, საქართველო ე.წ. „ერ-კორპორაციად“ (Nation-corporation) ჩამოეყალიბებინათ.**

**„ერი-კორპორაცია“, რომელიც უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში საკმაოდ აქტიურად მკვიდრდებოდა, თავის თავში საზოგადოების ერთი ავტორიტარისთვის გადაცემას გულისხმობს. ავტორიტარი დემოკრატიის და სხვა ფასეულობების უგულვებელყოფით** (მაგ: პოლიტიკური თავისუფლება) **დროის მცირე მონაკვეთში ამკვიდრებს ლიბერალიზმს** (მაგ: ეკონომიკურ თავისუფლებას). **შედეგად კი იმპლაციტურად ვღებულობთ „ერი-კორპორაციის“ მოდელს.**

ფაქტობრივად, ყველაფერი აქეთ მიდიოდა. სააკაშვილი იყო არა პრეზიდენტი, არამედ დირექტორი. მოქალაქეები იყვნენ არა ამომრჩევლები, არამედ კორპორაციის თანამშრომლები და უმუშევრები, რომელთა მხრიდანაც ნებისმიერი პროტესტი ჩახშული იქნებოდა პოლიციის, ანუ კორპორაციის მესაკუთრეთა მცირე ჯგუფის დაცვის სამსახურის მიერ.

ბევრი რომ არ ვილაპარაკო, მაინცდამაინც არ გამოვიდა „ერი-კორპორაცია“. არ გამოვიდა მრავალი სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, რომელთა ჩამოთვლას აქ არ დავიწყებ.

რა მეთოდს მიმართეს ამ „ჩვენმა“ ლიბერასტებმა?

თქვენ წარმოიდგინეთ, — საკმაოდ მარტივს.

**მათ ჯერ დასავლეთში უკვე აპრობირებული „აგრესიული ლიბერალიზმი“ გამოიყენეს, ხოლო შემდეგ „ლიბერასტული ქველმოქმედება“ მოიგონეს.**

**„აგრესიულმა ლიბერალიზმმა“ გარკვეულ წილად გაამართლა.** გაამართლა, რადგანაც ის ხალხი, რომელთაც მედიასაშუალებები ლიბერასტთა ქმედებებზე კომენტარის გასაკეთებლად იწვევდნენ, „რატომღაც“ მუდამ თავის მართლების რეჟიმში გამოდიოდნენ.

**ისმოდა ფრაზები: ჩვენ, ქართველები, მუდამ ტოლერანტულები ვიყავით. ნახეთ მეიდანი, იქ გვერდიგვერდ დგას სიონი, მეჩეთი და სინაგოგა. ჩვენ არ ვერევით სექსუალური უმცირესობების პირად ცხოვრებაში და ა.შ.**

**ეს „თავის მართლება“ საკმაოდ დაჩაგრული ინტონაციით ისმოდა.** რა თქმა უნდა, იყო მჭახე გამონათქვამებიც, მაგრამ ისინი ისე იკარგებოდა ლიბერასტების აგრესიასა და ტოლერანტი ექსპერტების პოლიტკორექტულ მსჯელობაში, როგორც ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

**აგრესორებისა და მათდამი ტოლერანტულად განწყობილი ხალხის მიერ საზოგადოების დასაშინებლად გავრცელდა კიდევ ერთ, მეტად უცნაური „რეკომენდაცია“: – არ აჰყვეთ, პროვოკაციას!**

ამ „რეკომენდაციასთან“ დაკავშირებით სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გავრცელდა საკმაოდ საინტერესო სტატუსი, რომელიც ზუსტ კითხვებს სვამს და პასუხის გაცემას, როგორც ხელისუფლებიდან, ასევე საზოგადოებისგანაც ითხოვს.

**„საოცარი ხალხი ვართ ქართველები! პედარასტები პირველ სკოლასთან, ჩვენი შვილების თვალწინ თავიანთი უკანალის პიარს ჩალიჩობენ და ნუ გავაპროტესტებთ — პროვოკაციაა!!! შუა თბილისში არაბები დათარეშობენ, პატიოსან საქართველოს მოქალაქე (!) ქალბატონს აღმაშენებელსა და რუსთაველზე ვერ გაუვლია და ნუ გავაპროტესტებთ — პროვოკაციაა!!! ბათუმში, 21-ე საუკუნის დიდთურქობა დაიწყო, ქუთაისის ქუჩა და მიმდებარე ტერიტორიები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ოკუპირებულია და ნუ გავაპროტესტებთ — პროვოკაციაა!!! უცხოური წარწერებითაა აჭრელებული აზრები და ნუ გავაპროტესტებთ — პროვოკაციაა!!! და კიდევ ერთი საოცრება — მიტინგებითა და დემონსტრაციებით გამოხატული საქართველოს მოქალაქეების (!) მშვიდობიანი პროტესტი (ხაზს ვუსვამ — მშვიდობიანი) ხელისუფლების მიმართ, რომ დაცული იქნეს ამ ქვეყნის უმრავლესობის (!) უფლებები, რატომ ეწინააღმდეგება ჩვენს ტოლერანტობას?“**

მოკლედ რომ ვთქვა, საქართველოში ლიბერასტულმა დაჯგუფებებმა საკმაოდ ნაყოფიერად გამოიყენეს დაშინების მექანიზმი.

ყველამ კარგად იცის, რომ **აგრესორ ლიბერასტებს დღევანდელ ხელისუფლებაშიც საკმაოდ ძლიერი ლობი ჰყავთ რესპუბლიკური პარტიის სახით. რესპუბლიკური პარტია მხოლოდ პარლამენტში არ „გრიმიტობს“. მის დაქვემდებარებაშია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და მარადგამჭვირვალე არასამთავრობო ორგანიზაციების მთელი კოჰორტა, რომლებიც ლიბერასტების პირველივე დაძახილზე საზოგადოების ცხვირწინ სხვადასხვა კომისიისა თუ მონიტორინგის დასკვნებს აფრიალებენ, სხვადასხვა ევროპარლამენტარის შეშფოთებებს ახმიანებენ და ნატოს კარის ჩაკეტვით იმუქრებიან.**

არადა, გულზე ხელი დავიდოთ და პირდაპირ ვიკითხოთ: რა უფრო აშფოთებს საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობას — ამათი შეშფოთებები და მითიურ ნატოში არშეშვება თუ საკუთარი ოჯახის დაცვა სხვადასხვა ჯურის ახუნტრუცებული ლგბტ ინდივიდებისგან?

ახლა ვნახოთ მეორე მეთოდი, ანუ „პედერასტული ქველმოქმედება“, რომელიც ასევე დასავლური გამოცდილების გათვალისწინებით გადმოიღეს, მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერ რეალიზაცია ვერ გაუკეთეს.

ყველამ კარგად ვიცით, თუ რას წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა“ და რა იდეალების სამსახურში ჩააყენეს ე. წ. დონორებმა. ჰოდა, ამ „იდენტობამ“, იხილა რა ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან უსახლკარო ადამიანების იგნორირება, გული აუჩუყდა და ამ რამდენიმე დღის წინ თავშესაფრის დაარსების ინიციატივით გამოვიდა.

ერთი შეხედვით, ცუდი არაფერია. პირიქით, რაც მეტი ადამიანი დაკავდება ამ დიდი პრობლემის გადაჭრით, მით უკეთესი, მაგრამ... აი, ის წყეული „მაგრამ“, რომელიც ძალიან ხშირად ისმის და ზუსტი პასუხის გაცემის შემთხვევაში ბევრ რამეს ხდის ფარდას.

ყოველგვარი ფილოსოფიურ-ლიტერატურული ჩახუჭუჭების გარეშე, პირდაპირ ვიტყვი, რომ **„იდენტობის“ მიერ მოწვეული ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკებისა და მოხალისეების მიერ ჩატარებული „ტრენინგები“ და ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამები საკმაოდ გაზრდის რუსთაველზე უკანალის ქიცინის მსურველთა რაოდენობას** (განურჩევლად იმისა, გახდებიან თუ არა ისინი პედერასტები თუ ლესბოსელები; მიწოდებულ ლუკმას გამომუშავება უნდა); **გაზრდის მათი მხრიდან საზოგადოების წინააღმდეგ განსახორციელებელი აგრესიის ხარისხს** („აი ჩვენ, პედარასტები, რა კარგები ვართ, მიუსაფარ ადამიანებს ვიცავთ, შუა საუკუნეებში ჩარჩენილი, ტრადიციებზე ჩაციკლული საზოგადოების „გოიმი“ ნაწილი კი გვებრძვის“); **გაზრდის დონორების მხრიდან გამოყოფილი გრანტების რაოდენობას, რომელთა დიდი ნაწილი, ბუნებრივია, ლგბტ არსებების პროპაგანდაზე წავა, და მოიტანს კიდევ სხვა მრავალ უბედურებას, რომლებიც ამ არსებების მხრიდან ემუქრება ნორმალურ ადამიანებს.**

„იდენტობამ“ თავისი სურვილი ამჯერადაც აისრულა. დარწმუნებული ვარ, ამ ტიპებს არანაირად არ აწუხებთ მიუსაფარი ადამიანების ბედი. არ აწუხებთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში 17 მაისს აქციას არა პედერასტების, არამედ გაჭირვებული ადამიანების დასაცავად გამართავდნენ.

მოკლედ რომ ვთქვა, ლგბტ-ებმა „ქველმოქმედება“ კვლავ აგრესიად აქციეს.

## როგორ უნდა მოვიქცეთ

წერილის ამ ნაწილს პუნქტების სახით ჩამოვწერ:

**1. მივმართავ საკანონმდებლო და აღმასრულებელ სტრუქტურებს: ყურადღებით გაეცნონ არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ ამ განცხადებას და ანტისახელმწიფოებრივ გამონათქვამებზე მიიღონ შესაბამისი ზომები** (საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების და მათთან ერთად მედიის წარმომადგენლები კვლავ ლეგიტიმურ მხარედ წარმოაჩენენ ამ მოძალადე დაჯგუფებებს, ე. ი. ხელისუფლება ახდენს მოძალადე ჯგუფების ლეგიტიმაციას, ანუ ძალადობის მომხრე ხელისუფლება გვყავს!);

**2. ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ მოხდეს ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტის მონიტორინგი** (წარმომავლობა, რამდენად ჯდება დასაფინანსებელი მიმართულება საქართველოს სახელმწიფოსა და მოსახლეობის ინტერესებში);

**3. საკანონმდებლო დონეზე აიკრძალოს ჰომოსექსუალიზმისა და მსგავსი გაუკუღმართებული ცხოვრების წესის აგიტაცია-პროპაგანდა** (მითუმეტეს, რომ ასეთი აკრძალვების პრეცედენტები რუსეთსა და ბელარუსში უკვე არსებობს და ამ ქვეყნებს არც თავიანთი მოსახლეობის და არც საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, რამდენიმე შეშფოთებული უკანალმოქიცინის წკმუტუნის გარდა, არაფერი დაშავებიათ).

რაც შეეხება საზოგადოებას და მედიას, ბუნებრივია, რომ მათ არ მოვუწოდებ ძალადობისკენ, მაგრამ სრული იგნორი, დაცინვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა ნამდვილად აუცილებელი და საშური საქმეა.

და ბოლოს, მინდა ვთქვა, რომ **ლიბერასტიზმის აგრესიული გამოვლინება გაუკუღმართებულ დემოკრატიას იწვევს. ნამდვილი, ჭეშმარიტი დემოკრატიული ღირებულებების გაუფასურებას და საზოგადოებაში ზრდის იმ ანტიპათიას, რომელიც „ჩვენი“ აგრესორების „მოღვაწეობამ“ ყოველგვარი ამერიკულისა და დასავლურის მიმართ წარმოშვა. ეს აუცილებლად უნდა შეაფასონ ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა და ლაგამი უნდა ამოსდონ თავიანთ „დემოკრატ იდეოლოგებს“, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში დადგებიან იმ საშიშროების წინაშე, რაც „დემოკრატიის გამარჯვების“ შემდეგ ლიბიაში მოხდა.**

კიდევ ბევრი რამის დაწერა შემეძლო, მაგრამ ძალიან გამიგრძელდება სიტყვა და ამიტომ არააგრესიული და არალიბერასტული სურვილებით დაგემშვიდობებით.

**გია გაბრიჭიძე**

**ის, რომ ვაშინგტონი კარგავს ინტერესს სამხრეთ კავკასიის მიმართ, სადაც საქართველო ამერიკის ყველაზე ახლო მოკავშირეა, კიდევ ერთხელ გამოჩნდა კვირას, სააკაშვილის მემკვიდრის, უნივერსიტეტის რექტორისა და ყოფილი განათლების მინისტრის — გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციაზე. კონგრესმენთა დელეგაციის ნაცვლად, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა ობამას კაბინეტის რომელიმე გამოჩენილი წევრი, ადმინისტრაციამ საქართველოში უცნობი ჩინოვნიკების ჯგუფი გამოგზავნა...**

პოლიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილმა თეთრი სახლი «ნიუ იორკ თაიმსიდან» დაგესლა

**2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში დამარცხების შემდეგ მიხეილ სააკაშვილს არაერთხელ წამოცდა აუგი თავის პატრონებზე. მან, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ თეთრმა სახლმა ზურგი შეაქცია და ღია შანტაჟსაც არ მოერიდა, როდესაც საჯაროდ ისაუბრა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში თეთრი სახლის ჩართულობაზე. თუმცა პრეზიდენტის პოსტის დატოვებამდე მცირე ხნით ადრე „ნიუ იორკ თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში მისმა „გულახდილობამ" მოლოდინს გადააჭარბა. სააკაშვილი ღიად აღიარებს, რომ ამერიკა კავკასიაში რუსეთის წინაშე უძლურია და უკან იხევს და რომ პირადად მას დაპატიმრება ემუქრება. „საქართველო და მსოფლიო" ხსენებულ პუბლიკაციას უმნიშვნელო შემოკლებით გთავაზობთ.**



ახლა უკვე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მისთვის ჩვეულ დროს, გვიან ღამითაც, ცდილობდა საპრეზიდენტო ვადის ბოლო დღეების ყველა წუთის გამოყენებას. ინტერვიუში, რომელიც მან გვიან ღამით მოგვცა და თითქმის დილამდე გაგრძელდა, დაიტრაბახა, რომ მისი ათწლიანი მმართველობის პერიოდში საქართველომ უზარმაზარ წარმატებას მიაღწია რეალური დემოკრატიის დამკვიდრების გზაზე. **მან კატეგორიულად უარყო მისი მისამართით არსებული ბრალდებები ავტორიტარული მიდრეკილებების შესახებ და სინანული გამოთქვა, რომ მეტი ფული არ დახარჯა განათლებაზე და ნაკლები — შეიარაღებაზე.**

მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც ხელისუფლებაში 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" ტალღაზე მოვიდა და დასავლეთის ნებიერა გახდა (მას პრეზიდენტები — ბილ კლინტონი და უმცროსი ბუში გულში იკრავდნენ), ასევე აღნიშნა, რომ შეერთებულმა შტატებმა სისუსტე გამოავლინა პრეზიდენტ პუტინთან იმით, რომ სირიასთან დაკავშირებული სამხედრო მუქარა არ განახორციელა.

**„რუსეთი გრძნობს, რომ ამერიკის უხეში ძალა უკან იხევს მთელი რეგიონიდან,** — თქვა სააკაშვილმა, რომელიც ჩაის მიირთმევდა მოხალულ თხილთან ერთად. — **ამერიკას რომ შეზღუდული ოპერაცია მაინც ჩაეტარებინა სირიაში, ეს პუტინისთვის გარკვეულ რისკს შექმნიდა. ახლა ის თითქმის დარწმუნებულია, თუ სრულად არა, რომ, რაც უნდა გააკეთოს — გადაჭრას საქართველოს მილსადენი, დაიპყროს თბილისი, დაამხოს აზერბაიჯანის ხელისუფლება — არავინ არაფერს მოიმოქმედებს, გარდა რამდენიმე ხმამაღალი განცხადებისა და დაგმობისა".**

**„აი, რა გვესმის ჩვენი ვაშინგტონელი მეგობრებისგან,** — განაგრძობს სააკაშვილი, — **რომ თქვენ შესანიშნავი ბიჭები ხართ. მოგვწონხართ, შესანიშნავი გადასვლა იყო დემოკრატიაზე: ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა, დიდი მიღწევები და ასე შემდეგ, მაგრამ ახლა სხვა უამრავი საზრუნავი გვაქვს. მხარს გიჭერთ. მომავალშიც მხარს დაგიჭერთ, მაგრამ განა რისი გაკეთება შეგვიძლია?"**

**ის, რომ ვაშინგტონი კარგავს ინტერესს სამხრეთ კავკასიის მიმართ, სადაც საქართველო ამერიკის ყველაზე ახლო მოკავშირეა, კიდევ ერთხელ გამოჩნდა კვირას, სააკაშვილის მემკვიდრის, უნივერსიტეტის რექტორისა და ყოფილი განათლების მინისტრის — გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციაზე. კონგრესმენთა დელეგაციის ნაცვლად, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა ობამას კაბინეტის რომელიმე გამოჩენილი წევრი, ადმინისტრაციამ საქართველოში უცნობი ჩინოვნიკების ჯგუფი გამოგზავნა, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დირექტორის — რაჯივ შაჰის ხელმძღვანელობით.**

სააკაშვილი არ დაესწრო ინაუგურაციას, მისი მთავრობის ბევრი ყოფილი წევრის დაპატიმრებისა და დევნის გამო სხვადასხვა ბრალდებით — დაწყებული კორუფციით, დამთავრებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით; ბევრი ასეთი დაპატიმრება პოლიტიკურად მოტივირებულს ჰგავს.

**პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა დაუშვა იმის ალბათობა, რომ სააკაშვილიც შეიძლება დააპატიმრონ და მის წინააღმდეგ საქმე აღიძრას.** მილიარდერი ივანიშვილის პარტიამ — „ქართულმა ოცნებამ" ხელისუფლებაში შარშან, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, რის შემდეგაც სააკაშვილმა თავისი ფინალური ვადის ბოლო წელი თანამდებობაზე ოპოზიციური ფიგურის როლში გაატარა.

ინტერვიუში სააკაშვილმა თქვა, რომ ის დარწმუნებულია და იმის მოლოდინი აქვს, რომ სამიზნე გახდება. **„პრემიერმინისტრი მე მხედავს ციხეში ან დევნილობაში,** — თქვა მან. — **შევეცდები, ვიბრძოლო იმისთვის, რომ მოვიპოვო თავისუფლება ჩემს საკუთარ ქვეყანაში"**. მისი თქმით, ის ელოდება, რომ ყველა ბრალდებაში, რომელსაც კი წაუყენებენ, მისი უდანაშაულობა დამტკიცდება, მაგრამ აღიარებს, რომ შესაძლებელია, ყველა შემთხვევაში დააპატიმრონ.

**„უნდა ვიჯდე ერთი წლის განმავლობაში ერთკაციან უსარკმლო საკანში, სადაც მზის სხივი არ აღწევს, რადგან მან თქვა, რომ მე შეიძლება ბავშვებს ვჭამ ცოცხლად ან უამრავი ადამიანი მოვკალი ქუჩაში?** — თქვა სააკაშვილმა. — **ასეთი პრობლემის წინაშე ვართ."**

**კვირას, სააკაშვილის თანაშემწეებმა განაცხადეს, რომ ის ოჯახთან ერთად ევროპაში ისვენებს, მაგრამ არ იციან, რომელ ქვეყანაშია და როდის დაბრუნდება სამშობლოში. გაურკვეველია, ის უკვე ერთგვარ დევნილობაშია თუ არა.**

ივანიშვილი და მისი მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ მათ ღიაობისა და ცივილიზებულობის ატმოსფერო დაამკვიდრეს ქვეყანაში, გაათავისუფლეს რა სასამართლო სისტემა პოლიტიკური გავლენისგან და დაასრულეს პოლიციის და ციხის ძალადობა. მაგრამ სააკაშვილმა განაცხადა, რომ, საქართველომ დემოკრატიის თვალსაზრისით, უკან დაიხია. **„ჩვენ დავუბრუნდით ერთგვარ ველურ დასავლეთს, რაც დამახასიათებელია პოსტსაბჭოთა პოლიტიკისთვის,"** — თქვა მან.

სააკაშვილის თქმით, ის ძალიან ნანობს, რომ უფრო მეტი ქართველი ახალგაზრდა არ გააგზავნა სასწავლებლად დასავლეთში. **„როგორ ვისურვებდი, რომ თავდაცვაზე მილიარდით ნაკლები დაგვეხარჯა, განათლებაზე კი — მილიარდით მეტი. ეს გაცილებით სერიოზული თავდაცვა იქნებოდა, ვიდრე მთელი იმ შეიარაღების შეძენა, რომელიც მაინც უსარგებლოა, როდესაც საქმე რუსეთთან კონფრონტაციამდე მიდის".**

**„დღევანდელი გადასახედიდან, ვფიქრობ, ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა ეს არის,"** — თქვა მან. სააკაშვილი ამრეზით ლაპარაკობს ივანიშვილზე, რომელმაც განაცხადა, რომ ნოემბრის ბოლოს გადადგება, მას კი 31 წლის შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეცვლის.

საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც კვირას ამოქმედდა, ასუსტებს პრეზიდენტის უფლებამოსილებას და აძლიერებს პრემიერმინისტრისას, რომლის ოფისიც ყველაზე ძლიერი იქნება ქვეყანაში. სააკაშვილი უარყოფს, რომ მან ამ ცვლილებებს მხარი იმიტომ დაუჭირა, რომ პრემიერმინისტრობა თავად სურდა — **„ეს მკითხეს ჯო ბაიდენმაც და ჰილარი კლინტონმაც,** — თქვა მან. — **მათ არასდროს უთქვამთ, რომ მე პრემიერი არ უნდა გავმხდარიყავი, მაგრამ ამას ისე მეკითხებოდნენ... მე მათ ბევრჯერ ვუთხარი, რომ ამას არასდროს გავაკეთებდი".**

**დევიდ ჰერშენჰორნი**

The New York Times

# აი, ასეთია უმუშევრობისა და სახელმწიფო ვალის მასშტაბურობა

**უფროს თაობას ახსოვს ლოზუნგი: დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს! მაშინ, ხრუშჩოველების და მის მიმდევართა პერიოდში ამის გაკეთება მსოფლიოს მეორე ზესახელმწიფომ ვერ შეძლო... უგნურების ეპოქა იყო.**



სამაგიეროდ შევძელით ჩვენ, დღევანდელ საქართველოში: ჩვენც ისეთივე წარმატებით ვერ შევასრულეთ ბიუჯეტი, როგორც აშშ-მა, ჩვენც იმავე პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით ამის გამო, რომლებიც ამერიკის წინაშე დადგა.

ჩვენთანაც, როგორც აშშ-ში, პარლამენტში წარმოდგენილმა ორმა პარტიამ — უმრავლესობამ და უმცირესობამ ვერაფრით მიაღწია შეთანხმებას ბიუჯეტის საკითხზე.

2014 წლისთვის პერსპექტივა იქაც და აქაც ისეთივე ბუნდოვანი და არასახარბიელოა, როგორც წინასაარჩევნო დაპირებები ყველგან და ყოველთვის.

მასშტაბებია განსხვავებული და აქ, რა თქმა უნდა, ჩვენი ჩრდილოატლანტიკური, ევროინტეგრაციული თუ პროამერიკული მისწრაფებების სიმხურვალეც კი ვერაფერს ცვლის.

**რა აწუხებს დღეს ამერიკას?**

**აწუხებს და აშფოთებს ის, რომ, თუ კონგრესი არ გადადგამს ეფექტიან ნაბიჯებს, დეკემბრის ბოლო კვირის განმავლობაში 1,3 მილიონი ადამიანი ვერ მიიღებს უმუშევრებისთვის გათვალისწინებულ დახმარებას შეღავათიანი პროგრამით. დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ქვეყანა რეცესიის პერიოდში იმყოფება და ამიტომ მოქალაქეები დაკარგავენ სამუშაოს, მათი დახმარება კი აუცილებელია.**

დემოკრატებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფლება უნდა ისწრაფვოდეს ბიუჯეტის შემცირებისკენ, აშშ-ის სახელმწიფო ვალის გათვალისწინებით. ეს კიდევ ერთი, დამატებითი საკითხია, რომლის შესახებ კონგრესმენების პოზიციები გაიყო, წერს **„ნიუ იორკ ტაიმსი"**. სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ **ურთიერთდაპირისპირებული პარტიების წარმომადგენლები, საეჭვოა, შეთანხმდნენ. ამ შეუთანხმებლობით კი დაზარალდება მილიონობით უმუშევარი მთელ ქვეყანაში.**



მკითხველს შევახსენებ, რომ გასულ თვეში იმის გამო, რომ ვერ მოილაპარაკეს სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის შესახებ, კანონმდებლების მძევლად მთელი ქვეყანა იქცა. დაფინანსების უქონლობის გამო მთავრობამ მუშაობა 16 დღით შეწყვიტა.

**შეერთებულმა შტატებმა მხოლოდ უკანასკნელ მომენტში შეძლო დეფოლტის თავიდან აცილება, რომელსაც ქვეყანა გლობალურ ეკონომიკურ კატასტროფამდე შეეძლო მიეყვანა.** ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა დიდი ხნის ნანატრ კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებდა მთავრობის საქმიანობის განახლებას და სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის ამაღლებას. დღეისთვის ეს ვალი თითქმის 17 ტრილიონი დოლარია.

აი, მასშტაბები ამას ჰქვია.

**არმაზ სანებლიძე**

საზოგადოებრივი აზრი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არავინ მოელოდა, მაგრამ ივანიშვილი თვალებში უყურებს ამერიკის ელჩს, ყველა ნაბიჯის შემდგომ იმაზე ფიქრობს, როგორ შეაფასებენ ამერიკაში. ეს ჩვენი უბედურებაა, ასე იყვნენ შევარდნაძეც და სააკაშვილიც.“**

# ტერიტორიული მთლიანობა თუ ნატოსთან ინტეგრაცია?

**გრძელდება დისკუსია თემაზე „გვინდა თუ არა ნატო?“. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ კვლავ გთავაზობთ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების საინტერესო მოსაზრებებს.**

**თემურ შაშიაშვილი, პოლიტიკური გაერთიანება „თეთრების“ ლიდერი:**

— სიამოვნებით ვერთვები დისკუსიაში „გვინდა თუ არა ნატო?“

ძალიან მიკვირს, რატომ არ არის საქართველო იმ ორგანიზაციების წევრი, რომლებზეც, უკვე ოცი წელიწადია, გვესაუბრებიან, ვგულისხმობ, ნატოსა და ევროკავშირს. ამ საკითხის ისეთი პოლიტიზირება მოხდა და იმდენ წელიწადს იმაგრებდნენ სკამებს ამ თემით ჩვენი ხელისუფალნი, რომ, ალბათ, ჩემი შეკითხვა ლეგიტიმურია.

ერთი ყველაზე დიდი უბედურება ქართველებს ის გვჭირს, რომ ჩვენს გეოგრაფიულ მდებარეობას არ ვაფასებთ. ნაპოლეონმა თქვა: „პოლიტიკა გეოგრაფიაა“, ჩვენ გვაქვს ღვთისგან ბოძებული უნიკალური მდებარეობა, მაგრამ არ გვყავს პოლიტიკოსები, რომლებიც ამას ჩვენდა სასიკეთოდ გამოიყენებენ, საუბედუროდ, ქართველმა პოლიტიკოსებმა ჩვენი სიმდიდრე არარაობად აქციეს.

ვიდრე აფხაზეთისა და ოსეთის აღიარება მოხდებოდა, ჩვენთვის შეიძლება პრინციპული ყოფილიყო ნატოს წევრობა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბევრმა ადამიანმა არ იცის ნატოს შესახებ არაფერი. **პირადად ჩემთვის წარმოუდგენელია, ნატო და ევროკავშირი საქართველოს მეგობრები იყვნენ, რადგან ისინი სააკაშვილის პოლიტიკას თავგადაკლულები იცავდნენ. მათ თავისი მსახური მოიყვანეს, დასვეს, საქართველოს გენოციდი მოაწყობინეს და ბოლომდე შეანარჩუნების თანამდებობა, რათა ნატოსა და ევროკავშირზე ელაპარაკა.**

ამ რამდენიმე ხნის წინ პრესაში გამოქვეყნდა იმ ქვეყნების სია, რომლებიც ყველაზე კარგად ცხოვრობენ, ზოგი მათგანი არც ნატოს წევრია და არც ევროკავშირის, ზოგი კი ერთ-ერთის წევრია მხოლოდ. **საქართველოს გამუდმებით ატყუებენ, თუ ნატოში შევალთ, ფუფუნებაში ვიცხოვრებთო. ის ქვეყნები, რომლებიც არ არიან გაერთიანებულები ნატოსა და ევროკავშირში, უფრო უკეთ ცხოვრობენ. დღეს მთელი მსოფლიო ნათლად ხედავს, რომ ქვეყნებმა, რომლებმაც დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს, მრავალვექტორული პოლიტიკა აწარმოეს, ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში არიან.**



თემურ შაშიაშვილი:

## წარმოუდგენელია, ნატო და ევროკავშირი საქართველოს მეგობრები იყვნენ, რადგან ისინი სააკაშვილის პოლიტიკას თავგადაკლულები იცავდნენ

რა მოხდა აფხაზეთისა და ოსეთის აღიარების შემდგომ? ვის აძლევს ხელს ყველაზე მეტად ნატოში შესვლა საქართველოს დეფაქტო მდგომარეობით? — ყველაზე მეტად დასავლეთში გარკვეულ წრეებს უნდათ.

არ მგონია, რომ მხოლოდ რუსეთის პოლიტიკა იყო აფხაზეთისა და ოსეთის აღიარება, არა მგონია, რომ პუტინისთვის კარგია ჩვენი ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება. ხმამაღლა ვაცხადებ: საქართველოს ნატოში მიღებას იმიტომ ჩქარობენ, თანაც აფხაზეთისა და ოსეთის გარეშე, რომ **აფხაზეთის ხელისუფლებასთან დასავლეთი სერიოზულ მოლაპარაკებებს აწარმოებს; ისინი ელოდებიან საქართველოს ნატოში შესვლას, რათა დაიწყონ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ შეყვანა ევროკავშირში. რატომ სჭირდება ეს დასავლეთს? იმიტომ, რომ დასავლეთს რუსეთის დაშლა უნდა, რადგან ევრაზიული კავშირის შიში აქვს.**

თურქეთი ნატოს წევრი გახადეს, თუმცა იქ დემოკრატია რომ არ იყო, ეს სადავო არ არის, ევროპას ის სჭირდებოდა გეოგრაფიული მდებარეობის გამო. ახლა საუბარია თურქეთის ევროკავშირში მიღებაზე, რადგან ნაზარბაევმა განაცხადა, რომ შესაძლებელია, თურქეთი ევრაზიულ კავშირში გაერთიანდეს. ევრაზიულ კავშირში უკვე მოიაზრებენ ისეთ სახელმწიფოებს, როგორიც არის: სირია, ჩრდილოეთ კორეა, ეგვიპტე და შესაძლებელია თურქეთიც, ეს კი მსოფლიოს შიშის ზარს სცემს. ძალიან მოკლე პერიოდში ერთიანი კორიდორის, ერთიანი საბაჟო სისტემის შექმნის ძალა რუსეთი და პუტინი გახდება, ამიტომ ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ ებრძოლონ პუტინსა და რუსეთს.

**პუტინი რუსეთისთვის წარმოუდგენლად საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა, სტალინის შემდეგ რუსეთისთვის ასეთი რამ არავის გაუკეთებია, მაგრამ ჩვენ ამის აღიარება არ გვინდა, ჩვენ ამ ადამიანს პრიმიტიული მეთოდებით ვებრძვით. ჩვენი პოლიტიკოსები რატომღაც ფიქრობენ, რომ, თუ პუტინს აგინებენ, ეს კარგია, თუმცა ამისთვის მათთვის ამერიკიდან დიდი თანხებიც მოდის.**

საქართველო დალუპეს დასავლეთიდან დაფინანსებულმა პოლიტიკოსებმა და არასამთავრობოებმა, რომლებიც სამუშაო ადგილებს ქმნიან და ბუნებრივია, რომ დაკვეთასაც ასრულებენ. ვინმეს მართლა ჰგონია, რომ საქართველოში მასონები არიან? არა, უბრალოდ, ბოკერიები, მთელი „ნაციონალები“ სექტანტები არიან, ხელის ბიჭები მასონებისა და მათ დაკვეთას ასრულებენ. ძალიან კარგად ხედავენ, რომ ევრაზიული კავშირი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს უამრავი პრობლემის მქონე ევროპას. **ევროკავშირს მომავალი არ აქვს და ბრიტანეთში უკვე პირდაპირ ლაპარაკობენ ევროკავშირიდან გამოსვლასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებაზე. ის უკვე ავადმყოფი სისტემა გახდა, გერმანიაც ამას ხმამაღლა ამბობს და აღიარებს, რომ შეცდნენ, როცა ევროკავშირის მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცნენ.**

მდგომარეობა ძალიან რთულია, ჩვენი ოცი წელიწადი, რომელიც დავკარგეთ და ვერაფრით გავხდით ნატოსა და ევროკავშირის წევრები, უბედურებაა იმ პოლიტიკოსებისა, რომლებიც აქამდე გვყავდნენ: „მოქალაქეთა კავშირი“, „ნაციონალები“ და ახლა ახალი მთავრობაც შეუერთდა. შევარდნაძე ამბობდა, რომ ათ წელიწადში ნატოში ვიქნებითო და ვერ განახორციელა, მისი გადაგდების საფუძველიც ეს იყო; სააკაშვილმა თქვა, რომ აი, ნახავთ ჩემი პრეზიდენტობის დროს გავხდებით ნატოს წევრებიო, მაგრამ რაც მოხდა, ყველამ დავინახეთ; ახალი გამყიდველებიც ამას ილაპარაკებენ. ამასობაში ეს ქვეყანა დაიქცა. **საქართველოს სჭირდება პოლიტიკოსები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ადგილმდებარეობას კარგად გამოიყენებენ და არა ისეთები, რომლებიც დაგვაქცევენ. საქართველოს და ქართველი ხალხის ამოცანაა, რომ ხელისუფლებაში მოვიყვანოთ ძალა, რომელიც ქვეყნის გარედან არ იმართება, ძალა, რომელიც იმაზე კი არ იფიქრებს, როგორ აფასებენ პრეზიდენტს ან პრემიერს ამერიკასა თუ ევროპაში, არამედ იმაზე, როგორ აფასებს მას ქართველი ხალხი.**

**არავინ მოელოდა, მაგრამ ივანიშვილი თვალებში უყურებს ამერიკის ელჩს, ყველა ნაბიჯის შემდგომ იმაზე ფიქრობს, როგორ შეაფასებენ ამერიკაში. ეს ჩვენი უბედურებაა, ასე იყვნენ შევარდნაძეც და სააკაშვილიც.**

სასაცილოა ივანიშვილის სიტყვები: თუ ჩემი ხალხი აირჩევს ილიას გზას, მეც მისი მსახური ვიქნებიო. არავის აქვს უფლება, თქვას ჩემი ხალხი, არ ვართ ჩვენ ბიძინა ივანიშვილის ხალხი, ჩვენ ვართ საქართველოს ხალხი. უფრო სწორი იქნება მისი მხრიდან თქვას ასე — საქართველოს მოსახლეობა რასაც აირჩევს... თანაც, **საინტერესოა, იციან კი ილიას გზა? ილიას გზა იყო ფრთხილი ურთიერთობა რუსეთთან.** პირადად მე ილიას გზის მიმდევარი ვარ, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს არც ერთი ხელისუფალი ამ გზის მიმდევარი არ აღმოჩნდა. ჩემი თხოვნა იქნება, გამოაქვეყნოთ ილია ჭავჭავაძის ნარკვევები და იქნებ გაიგონ, საით მიდიოდა ილია. მე ვნახე თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული ზვიად გამსახურდიას ხედვა. ეროვნული მოძრაობის წევრი დიდი ადამიანები შესაძლოა საბჭოთა კავშირის დაშლისთვის იბრძოდნენ, მაგრამ ისინი არასოდეს ლანძღავდნენ რუსეთს. **გამსახურდიამ უაღრესად პოზიტიური ნაბიჯები გადადგა რუსეთის მიმართულებით და სწორედ ამან შეაშინა დასავლეთი. რეალობა ასეთია: გადადგამ პოზიტიურ ნაბიჯებს რუსეთისკენ, გებრძვის დასავლეთი ან პირიქით. ვერ მოიძებნა ისეთი ძალა, რომელიც ქართული ინტერესებიდან გამოვიდოდა და სახელმწიფოს ამაზე ააგებდა.**

წარმოვიდგინოთ, რომ ჩეჩნეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ინგუშეთი, ოსეთი — ესენი ყველანი დამოუკიდებელი ქვეყნები გახდნენ, რაც კავკასიაში ომის მუხტის შემოვარდნას ნიშნავს და ჩვენ ახლო აღმოსავლეთად ვიქცევით. ასეთ შემთხვევაში, ვინც ყველაზე მეტად განადგურდება, საქართველო და მართლმადიდებლობა იქნება. ჩვენ ძალიან დიდი დაფიქრება გვმართებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, ვის რა მოეწონება. ივანიშვილის მთავრობაც ცდილობს, ამერიკა არ გააღიზიანოს. პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე გამოდის ტელევიზიით და ამბობს, რომ რუსეთი არაცივილიზებული ქვეყანაა. ვერ წარმოვიდგენდი, თუ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ასეთ რამეს იტყოდა. **რუსეთის ლანძღვა ქართული საქმის კეთებაა? ვიდრე პარლამენტში სხედან ბნელით მოცული და ამერიკისგან დაბრმავებული, ქართული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული ადამიანები, ჩვენი საშველი არ იქნება. დასავლეთის ფულით გამოკვებილი ადამიანების დრო უნდა დასრულდეს. საქართველოს უნივერსიტეტის მთელი ბიუჯეტი არ იყო იმდენი, რასაც დარჩიაშვილი და ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტი მარგველაშვილი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, სოროსისგან და „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ ხელფასის სახით იღებდნენ.** დედაუნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები გაანადგურეს, მიწასთან გაასწორეს და წინ წამოსწიეს ეს უსახური პოლიტიკოსები, რათა ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები ჩაედინათ.

არ ვიცი, ამ ყველაფერს დაბეჭდავთ თუ არა, მაგრამ ჩანაწერი შეინახეთ და დარწმუნდებით, რომ მართალს ვამბობ. არავის მონობის მომხრე არ ვარ, **წარმოუდგენელია, მოისმინო ის სიტყვები, რომლებიც ამერიკის ელჩმა ამ რამდენიმე დღის წინ თქვა და ამაზე პასუხი არ მოსთხოვო, თურმე საქართველო აფხაზეთსა და ოსეთს ისევე ექცეოდა, როგორც თავად საქართველოს — იმპერიული რუსეთიო. თანაც ამას ამბობს სტუდენტებთან და ახალგაზრდებმა კი რეაქციის გარეშე ჩაატარეს მისი ეს სიტყვები, რაც უკვე ბევრ და ცუდ რაღაცაზე მეტყველებს.** მინდა ვიფიქრო, რომ ამ აუდიტორიისთვის სტუდენტები სპეციალურად შეარჩიეს, თორემ ოთხმოცი პროცენტი ასე ნამდვილად არ ფიქრობს. დუმს ნორლანდის ამ სიტყვებზე საქართველოც, უფრო მეტიც, ექსპერტები ამბობენ, რომ „მას ასე კი არ უთქვამს“, „მისი სიტყვები ცუდად არ უნდა გავიგოთ“ და ა. შ. გამგებმა ყველაფერი ზუსტად უნდა გაიგოს, მით უმეტეს, რომ ამერიკის ელჩმა ერთ-ერთ გადაცემაში გასაგებად თქვა, რომ ჩვენ და რუსეთი უფრო დიდი მეგობრები ვართ, ჩვენ ვწყვეტთ ყველაფერს, ▶

## «პუტინი რუსეთისთვის წარმოუდგენლად საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა, სტალინის შემდეგ რუსეთისთვის ასეთი რამ არავის გაუკეთებია, მაგრამ ჩვენ ამის აღიარება არ გვინდა, ჩვენ ამ ადამიანს პრიმიტიული მეთოდებით ვებრძვით»

# გვინდა თუ არა ნატო?

საზოგადოებრივი აზრი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ამიტომ თქვენ ბოდიში უნდა მოუხადოთ აფხაზებსა და ოსებს. ჩვენ ერთმანეთს ბოდიშს მოვუხდით თუ არა, არავისი საკარნახო არ არის.

ჩემი აზრი ასეთია: **უნდა დაიწყოს დიდი ეროვნული მოძრაობა. ვისაც სისხლი გვაქვს, ვისაც ქართული ცნობიერება გვაქვს და არავისი მონობა არ გვსურს, გაზაფხულზე ყველამ ერთად უარი უნდა ვუთხრათ გარედან მართულ ძალას. მათ საქართველოსთვის უბედურების მეტი არაფერი მოუტანიათ, 20 წელი გავიდა ტყუილში ცხოვრებით.**



ვალერიან დოლიძე:

## ყველამ უნდა იცოდეს, რომ კონფლიქტური ტერიტორიებით საქართველოს ნატოში არავინ მიიღებს

**ვალერიან დოლიძე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:**

— ნატოზე საუბარი ტყუილი დროის კარგვაა, რადგან ვერასოდეს შევალთ, მაგრამ, თუ მაინც შეეცდებიან, ე. ი. ნახევარი ტერიტორიები საქართველოს საზღვრებს გარეთ უნდა დატოვონ. ვფიქრობ, რომ საქართველოს ნატოში შესვლის აუცილებლობა არ არსებობს, თანაც დღევანდელ ვითარებაში.

დღეს ბევრი ამბობს, რომ ლიბერალური ძალები, რომლებიც ხელისუფლებაში არიან, ნატოში შესვლას დააჩქარებენ, მაგრამ პირადად მე ვთვლი, რომ ამას ვერავინ გაბედავს, ეს ნაბიჯი ეროვნული ღალატის ტოლფასი იქნება და ასეთ გადაწყვეტილებას ვერავინ მიიღებს.

**— ბატონო ვალერიან, რა მოუტანა საქართველოს ოცი წლის მანძილზე ნატოსკენ სწრაფვამ?**

— **ნატოსკენ სწრაფვა პოლიტიკური დილეტანტიზმი იყო. ნატო ცივი ომის პროდუქტია, როცა შეიქმნა, მაშინ მას სხვა ფუნქციები ჰქონდა. დღეს ეპოქა შეიცვალა, ამიტომ ნატოზე საუბარი სისულელედ მიმაჩნია. მას ფუნქცია დაკარგული აქვს და არავინ იცის, როგორ გააგრძელებს მუშაობას. ნატო არ შეიძლება თვითმიზანი იყოს.**

**— ვიცით, რომ არ შეიძლება თვითმიზანი იყოს, მაგრამ ახალი ხელისუფლებაც სწორედ ამ მიმართულებით მიდის.**

— ეს გზა მცდარია. **ყველამ უნდა იცოდეს და, ალბათ, იციან, რომ ნატოში ვერ შევალთ, არც მიგვიღებენ და ამის აუცილებლობაც არ არსებობს.**

**— თუ აუცილებლობა არ არსებობს, რატომ გვარწმუნებენ, რომ ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზა ეს არის?**

— არ ვიცი, რატომ გვატყუებენ და გვარწმუნებენ, შესაძლებელია, რომ თავად სჯერათ იმისა, რასაც ამბობენ. პოლიტიკაში თავის დროზე ძალიან ბევრმა არაკომპეტენტურმა ადამიანმა მოიყარა თავი. ყველა მათგანს საკუთარი შეხედულება ჰქონდა. **დღეს მსოფლიოში მიდის ღრმა ფუნდამენტური ცვლილებები და ყველაფერი მალე შეიცვლება, შეიცვლება მსოფლიოს პოლიტიკური განვითარების სურათიც, ძალთა გადანაწილებაც, ამიტომ მეშინია, საქართველო მძიმე მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს.**

**— რას გულისხმობთ?**

— შესაძლებელია, გარკვეული ზეწოლების ქვეშ აღმოვჩნდეთ. რეალური მოკავშირეების გარეშე დავრჩეთ. შესაძლებელია კონტექსტი მთლიანად შეიცვალოს, ზოგიერთი ქვეყანა ძლიერდება, ზოგი სუსტდება. ასეთ პირობებში რთულდება მომავლის განჭვრეტა. **საქართველოს პოლიტიკაზე დღეს ისეთი წარმოდგენა მრჩება, რომ ირგვლივ ყველაფერი იცვლება და ჩვენ ერთ ადგილზე ვდგავართ, გაყინულები ვართ,** განსაკუთრებით კრიზისის შემდეგ, რომელიც დღესაც მიმდინარეობს და არავინ იცის, გადაილახება თუ არა.

**— საქართველოს მთავრობას დიდი მოლოდინი აქვს, რომ მაპს მივიღებთ.**

— რა აუცილებელია საქართველოს ნატოში გაწევრიანება, ჯერ ეს აგვიხსნან. არაფრის მომტანი არ არის არც ევროკავშირში გაერთიანება და არც ნატოშ; ჩვენ კიდევ ერთხელ გაგვიცრუვდება იმედი, განსაკუთრებით ახლა, როცა მოლოდინი ძალიან დიდია. ჯერ ერთი, მთავარია, გავიგოთ, რომ ასოცირებული ხელშეკრულება არ ნიშნავს წევრობას.

**— საქართველოს ნატოსთან დაახლოების შემთხვევაში, თურქეთის ჰეგემონიის საშიშროება ხომ არ დადგება?**

— საქართველოში თურქეთის ჰეგემონია უკვე არსებობს, თანაც საკმაოდ სერიოზულად და დღითიდღე ღრმავდება კიდეც. ეს პროცესი საშიში ხდება. ნატოში შევალთ თუ არა, საქართველოს ინტერესები დაცული უნდა იყოს.

**— ბატონო ვალერიან, უნდა ჩატარდეს თუ არა ხელახალი პლებისციტი ნატოში შესვლასთან დაკავშირებით?**

— ამის აუცილებლობა არ არსებობს, რადგან ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას, თანაც, სანამ ნატოსთან დაკავშირებით ჩატარდება გამოკითხვა, **ყველამ უნდა იცოდეს, რომ კონფლიქტური ტერიტორიებით საქართველოს ნატოში არავინ მიიღებს. თუ ქვეყნის ხელისუფლება ამ საკითხის მოგვარებას ტერიტორიების გარეშე გადაწყვეტს, ეს ღალატის ტოლფასი იქნება და არა მგონია, რომ ამაზე ვინმემ ხელი მოაწეროს. დღეს საქართველოს უდიდესი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა და არა ნატოსთან ინტეგრაცია. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ისეთი არჩევანი, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაგვეხმარება. ნატოზე საუბარიც კი ტერიტორიების დაბრუნებას ხელს არანაირად არ უწყობს.**

ამიტომ საუბარი პლებისციტზე, თანაც იმ ვითარებაში, როდესაც მოსახლეობის 90-მა პროცენტმა არ იცის, რა არის ნატო, ზოგს ქალი ჰგონია, უაზრობად მიმაჩნია. კიდევ ვიმეორებ, ასეთი გამოკითხვის ჩატარების აუცილებლობა არ არსებობს, რადგან საკითხი ასე არ დგას — შევა თუ არა საქართველო ნატოში? საქართველოში, უბრალოდ, ადამიანები საკუთარ სურვილს ხმამაღლა გამოთქვამენ და მეტი არაფერი.

პრესა და ტელევიზია საქართველოში თავისუფალი არ არის, არ მუშავდება საზოგადოებრივი აზრი, მხოლოდ ერთი მიმართულება შუქდება და ქვევრის პრინციპით ხდება ყველაფერი: „რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებს“. ასეთ სიტუაციაში ყოველგვარი გამოკითხვა სისულელედ მიმაჩნია. განსხვავებული მოსაზრების მქონე ადამიანებს საშუალება არ აქვთ, რომ აზრი გამოთქვან.

**ბადრი ბიბილაშვილი, თსუ-ს სოციალ-პოლიტიკური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი**

— მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ დაიწყო დიდი იდეოლოგიური ბრძოლა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილზე გავლენის მოსაპოვებლად. კრემლი ცდილობდა სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმის დამყარებას. 1947-1948 წლებში მოხდა ორი მოვლენა: პრაღისა და ბერლინის კრიზისები, რამაც გამოიწვია აშკარა დაპირისპირება სსრკ-სა და დასავლეთ სახელმწიფოებს შორის. ამ ორმა მოვლენამ დააჩქარა აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ერთ სამხედრო კავშირად გაერთიანება. ეს ორგანიზაცია დაარსდა 1949 წლის 4 აპრილს. ხელშეკრულების რატიფიკაცია აშშ-ის სენატმა მოახდინა 1949 წლის 21 ივლისს. ამ მოკლე ისტორიული ექსკურსიდანაც ცხადად ჩანს, რომ **ორგანიზაცია თავის დროზე შეიქმნა ერთადერთი მკაფიო მიზნის განსახორციელებლად: არ დაეშვათ საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელება მსოფლიოს არც ერთ რეგიონზე, განსაკუთრებით კი — ევროპაზე.**

რეალურად ამ ორგანიზაციამ თავისი ფუნქციები ამოწურა მას შემდეგ, რაც დაიშალა სსრკ. მიუხედავად ამისა, ეს ორგანიზაცია არ დაიშალა და იგი უკვე აგრძელებს ფარულ ბრძოლას რუსეთის გავლენის შესამცირებლად და მის დასასუსტებლად. **რეალურად დღესდღეობით ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს იყენებს ერთადერთი ზესახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები. იგი თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებს სათამაშო იარაღად პატარა, სუსტ სახელმწიფოებს, როგორიცაა საქართველო.** სამწუხაროდ, ჩვენი გაუთვლელი, ირაციონალური საგარეო-პოლიტიკური კურსის გამო, რუსეთმა 2008 წლის ომის შემდეგ აფხაზეთი და სამაჩაბლო ე. წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა.

**ნატოს წესდების თანახმად, იგი ვერ მიიღებს თავის რიგებში იმ ქვეყანას, რომელსაც დარღვეული აქვს ტერიტორიული მთლიანობა. ამ დეტალზე ჩვენში განგებ ხუჭავენ თვალს სახელისუფლო წრეები და პროამერიკულად განწყობილი ანალიტიკოსები. ბუნებრივია, რომ ევროპის წამყვან სახელმწიფოებს, როგორებიც არიან გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, არ სურთ ჩვენ გამო თუნდაც დიპლომატიურ დაპირისპირებაზე წავიდნენ რუსეთთან, რომ აღარაფერი ვთქვათ სამხედრო-პოლიტიკური აქციების არჩატარებაზე.**

მართალია, ნატო კვლავაც ითვლება ძლიერ საერთაშორისო ორგანიზაციად, მაგრამ მას არ შეუძლია, ძლიერი ზეწოლა განახორციელოს წამყვან სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაზე ჩვენთან დაკავშირებით. **საქართველოს ნატოში გაწევრიანების შემაფერხებელი ობიექტური ფაქტორია ის, რომ კავკასიაში დომინანტ ძალას რუსეთი წარმოადგენს, რომელიც ცდილობს, არ დაკარგოს წამყვანი სახელმწიფოს ფუნქცია ამ სივრცეში. კავკასიას კი დიდი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მნიშვნელობა აქვს რუსეთისთვის; იგი თავისი ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოებისთვის საკიფათოდ მიიჩნევს რეგიონში აშშ-სა და ნატოს ინტერესების გატარების მცდელობას.** სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია დამოუკიდებელი პოლიტიკური ნება, რის გამოც მხოლოდ ქართული სახელმწიფო და ხალხი ზარალდება. **ჩვენი სუვერენიტეტი განულებულია, ქართველი პოლიტიკოსები ასრულებენ უცხო პარტნიორთა დავალებებს და არ ცდილობენ ფართომასშტაბიანი დიალოგის დაწყებას რუსეთთან, რათა, ორმხრივ ინტერესთა გათვალისწინებით, მოგვეცეს ქვეყნის გაერთიანების და რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის რეალური შანსი.**

ქართველი პოლიტიკოსები ყოველდღიურად გვარწმუნებენ, რომ მთავარია, ჩამოვაყალიბოთ მყარი დემოკრატიული ინსტიტუტები, დავაკმაყოფილოთ ნატოს სტანდარტები, რის შემდეგაც გავწევრიანდებით ამ ორგანიზაციაში. უტიფრად უარყოფენ იმას, რომ **ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უწევს რუსეთის ფაქტორის გათვალისწინება, დასავლეთ ევროპას კი არავითარი ინტერესი აღარ გააჩნია ჩვენი ქვეყნის მიმართ.**

დემოკრატიული ინსტიტუტების სიმყიფე მხოლოდ საბაბი არის ჩვენი ქვეყნის მიუღებლობისა ნატოში. რეალურად, კავკასიაში რთულია რუსეთის გავლენის შესუსტება, რადგან სომხეთი და აზერბაიჯანი არ ისწრაფვიან ნატოსკენ, მხოლოდ ჩვენ გამო კი სტაბილურ ურთიერთობას რუსეთთან არ დააყენებენ ეჭვქვეშ. **კავკასიის სამივე სახელმწიფო რომ მიისწრაფოდეს ნატოს წევრობისკენ, მაშინ ეს ორგანიზაცია ერთიან კონტექსტში განგვიხილავდა და მეტი შანსიც გაჩნდებოდა, მაგრამ ორივე რესპუბლიკა უპირატესობას რუსეთთან კარგ ურთიერთობას ანიჭებს. ამ ფონზე ეს იდეა ნამდვილად უპერსპექტივო ჩანს.**

პარადოქსია, მაგრამ **რეალურად ერთიანი საქართველო უფრო მეტად რუსეთის ეროვნულ ინტერესებს ემთხვევა, ვიდრე აშშ-ის. ეს სახელმწიფო ნამდვილად არ არის დაინტერესებული ჩვენს რეგიონში სტაბილურობით. მისი მიზანია, ახლომდებარე ქვეყნებზე გაავრცელოს თავისი გავლენა, რისთვის სჭირდება მტკიცედ ფეხის მოკიდება კავკასიაში.** სამწუხაროდ, არსებულ ქართულ პოლიტიკურ ძალებს არ ძალუძთ სისტემური, რეალური ცვლილებების განხორციელება. **საჭიროა ახალი ეროვნული პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება, რომელიც უპირველეს პრიორიტეტად გამოაცხადებს ფართომასშტაბიანი დიალოგის დაწყებას რუსეთთან.**

ათ წელზე მეტია, ვცდილობთ, ყოველ შემთხვევაში, ვაცხადებთ, რომ გვსურს ევროატლანტიკური ინტეგრაცია, მაგრამ, რაც მეტი დრო გადის, სულ უფრო ბუნდოვანდება ჩვენი პერსპექტივა ამ მიმართულებით. ჩემი აზრით, **აფხაზეთი და სამაჩაბლო არ არის საინტერესო რუსეთისთვის არც ეკონომიკურად და არც პოლიტიკურად. რეალური დიალოგის დაწყების შემთხვევაში, შევძლებთ ქვეყნის გამთლიანებას. ბუნებრივია, ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ ჩვენი მხრიდან გადაისინჯება საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტები და ასევე მივცემთ მყარ გარანტიებს რუსეთს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს ქვეყანაში არ მომძლავრდება ანტირუსული ძალები.** ხოლო, თუ არ შევიცვლით საგარეოპოლიტიკურ პრიორიტეტებს არსებული რეალობის გათვალისწინებით, მაშინ დღევანდელი ვითარება პოზიტივისკენ არ შეიცვლება და თანდათან უფრო გაუარესდება.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ბადრი ბიბილაშვილი:

## ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უწევს რუსეთის ფაქტორის გათვალისწინება, დასავლეთ ევროპას კი არავითარი ინტერესი აღარ გააჩნია ჩვენი ქვეყნის მიმართ

**«საქართველოს ნატოში გაწევრიანების შემაფერხებელი ობიექტური ფაქტორია ის, რომ კავკასიაში დომინანტ ძალას რუსეთი წარმოადგენს, რომელიც ცდილობს, არ დაკარგოს წამყვანი სახელმწიფოს ფუნქცია ამ სივრცეში»**

**P.S.** „საქართველო და მსოფლიო“ ნატოს თემაზე დისკუსიას განაგრძობს. საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება მიეცემა ყველა მსურველს.

დაგვიკავშირდით ტ.: 591 195 907, ელექტრონული ფოსტა: ekanaskidashvili@mail.ru ან გაზეთში მითითებულ მისამართებზე.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რეპლიკა**

**ძალზე სამწუხაროა, მაგრამ უახლოეს დროში ჩვენ ვიხილავთ პედოფილების აქტიურ მოქმედებებს. თავისი პედერასტ-ლესბოსელი „დებისა და ძმების“ მსგავსად, ეს არამზადები იყროყინებენ, რომ ისინი სექსუალური ორიენტაციის გამო განიცდიან დისკრიმინაციას, რადგან საზოგადოება მათ ბოროტმოქმედებად თვლის. პედოფილები აუცილებლად მოითხოვენ, თანაც ხმამაღლა, თავისუფლებას და განსაკუთრებულ სამართლებრივ დაცვას!..**

# პედოფილია, როგორც ნეოლიბერალიზმის განვითარების უმაღლესი ფაზა



**გამოძვერით ღრმა სოროებიდან მზის სინათლეზე, პედოფილებო, და გაიხარეთ, რადგან დადგა თქვენი დროც. ამერიკის ფსიქიატრიულმა ასოციაციამ აღიარა თქვენი უმძიმესი სენი მხოლოდ და მხოლოდ „სექსუალურ ორიენტაციად“.**

**მსოფლიოში ამ უმსხვილესმა ფსიქიატრიულმა ორგანიზაციამ უკვე მეხუთეჯერ გაუკეთა რედაქტირება თავის სახელმძღვანელოს „ფსიქიკური დარღვევების დიაგნოსტიკისა და სტატისტიკის თაობაზე“ (DSM-5), რომელშიც პედოფილია მოიხსენიება „პედოფილურ სექსუალურ ორიენტაციად“ და აღარ განიხილება ავადმყოფობად.**



„სახელმძღვანელოს“ ახალი რედაქტირება (მოწონებული ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაციის მიერ 2012 წლის დეკემბერში და გამოქვეყნებული 2013 წლის მაისში) ფსიქიკურ მოშლილობასთან ერთად (**„პედოფილური მოშლილობა“**) მოიხსენიებს, ასევე, **„პედოფილურ სექსუალურ ორიენტაციას“**, რომელიც, ამ სახელმძღვანელოს შემდგენელთა აზრით, აღარაა პათოლოგია...

**„პედოფილური მოშლილობის“ დიაგნოსტიკის კრიტერიუმები გათვლილია იმ შემთხვევებზე, როდესაც პაციენტი აღიარებს, რომ მას აქვს ეს გადახრა, აგრეთვე, მაშინაც, როდესაც პაციენტი უარყოფს საკუთარ ლტოლვას ბავშვებისადმი და მოზარდებისადმი, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში მას აქვს ეს საშინელი მიდრეკილება.** პირველ შემთხვევაში, როცა პაციენტი პატიოსნად აღიარებს, რომ იგი განიცდის ბავშვებისადმი ძლიერ სექსუალურ ლტოლვას და ეს ლტოლვა აღემატება ან უდრის მის სექსუალურ ინტერესებს ფიზიოლოგიურად მომწიფებული ადამიანებისადმი, და პაციენტი ჩივის, რომ ეს სქესობრივი განზრახვა უქმნის მას ფსიქოლოგიურ სირთულეებს, მას, შესაძლოა, დაუსვან დიაგნოზი **„პედოფილური მოშლილობა“;** ხოლო, თუ პაციენტი იტყობინება, რომ ამგვარი ლტოლვა მასში არ იწვევს დანაშაულის ან სირცხვილის გრძნობას, მაშინ, „პატივცემული“ ამერიკელი ფსიქიატრების მტკიცებით, ამ პაციენტს აქვს არა „პედოფილური მოშლილობა“, არამედ მხოლოდ უწყინარი **„პედოფილური სექსუალური ორიენტაცია“,** ანუ იგი პრაქტიკულად ჯანმრთელია!.. **როგორც ვხედავთ, უსირცხვილობა თურმე ფსიქიკური ჯანმრთელობის გარანტიაა! და, ალბათ, მხოლოდ ამიტომ ფსიქიკურად დაავადებულ უსირცხვილო სააკაშვილს ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაცია ჯანმრთელად თვლის!..**

აღსანიშნავია, რომ DSM-5-ში, რომელშიც „პედოფილური სექსუალური ორიენტაცია“ აღარაა აღიარებული ავადმყოფობად, ამოღებულია ხსენება **„მუდმივ და თვალნათლივ განცდაზე საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამო“.** ადრე ასე მოხსენიება აძლევდა სპეციალისტებს საფუძველს, გაეწიათ დახმარება იმ ადამიანებისთვის, რომელთაც სურდათ, უარი ეთქვათ ჰომოსექსუალურ განზრახვებზე. მაგრამ უკანასკნელ წლებში ჰომოსექსუალური მაფიისა და მათი აქტივისტების ძალისხმევის „წყალობით“, ასეთი დახმარება განიხილება, როგორც „არაეთიკური“; მეტიც, აშშ-ის რიგ შტატში ასეთი დახმარება იურიდიულადაცაა აკრძალული! **თუ პაციენტი განიცდის ჰომოსექსუალურ ლტოლვას, ოღონდ არ სურს, იყოს ჰომოსექსუალი, ამ შემთხვევაში, ფსიქიატრი უკვე ვალდებულია, განიხილოს პრობლემად არა პაციენტის სექსუალური ლტოლვა, არამედ სურვილის არქონა, გახდეს ჰომოსექსუალი! ამიერიდან „სპეციალისტი“ ვალდებულია, მიაღებინოს პაციენტს ჰომოსექსუალურობა!..** როგორც ხედავთ, ამერიკულ ფსიქიატრიულ ასოციაციას საერთოდ არ ადარდებს ის უტყუარი ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში ირღვევა ადამიანის უფლებები! ამგვარად, **ამერიკელი ფსიქიატრები „ნორმალური ჰომოსექსუალიზმის“ იდეოლოგიას კონკრეტულ ადამიანებზე და მათ ტანჯვაზე უფრო მაღლა აყენებენ!**

**ამერიკელი ფსიქიატრები «ნორმალური ჰომოსექსუალიზმის» იდეოლოგიას კონკრეტულ ადამიანებზე და მათ ტანჯვაზე უფრო მაღლა აყენებენ!**

აი, რა განვითარება გაიარა დამოკიდებულებამ ჰომოსექსუალურობის მიმართ **„ფსიქიკური დარღვევების დიაგნოსტიკისა და სტატისტიკის სახელმძღვანელოში“** (DSM-ში) — ჰომოსექსუალიზმი ჯერ განიხილებოდა როგორც ავადმყოფობა, სანამ არ მოხდა DSM-II-ს რევიზია 1973 წელს. DSM-III-ში ჰომოსექსუალიზმი აღარ ითვლება ავადმყოფობად და ის იცვლება ახალი დიაგნოზით, რომლის დადგენის კრიტერიუმად ითვლება **„ტანჯვა და უარყოფითი ემოციები საკუთარი ჰომოსექსუალურობის“ გამო**. DSM-IV-ში და DSM-IV-TB-ში კი ეს ცალკეული დიაგნოზი ქრება და ის განიხილება ისეთ უმნიშვნელო პრობლემათა შორის, როგორიცაა პაციენტის **„ტანჯვა სექსუალური ორიენტაციის გამო“** და მისი ცვლილების სურვილი. შემდგომ „სახელმძღვანელოდან“ ეს უკანასკნელი მოხსენიებაც ქრება და **ჰომოსექსუალიზმი განიხილება, როგორც „ნორმა“, ხოლო ნებისმიერი მცდელობა, დაეხმარო ადამიანს, შეცვალოს თავისი „სექსუალური ორიენტაცია“, ამერიკელი ფსიქიატრების აზრით, არაეთიკური და დაუშვებელია.**

თვალნათლივ ხედავთ, რომ პედოფილიის აღწერის განვითარება DSM-ში ანალოგიური სქემით მიმდინარეობს. ასეთი განვითარების პირველი ორი ეტაპი და მესამის ნაწილი პედოფილიას, ფაქტობრივად, უკვე გავლილი აქვს. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ დღეს პედოფილური ქმედებები თავისთავად განიხილება პათოლოგიად, რაც არალოგიკურია! **თუ პედოფილური მიდრეკილებები აღარაა ავადმყოფობა და მხოლოდ სექსუალური ორიენტაციაა, ხოლო პედოფილური ქმედებები რჩება პათოლოგიად, დგება ლოგიკური კითხვა:, ეს სქემა რატომ არ გამოიყენება ჰომოსექსუალობის მიმართაც?** ამ ლოგიკის ჩარჩოში უპრიანი იქნებოდა, ჩათვლილიყო „ნორმად“ და არა ავადმყოფობად, მხოლოდ სექსუალური ლტოლვა საკუთარი სქესის წარმომადგენელთა მიმართ, ანუ ჰომოსექსუალური ორიენტაცია, ხოლო კონკრეტული ჰომოსექსუალური ქმედებები განეხილათ როგორც პათოლოგია! რატომ არ ხდება ასე?!

დღევანდელი DSM-ის კონსტრუქციის ალოგიკურობა და ხელოვნურობა აშკარაა! ამასთან ერთად, აშკარაა მიმდინარე პროცესების მიმართულებაც. **თავის დროზე ცვლილებები ჰომოსექსუალურობის განმარტებათა მიმართ, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო პოლიტიკური აქტიურობით და ჰომოსექსუალთა საზოგადოებების ზეწოლით და არა ჭეშმარიტი სამეცნიერო ლოგიკით!** მიმდინარე ცვლილებებში საგრძნობი როლი ითამაშეს თავად ფსიქიატრების წრეში არსებულმა დაინტერესებულმა პირებმაც! **დღეს აშშ-ში დამოკიდებულება პედოფილიის მიმართ იგივეა! ამ სატანური ჭირის მომხრეები აქტიურად იბრძვიან თავიანთი ქცევის დაკანონებისთვის!** DSM-5-ში მომხდარი ცვლილებების დახმარებით და ამ „სახელმძღვანელოს“ სამართლებრივი წონის გათვალისწინებით, პედოფილები და მათი მფარველები გაცილებით იოლად მიაღწევენ მიზანს!..

**თავის დროზე ცვლილებები ჰომოსექსუალურობის განმარტებათა მიმართ, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო პოლიტიკური აქტიურობით და ჰომოსექსუალთა საზოგადოებების ზეწოლით და არა ჭეშმარიტი სამეცნიერო ლოგიკით!**

**ძალზე სამწუხაროა, მაგრამ უახლოეს დროში ჩვენ ვიხილავთ პედოფილების აქტიურ მოქმედებებს. თავისი პედერასტ-ლესბოსელი „დებისა და ძმების“ მსგავსად, ეს არამზადები იყროყინებენ, რომ ისინი სექსუალური ორიენტაციის გამო განიცდიან დისკრიმინაციას, რადგან საზოგადოება მათ ბოროტმოქმედებად თვლის. პედოფილები აუცილებლად მოითხოვენ, თანაც ხმამაღლა, თავისუფლებას და განსაკუთრებულ სამართლებრივ დაცვას!..**

ამგვარი ვითარება ნებისმიერ საზოგადოებას დააყენებს არჩევანის წინაშე: სამართლებრივი ლოგიკიდან გამომდინარე, მას მოუწევს ან პედოფილიის ნორმად აღიარება, როგორც უწინ ჰომოსექსუალიზმისა და პედოფილებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა (მაგალითად, „პედოფილური ქორწინების“ დაკანონება იმ ქვეყნებში, რომლებშიც კანონით აღიარებულია „ერთსქესიანი ქორწინება“); ან სცნოს, რომ უკვე მომხდარი სამართლებრივი ცვლილებები ჰომოსექსუალთა მიმართ (იგულისხმება მათი უფლებების დაცვა) იყო უმძიმესი შეცდომა და ეს გაუკუღმართებული ურთიერთობები სრულიად მოკლებულია სამართლებრივ საფუძვლებს! არის მესამე გზაც — დახუჭოს თვალი ამ საზიზღრობებზე და ისეთი სახე მიიღოს, თითქოს ეს პრობლემა არც კი არსებობს. აი, ასეთი დამოკიდებულება ყველაზე სახიფათოა, რადგან ის საზოგადოებისთვის, მისი ზნეობისთვის სასიკვდილო აღმოჩნდება!

**საუბედუროდ, ცვლილებებს DSM-ში ვერ შევაფასებთ წმინდა ამერიკულ გაჭირვებად, რადგან ეს „სახელმძღვანელო“ სერიოზულ გავლენას იქონიებს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) ავადმყოფობების საერთაშორისო კლასიფიკაციაზე!** ცხადია, ამ ჭირის ბაცილა ჩვენამდეც მოაღწევს. **ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებას მოჰყვება პედოფილიის, შემდეგ, ინცესტის, მერე ზოოფილიის და ბოლოს, ნეკროფილიის დამკვიდრება.** ვფიქრობ, თუ ქართული საზოგადოება ამ სატანიზმს მედგრად არ დაუდგება და გააფთრებულ წინააღმდეგობას არ გაუწევს, სავსებით შესაძლოა, მომსწრენი გავხდეთ 80 წლის მიხრწნილი ბებრის ხუთი წლის ბავშვთან ქორწინებისა ან „პირადი თავისუფლებისა და დემოკრატიის“ მოტრფიალე ნეკროფილის მიერ ღამით სასაფლაოზე მიცვალებულების წაბილწვისა!..

**გიორგი კორძაძე**

სხვისი თვალით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეკონომიკური ვარდნის საკომპენსაციოდ შტატები სულ უფრო ხშირად იყენებენ სამხედრო ხელკეტს. სპარსეთის ყურის პირველი ომი წამოწყებული იქნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან შუა აღმოსავლეთში შეერთებული შტატების ჰეგემონიის განსაახლებლად; მას თან დაერთო მცდელობა, რომ სამხედრო მოქმედებათა და ომის საფასურის ტვირთი ,,გადანაწილებულიყო“ შტატების მოკავშირეებზე. ქცევის ეს მოდელი გამოყენებული იყო, ასევე, ბალკანეთის ომის, ავღანეთში შეჭრის, ერაყის ომისა და ლიბიაში ინტერვენციის დროს.**

# დაჭრილი მხეცი: რა ძალა აქვს დღეს შეერთებულ შტატებს?



**„გლობალური კვლევების ცენტრი“ ჯონ რისის სტატიას გთავაზობთ. აღნიშნული ავტორი ,,ევროპული არჩევანი საქართველოსთვის“ მიერ „პოსტგლობალიზაციურ ინიციატივასთან“ ერთად თბილისში ჩატარებულ კონფერენციაში მონაწილეობდა.**
**სტატია ქართულად თარგმნა გიორგი კევლიშვილმა, საბოლოო რედაქცია ქეთევან ამირეჯიბს ეკუთვნის.**
**ჯონ რისი არის ავტორი წიგნებისა: ,,იმპერიალიზმი და წინააღმდეგობა“, ,,ვადები: თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური ისტორია“, ასევე თანაავტორი წიგნისა ,,ხალხის მოთხოვნა: არაბული რევოლუციების მოკლე ისტორია“. იგი არის თანადამფუძნებელი კოალიციისა „შეწყვიტე ომი“ (გაერთიანებულ სამეფოში) და რეგულარული ავტორია Counterfire-ში. ჯონ რისმა მონაწილეობა მიიღო ივლისში „პოსტ-გლობალიზაციური ინიციატივის“ მიერ თბილისში გამართულ კონფერენციაზე.**

არის თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები გლობალურ კრიზისში ჩაფლული, სირიის პრობლემაში უიმედოდ გახლართული, რუსეთისა და ჩინეთის გამოწვევების პირისპირ მყოფი, დაცემის გზაზე შემდგარი ზესახელმწიფო? **არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ შტატებმა თავისი ძალაუფლების ზენიტი უკვე გაიარა. ამაზე ბევრი რამ მიანიშნებს, მაგრამ არის კი ეს ნიშნები გრძელვადიანი ტენდენციების მაჩვენებელი თუ საქმე გვაქვს უბრალოდ კონიუნქტურულ კრიზისთან, რომლიდანაც შტატები ადრე თუ გვიან გამოვა და კვლავ დომინანტურ გლობალურ ძალად იქცევა?**

**ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა შეუძლებელია, თუ ვითარებას ისტორიულ პრიზმაში არ განვიხილავთ.**

## შეერთებული შტატების ძალა ცივი ომის შემდეგ

გავრცელებულია აზრი, რომ შეერთებული შტატები ცივი ომის შემდეგ აშკარად მოგებული დარჩა. ერთი შეხედვით, ეს ნამდვილად ასეა. იგი არ დაშლილა რევოლუციის შედეგად და არც მისი ეკონომიკა შემცირებულა ერთ დეკადაში 40%-ით. ყოველივე ეს რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპის იმპერიას დაემართა 1989 წლის შემდგომ, ახალი ათასწლეულის დასაწყისამდე.

თუმცა **ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში გაბატონებული „ჯერ კიდევ ზესახელმწიფოს“ ძალაუფლება გარკვეულწილად პარადოქსული ხასიათისაა და ეს გარემოება არსებითია 1989 წლის შემდგომი ისტორიის გასაგებად.** საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში შეერთებული შტატები, 1940-50-იანი წლებთან შედარებით, ეკონომიკური დაღმავლობის სტადიაში იმყოფება, ამასთან ერთად, სამხედრო თვალსაზრისით, იგი უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. **რეგრესირებადი ეკონომიკური ძალაუფლებისა და შეუდარებელი სამხედრო ძლევამოსილების შეუთავსებლობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ბოლო ორი დეკადის კონფლიქტების ხასიათი — განსაკუთრებით ტერორიზმთან ომისა.**

მოდით, ეს პარადოქსული მდგომარეობა ცოტა დაწვრილებით განვიხილოთ. შეერთებული შტატების ეკონომიკა ჯერაც მსოფლიოში უდიდესია და მნიშვნელოვნად წინ უსწრებს სხვა ქვეყნების ეკონომიკებს, მაგრამ, თუ 1945 წელს მსოფლიო წარმოების დაახლოებით 50% აშშ-ზე მოდიოდა, 1960 წელს ეს ციფრი 31%-მდე, ხოლო 2010 წელს 18%-მდე შემცირდა. აბსოლუტური მონაცემებით, ჩინეთისა და რუსეთის ეკონომიკები შტატების ეკონომიკასთან შედარებით, მცირეა, მაგრამ ისინი გაცილებით სწრაფად იზრდება და აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამ ზრდის მიმართულებაა.

სულ სხვა მდგომარეობაა სამხედრო ძალაუფლების ბალანსის მხრივ. **შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტი აღემატება სიაში მის შემდგომ მყოფ ათი ქვეყნის ერთად აღებულ ბიუჯეტს, ამიტომ, აშშ-ის სამხედრო ძალაუფლებას დღეს სერიოზული გამოწვევები არ გააჩნია.**

სწორედ ამან იქონია გადამწყვეტი ზეგავლენა აშშ-ის ცივი ომის შემდგომ საგარეო პოლიტიკაზე. **ეკონომიკური ვარდნის საკომპენსაციოდ შტატები სულ უფრო ხშირად იყენებენ სამხედრო ხელკეტს. სპარსეთის ყურის პირველი ომი წამოწყებული იქნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან შუა აღმოსავლეთში შეერთებული შტატების ჰეგემონიის განსაახლებლად; მას თან დაერთო მცდელობა, რომ სამხედრო მოქმედებათა და ომის საფასურის ტვირთი „გადანაწილებულიყო“ შტატების მოკავშირეებზე. ქცევის ეს მოდელი გამოყენებული იყო, ასევე, ბალკანეთის ომის, ავღანეთში შეჭრის, ერაყის ომისა და ლიბიაში ინტერვენციის დროს.**

## მარცხი ტერორიზმთან ომში

**„ვერც ერთი გეგმა ვერ უძლებს მტერთან შეხვედრას“**, – ნაპოლეონის ეს ცნობილი გამონათქვამი შეერთებული შტატების პოლიტიკამაც დაადასტურა. არსებობს მოსაზრება, რომ აშშ-ის ზემოაღწერილი პოლიტიკა პირველ ეტაპზე ამერიკის სასარგებლოდ მუშაობდა. **ბალკანეთის ომმა დაშალა იუგოსლავია, ხელი შეუწყო ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას და რუსეთი ნატოს წევრი ქვეყნებისა და შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების მარყუჟში მოაქცია.** სპარსეთის ყურის პირველმა ომმა, მართალია, ძვრა ვერ უყო სადამ ჰუსეინის რეჟიმს, მაგრამ მოახერხა მისი ეფექტური განეიტრალება და შეერთებულ შტატებს შუა აღმოსავლეთში ჰეგემონია შეუნარჩუნა.

2002 წლის 9 სექტემბრის შემდგომ, ტერორიზმთან ომმა შტატების იმპერიალისტური ამბიციების გაძლიერებას შეუწყო ხელი, მაგრამ პატივმოყვარეობა დაუსჯელი არ დარჩენილა. **ერაყის ომი, პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით, შეერთებული შტატების აშკარა კრახი იყო. ერაყული წინააღმდეგობის შეუპოვრობამ, თვით ქვეყნის შიგნით ომისადმი დამოკიდებულებამ, ქაოსმა ქვეყნის ომის შემდგომ ადმინისტრაციაში ბუნებრივად გამოიწვია ის, რომ ერაყის ხელისუფლებამ შეურაცხმყოფელი უარი უთხრა შეერთებულ შტატებს მისი 50 ათასიანი სამხედრო კონტინგენტისთვის სამშვიდობო ძალების სტატუსის მინიჭებაზე და ამ სახით ამ შენაერთის ერაყში დარჩენაზე.** შეერთებული შტატების კომპანიებმა, შესაძლოა, კიდეც ნახეს რაიმე ეკონომიკური მოგება ერაყული ინდუსტრიის, განსაკუთრებით, სანავთობო ინდუსტრიის „ნალების მოხდით“, მაგრამ, **ერაყის ომის საბოლოო მიზანი — შუა აღმოსავლეთში ოპერაციებისთვის სტაბილური პროდასავლური ბაზის შექმნა — მიუღწეველი დარჩა.**

**ავღანურ ომს კიდევ უფრო დიდი ფიასკო ელოდა. ნაცვლად დამარცხებისა, ამ ომმა გააძლიერა და გამოაცოცხლა თალიბანი.** ამჟამად შეერთებული შტატები იძულებული გახდა, აწარმოოს მასთან მოლაპარაკება პოსტოკუპაციურ მთავრობაში მისი შესვლის საკითხზე. ამასობაში „ალ ქაიდა“ საერთაშორისო ფრანჩაიზინგად იქცა — მოქმედებს პაკისტანში, ერაყში, სირიაში, იემენში, სომალიში, მალიში და ა.შ. პაკისტანი დესტაბილიზებულია. ამ ყველაფრის მცირეოდენ კომპენსაციად შეიძლება ბინ ლადენის ექსტრასამართლებრივი ლიკვიდაცია ჩაითვალოს.

## უხმოთა ხმა: არაბული რევოლუციები

**არაბულ რევოლუციათა კასკადმა ამ ისედაც გართულებულ მდგომარეობას კიდევ უფრო მეტი სიმწვავე შეჰმატა. 2011 წლის დასაწყისიდან ტუნისისა და ეგვიპტის რევოლუციები ისე აზვირთდა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს, რაიმე გავლენა მოეხდინათ პროცესებზე. რევოლუციებმა ძალაუფლებას ჩამოაშორა ორი სამარცხვინოდ „პროდასავლური“ დიქტატორი, რომელთაგან ერთი, ჰოსნი მუბარაქი, ისრაელსა და მთელ ახლო აღმოსავლეთში შეერთებული შტატების პოლიტიკის მთავარი დასაყრდენი იყო.**

მაგრამ იმპერიალისტურმა ძალებმა მაინც მონახეს რაღაც გამოსავალი ამ მდგომარეობიდან. 2011 წლის მარტში არაბულ რევოლუციებში შემობრუნება მოხდა. სპარსეთის ყურის ქვეყნები, კერძოდ, საუდის არაბეთი და კატარი, შუა აღმოსავლეთში დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი კონტრრევოლუციების ცენტრებად იქცნენ. მათ ერთიანი ძალით შეუტიეს ბაჰრეინის რევოლუციას და ჩაახშეს იგი. ამ სიტუაციაში ლიდერობდნენ სპარსეთის ყურის ქვეყნები, ხოლო შეერთებულმა შტატებმა და მოკავშირეებმა მათი დიპლომატიური მხარდაჭერა იკისრეს. ამის შემდეგ იმავე ძალებმა ყურადღება მიაპყრეს ლიბიას, ოღონდ ლიდერობა ნატომ, კერძოდ კი ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და შეერთებულმა შტატებმა ითავეს. ამჯერად რევოლუციონერთა დაქვემდებარება სამხედრო დახმარებით მოქრთამვის გზით მოახერხეს.

ვერ ვიტყვით, რომ ამით ლიბიელებს გაუმართლათ. ქვეყანა გამოიფიტა, იქცა იარაღის ბაზრად მთელი შუა აღმოსავლეთისთვის და ძლივს შეინარჩუნა გეოგრაფიული მთლიანობა. **უნიკალური და საგულისხმო ფაქტია, რომ არაბული სამყაროს პირველი პოსტრევოლუციური ხელისუფლება პარიზში, ჰილარი კლინტონისა და ნიკოლა სარკოზის მეთვალყურეობის ქვეშ, გამოცხადდა.**

მაგრამ გაუმართლათ დიდ ძალებს. ისინი თამაშში დაბრუნდნენ. **ნეოკონსერვატორთა ადრეულ ჩანაფიქრს, შეექმნათ სუბვერსიული დემოკრატიული მოძრაობები დასავლეთის ინტერესებისთვის არახელსაყრელი მთავრობების შესაცვლელად, არაბულმა რევოლუციებმა ახალი შესაძლებლობები შემატა.** სწორედ ამიტომ, დღეს ბრძოლა მიმდინარეობს ფუნდამენტური სოციალური ცვლილებების მოსურნე მასებსა და იმ უცხოურ პოლიტიკურ წრეებსა და მათ ადგილობრივ კლიენტთა შორის, რომელთაც ამ მასების დასავლური პოლიტიკის სათამაშოდ გადაქცევა უნდათ.

ეს კონფლიქტი ყველაზე თვალშისაცემი სირიაში გამოდგა. ამ ქვეყნის მმართველი რეჟიმის სიხისტემ და დაპირისპირების ადრეულმა მილიტარიზაციამ მისცა შესაძლებლობა დასავლეთს, ეცადა, რევოლუციური პროცესების ასადის რეჟიმის პროდასავლური ხელისუფლებით შეცვლაზე დაყვანა, მაგრამ მოვლენები არ ვითარდება ისე, როგორც ეს ლიბიაში მოხდა.

## გა-უ-ერთიანებელი ერების ორგანიზაცია

**მრავალი თვალსაზრისით, სირია არის ადგილი, სადაც ძალაუფლებისთვის ხანგრძლივი ბრძოლა და იმპერიალიზმის მიმდინარე კრიზისი ერთმანეთს დაემთხვა.**

ცივი ომის დასრულებიდან ლიბიაში ინტერვენციის დასრულებამდე ყველა კონფლიქტს დაახლოებით ერთნაირი კონფიგურაცია ჰქონდა: ეს იყო ომები, რომლებშიც მთავარი ძალები, მეტად თუ ნაკლებად მკაფიოდ, მეტი თუ ნაკლები ენთუზიაზმით შეთანხმებული იყვნენ, რომ მცირე, სამხედრო თვალსაზრისით სუსტი ნაციის წინააღმდეგ ომში კოალიციის ხელმძღვანელობას შეერთებულ შტატებს მიანდობდნენ. **თვით რუსეთის ან სხვა ქვეყნების წინააღმდეგობის შემთხვევაშიც კი, შეერთებულ შტატებს შეეძლო მათი თანხმობის გარეშეც მიეღწია საწადელისთვის. ეს პატერნი მუშაობდა ბალკანეთის ომში, სპარსეთის ყურის პირველ ომში, ავღანეთში, ერაყსა და ლიბიაში.**

**ნაწილობრივ იმიტომ, რომ რუსეთს სირიაში საკუთარი, განსაკუთრებული ინტერესები ჰქონდა, რომლის მსგავსიც სხვაგან არსად ჰქონია, ნაწილობრივ კი მზარდი ანტიდასავლური განწყობების გამო, სხვა სახელმწიფოებთან ერთად ამ ქვეყანას დღევანდელ კონფლიქტში მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ადგილი უკავია.**

**სირიაში დღეს არამხოლოდ სამოქალაქო ომია, არამედ, ასე ვთქვათ, „მინდობილობით აღჭურვილთა ომი“, ერთის მხრივ, რუსეთისა და ჩინეთის კლიენტსა და მეორე მხრივ, თურქეთის, სპარსეთის ყურის ქვეყნების, იორდანიისა და დასავლეთის მოკავშირეების მიერ ზურგგამაგრებულ მებრძოლ რაზმებს შორის.**

თავისთავად ცხადია, რომ ეს ომი ასევე ერაყის რეგიონული კონფლიქტის შემდეგ შექმნილი სიტუაციის ნაწილია. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰაგმა ისაუბრა ახალ შუააღმოსავლურ ცივ ომზე, რომელშიც დასავლეთი, ისრაელი და სპარსეთის ყურის ქვეყნები უპირისპირდებიან სირიას, ჰამასსა და ჰეზბოლას. აღსანიშნავია, რომ ჰაგის ამ გამოსვლის შემდეგ, სირიის კონფლიქტისადმი დამოკიდებულების საკითხში ჰამასსა და ჰეზბოლას შორის განხეთქილება დაიწყო.

**ტერორიზმთან ომმა მოიტანა ისეთი შედეგებიც, რომელთა წინასწარ განჭვრეტა ძალიან ძნელი იყო. ასე მაგალითად, ირანი, უფრო ძლიერ რეგიონულ ძალად იქცა, ვიდრე იგი ამ მოვლენებამდე გვევლინებოდა. შეერთებულ შტატებს და მის მოკავშირეებს, განსაკუთრებით ისრაელს, არ სურთ, რომ ასეთი ვითარება გაგრძელდეს და ცდილობენ, ეს არ დაუშვან.**

აშშ-ის სხვადასხვა სახელისუფლო ძალებს შორის გაჩაღებულმა ხანგრძლივმა ეკონომიკურმა ბრძოლამ, აგრეთვე, იმ მოკლევადიანმა პრობლემებმა, რომელთა წინაშეც ამერიკული იმპერიალიზმი დგას, შეასუსტა დიდ ძალთა კონსოლიდაცია, მაგრამ ნაადრევი იქნება, ვიფიქროთ, რომ ოდესმე არსებულ იმპერიულ ძალთაგან უდიდესი — შეერთებული შტატები, დღეს თუ არა, ხვალ დაეცემა.

ბრიტანული იმპერია და ბრიტანული ეკონომიკა, თუ უფრო ადრიდან არა, 1918 წლიდან, ღრმა კრიზისში იმყოფებოდა. მრავალი კოლონიური კონფლიქტი და მეორე მსოფლიო ომი გახდა საჭირო იმისთვის, რომ მას იმპერიული უპირატესობა დაეთმო.

**შეერთებული შტატები კვლავ მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოა. იგი შეიარაღებული და საშიშია. თვალნათლივ ვხედავთ, რომ იგი არ არის გაფერმკრთალებული და ღონემიხდილი ზესახელმწიფო, რომელიც მშვიდად უჩინარდება წყვდიადში. ჩვენ წინ დაჭრილი მხეცია.**

**ჯონ რისი**
European.ge

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ცრუ-ს მიერ დაქირავებული ანტისტალინელი, ფსევდო-გენერალი ვოლკოგონოვი თეთრზე შავით წერს, რომ ხრუშჩოვმა მას პირადად დაავალა დახვრეტის ბრძანებაზე სტალინის ერთი ხელმოწერა მაინც მოენახა, მაგრამ ასეთი რამ მან არქივებში ვერ აღმოაჩინა და ამის გამო ნაწყენი ვოლკოგონოვი თავს ამგვარად ინუგეშებს: სტალინი ისეთი სულელი არ იყო, მსგავსი ხელმოწერა რომ დაეტოვებინაო.“

# სტალინის ეპოქა ჩვენი სამშობლოს ოქროს ხანა იყო!

**სოციალურ ქსელებში გავრცელებულმა ინფორმაციამ, რომ დეპუტატები ლევან ბერძენიშვილი და თამარ კორძაია პარლამენტში განსახილველად ისეთი კანონპროექტის შეტანას აპირებენ, რომლის დამტკიცების შემთხვევაში მოქალაქე 1000 (ათასი) ლარით დაჯარიმდება მხოლოდ იმიტომ, რომ საჯარო ადგილას განათავსა კომუნისტური სიმბოლიკაო, რატომღაც გამახსენა დიდი ილია ჭავჭავაძის ლექსი „ბედნიერი ერი“. მართალია, ეს გენიალური ნაწარმოები XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ერის კოლექტიურ პორტრეტს წარმოადგენს, მაგრამ, როგორც ყველაფერი გენიალური, ის ახლაც — XXI საუკუნის დასაწყისშიც, უაღრესად აქტუალურია, რადგან ზუსტად წარმოაჩენს ჩვენი დროის ქართველების (რა თქმა უნდა, მისი უმეტესობის) სახეს: „...ყველა ყრუი, ყველა ცრუი, მცირე-დიდი — ყველა ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერი“... და, საერთოდ, ვისაც ჰქონდა „ბედნიერება“, ამ ბოლო თვეების განმავლობაში ეხილა და მოესმინა სხვა „დემოკრატების“ პათოლოგიური ზიზღით და ბინძური ჭორებით გაჯერებული გამოხდომები იოსებ სტალინისა და მისი ეპოქის წინააღმდეგ, დარწმუნდება, რომ ილია ჭავჭავაძემ სნაიპერული სიზუსტით მოახვედრა სამიზნეს — ნეოლიბერალიზმს! ვესაუბრები საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, ენერგეტიკისა და სამხედრო აკადემიების ნამდვილ წევრს, აკადემიკოსს, მწერალს, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატს, სტალინური ეპოქის გამოჩენილ მკვლევარს, წიგნების: „სტალინი — პერმანენტული გამარჯვების ღმერთი“, „ვადასტურებ, ომის დასაწყისი გამოეპარათ ჟუკოვსა და ტიმოშენკოს“ (რუსულ ენაზე); პიესების „მის ადგილს დაიკავებს სტალინი“ და „დამარცხება შეუძლებელია“, ავტორს — გივი ბერძენიშვილს.**



## გივი ბერძენიშვილი: რომ არა რუსეთი XIX საუკუნეში და იოსებ სტალინი XX-ში, საქართველო აღარ იარსებებდა არც პოლიტიკურად და არც ფიზიკურად

**— ბატონო გივი, თქვენ ხართ სტალინური ეპოქის მკვლევარი. წავიკითხე თქვენი ორი წიგნი და ვიტყვი, რომ ისინი გაჯერებულია დოკუმენტური მასალებით, ანუ თქვენი მსჯელობა ეყრდნობა საარქივო დოკუმენტებს, რაც ნებისმიერი მკვლევარისთვის აუცილებელია. თქვენი აზრით, თავის სატელევიზიო გამოსვლებში მოყვანილ ფაქტებს რით უმაგრებენ ზურგს ჩვენი შინნაზარდი ლიბერალები?**

— მხოლოდ და მხოლოდ „მწვანე“ დოლარით! ანუ იმ გრანტებით, რომლითაც ბერძენიშვილების, კორძაიების, ბაქრაძეებისნაირი გავლენის აგენტებს უხვად ამარაგებენ დასავლეთის სპეცსამსახურები და სხვა შავბნელი ორგანიზაციები.

დავიწყებ იმით, რომ თავის უბადრუკ ტელეგამოსვლებში ისინი ძალიან ცდილობენ, დაარწმუნონ მაყურებელი, თითქოს სტალინი და კომუნისტები სასტიკად უსწორდებოდნენ ხალხს, რომ სტალინის რეჟიმმა 40 მილიონი ადამიანი დახვრიტა და ეს ფაქტი უკვე დამტკიცებულიაო... უნდა აღინიშნოს ერთი უცნაურობა — დახვრეტილების რაოდენობაზე „დემოკრატ“ მკვლევარებს შორის არაა ერთსულოვნება; მაგალითად, ბანაკის დამსმენი, შემდგომში კი „დიდი“ მწერალი და „დისიდენტი“ **ალექსანდრე სოლჟენიცინი** ამტკიცებდა, რომ სტალინურმა რეპრესიებმა იმსხვერპლა 67 მილიონი ადამიანიო; ხოლო, ცრუ-ს აგენტმა, „საზოგადო მოღვაწემ“, დოსტოევკის შემოქმედების მკვლევარმა (რომლის ანტიეროვნულმა ქმედებებმა თვალნათლივ დაადასტურა, რომ დოსტოევსკის ვერაფერი გაუგო) **იური კარიაკინმა** პირში ჩალაგამოვლებული დატოვა „თვით“ სოლჟენიცინი! მისი მტკიცებით, დაიხვრიტა, არც მეტი, არც ნაკლები, 100 (!) მილიონი ადამიანი, ანუ მაშინდელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის (194 მლნ.) უმრავლესობა! ამ „მოაზროვნეებს“ თუ დავუჯერებთ, რა გამოდის? — გამოდის ის, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობას გამრავლების არავითარი შესაძლებლობა არ გააჩნდა! არადა, „ლიბერალ-დემოკრატების“ მიერ „განახევრებულ“ მოსახლეობას წინ უმძიმესი ომის გადატანა ელოდა. მაგრამ უმსხვერპლო ომი ბუნებაში რომ არ არსებობს? არადა, სსრკ-ის ხელოვნურად დანგრევის წინ, 80-ანი წლების ბოლოს, ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა თითქმის 300 (!) მილიონს აღწევდა!

**— ბატონო გივი, კარიაკინთან და სოლჟენიცინთან შედარებით, „ჩვენი“, თუ არ ვცდები, ლაშა ბაქრაძე მათზე ბევრად პატიოსანი აღმოჩნდა — სულ 40 მილიონი დახვრიტესო...**

— ვერც ბაქრაძის „ვერსიაა“ მთლად სარწმუნო, რადგან მაგ შემთხვევაშიც, 1991 წლისთვის, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის რაოდენობას სამას მილიონამდე რომ მიეღწია, თითოეულ ოჯახში უნდა შობილიყო არანაკლებ 20 ბავშვი, რაც აბსურდია!.. კარგი, დავუშვათ (და ამ შემთხვევაში ისევ ბაქრაძის „მონაცემი“ განვიხილოთ), 40 მილიონი ადამიანი კი არ დახვრიტეს, არამედ დაიჭირეს. ისმის კითხვა: ეს უზარმაზარი მასა სად უნდა მოეთავსებინა სტალინს?! იმდროინდელი მოსკოვის მოსახლეობა არ აღემატებოდა ორ მილიონს. გამოდის, რომ „სისხლისმსმელი დიქტატორი“ იძულებული იქნებოდა, აეშენებინა, სულ ცოტა, ოცი მოსკოვის ხელა ბარაკიანი დასახლება, რაც იმხელა თანხას მოითხოვდა, რომ სტალინს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე ხელი უნდა ჩაექნია! აღარაფერს ვამბობ ამ ხალხის კვებაზე, ჩაცმა-დახურვაზე და ა. შ.

**— ბატონო გივი, ამ სახის ინფორმაცია, ადამიანთა რა კატეგორიაზეა გათვლილი?**

— ჩემი აზრით, საინფორმაციო გადაცემების მაყურებლებზე, რომელთაც მიზანმიმართულად ძალზე უარყოფითი ინფორმაციის მიწოდებით საერთოდ დააკარგვინეს დამოუკიდებლად მსჯელობის უნარი, ლოგიკური აზროვნება; აი, თუნდაც დღეს „მაესტროს“ საინფორმაციო გამოშვებამ მაყურებელს დილა „გაუთენა“ ისნის რაიონში მომხდარი ხანძრით, რომელსაც ერთი ხანშიშესული ქალბატონი შეეწირა... „ლიბერალების“ აბსურდი გათვლილია, აგრეთვე, ლათინოამერიკული და თურქული მდარე ხარისხის სერიალებით გონებაწართმეულ ინდივიდუმებზეც, უკულტურო, უმეცარ და ძალზე მიამიტ ადამიანებზე.

ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთანავე, **ხრუშჩოვმა** დაიწყო სტალინის „გაშავების“ კამპანია. მისი მითითებით შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა გამოეძია, თუ რამდენი ადამიანი იყო რეპრესირებული 1921 წლიდან 1953 წლის ჩათვლით. კომისიამ საგულდაგულოდ იმუშავა და საიდუმლოდ მოახსენა ხრუშჩოვს: **„საბჭოთა კავშირში 1921 წლიდან 1954 წლის 1 თებერვლამდე კონტრრევოლუციური დანაშაულისთვის გასამართლდა 3 მილიონ 777 ათას 300 ადამიანი. მათგან დახვრეტა მიუსაჯეს 642 ათასს, რომელთაგან 300 ათასზე მეტს შეეცვალათ სიკვდილით დასჯის ზომა გადასახლებით“.** ამ ფრიად მნიშვნელოვან დოკუმენტს ხელს აწერენ საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი — **რუდენკო**, შინაგან საქმეთა მინისტრი — **კრუგლოვი** და იუსტიციის მინისტრი — **გორშენინი**. სახარებიდან ცნობილია, არა არს დაფარული, რაც ცნობილი არ გახდებაო. ამ საიდუმლო საბუთმაც იხილა მზის შუქი და არაერთხელ გამოქვეყნდა პრესაში. მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი „დემოკრატები“ არათუ წიგნებს, გაზეთებსაც არ კითხულობენ... ვეკითხები მათ: **სად არის აქ 40 მილიონი დახვრეტილი?! თუნდაც 1 მილიონი?!** და, რაც მთავარია, მითი „სტალინური რეპრესიებზე“ „მოიფიქრა“ **იოზეფ გებელსმა**, ხოლო მისგან ეს „საპატიო“ ესტაფერა გადაეცა ხრუშჩოვს; ამ უკანასკნელისგან კი — ფაშისტურ, სიონისტურ, მასონურ ორგანიზაციებს და სულ ახლახან ე. წ. **ლგბტ**-საც!..

**— დღევანდელი ქართველი „ლიბერალები“ თავიანთ გამოსვლებში სტალინს ადანაშაულებენ „ტოტალიტარული წყობის“ ჩამოყალიბებაში.**

— კი, ბატონო, **იყო: ტოტალური გარდაქმნა ქვეყნის ეკონომიკისა, ტოტალური აღმშენებლობა სოფლის მეურნეობისა, ტოტალური მშენებლობა მრეწველობისა და მძიმე ინდუსტრიისა, ქვეყნის თავდაცვისა! იყო ტოტალური გარდაქმნები განათლებაში, მეცნიერებაში, კულტურაში, კინოსა და თეატრალურ ხელოვნებაში და ა.შ. იყო ტოტალური ძვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში, რაც გამოიხატა ფასების ტოტალურ შემცირებაში კვების პროდუქტებსა და ფართო მოხმარების საქონელზე!** შევახსენებ ბატონ „ლიბერალებს“ კომუნალური გადასახადების სიმბოლურ ფასებზე, უფასო ბინებზე, უფასო ჯანდაცვაზე, უფასო განათლებაზე, უფასო დასვენება-მკურნალობაზე ქვეყნის საუკეთესო სანატორიუმებში! შევახსენებ მათ, ასევე, 7-საათიან სამუშაო დღეზე და 5-დღიან სამუშაო კვირა- ▶

მოკლედ

## არბევდა თუ არა ახალი შს მინისტრი 26 მაისის აქციას?

**პრემიერმინისტრობის კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილი ადასტურებს, რომ 2011 წლის 26 მაისს შს მინისტრობის კანდიდატი ალექსანდრე ჭიკაიძე რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდა, თუმცა აცხადებს, რომ ის „დამრბეველი არ ყოფილა“.**

ამის შესახებ ღარიბაშვილმა საპარლამენტო უმცირესობასთან შეხვედრაზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, დავით საყვარელიძის, შეკითხვაზე პასუხად განაცხადა, რომელიც დაინტერესდა, როგორ აფასებდა მომავალი პრემიერმინისტრი იმას, რომ 26 მაისის აქციის „ლეგიტიმური დარბევის“ პროცესის დროს, რის გამოც ვანო მერაბიშვილს ბრალი აქვს წარდგენილი, ალექსანდრე ჭიკაიძე, როგორც პოლიციის თანამშრომელი, რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდა.

**„ლექსო მაშინ მუშაობდა სამინისტროში. ის 26 მაისს ასრულებდა თავის მოვალეობას — ეს ლექსოსაც არ დაუმალავს, თუმცა ის არ იყო დამარბეველი. ასე რომ, ვერ გავიგე თქვენი კითხვის არსი. ლექსოს მიმართ რა კითხვა არსებობს, არ მესმის. ჩვენ ვისაც ბრალი წარვუდგინეთ, ესაა ვანო მერაბიშვილი. გამოძიებას კითხვები აქვს არა დარბევაში მონაწილე პოლიციელების მიმართ, არამედ ბრძანების გამცემთა მიმართ“,** — აღნიშნა ღარიბაშვილმა.



**„ორ ციტატას მოვიყვან: „მე ყოველ დილით ღმერთს შევთხოვ, რომ სტალინი კარგად და ჯანმრთელად ამყოფოს. მხოლოდ მას შეუძლია მსოფლიოს გადარჩენა“. „რომ არა სტალინი, უკვე აღარ იქნებოდნენ რუსები, თუმცა ასევე აღარ იქნებოდნენ ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები“. პირველი ციტატა ეკუთვნის ინგლისის პრემიერმინისტრს — უინსტონ ჩერჩილს; მეორე – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს — ფრანკლინ რუზველტს. დავიჯერო, რომ ლევან ბერძენიშვილზე ნაკლები დემოკრატები იყვნენ ეს ბუმბერაზი პიროვნებები?!“**

მართალი ისტორია

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ზე; და ეს მაშინ, როცა „აყვავებულ“ კაპიტალისტურ სამყაროში სამუშაო დღე გრძელდებოდა 12-16 საათი, სადაც ადამიანები (განსაკუთრებით მუშები) მძიმე სამუშაო პირობებში იმყოფებოდნენ და მათ მცირე ანაზღაურება ჰქონდათ.

ახლა კი, **ბერძენიშვილ-კორძაიას „დამოუკიდებელ და თავისუფალ“ საქართველოში მიზერულ ანაზღაურებაზე ამუშავებენ მუშას და ინტელიგენტს, თავად კი ასტრონომიულ ხელფასებს** (მუშისა და ინტელიგენტის ხელფასთან შედარებით) **იღებენ და უფრო მეტ პრემიებს უწერენ საკუთარ თავს.** მტკიცებულებები? — რამდენსაც ინებებთ! „ნაციონალი“ მინისტრების ხელფასი იყო 4 ათას ლარამდე, დამატებით ისინი ორ ამდენ პრემიას იწერდნენ. სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლების მოსვლამ ამ საკითხში უკეთესობისკენ ვერაფერი შეცვალა. თავის კაბინეტში შესვლა ვერ მოასწრო „ოცნების“ ფინანსთა მინისტრმა, ბატონმა **ხადურმა**, რომ თავის თავს 7080 ლარის ოდენობის პრემია გამოუწერა! ბატონმა **ივანიშვილმა** ეს თანხა იცოტავა და საკუთარი კაბინეტის წევრებს ხელფასი გაუორმაგა. მინისტრის დღევანდელი შრომის ანაზღაურება 7875 ლარია, რაც საარსებო მინიმუმს (146 ლარი) დაახლოებით 52-ჯერ აღემატება!

**— რა დამსახურებისთვის გაუზარდეს მინისტრებს ხელფასი?**

— ბათუმში ყოფნისას ბატონმა ივანიშვილმა ერთ-ერთ ბათუმელს თავისი ეს ნაბიჯი ასე აუხსნა: იმიტომ, რომ ქრთამი არ აიღონო... მე კი ასე ვეტყოდი ბატონ ბიძინას: **თუ ადამიანი უპატიოსნოა, ხელფასი მილიონიც რომ დაუნიშნო, ქრთამს მაინც აიღებს! ბატონ ივანიშვილის ქმედებიდან ჩანს, რომ იგი ქართულ პლუტოკრატიას ამკვიდრებს, ანუ მმართველობის იმ ფორმას, როცა ხელისუფლების გადაწყვეტილებას განსაზღვრავს არა ხალხის, არამედ მდიდარი ადამიანების კასტის ნება-სურვილი.**

განა ცინიზმი არაა იმავე ბატონ ხადურის ამასწინანდელი განცხადება: 2014-ში პენსიები აღარ გაიზრდება, რადგან ის წელს 150 ლარამდე გაიზარდაო?.. ან კიდევ, ცინიკურად არ ჟღერს ერთ-ერთი ვიცესპიკერის პასუხი: მძიმე სამუშაო გვაქვსო, როცა მას ჰკითხეს: დიდ ხელფასთან ამოდენა პრემია რა ამბავიაო? თურმე მინისტრებსა და პარლამენტარებს იმდენად მძიმე სამუშაო აქვთ, რომ მათი შრომის „სიმძიმე“ 20-ჯერ და 30-ჯერ აღემატება ექიმის, მასწავლებლის, მეცნიერისა და მუშის შრომას! ნამდვილად სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!..

**— ბატონო გივი, თუ გაიხსენებთ, საბჭოთა კავშირში, რამდენს უხდიდნენ მინისტრს?**

— „ავადსახსენებელი“ კომუნისტების ეპოქაში მინისტრის ხელფასი იყო 300-350 მანეთი. ამდენივეს იღებდა ათი წლის სტაჟის მქონე მასწავლებელი. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მუშის ჯამაგირი იყო 800 მანეთი; დამატებით, მას აძლევდნენ უფასოდ ბინას, ურიგოდ – მსუბუქ მანქანას, ჰქონდა უფასო სასადილოც! მეშახტის ანაზღაურება იყო 1500 მანეთი, პლუს მთელი რიგი პრივილეგიები. კომუნისტების დროს 500-გრამიანი ნატურალური ჭვავის პური ღირდა შვიდი კაპიკი, დღეს კი, ღმერთმა იცის, რა ფქვილისგან გამომცხვარი, 300-გრამიანი „ჭვავის“ პურის საფასური ლარ-ნახევარია!

**— რამდენიმე დღის წინ „მე-2 არხზე“ ყური მოვკარი მორიგი „დემოკრატის“ გამოსვლას. იგი რაღაც ქაღალდს აფრიალებდა და ხალხმრავალ აუდიტორიას არწმუნებდა, თურმე სტალინისა და მოლოტოვის ბრძანებით 11 წლის ბავშვებს ხვრიტავდნენ, აგერ — მათი ხელმოწერაცო. თქვენი კომენტარი?**

— ეს უკვე ზღვარგადასული სისაძაგლეა! უწიგნურობას თავი რომ დავანებოთ, ეს არის მიზანმიმართული უბინძურესი ცილისწამება უდიდესი ისტორიული პიროვნების მიმართ! ყველას უნდა გვახსოვდეს, ცილისწამებისთვის უფლის სამსჯავროზე უმკაცრეს პასუხს ვაგებთ! ამის მთქმელი იურიდიულ საკითხებშიც უმეცარია. ზნეობას თავი რომ დავანებოთ, სტალინს იურიდიულად არ ჰქონდა ასეთ საბუთზე ხელის მოწერის უფლება! თავის ოთხტომეულის მესამე ტომში **ცრუ-ს მიერ დაქირავებული ანტისტალინელი, ფსევდოგენერალი ვოლკოგონოვი თეთრზე შავით წერს, რომ ხრუშჩოვმა მას პირადად დაავალა დახვრეტის ბრძანებაზე სტალინის ერთი ხელმოწერა მაინც მოენახა, მაგრამ ასეთი რამ მან არქივებში ვერ აღმოაჩინა და ამის გამო ნაწყენი ვოლკოგონოვი თავს ამგვარად ინუგეშებს: სტალინი ისეთი სულელი არ იყო, მსგავსი ხელმოწერა რომ დაეტოვებინაო.** აქვე დავუმატებ: **დღეს ყველასთვის ცნობილია, რომ გორბაჩოვი და ელცინი ქმნიდნენ ბიურო-სამმართველოებს, რომლებიც აყალბებდნენ არქივებს, სტალინისა და ბერიას ხელმოწერებს.**

სტალინური მმართველობის მშვიდობიან წლებში საქართველოში პატიმართა რაოდენობა არასოდეს ასცდენია ათასიან ზღვარს, „დემოკრატიის შუქურების“ (სხვათა შორის, მათი მთავარი იდეოლოგი გახლდათ ლევან ბერძენიშვილი. აბა, გაიხსენოს!) 9-წლიანი ბობოქრობის პერიოდში კი საქართველოში პატიმართა რაოდენობამ 40 ათასს გადააჭარბა, სასამართლოში მიცემულთა, ე. წ. პრობაციონერთა, რაოდენობამ 350 ათასს მიაღწია; ამას დაუმატეთ 150 ქუჩაში დახვრეტილი უდანაშაულო ახალგაზრდა და ციხეებში წამების შედეგად დაღუპული 700-მდე პატიმარი! გავიხსენოთ, ასევე, 2007 წლის 7 ნოემბერს და 2011 წლის 26 მაისს მრავალათასიანი მშვიდობიანი მიტინგების დარბევა, რომელთაც მოჰყვა ათასობით ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა, ხოლო 26 მაისის დარბევამ ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა! მათი გვამები მაღაზიის სახურავზე შეაგდეს და თავხედურად განაცხადეს: დენის დარტყმით დაიღუპნენო... და **ამ არაადამიანური რეჟიმის მოსვლაში პირადად ლევან ბერძენიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა და ერთი წლის განმავლობაში სისხლისმსმელ სააკაშვილს ტაშსაც უკრავდა! მეტიც, ე. წ. ვარდების რევოლუციის პირველ დღეებში მან განაცხადა: ახლა საქართველოს ჰყავს ორი ღირსეული ლიდერი: ერთი, პოლიტიკური — სააკაშვილი და მეორე, რელიგიური — პატრიარქიო; ანუ მან უბილწესი ფსევდორევოლუციონერი უწმინდესი პატრიარქის გვერდით დააყენა!..**



**იყო ტოტალური გარდაქმნა ქვეყნის ეკონომიკისა, ტოტალური აღმშენებლობა სოფლის მეურნეობისა, ტოტალური მშენებლობა მრეწველობისა და მძიმე ინდუსტრიისა, ქვეყნის თავდაცვისა!**

ქუჩაში სამაგალითოდ დახვრეტილი აკადემიკოსი გურამ შარაძე, მოკლული პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, ციხეში წამებით სულამოხდილი პოლკოვნიკი თეთრაძე, სამარშრუტო ტაქსიში უიარაღო პოლკოვნიკის — კრიალაშვილის დახვრეტა, აფრასიძეების ოჯახის სადისტური განადგურების ოპერცია (ორი მიცვალებულით, ორი დაჭრილით და ჭკუიდან შეშლილი ოჯახის დედით...), პარლამენტარების — ვალერი გელაშვილისა და კობა დავითაშვილის დაუნდობლად ცემის ფაქტები და ა.შ. **ვეკითხები „პატივცემულებს“, „დიდ ჰუმანისტებს“ და „ადამიანის უფლებათა დამცველებს“ – ლევან ბერძენიშვილსა და თამარ კორძაიას: ვინ იმსახურებს გასამართლებას და ვისი სიმბოლიკები უნდა აიკრძალოს — კომუნისტების თუ „ნაციონალური მოძრაობის“? ასე გექცეოდნენ, ბატონო ლევან, საბჭოთა სუკ-ის საპატიმროში?** გაიხსენეთ, ერთი, ის პრივილეგიურ-კომფორტული პირობები, რომლებიც ჰქონდათ დისიდენტებს საბჭოთა ციხეებში! ამას თვით სოლჟენიცინი აღიარებდა! არ გჯერათ? წაიკითხეთ მისი განთქმული „არქიპელაგი...“! ქალბატონ **ნანა კაკაბაძესაც** ჰკითხეთ!

**— ბატონო გივი, რატომ არ ინდობთ მოგვარეს?**

— მოგვარეზე კი არა, ასეთ შვილზეც უარს ვიტყოდი! მე კარგად ვიცნობდი მის მამას — ბატონ ვალიკოს. დიდებული პიროვნება გახლდათ! ნაომარი ვაჟკაცი, კომუნისტი, სტალინელი. იგი იყო აჭარის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მისი ორი „ჭკუით გავსებული“ ბიჭის დისიდენტობის გამო, ბატონი ვალიკო თანამდებობიდან მოხსნეს და რიგით ადვოკატად ჩამოაქვეითეს. ლევანმა არც დისიდენტად ივარგა, სამარცხვინოდ მოინანია თავისი „შეცდომები“... **იცით, რა არის მისი ტრაგედია? კომუნისტები რომ დაბრუნდნენ, ისევ მოინანიებს! და, აი, ასეთი წარსულისა და ბიოგრაფიის მქონე არსება თავს უფლებას აძლევს, ანგრიოს საბჭოთა, კომუნისტური სიმბოლიკები, ლანძღოს და თათხოს სტალინი, რომელმაც 30-იან წლებში მსოფლიო იხსნა ტროცკისტული სიონიზმის ჯოჯოხეთისგან, 1945-ში კი — ფაშისტური ჭირისგან; ხოლო საქართველო ღატაკი, უწიგნური გუბერნიიდან აქცია აყვავებულ, განათლებულ, ბედნიერ ქვეყნად, რომელიც უკვე მეოცე საუკუნის 50-იან წლებში ცხოვრების დონით ევროპის ქვეყნების ხუთეულში მოხვდა!** ორ ციტატას მოვიყვან: **„მე ყოველ დილით ღმერთს შევთხოვ, რომ სტალინი კარგად და ჯანმრთელად ამყოფოს. მხოლოდ მას შეუძლია მსოფლიოს გადარჩენა“. „რომ არა სტალინი, უკვე აღარ იქნებოდნენ რუსები, თუმცა ასევე აღარ იქნებოდნენ ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები“.** პირველი ციტატა ეკუთვნის ინგლისის პრემიერმინისტრს — **უინსტონ ჩერჩილს;** მეორე – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს — **ფრანკლინ რუზველტს**. დავიჯერო, რომ ლევან ბერძენიშვილზე ნაკლები დემოკრატები იყვნენ ეს ბუმბერაზი პიროვნებები?!

გენიალურ აკაკის თავის დროზე სრულიად სამართლიანად აღმოხდა: „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოო“. მე კი, ვიტყოდი: მიმიფურთხებია იმ მთავრობისთვის, იმ ხელისუფლებისთვის, რომელიც ებრძვის სტალინის ხსოვნას, სტალინს ადარებს სააკაშვილს, განიხილავს ბერძენიშვილ-კორძაიას ანტიეროვნულ, ანტიდემოკრატიულ, უზნეო კანონპროექტს! მინდა ვუთხრა მათ და მათნაირ მანქურთებს: **რომ არა რუსეთი XIX საუკუნეში და იოსებ სტალინი XX-ში, საქართველო აღარ იარსებებდა არც პოლიტიკურად და არც ფიზიკურად, და რომ სტალინის ეპოქა ჩვენი სამშობლოს ოქროს ხანა იყო!**

**— მსმენია, რომ სტალინის ფენომენის შემსწავლელმა საზოგადოებამ, რომლის წევრიც თქვენ ბრძანდებით, „გებელსის პრემია“ დააწესა. მართლა ასეა?**

— ვაპირებთ ამ სამარცხვინო პრემიის დაწესებას. მისი „ლაურეატები“ აუცილებლად გახდებიან არამხოლოდ ის პირებები, რომლებიც სტალინის ლანძღვა-გინებით და მისი ძეგლების შეღებვით შოულობენ ლუკმაპურს, არამედ მართლმადიდებლობასთან და ეროვნულ ზნე-ჩვეულებებთან მებრძოლი მანქურთებიც! ასევე, **საზოგადოება გამოვა ინიციატივით, რომ სტალინის მკვლელობის დღე — 5 მარტი, გამოცხადდეს „დასავლური დემოკრატიის“ მსხვერპლთა ხსოვნის დღედ!** უპირველეს ყოვლისა, გავიხსენებთ იმ ხალხს, რომელიც შეეწირა „თბილისის ომს“, ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ძმათამკვლელ კონფლიქტებს, სააკაშვილის სისხლიანი დიქტატურის დროს ქუჩაში დახვრეტილ ადამიანებს, „არაბული გაზაფხულის“ და „დემოკრატების“ მრავალი სხვა დანაშაულის მსხვერპლს!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

## «ოცნებიდან» დეპუტატს აძევებენ

**საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე ადასტურებს, რომ დეპუტატ დავით ლორთქიფანიძის საკითხი პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს უახლოეს სხდომაზე განხილვის საგანი იქნება.**

საგანელიძის თქმით, დატოვებს თუ არა ლორთქიფანიძე პარტიას, ამაზე გადაწყვეტილებას პოლიტსაბჭო მიიღებს.

„ფრაქციის სხდომაზე ნამდვილად ვიმსჯელეთ საკითხზე, რომელიც უკავშირდებოდა დავით ლორთქიფანიძის გარკვეულ ჩარევას ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურებში. მან ამაზე გარკვეული შენიშვნები მიიღო. გარდა ამისა, განვიხილეთ თემა, რომელიც საარჩევნო შტაბის საქმიანობას ეხებოდა – დავალებები, თხოვნა, რომელიც ლორთქიფანიძეს შტაბიდან მიეცა, მან თავისებურად შეასრულა, შტაბის გადაწყვეტილებებს არ დაემორჩილა. თემა ფრაქციის სხდომაზე განვიხილეთ და მე, როგორც შტაბის ხელმძღვანელმა, ამაზე პრეტენზიები გამოვთქვი. ასევე გამოითქვა გარკვეული შენიშვნები და პრეტენზიები, რომ ის აქტიურად ერევა ვანის რაიონის თვითმმართველობის საქმიანობაში, რაც დეპუტატის მხრიდან სწორი და მართებული საქციელი არ არის. ეს შენიშვნები მან მიიღო. გადაწყვეტილებას მისი პარტიაში ყოფნა-არყოფნის შესახებ ფრაქცია ვერ მიიღებს, ამაზე პარტიის პოლიტსაბჭომ უნდა იმსჯელოს. მოგეხსენებათ, პარტია 24 ნოემბერს ყრილობას მართავს, სადაც ახალი პოლიტსაბჭო შეიქმნება და აღნიშნულ თემას სწორედ პოლიტსაბჭო განიხილავს. მოგვიანებით ამაზე შეიძლება ფრაქციამაც იმსჯელოს“, — განუცხადა ჟურნალისტებს დავით საგანელიძემ.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მრავალი ევროპული ქვეყანა სულაც არ იწვოდა სურვილით, სირიის კონფლიქტში ჩართულიყო, რამაც ვაშინგტონის მხრიდან დამატებითი გაღიზიანება განაპირობა. დიდწილად რუსეთის დიპლომატიური ძალისხმევის შედეგად ომის თავიდან აცილება მოხერხდა და იმავე რასმუსენმა სულ ახლახან აღიარა, რომ „სირიაში კონფლიქტისთვის საომარი გადაწყვეტილება არ არსებობს“.**

# ჩრდილოატლანტიკური ალიანსი შიდა წინააღმდეგობებში გაიხლართა

**ბრიუსელში რამდენიმე დღის წინ გახსნილი ნატოს სამიტი თავდაცვის მინისტრების დონეზე სისტემური კრიზისის გარემოში წარიმართა. ამასთან, ამჯერად მწვავე განსჯის ობიექტი გერმანია იყო. ალიანსის წევრებმა აშკარად რაღაც ვერ გაიყვეს.**

„ეს თანამშრომლობა ახლა უფრო მასშტაბურია, ვიდრე ოდესმე. ჩვენ მნიშვნელოვნად წავიწიეთ წინ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და მხარდაჭერა აღმოვუჩინეთ ავღანეთის არმიას“, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა რუსეთთან თანამშრომლობაზე საუბრისას. **საოცარია! მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიმართ რუსეთის დამოკიდებულებას უკანასკნელ წლებში, საუკეთესო შემთხვევაში, შეიძლება ცივი ეწოდოს, სამიტზე რუსეთის ირგვლივ არ უკამათიათ**. ალიანსს უფრო დიდი პრეტენზიები გერმანიის მიმართ აღმოაჩნდა.

**სამხედრო ბიუჯეტები ნატოში ამჟამინდელი განხეთქილებების მთავარი მიზეზია.** პრობლემა ახალი არ არის: ახალი საუკუნის დასაწყისიდან ბლოკის ევროპელი წევრების მონაწილეთა თავდაცვის ხარჯები საშუალოდ 15%-ით შემცირდა. ტენდენცია ჯერ კიდევ მანამდე შეინიშნებოდა, ვიდრე ევროპას საერთაშორისო ფინანსური კრიზისი შეეხებოდა, კრიზისის შემდეგ კი საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ ზედმეტი ფული, უბრალოდ, აღარ დარჩა. ფული აღარ დარჩა თვით მტკიცე ეკონომიკის მქონე საფრანგეთსა და გერმანიას, რომ აღარაფერი ვთქვათ გაკოტრებასთან მიახლოებულ ქვეყნებზე საბერძნეთიდან პორტუგალიამდე.

გასაგებია, რომ, როდესაც ერთს ფული აღარ ყოფნის, მეორე იძულებული ხდება, მეტი დახარჯოს. ეს მეორე კი არის ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის წილიც საერთო სამხედრო დანახარჯებში 63%-დან 72%-მდე გაიზარდა. **ვინაიდან ზედმეტი ფული არც ვაშინგტონს აქვს, ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ მიზნად დაისახა, მიაღწიოს ევროპის მსხვილი პარტნიორებისგან სახალხო აღიარებას, რომ მათი მხრიდან ალიანსისთვის გაღებული თანხები გაიზრდება.** ევროპელების სინდისს, უკვე მერამდენე წელია, უხმობს ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენიც. **„თუ თავდაცვაზე მიმდინარე ხარჯები შენარჩუნდება, ეს შეზღუდავს ნატოს ევროპული წევრების პრაქტიკულ შესაძლებლობას, იმუშაონ მათ ჩრდილოამერიკულ მოკავშირეებთან ერთად. ასევე სარისკო იქნებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი ალიანსის მიმართ პოლიტიკური მხარდაჭერის შესუსტება“,** — გააფრთხილა მან ევროპელები გასულ წელს.

ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ აშშ-ის კონგრესსა და ბრიუსელს შორის ნამდვილი ჩხუბი გაჩაღდებოდა, რადგან ელოდნენ, რომ ამერიკელი პარლამენტარები ხელოვნურად შეამცირებდნენ ვაშინგტონიდან მიმავალ ფულად ნაკადებს, მაგრამ კონგრესი ჯანდაცვის რეფორმითა და ნაციონალურ ბიუჯეტზე კამათით გაერთო, რის გამოც ბრიუსელთან საქმეების გარჩევა დროებით გადაიდო.

მეორე მხრივ, **არც ევროპელებს გასჩენიათ მეტის გადახდის სურვილი, პირიქით, ისინი აპირებენ ეკონომია გააკეთონ იმ სახსრებზე, რომლებიც ავღანეთიდან ჯარების გაყვანის შემდეგ გამოთავისუფლდება.** სამდივნო ამ გეგმების კატეგორიული წინააღმდეგია. შესაძლოა, მან მოახერხოს კიდეც ამ საკითხში ევროპის გადარწმუნება, მაგრამ დაფინანსების გაზრდის იმედები უმნიშვნელოა და ბლოკიც იძულებული გახდა, მადა მოეთოკა. **ბრიუსელში ნატოს ახალი შტაბ-ბინა, რომელიც მილიარდი ევრო ჯდება, მართალია, შეყოვნებით, მაგრამ მაინც აშენდება, მაგრამ ბლოკის სამეთაურო სტრუქტურის რიცხოვნება ერთბაშად მესამედით შემცირდება. „ჩვენ უზრუნველვყოფთ სერიოზულ ეკონომიას სამხედრო ბიუჯეტში, მაგრამ საერთო ჯამში სტრუქტურა უფრო დინამიური, ადაპტური და ეფექტური გახდება“,** — გამოთქვა იმედი რასმუსენმა.

ალიანსის მომარაგების საქმეში აშშ-ის გადამეტებული მონაწილეობის პრობლემა გამწვავებულია პოლიტიკურ უთანხმოებებთან დაკავშირებითაც. ვაშინგტონი ვარაუდობს, რომ მუსიკას უკვეთავს ის, ვინც ფულს იხდის, პრაქტიკაში კი ყველაფერი სხვაგვარად გამოდის. მაგალითად, მალიში განხორციელებულ სამხედრო ოპერაციაში აშშ დაინტერესებული იყო ბევრად უფრო უმნიშვნელოდ, ვიდრე, ვთქვათ, საფრანგეთი, მაგრამ გაირკვა, რომ აშშ-ის ტექნიკური და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის გარეშე პარიზი ვერაფერს გახდებოდა. კითხვებს ბადებს თვით საფრანგეთის შესაძლებლობები, დამოუკიდებლად აწარმოოს საჰაერო საბრძოლო ოპერაციები ალიანსის პარტნიორების დახმარების გარეშე.



**საფრანგეთი აცხადებს, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საერთო ევროპულ სისტემაში ხედავს, არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარ სუვერენიტეტზე თავდასხმას**

მეორე მხრივ, **მრავალი ევროპული ქვეყანა სულაც არ იწვოდა სურვილით, სირიის კონფლიქტში ჩართულიყო, რამაც ვაშინგტონის მხრიდან დამატებითი გაღიზიანება განაპირობა. დიდწილად რუსეთის დიპლომატიური ძალისხმევის შედეგად ომის თავიდან აცილება მოხერხდა და იმავე რასმუსენმა სულ ახლახან აღიარა, რომ „სირიაში კონფლიქტისთვის საომარი გადაწყვეტილება არ არსებობს“.**

კიდევ ერთი პოლიტიკური უთანხმოება უკავშირდება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ევროპულ სისტემას. ბრიუსელში უკვე დაადასტურეს, რომ 2018 წლისთვის „ეს სისტემა სრულად დაიცავს ევროპისა და ნატოს ქვეყნების მოსახლეობას“. ამასთან, მოსკოვს „აქტიურ მონაწილეობას“ დაჰპირდნენ. **„ჩვენ მზად ვართ, ვუპასუხოთ ყველა კითხვას, რომლებიც შეიძლება გაუჩნდეს რუსეთს“,** — დაიფიცა რასმუსენმა და დააზუსტა, რომ **იგეგმება შემუშავდეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ორი ცენტრი — რუსეთისა და ნატოსი — რომლებიც შეძლებდნენ „ინფორმაციის გაცვლას, ერთობლივი სწავლებების მომზადებას, საგარეო საფრთხეების გაანალიზებას“.** რუსეთის მხარეს, რომელიც აღნიშნული პროგრამის რეალიზებაში საკუთარი უსაფრთხოებისთვის პრობლემებს ხედავს, ამგვარი კომპრომისები სრულად მაინც ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ თვით ამ კომპრომისის უკანაც კი ალიანსის შიგნით ხანგრძლივი კამათი დგას. **აშშ, თურქეთი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, დიდი ხანია, ითხოვენ რუსეთის პრეტენზიებზე ხელის ჩაქნევას, მაგრამ პარიზი, ბერლინი და რომი თანმიმდევრულად აყენებენ დღის წესრიგში რუსეთის ფაქტორს და არ სურთ, მოსკოვთან მწვავე დიპლომატიური კონფრონტაციის ფაზაში გადავიდნენ.**

გარდა ამ ყველაფრისა, **საფრანგეთი აცხადებს, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საერთო ევროპულ სისტემაში ხედავს, არც მეტი, არც ნაკლები, საკუთარ სუვერენიტეტზე თავდასხმას და ეს საკითხი ამ დრომდეც არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი.**

ნატოში საფრანგეთის ახირებები, დიდი ხანია, აღარავის უკვირს. დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, დე გოლის პერიოდში პარიზმა ერთხელ უკვე დატოვა ნატოს სტრუქტურები, მაგრამ სარკოზის პრეზიდენტობისას კვლავ უკან დაბრუნდა. ახლა თურქეთიც ამღვრევს წყალს. მას აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა აქვს, ვთქვათ, როგორც ნატოს მნიშვნელოვან პარტნიორ ისრაელთან თანამშრომლობის მიმართ, ასევე კვიპროსის მიმართაც, რომლის ინტერესები იძულების წესით უნდა გაითვალისწინონ კუნძულ-სახელმწიფოს ევროკავშირელმა პარტნიორებმა.

**ჯერ კიდევ გასული წლის მაისში ჩიკაგოში გამართულ სამიტზე წამოყენებულ იქნა ალიანსში რეფორმების კონცეფცია, რომელსაც მასშტაბურს და ისტორიულსაც კი უწოდებდნენ. მაგრამ ახლა ევროპელი ანალიტიკოსები, უპირველეს ყოვლისა, გერმანელები, ადასტურებენ, რომ საუბარზე შორს საქმე არ წასულა. რეფორმა არა მხოლოდ ყოვნდება, არამედ საგულდაგულოდაა ყუთში შენახული.**

რეფორმებიც იმავე ფულს ეხებოდა, უფრო სწორად კი ხარჯების ოპტიმიზაციას. გადაწყდა, რომ სახსრების უკმარისობა უნდა კომპენსირებულიყო ალიანსის შიგნით კოორდინაციის გაუმჯობესებით, ასევე ნატოს სტრუქტურების ევროკავშირის სტრუქტურებთან თანამშრომლობით. სახელმწიფოები, რომლებიც ორივე გაერთიანებაში არიან გაწევრიანებულნი, თითქოს პასუხისმგებლობას იღებდნენ, კერძოდ, დაეხვეწათ საკუთარი სამხედრო პოტენციალი, რის შემდეგაც ჩაერთვებოდა ნატოს პოტენციალში წევრებს შორის, უპირველეს ყოვლისა, ტექნოლოგიურ და ინოვაციურ საკითხებში მჭიდრო თანამშრომლობის ხარჯზე.

პრიმიტიულად ეს წამოწყება შეიძლება შემდეგნაირად აისახოს: მშვიდობიან პერიოდში X ქვეყანას ორი ესკადრის ავიამზიდი ჰყავს, ქვეყანა Y-ს კი — არც ერთი. ამასთან, Y-ის სამხედროებს აღნიშნული ავიამზიდების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია აქვთ, იციან მათი გამოყენება და საომარი სიტუაციის დადგომის შემთხვევაში იციან, როგორ განკარგონ ისინი. ამრიგად, თუ ომია, ქვეყნებს თითო-თითო ავიამზიდი ექნებათ, რადგან საომარი მოქმედებების დროს ისინი, უბრალოდ, გაიყოფენ სამხედრო-ტექნიკურ პოტენციალს.

მაგრამ **თავდაცვის პროექტების კოორდინაცია მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, მიუხედავად გერმანიის დიდი მცდელობისა, რომელიც რეფორმის მთავარ მომხრედ მოიაზრებოდა.**

ბერლინის წინადადებები კიდევ უფრო შორს ჟონავს. **ალიანსის შიგნით უკეთესი კოორდინაციისთვის გერმანელებს სურთ, თავად ალიანსი რამდენიმე ჯგუფად დაყონ და პირობითი ლიდერის სახით ერთ-ერთი საკვანძო მოთამაშე „დანიშნონ“. თუ ახლა 28 სახელმწიფო ფორმალურად თანასწორუფლებიანია, ბერლინს სურს, ყველა ჯგუფში საკუთარი „რაზმის მეთაური“ ჰყავდეს.** რაღაც ამგვარი უკვე ბლოკმა უკვე გაიარა სამხედრო ოპერაციების დროს, თუნდაც იმავე ავღანეთში. გერმანელების აზრით, „ბლოკის შიგნით ბლოკების“ საშუალებით გაცილებით ადვილი იქნება საწადელის — შეიარაღებული ძალების ურთიერთქმედების, მჭიდრო სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის, სამხედრო პოტენციალის კორპორაციის მიღწევა.

**წინადადებას ეკლებით დახვდნენ ფრანგები, რომლებიც კვლავაც საკუთარ სუვერენიტეტზე დარდობდნენ. ამასთან, გერმანიას მიანიშნეს, რომ ვინ ვინ და ის კი არ უნდა გამოთქვამდეს ამგვარ ინიციატივებს, მით უფრო, რომ ბერლინს ცალსახად სურს, სათავეში ჩაუდგეს ერთ-ერთ ასეთ ჯგუფს.** საქმე ისაა, რომ ბუნდესვერის ნებისმიერი სამხედ- ▶

**თავდაცვის პროექტების კოორდინაცია მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, მიუხედავად გერმანიის დიდი მცდელობისა, რომელიც რეფორმის მთავარ მომხრედ მოიაზრებოდა**

ვაშინგტონისთვის განგაშის პირველი ზარი მაშინ გაისმა, როდესაც 12 ნატოელმა პარტნიორმა, მათ შორის უერთგულესმა ბრიტანეთმაც კი, უარი განაცხადა სირიის წინააღმდეგ ოპერაციაზე. მაშინ ევროპელებმა თავი იმით იმართლეს, რომ ფინანსური კრიზისის პირობებში ომი ძალზე ძვირადღირებული სიამოვნებაა. უკანასკნელი 13 წლის მანძილზე ევროპის ქვეყნებმა თავდაცვის ბიუჯეტი საშუალოდ 15%-ით შეამცირეს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რო ოპერაცია ქვეყნის პარლამენტმა უნდა მოიწონოს. ამიტომ მუდმივად არსებობს საფრთხე იმისა, რომ გადაწყვეტილებები ვერ იქნება მიღებული საკმაოდ ოპერატიულად ან საერთოდაც. ამის გამო შეშფოთება გამოთქვა აშშ-მაც, ბრიტანეთმაც, რომელიც საერთო ჯამში მხარს უჭერდა ბერლინის ინიციატივას. მთელი რიგი სხვა ქვეყნებისა, მაგალითად, **იტალია და სლოვაკეთი ჯგუფ Contra-ს ლიდერი საფრანგეთის გვერდით დადგნენ. ფრანგების მხრიდან ამ წინააღმდეგობას გერმანულ მედიაში „ფუნდამენტური ოპოზიცია“ უწოდეს.**

ამასთან დაკავშირებით ბერლინს გაახსენეს გაეროს უშიშროების საბჭოს კენჭისყრაც ლიბიის კონფლიქტში ჩარევასთან დაკავშირებით. მაშინ გერმანიამ თავი შეიკავა, შემდგომ კი გულახდილად აჩვენა, რომ არ სურდა სირიის კონფლიქტში ჩარევა, თუმცა ანგელა მერკელის დადანაშაულება ძნელია: **სირიის სამოქალაქო ომში ჩარევის პერსპექტივები ბუნდესტაგის არჩევნებზე ცოტა ხნით ადრე განიხილებოდა, სოციოლოგიური გამოკითხვები კი ერთსულოვნად ადასტურებდა, რომ გერმანელები, როგორც არავინ ცენტრალურ და დასავლურ ევროპაში, ეწინააღმდეგებიან ბაშარ ასადის რეჟიმის დასამხობად სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობას და ვერანაირი ქიმიური იარაღი ვერ გადაარწმუნებს მათ.**

სხვათა შორის, სამხედრო გადაწყვეტილებების მიღებაში ბუნდესტაგის მონაწილეობა კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას იმის გამოც, რომ გერმანიაში მომავალი ძლევამოსილი კოალიცია შემდგარი იქნება მერკელის კონსერვატორებისა და მათი მუდმივი ოპონენტების სოციალ-დემოკრატებისგან. არჩევნებზე ეს უკანასკნელნი ფინიშთან მეორენი მივიდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მემარცხენეები მთავრობაში სავარძლების მნიშვნელოვან ნაწილს დაიკავებენ, მათ შორის, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, საგარეო საქმეთა მინისტრის სავარძელსაც. ამასთან, **სოციალისტები, კონსერვატორებისგან განსხვავებით, კიდევ უფრო იშვიათად ემხრობიან მესამე ქვეყნების საქმეებში სამხედრო ჩარევას, ამიტომ გამოვა, რომ მმართველი საპარლამენტო კოალიცია, რომელსაც მთავრობა ეყრდნობა, პაციფისტებისგან შედგება.**

ეს ყველაფერი ძალიან უფუჭებს განწყობას გერმანიის თავდაცვის მინისტრ ტომას დე მაზიერს, რომელიც კოალიციური მოლაპარაკებების გამო იძულებული გახდა, ბრიუსელში სამიტის პირველი დღე გამოეტოვა. ამით კი კოზირი ოპონენტი ფრანგების ხელში აღმოჩნდა. არადა, **ტომას დე მაზიერი, მრავალრიცხოვანი ხმების თანახმად, არამხოლოდ აღნიშნული რეფორმის ლობირებას, არამედ ნატოს გენერალური მდივნის თანამდებობისთვის ბრძოლასაც კი აპირებდა. რასმუსენის უფლებამოსილება გასულ წელს იწურება.**

vz.ru

# ამერიკა «ქაღალდის ვეფხვი» ხდება

**წელი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ დროა, თეთრმა სახლმა ის ჩავარდნად აღიაროს. მიიღო რა სამი მძიმე დარტყმა სნოუდენისგან, სირიისა და მთავრობის შათდაუნისგან, დემოკრატიის ფლაგმანი ფინანსურად კარგავს წყალზე ტივტივის უნარს და ქვემეხებს ბორტს მიღმა ისვრის, ჩაძირული გემიდან კი უკვე გარბიან მოკავშირეები.**




**მსოფლიო კრიზისისა და სახელმწიფო ხარჯების დაზოგვის პირობებში ბარაკ ობამას ადმინისტრაცია იძულებულია, პენტაგონის მადაც მოთოკოს. უახლოესი ათი წლის ვადაში დაგეგმილია თავდაცვის ხარჯების 650-მილიარდიანი შემცირება და ამ თანხიდან 83 მილიარდი გაისად უნდა დაიზოგოს.** თუ იანვარში კონგრესი ხმას მისცემს ამგვარ გადაწყვეტილებას, **ამერიკის არმიის რიცხოვნება, შესაძლოა, 570 ათასიდან 380 ათასამდე შემცირდეს** და აშშ, თავდაცვის მინისტრის — ლეონ პანეტას აზრით, **დაკარგავს ზესახელმწიფოს სტატუსს და „ქაღალდის ვეფხვად“ გადაიქცევა.**

აშშ-ის სახმელეთო ჯარების შტაბის მეთაური, გენერალი რეი ოდიერნო მიიჩნევს, რომ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს აღარ ექნებათ უნარი, საომარი მოქმედებები აწარმოონ საკუთარი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. მის შეხედულებას სრულად იზიარებენ იმ ანგარიშის ავტორები, რომელიც ცნობილმა სადაზვერვო-ანალიტიკურმა კომპანია Stratfor-მა მოამზადა. ისინი, უპირველეს ყოვლისა, **ყურადღებას ამახვილებენ ამერიკის სამხედრო დასწრების შესუსტებაზე აშშ-ისთვის ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რეგიონებში, როგორიცაა სპარსეთის ყურე და ცენტრალური აზია. პერსპექტივაში კი სამხედრო-საზღვაო ძალები სახსრების უკმარისობის გამო იძულებულნი გახდებიან, ამჟამად მოქმედი ცხრა ავიამზიდიდან ოთხის ღუზა ჩაუშვან.**

ანალიტიკოსებსა და რეი ოდიერნოს ერთნაირად აღელვებთ სამხედრო ბიუჯეტის სეკვესტრის ნეგატიური გავლენა არმიისა და ფლოტის სამხედრო მზადყოფნაზეც. მიმდინარე წლის მარტში ავღანეთის ოპერაციისას სახსრების გადახარჯვის გამო პენტაგონი იძულებული გახდა, შეეკვეცა სხვადასხვა საბრძოლო ნაწილების მომზადების პროგრამა. **„საომარი მოქმედებებისთვის მზადმყოფი კვალიფიციურად მომზადებული მებრძოლების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. ახლა არმიის განკარგულებაშია ორი სრულად მომზადებული ბრიგადა, მხოლოდ ორი!“** — შეშფოთებულია გენერალი.

შესაძლოა, რეი ოდიერნოს კვნესას უფრო მეტი თანაგრძნობა გამოეწვია, რომ არა უამრავი გახმაურებული ფინანსური სკანდალი, რომლებშიც შესაშური რეგულარობით მონაწილეობს თავდაცვის უწყება. უკანასკნელი ამგვარი სკანდალი ოქტომბრის შუა რიცხვებში აგორდა. მაშინ გაირკვა, რომ **პენტაგონმა 16,5 მილიონით მეტი გადაუხადა აეროკოსმოსურ კორპორაცია BOEING-ს სადესანტო-სატრანსპორტო ვერტმფრენების — CH-47F CHINOOK-ის წარმოებისთვის. ამ კონტრაქტის სრული ღირებულება 4,4 მილიარდ დოლარს შეადგენდა.** კომპანიის ჩიკაგოს ფილიალში სპეციალისტები ვერტმფრენების აწყობისას ძველ დეტალებს იყენებდნენ და ითხოვდნენ მათი, როგორც ახლების, საფასურის ანაზღაურებას. ამ შემთხვევამდე სულ რაღაც ერთი კვირით ადრე ცნობილი გახდა, რომ **2007 წლიდან დღემდე აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებმა 560 მილიონზე მეტი დახარჯეს C-27J SPARTANS ტიპის 21 თვითმფრინავის შეძენაზე.** ამ **თვითმფრინავებიდან 16 უმალ აღმოჩნდა „თვითმფრინავების სასაფლაოზე“ — არიზონას შტატში მდებარე ავიაბაზა „დევის-მონტენზე“. დანარჩენ ხუთს, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე აწყობილი, სავარაუდოდ, იგივე ბედი ელის.**

ახლა, როგორც ჩანს, პენტაგონს მოუწევს, ყოველი ცენტი დაითვალოს. ეკონომიის მიზნით, თავდაცვის სამინისტრო აპირებს, გააუქმოს საერთო შეფასებების სამმართველო და სახლში გაუშვას მისი ლეგენდარული ხელმძღვანელი, 92 წლის ენდრიუ მარშალი. თავისი გონებისა და გარეგნული მსგავსების გამო შეარქვეს რა „ვარსკვლავური ომების“ პერსონაჟის სახელი იოდა, ეს ადამიანი ნამდვილად იმსახურებს „ანალიტიკისა და პროგნოზის მაგისტრის“ სტატუსს. მარშალმა თავის დროზე იწინასწარმეტყველა საბჭოთა კავშირის დამხობა, ჩინეთის აღორძინება, იყო ავტორი გაჭიმული ბირთვული ომის კონცეფციისა და ჯორჯ ბუშ უმცროსის სამხედრო დოქტრინისა, აღზარდა ისეთი ამერიკელი ქორები, როგორებიც არიან დიკ ჩეინი, დონალდ რამსფელდი და პოლ ვულფოვიცი. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ვერ გადაარჩენს თავდაცვის 13 მინისტრის გამომცვლელ მარშალსა და მის განყოფილებას. საკითხის საფასური წელიწადში 10 მილიონი დოლარია! ეს ფული პენტაგონისთვის არაფერია, სამაგიეროდ კარგად ასახავს ფინანსური გართულებების მასშტაბებს.

## ამერიკის შიდა პრობლემებმა მნიშვნელოვნად შეარყია მისი პოზიციები საერთაშორისო არენაზე, რაც ნეგატიურად აისახა მოკავშირეებთან ურთიერთობაზე

**ობამას ადმინისტრაციასა და რესპუბლიკურ უმრავლესობას კონგრესში სხვადასხვა შეხედულება აქვთ იმაზე, თუ როგორ და რამდენით უნდა შემცირდეს პენტაგონის ბიუჯეტი. ამიტომ ამ საკითხზე ცხარე დაპირისპირებები ჯერ კიდევ წინაა — სამხედროებსა და მათ დაქირავებულ სტრუქტურებს ხომ ძლიერი ლობი ჰყავთ ამერიკული პარლამენტის ორივე პალატაში. თუმცა უკვე ჩანს, რომ ამერიკის შიდა პრობლემებმა მნიშვნელოვნად შეარყია მისი პოზიციები საერთაშორისო არენაზე და ნეგატიურად აისახა მოკავშირეებთან ურთიერთობაზე.**

**ვაშინგტონისთვის განგაშის პირველი ზარი მაშინ გაისმა, როდესაც 12 ნატოელმა პარტნიორმა, მათ შორის უერთგულესმა ბრიტანეთმაც კი, უარი განაცხადა სირიის წინააღმდეგ ოპერაციაზე. მაშინ ევროპელებმა თავი იმით იმართლეს, რომ ფინანსური კრიზისის პირობებში ომი ძალზე ძვირადღირებული სიამოვნებაა. ფულზე წუწუნი გაგრძელდა ნატოს თავდაცვის მინისტრების სამიტზეც. უკანასკნელი 13 წლის მანძილზე ევროპის ქვეყნებმა თავდაცვის ბიუჯეტი საშუალოდ 15%-ით შეამცირეს.**

მერკანტილური საფუძველი სულ უფრო თვალნათლივ ჩანს აშშ-ის ურთიერთობაში ძირითად აზიურ მოკავშირესთან — პაკისტანთან. **ვიდრე ვაშინგტონი ისლამაბადს ყოველწლიურად აძლევდა 2 მილიარდ დოლარს ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისთვის და შეიარაღებას მნიშვნელოვანი ფასდაკლებით, ეს უკანასკნელიც ერთგული და დამჯერი იყო. მაგრამ ორი წლის წინ აშშ-მა დროებით შეაჩერა ფინანსური თანამშრომლობა და ისლამაბადმაც გზა გადაუკეტა ავღანეთში აშშ-ის და მისი მოკავშირეების ჯარისთვის მიმავალ ტვირთებს.** თეთრმა სახლმა პაკისტანი თალიბების მხარდაჭერაში დაადანაშაულა და საპასუხო ზომებით დაემუქრა. პასუხად კი საგარეო საქმეთა მინისტრმა ხინა რაბანი ხარმა განუცხადა: **„შესაძლოა, მოკავშირე დაკარგოთ. არ ღირს პაკისტანისგან განდევნილის შექმნა, ...წინააღმდეგ შემთხვევაში მოგიწევთ, პასუხი აგოთ საკუთარ არჩევანზე“.**

ჯერ პაკისტანთან არ მოუგვარებიათ საქმე და აშშ-მა მეორე პარტნიორისგან ზურგში მიიღო დარტყმა. **22 ოქტომბერს საუდის არაბეთის დაზვერვის მეთაურმა, პრინცმა ბანდარ ბინ სულთანმა გამოაცხადა, რომ, შესაძლოა, აშშ-თან თანამშრომლობა დასრულდეს. სპარსეთის ყურეში აშშ-ის ძირითადი მოკავშირე სირიაზე დარტყმისგან თავის შეკავებამ გააცოფა.** არანაკლებ მრისხანება გამოიწვია აშშ-ის მზადყოფნის გამოცხადებამ, დაიწყოს დიალოგი ირანის, საუდის არაბეთის შეურიგებელი მტრის, ახალ ხელმძღვანელობასთან.

**თეირანთან ვაშინგტონის კონტაქტებმა განარისხა აშშ-ის მთავარი ახლოაღმოსავლელი მოკავშირე ისრაელიც. ეს კი უკვე გემზე აჯანყებას ჰგავს და, თუ კაპიტანი ამ აჯანყებას არ ჩაახშობს, ან ბორტსმიღმა აღმოჩნდება, ან ანძაზე იკონწიალებს. მესამე ვარიანტი არ არსებობს...**

fbii.org

# პარლამენტი თუ ბალაგანი

**საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გიორგი ბარამიძემ პრემიერობის კანდიდატ ირაკლი ღარიბაშვილს საუბრის ტონი დაუწუნა.**

„თქვენ რა გგონიათ, ბატონო ირაკლი, ვისთან მოხვედით, როგორ საუბრობთ?! თავი შეიკავეთ! მთავარი თქვენი ტყუილი არის ის, რომ ჩვენ ქვეყანა დავანგრიეთ. თავი შეიკავეთ და წესიერად ილაპარაკეთ! თქვენ იმყოფებით პარლამენტში და არა ბალაგანში! დაიცავით ეთიკა!“ — მიმართა ბარამიძემ ღარიბაშვილს.

თავის მხრივ, ეთიკის დაცვისკენ მოუწოდა ბარამიძეს ირაკლი ღარიბაშვილმა. **„თქვენ ხართ იმ ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელიც ციხეებში ანადგურებდა ადამიანებს. ემოციებისგან თავი შეიკავეთ, გერჩივნათ მასე მიხეილ სააკაშვილთან გესაუბრათ“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ბარამიძემ კი უპასუხა, რომ, როდესაც საჭირო იყო, საჯაროდაც და პირადადაც უთქვამს შენიშვნები მიხეილ სააკაშვილისთვის.

ამის შემდეგ ღარიბაშვილმა მიმართა ბარამიძეს, ერთი ასეთი შენიშვნა მაინც დაესახელებინა, როდესაც გააკრიტიკა მისი პრეზიდენტი. **„გეტყვით, ეს იყო მაშინ, როდესაც გამოუშვეს გირგვლიანის მკვლელები, მე ის საჯაროდ გავაკრიტიკე. ჩუმად ვიყავი, მაგრამ გამოდიხართ აქ ახალგაზრდა კაცი, ლაპარაკობთ ტყუილებს და გგონიათ, ხურდას არ დაგიბრუნებთ არავინ“,** — უპასუხა გიორგი ბარამიძემ.

საქართველო და მსოფლიო
მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკიდურესი მემარჯვენე რესპუბლიკელების მხრიდან აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის ხელში ჩაგდების მცდელობის აღკვეთა მთელი ამერიკის ინტერესებშია. ეს სწორედ ისაა, რაც ობამას ადმინისტრაციამ შეიძლება დემოკრატიის საფრთხედ გამოაცხადოს. საფრთხე კი თავისთავად განაპირობებს საგანგებო ზომებს.**

# ბარაკ ობამა მესამე ვადით პრეზიდენტობისთვის ემზადება

**კონსტიტუციის 22-ე შესწორების თანახმად, ერთ ადამიანს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანამდებობის დაკავება არაუმეტეს ორი ვადით შეუძლია. შესწორება იმის გამო მიიღეს, რომ ფრანკლინ რუზველტი ქვეყანას ოთხი ვადით მართავდა: 1940 წელს იგი მესამედ აირჩიეს პრეზიდენტად, 1944 წელს კი — მეოთხედ. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ამერიკულმა დემოკრატიამ კონგრესის სახით ორვადიანი შეზღუდვა დააწესა, რადგან შესაძლო დიქტატურის შეეშინდა: რუზველტის პრეცედენტით, შესაძლოა, ვინმე მომავალ ტირანს ბოროტად ესარგებლა.**
**22-ე შესწორება 1947 წელს დამტკიცდა, 1951 წელს კი რატიფიცირებულ იქნა.**



როგორც ისტორიულმა პერსპექტივამ აჩვენა, ამ შესწორებას ნამდვილად ჰქონდა აზრი. **2008 წელს ამერიკაში პრეზიდენტად ბარაკ ობამა აირჩიეს — ადამიანი, რომლის მმართველობისას ქვეყანაში რეალობად იქცა ჯორჯ ორუელის შავბნელი წინასწარმეტყველება** (რომანი „1984“, სადაც აღწერილია ტოტალიტარული ამერიკის მომავალი „უფროსი ძმით“, სათვალთვალო ეკრანებით ვიწრო ბინებში და სიმართლის სამინისტროთი). **2013 წელს ბარაკ ჰუსეინი მართლაც დაფიქრდა მესამე საპრეზიდენტო ვადაზე და, როგორც ამბობენ, ამ თემაზე უკვე ესაუბრა კიდეც აშშ-ის გენერალურ პროკურორს.**

2013 წლის იანვარში, ანუ საპრეზიდენტო არჩევნებში ობამას მეორე გამარჯვების შემდეგ და ინაუგურაციამდე ცოტა ხნით ადრე გაჩნდა ინფორმაცია, რომელშიც იტყობინებოდნენ ნიუ იორკის დემოკრატი კონგრესმენის, ხოსე სერანოს, იდეის თაობაზე. ეს ადამიანი თვლის, რომ საჭიროა კონსტიტუციის 22-ე შესწორების კანონმდებლობით გაუქმება, რაც ბარაკ ობამას საშუალებას მისცემს, თეთრ სახლში მესამე ვადით დარჩეს. მისტერ სერანო მხოლოდ განცხადებებით არ შემოიფარგლა და 4 იანვარს წარადგინა შესაბამისი კანონპროექტი.

ცნობაში აღნიშნული იყო, რომ სერანო 22-ე შესწორების პირველი მოწინააღმდეგე არ არის, რადგან ეს შესწორება, როგორც ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს, პრეზიდენტობის მეორე ვადისას ამერიკის პრეზიდენტს, ფაქტობრივად, „კოჭლ იხვად“ აქცევს. ანალოგიური რეზოლუცია 1989 წელს თვით სენატის უმრავლესობის ლიდერის, გარი რიდის, მიერაც კი იყო წარდგენილი.

**რონალდ რეიგანმა, გახდა რა პრეზიდენტი, გამოხატა კონსტიტუციის 22-ე შესწორებისადმი მხარდაჭერა, მაგრამ პრეზიდენტობის მეორე ვადისას აზრი შეიცვალა. 1986 წელს მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა: „რაც უფრო მეტს ვფიქრობ ამაზე, მივდივარ დასკვნამდე, რომ 22-ე შესწორება შეცდომა იყო“. 22-ე შესწორების მოწინააღმდეგეთა შორისაა ბილ კლინტონიც.**

**რონალდ რეიგანმა, გახდა რა პრეზიდენტი, გამოხატა კონსტიტუციის 22-ე შესწორებისადმი მხარდაჭერა, მაგრამ პრეზიდენტობის მეორე ვადისას აზრი შეიცვალა. 1986 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა: «რაც უფრო მეტს ვფიქრობ ამაზე, მივდივარ დასკვნამდე, რომ 22-ე შესწორება შეცდომა იყო». 22-ე შესწორების მოწინააღმდეგეთა შორისაა ბილ კლინტონიც**



23 ოქტომბერს National Report-ში სტივენ უოლესმა დაწერა, რომ **ბარაკ ობამა, როგორც ჩანს, განიხილავს იმას, რაც ერთ დროს წარმოუდგენლად მიიჩნეოდა: დარჩეს პრეზიდენტად მესამე ვადით.** ამასთან, ჟურნალისტი იტყობინება, რომ **საზოგადოებრივი აზრის ბოლოდროინდელმა გამოკითხვებმა აჩვენა: ამ იდეას სულ უფრო მეტი ამერიკელი უჭერს მხარს. დანარჩენები ან ჯერ არ ჩამოყალიბებულან ამ საკითხთან დაკავშირებით, ან წინააღმდეგნიც არ არიან.**

National Report-ის განკარგულებაში აღმოჩენილ დოკუმენტებზე, მათ შორის ბარაკ ობამასა და გენერალურ პროკურორ ერიკ ჰოლდერის კერძო ელექტრონულ მიმოწერაზე, დაყრდნობით ჟურნალისტი მიანიშნებს ობამას მხრიდან რაღაც „კონკრეტულ“ შეკითხვებზე, რომლებიც 22-ე შესწორების გვერდის ავლის რეკომენდაციებს ან აშშ-ის კონსტიტუციის იმგვარად შეცვლას ითვალისწინებს, რომ შესაძლებელი გახდეს პრეზიდენტად მისი მესამე ვადით კანონიერად არჩევა.

თუმცა საკითხავია, საიდან აქვს ქსელურ პორტალს, რომელშიც ეგრეთ წოდებული სამოქალაქო ჟურნალისტები მუშაობენ, ობამასა და ჰოლდერის მიმოწერა?

გაირკვა, რომ არსებობს ვიღაც ანონიმური წყარო, რომელიც ამერიკის გენერალურ პროკურატურაში მოღვაწეობს და რომელიც ამ თემებზე ჟურნალისტებთან საუბარს დათანხმდა.

ამ საიდუმლოებით მოცულმა წყარომ აღნიშნა, რომ **დღეს ამერიკის კონსტიტუცია კრძალავს მესამე ვადით არჩევას, თუმცა, როგორც ამერიკის ნებისმიერი მოქალაქისთვის კარგადაა ცნობილი, კონსტიტუცია ცოცხალი დოკუმენტია. საჭიროების შემთხვევაში, ის შეიძლება ისე შეიცვალოს, როგორც ამას ხალხი ჩათვლის საჭიროდ. თავად ის ფაქტი, რომ ამ დრომდე კონსტიტუციაში უკვე 27 ცვლილება იქნა შეტანილი, იმის დასტურია, რომ ობამას მესამე ვადით გაპრეზიდენტება, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით გადაულახავი წინააღმდეგობების დაძლევას მოითხოვს, სავსებით რეალიზებადი იდეაა.**

რა აუცილებლობამ შეიძლება განაპირობოს საკონსტიტუციო ცვლილებები?

წყაროს ცნობით, **უკიდურესი მემარჯვენე რესპუბლიკელების მხრიდან აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის ხელში ჩაგდების მცდელობის აღკვეთა მთელი ამერიკის ინტერესებშია. ეს სწორედ ისაა, რაც ობამას ადმინისტრაციამ შეიძლება დემოკრატიის საფრთხედ გამოაცხადოს. საფრთხე კი თავისთავად განაპირობებს საგანგებო ზომებს.**

გენერალური პროკურორი ზემოხსენებული კითხვის პასუხად პრეზიდენტს ამცნობს, რომ კონსტიტუციის შესწორების რატიფიცირება შტატების სამმა მეოთხედმა უნდა მოახდინოს, მათგან 26-ს კი რესპუბლიკელები აკონტროლებენ.

ობამა კი არ თმობს და საგანგებო უფლებამოსილებებს და გაუთვალისწინებელ გარემოებებს იშველიებს.

გენერალურ პროკურორთან საუბრის მეორე დღესვე **ობამა ითხოვს იმ „გაუთვალისწინებელი“ გარემოებების ჩამონათვალს, რომლებიც პრეზიდენტს საგანგებო უფლებამოსილებებს შესძენდა. ამავე დროს იგი სვამს კითხვებს საომარი მდგომარეობის შესახებ, უფლებების შეზღუდვის შესახებ პრეზიდენტის მიერ საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში.**

ამ ყველაფერში კონსპიროლოგები მსუყე საკვებს იპოვიან განსჯისთვის. ისტორიები, რომლებიც უკავშირდება ასი ათასობით პლასტიკატის კუბოს, FEMA-ს ბანაკებს, აშშ-ის შიდა უშიშროების დეპარტამენტის მიერ სავსებით ოფიციალურად შეძენილ უდიდესი რაოდენობით საბრძოლო მასალებს, საკონტროლო გამშვები პუნქტების ტყვიაგაუმტარ და ცეცხლგამძლე კაბინებს, ტოტალურ თვალთვალსა და მოსმენებს ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მხრიდან, ოპოზიციონერ ჟურნალისტებზე ობამას ადმინისტრაციის მხრიდან ზეწოლას, „პატრიოტული აქტის“ მოქმედების გახანგრძლივებას, 2011 წელს „უფლებამოსილების აქტი ნაციონალური თავდაცვის შესახებ“ მიღებას, ეგრეთ წოდებული ანტისახელმწიფოებრივი საქმეების არმიისა და სპეცსამსახურების ხელში გადასცემას და საქმეებისთვის სამართლებრივი პროცედურის მოხსნას თითქოს მიანიშნებს იმაზე, რომ ამხანაგ უოლესის ირონიული შენიშვნა ცარიელ ადგილზე არ გაჩენილა.

სხვათა შორის, გარდა ხსენებული აქტებისა, **აშშ-ში ჯერ კიდევ 2007 წელს არის მიღებული „ჯონ უორნერის თავდაცვის უფლებამოსილების აქტი“, რომელიც ამერიკის პრეზიდენტს უფლებას აძლევს, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა, გაგზავნოს ჯარები ქვეყნის ნებისმიერ წერტილში და საკუთარ კონტროლს დაუქვემდებაროს სახელმწიფო ნაციონალური გვარდიის დახმარებით. გუბერნატორების ან ქალაქების თანხმობა საჭირო არ არის. საგანგებო მდგომარეობის მიზანია, „ჩაახშოს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები“.**

უნდა გავიხსენოთ ბრძანება „სასურსათე რესურსების განკარგვის“ შესახებაც. ეს ბრძანება პერიოდულად განაახლებს პრეზიდენტის უფლებამოსილებებს. **განკარგულების ძალაში შესვლისას პრეზიდენტი უფლებას იღებს, საკუთარ კონტროლს დაუქვემდებაროს ენერგიის ყველა სახელმწიფო წყარო და ითვალისწინებს როგორც საომარი, ასევე არასაომარი მიზნების მისაღწევად გაწვევის შემოღების შესაძლებლობასაც კი.**

და რაც შეეხება საფრთხეებს, რომლებზეც სა- ▶

**ობამა კრიზისული ამერიკის პრეზიდენტია. სწორედ მისი პრეზიდენტობისას მიაღწია ამერიკის სახელმწიფო ვალმა წარმოუდგენელ თანხებს, ღარიბ-ღატაკების რაოდენობამ კი მთელი ქვეყნის მოსახლეობის 15% შეადგინა**

**ევროკავშირში პროსტიტუციის აკრძალვას არავინ ჩქარობს. ერთის მხრივ, ის მშვენივრად ავსებს კრიზისისგან გამოცლილ ხაზინას. მაგალითად, გერმანიაში მეძავეები გამომუშავებული ფულის ნახევარს სახელმწიფოს აძლევენ. 2012 წელს გერმანიის საერთო შიდა პროდუქტის 5% პროსტიტუციის შემოსავლებმა შეადგინა. ეს თითქმის 170 მილიარდი ევროა!**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჭირო იქნება საგანგებო ზომებით რეაგირება, მაგალითისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო: სულ ცოტა ხნის წინ ფედერალური მთავრობა 16 დღით „გამოირთო“. და ამაში დამნაშავეები იყვნენ კონგრესის რესპუბლიკელები, რომლებიც თავს დაესხნენ სხვა ყველაფერთან ერთად ობამას სამედიცინო დაზღვევის პროგრამას.

და კიდევ ერთი რამ უნდა დავამატოთ.

**ბარაკ ობამას არ სურს, რამეში ჩამორჩებოდეს პლანეტაზე თავის უმთავრეს პოლიტიკურ კონკურენტ ვლადიმერ პუტინს. სირიის კრიზისმა ისედაც მტკივნეული დარტყმა მიაყენა თეთრი სახლის აგრესიულ უფროსს, თანაც ბარაკ ობამა მხოლოდ მეორე ვადით მართავს თავის სახელმწიფოს, პუტინისთვის კი საერთო ჯამში ეს მესამე ვადით პრეზიდენტობაა.**

ამ ბრძოლაში ობამას სასარგებლოდ ფაქტიურად არაფერი მეტყველებს. ერთადერთი, რაც მას ვინმეს თვალში, შესაძლოა, უპირატესობას აძლევდეს, მშვიდობის ნობელია, მაგრამ ამ პრემიის ავტორიტეტი უკვე იმდენად საეჭვო გახდა, რომ ხსენებული კრიტერიუმით ობამა მხოლოდ გორბაჩოვს შეიძლება შეედაროს.

და კიდევ: **ობამა კრიზისული ამერიკის პრეზიდენტია. სწორედ მისი პრეზიდენტობისას მიაღწია ამერიკის სახელმწიფო ვალმა წარმოუდგენელ თანხებს, ღარიბ-ღატაკების რაოდენობამ კი მთელი ქვეყნის მოსახლეობის 15% შეადგინა. მოკლედ რომ ვთქვათ, ობამა ვერაფრით დაიკვეხნის.**

გასაგებია, ამერიკის პრეზიდენტს ისტორიაში შესვლა სურს და არა მასში ჩავარდნა. მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტები დარწმუნებულნი არიან, რომ მსოფლიოში კრიზისი კიდევ სულ მცირე რამდენიმე წელს გაგრძელდება. ყველაზე პესიმისტური პროგნოზები, ათ და ოც წლამდეც კი მიდის. **თუ უკიდურესობებს გვერდს ავუვლით, კრიზისის მომდევნო 5-6 წლის დაძლევა და პრეზიდენტობის მესამე ვადის ამოწურვისას ამერიკის აღორძინებისთვის ტრიუმფატორის დაფნის გვირგვინით თავის დამშვენება, შესაძლოა, მისტერ ობამას ისტორიულ მიზნად იქცეს.**

ცხადია, რომ ამგვარი მიზნების მისაღწევად საჭირო იქნება ვაზნები, ბანაკები, კუბოები და ერთგული მწევრები შიდა უშიშროების დეპარტამენტიდან. ამავე დროს, არაფერი გამოვა საგანგებო მდგომარეობისა და დიქტატურის გარეშე. **ეკონომიკის გამოსწორებას ობამა სტალინის გამოცდილების გამოყენებითაც შეძლებდა. იძულებითი ინდუსტრიალიზაციის თანამედროვე მაღალტექნოლოგიური ვერსია ობამას, რომლის უკანაც მძლავრი IT-კორპორაციები დგანან, საშუალებას მისცემდა, უკან დაებრუნებინა ჩინეთიდან წარმოება და ამით სტრატეგიული მარცხი ეგემნა თავისი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეებისთვის.**

მაგრამ ამგვარი გრძელვადიანი ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყობისთვის ბარაკ ჰუსეინ ობამას მესამე ვადა ესაჭიროება...

**topwar.ru**

# პროსტიტუცია კონსტიტუციაში

**ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა და გენდერული თანასწორობა ევროპისთვის ძირითად მიმართულებაა. თუ იქაურმა პოლიტიკოსმა ერთხელ მაინც არ გააჟღერა აღნიშნული საკითხები, მას სერიოზულად არავინ აღიქვამს. ამ თემებზე შეიძლება მნიშვნელოვანი წინსვლა ან აღმასვლა. მაგრამ დიდი ხანია, რაც ევროკომისრები ჩვეულებრივი ევროპელი ქალების ცხოვრებით დაინტერესდნენ?**

ეს უკანასკნელნი კარგი ცხოვრებით ვერ დაიკვეხნიან. განსაკუთრებით ისინი, ვინც პატარ-პატარა დეპრესიულ ქალაქებსა და სოფლებში ცხოვრობენ. ყველაზე მტკივნეულად კრიზისი სწორედ მათ შეეხო. ამ კატეგორიის ქალების უმრავლესობისთვის ერთადერთ გამოსავლად შრომითი მიგრაცია იქცა. მაგრამ ქვეყნის საზღვრებიდან გასვლისთანავე ისინი მასობრივად გარდაიქმნებიან ევროპელი ქალებიდან ევროპელ მეძავებად.

**გარკვეულ ნაწილს ატყუებენ: მათ პირდებიან მაღალანაზღაურებად სამსახურს, მაგრამ ბარისა და სამზარეულოს ნაცვლად პირდაპირ პანელზე ამოაყოფინებენ ხოლმე თავს. აიძულებენ, იმუშაონ დღე და ღამ, ყოველგვარი შესვენებების გარეშე. თუ ვინმე უარს ამბობს მუშაობაზე ან ცოტა ფულს გამოიმუშავებს, სასტიკად სცემენ, აუპატიურებენ, შემდეგ კი ნარკოტიკებით ბერავენ. შეიძლება სახესა და გენიტალიებზე გოგირდმჟავაც გადაასხან, რომ „საქონლის“ მორიგ პარტიას ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს საკუთარ პერსპექტივებზე დაუმორჩილებლობის შემთხვევაში. ემუქრებიან ნათესავებისა და ბავშვების ამოხოცვით. საერთო ჯამში ევროკავშირში სექსუალური ექსპლოატაციის მსხვერპლი ყოველ წელს 500 ათასამდე ქალი ხდება!**

დანარჩენები არჩევანს შეგნებულად აკეთებენ. პროსტიტუცია ლეგალიზებულია ევროკავშირის მრავალ ქვეყანაში: გერმანიაში, ბრიტანეთში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, იტალიაში, საბერძნეთში, შვედეთში, ავსტრიაში... გადაიხადე გადასახადები და იმუშავე მშვიდად. სოციალური გარანტიებიც კი არსებობს. თუმცა, ადგილობრივი ჩინოვნიკების სასიხარულოდ, მიგრანტი მეძავები მათზე პრეტენზიებს არ აცხადებენ: **საუკეთესო სოციალური გარანტი გადახდისუნარიანი კლიენტები არიან. ინტიმური მომსახურების ღირებულება 30-დან 150 ევრომდე მერყეობს. დღეში შეიძლება 20-მდე კლიენტიც კი დაგროვდეს. საშუალოდ ყველა მეძავს შეუძლია თვეში 2,5-3 ათასი ევრო გადადოს. ამ ფულის დიდ ნაწილს ისინი საკუთარ ოჯახებს უგზავნიან სამშობლოში.**

ძირითადად, მეძავები ბულგარეთიდან და რუმინეთიდან მოდიან. მოცემულ მომენტში ევროკავშირის მთელი სექსმუშაკების მეხუთედი წარმოშობით ამ ქვეყნებიდან არიან. ყველა მეათე მეძავი ბალტიისპირეთის რომელიმე ქვეყნის წარმომადგენელია. **ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 400 ათასი გერმანელი მეძავიდან მესამედი ყოფილი საბჭოთა ქვეყნიდანაა; 80 ათასი ინგლისელი და 80 ათასი ფრანგი მეძავიდან 20%-ია საბჭოთა წარმომავლობის. უშუალოდ ლონდონში მომუშავე მეძავებს შორის ეს მაჩვენებელი 80%-ს აღწევს, იტალიის ზოგიერთ ქალაქში კი — 90%-ს.**



**საფრანგეთის სამხრეთით 40 ათასი სტუდენტი პერიოდულად დასაქმებულია პროსტიტუციაში. 250 ათასი სტუდენტი სიღატაკის ზღვარზეა, 45 ათასი — ამ ზღვარს მიღმა. ბერლინში ყოველი მესამე სტუდენტი სერიოზულად ფიქრობს იმაზე, რომ პანელზე დადგეს**

ამასთან, უძველესი პროფესიის სასარგებლოდ არჩევანს აკეთებენ არა მხოლოდ ევროკავშირის პერიფერიის წარმომადგენელი ქალები. უმაღლესი განათლების მიღება ფუფუნებად იქცა მსოფლიოს მოსწავლეთათვის. ამ ფუფუნებისთვის კი ხშირად საკუთარი სხეულით იხდიან გადასახადს.

2003-დან 2010 წლამდე ბრიტანეთში განათლების მიღება, ვთქვათ, სამედიცინო ფაკულტეტზე, წელიწადში 1,3-დან 3 ათას ფუნტ სტერლინგამდე გაიზარდა. 2012 წლიდან მოყოლებული ხელისუფლებამ უმაღლეს სასწავლებლებს ნება დართო, სწავლების საფასური 9 ათასამდე გაზარდონ.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, **2003-დან 2010 წლამდე 3%-დან 10%-მდე გაიზარდა იმ ბრიტანელი სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც ირწმუნებიან, რომ მათი ნაცნობები სწავლების გადასახადის მოსაგროვებლად პროსტიტუციით არიან დაკავებულნი.**

კინგსტონის უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის თანახმადაც **კრიზისის პერიოდში სექს და პორნოინდუსტრიაში დაკავებული სტუდენტების რაოდენობა 3%-დან 25%-მდე გაიზარდა. ყოველი მეხუთე სტუდენტი სტრიპტიზის მოცეკვავეა.**

გაზეთმა Independent ჩაატარა საიდუმლო ჟურნალისტური გამოძიება. აღმოჩნდა, რომ **უზრუნველყოფილი ბრიტანელები მზად არიან, გადაიხადონ 15 ათასი ფუნტი სტერლინგი სწავლის საფასური სტუდენტისთვის სემესტრში ოთხჯერადი სექსმომსახურების სანაცვლოდ.** საამისოდ განცხადებები ქვეყნდება სპეციალურ საიტებზე. ასეთი იყო ვებგვერდი SponsorAScholar.co.uk. ჟურნალისტებმა მოახერხეს გაერკვიათ: გამოძიების მომენტში მხოლოდ ამ ინტერნეტრესურსის წყალობით „მეცენატობა“ მიიღო 1500-ზე მეტმა გოგონამ. საფრანგეთში მხოლოდ 2011 წელს ჟანდარმერიამ დააკავა 44 ჯგუფი, რომლებიც ანალოგიურ საიტებს ამუშავებდნენ.

რაც შეეხება საფრანგეთს, როგორც სტუდენტური სტატისტიკური სააგენტო იტყობინება, **ქვეყნის სამხრეთით 40 ათასი სტუდენტი პერიოდულად დასაქმებულია პროსტიტუციაში. 250 ათასი სტუდენტი სიღატაკის ზღვარზეა, 45 ათასი — ამ ზღვარს მიღმა. ბერლინში ყოველი მესამე სტუდენტი სერიოზულად ფიქრობს იმაზე, რომ პანელზე დადგეს.**

სტუდენტების უდიდეს რაოდენობას არ აქვს საშუალება, კარგად ანაზღაურებად სამსახურში მოეწყოს. ხშირად არჩევენ სამსახურს და განათლებას შორის დგას. ამ დროს პროსტიტუცია მშვენიერი ალტერნატივაა. ის დიდ დროს არ იკავებს და საკმაოდ შემოსავლიანია. ზოგიერთები მუდმივად არიან ამ საქმეში ჩართულნი, ზოგიერთები — მხოლოდ არდადეგებზე. ზაფხულის განმავლობაში თავისუფლად შეიძლება მომდევნო სასწავლო წლის გადასახადის დაგროვება.

**დამატებითი ტვირთია კრედიტები, რომლებიც სწავლის საფასურის დასაფარად აიღეს ახალგაზრდებმა. ამ ტვირთის გამო არა მხოლოდ სტუდენტები, არამედ უკვე დიპლომირებული ახალგაზრდებიც იძულებულნი არიან, რამდენიმე დღე იშიმშილონ კიდეც, სხვა, საკუთარ პროფესიაზე მაღალანაზღაურებადი სამუშაო ეძებონ, რომ როგორმე გადაიხადონ ავბედითი კრედიტები.**

რაც შეეხება სკოლის მოსწავლეებს, ისინი ესკორტსერვისებს ამჯობინებენ. მაგალითად, ასე მოიქცა 18 წლის კლერი. **„ამ ფულის გარეშე ვერც კოლეჯს ვეღირსებოდი და ვერც ინსტიტუტს. მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტი თვეში 70 ფუნტი სტერლინგი მიჯდება. არ ვიცოდი, ვისთვის მიმემართა, საკუთარი ოჯახის კისერზე ჩამოკიდებაც არ მინდოდა. დავიწყე სამუშაოს ძებნა, მაგრამ სამუშაო საათები არ მაწყობდა, სწავლების საათებს ემთხვეოდა. მყავს ერთი ახლობელი, რომელიც ცდილობდა, ესკორტსერვისში შევეტყუებინე, როდესაც ჯერ კიდევ 16 წლის ვიყავი. მეუბნებოდა, რომ კარგ ფულს ვიშოვიდი ჩემთვის მოსახერხებელ დროს მუშაობით, ასევე თავად გადავწყვეტდი, ვის შევხვდე, როდის შევხვდე და რამდენად ხშირად გავაკეთო ეს“.**

როგორც ამ ყველაფრიდან ჩანს, ხელისუფლების მხრიდან ხდება ახალგაზრდებს შორის პროსტიტუციის პროვოცირება.

სტატისტიკის თანახმად, მეძავების 95%-ს სექსუალური იძულება შეეხო, 70-დან 95%-მდე გააუპატიურეს პროსტიტუციაში მუშაობისას ან, სულ მცირე, ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი მაინც გახდა. 60%-მა რამდენიმე აბორტი გადაიტანა. მეძავების მესამედს პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა აღენიშნება, ეს კი მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, რომელიც რეგულარული ფსიქოტრამვირებადი სიტუაციების შედეგად ჩნდება. მრავალ მეძავს მათ შორის, ვინც რეაბილიტაციას გადის, ეს დაავადება ომის ვეტერანების დონის მძიმე ფორმებით აქვს.

**მაღალია ვენერიული დაავადებების, ჰეპატიტების ან შიდსით დაავადების ალბათობა. მეძავების დიდი ნაწილი ალკოჰოლიზმის ან ნარკომანიის მსხვერპლია. ვინც ვერ უძლებს ამ ყველაფერს, ან თავს იკლავს, ან სულიერად დაავადებულთა სპეციალურ დაწესებულებებში ხვდება.**

და ამ ყველაფრის მიუხედავადაც კი, ქალები არ ცდილობენ, თავი დააღწიონ ამ საქმეს, რადგან ხშირად ეს ერთადერთი საშუალებაა ოჯახისა და თავის სარჩენად.

**ევროკავშირში პროსტიტუციის აკრძალვას არავინ ჩქარობს. ერთის მხრივ, ის მშვენივრად ავსებს კრიზისისგან გამოცლილ ხაზინას. მაგალითად, გერმანიაში მეძავები გამომუშავებული ფულის ნახევარს სახელმწიფოს აძლევენ. 2012 წელს გერმანიის საერთო შიდა პროდუქტის 5% პროსტიტუციის შემოსავლებმა შეადგინა. ეს თითქმის 170 მილიარდი ევროა!**

ერთ რამეში ევროპელი ჩინოვნიკები არ ცდებიან — სხეულით ვაჭრობის აკრძალვით ევროპელ ქალებს არსებობის უკანასკნელ შანსსაც წაართმევენ. სამწუხაროა, მაგრამ „თანამედროვე მსოფლიოში ქალთა ღირსეულ ადგილად“ ევროპელმა ბიუროკრატებმა, როგორც ჩანს, პანელი აირჩიეს.

**hvylya.org**

საქართველო და მსოფლიო
უბედური ქვეყანა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორ მოვიქცე: ბაქოში თუ ცარიცინში? საკითხს ზოგჯერ ცარიცინის სასარგებლოდ ვწყვეტ, ზოგჯერ (უმეტესად) — ბაქოს სასარგებლოდ. სტარორეჩენსკაიაში ისე ჩამოვედი, რომ გადაწყვეტილი არ მქონდა, როგორ მოვქცეულიყავი. როგორც კი კატარღიდან ჩავედი, დავინახე ჩვენი, ხორბლით დატვირთული გემი და თვით ნეიმანი, უცებვე გადავწყვიტე გამეგზავნა ხორბალი ბაქოში.**

# სტალინი: შენი თავი მე არ მაინტერესებს



სტალინი და ლენინი, 1919 წელი

**დევი სტურუას თავის წიგნში „სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი“ შეტანილი აქვს მამამისის — ძველი ბოლშევიკის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის — გიორგი სტურუას მონათხრობი ორი ამბავი, რომლებიც უთუოდ დააინტერესებს ჩვენს მკითხველებს და ამიტომ გთავაზობთ.**

## „ვანოს ძმა რომ არ იყო, დაგხვრეტდი“

1918 წელს გიორგი სტურუა დანიშნული იყო საგანგებო კომისრად ჩრდილოეთ კავკასიაში ბაქოსა და მისი რაიონების საკვები პროდუქტებით მომარაგების საქმეში. 50-კაციანი შეიარაღებული რაზმით იგი ყიზლიარის რაიონში გაემგზავრა.

თხუთმეტიოდე დღის შემდეგ გემი „კოკუმი“ ხუთი ათასი ფუთი ხორბლით დატვირთეს და ბაქოსკენ გასამგზავრებლად გაამზადეს.

„ამ დროს ჩვენმა ბიჭებმა შეამჩნიეს, რომ კასპიის ზღვის სანაპიროზე ჩვენკენ ადამიანების რაღაც ჯგუფი მოემართება. მათ შესახვედრად დაუყოვნებლივ გავაგზავნე 30 შეიარაღებული რაზმელი. გაირკვა, რომ ეს ამხანაგები ასტრახანიდან იყვნენ — პროდუქტების საგანგებო კომისიიდან, რომლებიც ლატვიელებისგან შედგებოდა. მათ მეთაურობდა ამხანაგი ნეიმანი. როგორც კი გაიგო, რომ ჩვენ ბაქოში ვაგზავნით ხორბლით დატვირთულ გემს, ნეიმანმა შემომთავაზა, იგი ბაქოს ნაცვლად ცარიცინში გამეგზავნა...

**ჩემს უარზე დაპატიმრებით დამემუქრა, რაზეც მშვიდად ვუპასუხე, თუ იმავე სულისკვეთებით გააგრძელებდა საუბარს, თვითონ მას დავაპატიმრებდით და გემის ტრიუმში ჩავსვამდით... მაშინ ნეიმანმა გულის ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო და მომაწოდა. ვკითხულობ: ეს ქაღალდი ლენინის ხელმოწერილი მანდატი აღმოჩნდა. ევალებოდა, წაერთმია ნებისმიერისთვის ხორბალი და გაეგზავნა ცარიცინში. მანდატი წავიკითხე, დავკეცე და დავუბრუნე ნეიმანს. განვუცხადე, ლენინი აქ რომ ყოფილიყო, არასოდეს იტყოდა, არ გაგვეგზავნა პური ბაქოს პროლეტარიატისთვის, რომელიც შიმშილით სულს ღაფავდა, და ცარიცინისკენ გადაგვემისამართებინა ეს ძვირფასი ტვირთი.**

ნეიმანს ასე კი განვუცხადე, მაგრამ ამავე დროს დავფიქრდი, რომ საქმე მაქვს მანდატთან, რომელსაც ხელს თვით ლენინი აწერს. რა მექნა? გადავწყვიტე, ჩემი სწრაფმავალი კატარღით „ჩავქენებულიყავი“ ცარიცინში, სადაც იმ დროს იმყოფებოდა ამხანაგი სტალინი, რათა მისგან მიმეღო მითითება — ბაქოში გამეგზავნა ხორბალი თუ ცარიცინში. გადავწყვიტე და წავედი სტალინთან.

**ცარიცინში შევიტყვე, რომ სტალინის შტაბი მის მატარებელშია, რომელიც რკინიგზის სადგურში დგას. მივედი სადგურში და იქ მეუბნებიან, რომ სტალინი ქალაქშია, სასტუმროში, რომლის სახელწოდება ახლა არ მახსენდება, და იღებდა სამოქალაქო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს.**

**ამხანაგმა სტალინმა მიმიღო.** პირდაპირ შემეკითხა, რატომ ჩამოხვედითო. პატაკი შესავლით დავიწყე. ლამის მესამე სიტყვაზე შემაწყვეტინა და გამიმეორა შეკითხვა: — **რატომ ჩამოხვედით?**

მივხვდი, რომ მას წინასიტყვაობის მოსასმენად არ ეცალა და გადავწყვიტე პირდაპირ საკითხის არსზე გადავსულიყავი. მაგრამ არ გამომივიდა, და კვლავ შესავლით, თუმცა მოკლეთი, დავიწყე.

მაშინ სტალინი მეუბნება: — **უმჯობესი იქნება, მითხრათ, რატომ ჩამოხვედით. თავი დაანებეთ წინასიტყვაობებს.**

მივხვდი, რომ საუბარი ჩამივარდებოდა, თუ საქმეზე არ გადავიდოდი და ვუთხარი, რომ ყიზლიარის რაიონში დამზადებული მაქვს ხორბალი ბაქოსთვის და მთხოვენ ბაქოს ნაცვლად მის ცარიცინში გაგზავნას. თანაც დავუმატე, რომ რაზმს ხელმძღვანელობს ამხანაგი ნეიმანი, რომელსაც აქვს ლენინის ხელმოწერილი მანდატი, და როგორ მოვიქცემეთქი?

ამხანაგმა სტალინმა ბუკვალურად შემდეგი რამ მითხრა:

— **მოიქეცით ისე, როგორც გთავაზობთ ამხანაგი ლენინი...**

— **როგორ-მეთქი,** — შევეპასუხე, — **უპუროდ დავტოვო ბაქოს პროლეტარიატი?!**

სტალინმა კვლავ შემაწყვეტინა და დაბეჯითებით მითხრა:

— **ბაქოს მაინც ვერ შევინარჩუნებთ. ბაქო დაეცემა. ამოცანა ის არის, რომ ვოლგისპირეთი შევინარჩუნოთ. მას თუ შევინარჩუნებთ, გადავარჩენთ საბჭოთა ხელისუფლებას და ბაქოს დავიბრუნებთ. თუ ვოლგისპირეთს დავკარგავთ, შიმშილი მოაშთობს საბჭოთა ხელისუფლებას, რადგან ვოლგისპირეთის გარეშე არ გვექნება პური. ამიტომ, მოდით, გავაკეთოთ ისე, როგორც ლენინი გვთავაზობს.**

განმეორებით შევეკითხე:

— **მაშასადამე, ხორბალი ცარიცინში გავაგზავნო?**

სტალინმა მოკლედ მიპასუხა:

— **დიახ.**

ასე დამთავრდა ჩვენი საუბარი. დავემშვიდობეთ ერთმანეთს და წამოვედი. დავჯექი ჩემს კატარღაზე და მივცურავთ სრული სიჩქარით სტარორეჩენსკაიასკენ. ვზივარ და ვფიქრობ: — **როგორ მოვიქცე: ბაქოში თუ ცარიცინში? საკითხს ზოგჯერ ცარიცინის სასარგებლოდ ვწყვეტ, ზოგჯერ (უმეტესად) — ბაქოს სასარგებლოდ. სტარორეჩენსკაიაში ისე ჩამოვედი, რომ გადაწყვეტილი არ მქონდა, როგორ მოვქცეულიყავი. როგორც კი კატარღიდან ჩავედი, დავინახე ჩვენი, ხორბლით დატვირთული გემი და თვით ნეიმანი, უცებვე გადავწყვიტე გამეგზავნა ხორბალი ბაქოში.**

ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ასევე მოიქცეოდა ამხანაგი ლენინი. ვუბრძანე „კოკუმის“ კაპიტანს, აეშვა ღუზა და კურსი ბაქოსკენ აეღო. ამხანაგი ნეიმანი აღელდა და რაღაც გაუგებარი ლუღლუღი დაიწყო. მოვუწოდე, წესიერად მოქცეულიყო. გემმა კი ამასობაში დაიწყო ნელა მოხვევა და კურსი ბაქოსკენ აიღო. ნეიმანს შევთავაზე, ამოსულიყო ჩემთან, კატარღაზე და ერთად დაგველია ჩაი.

დავიწყეთ ჩაის სმა და ლაპარაკი ყველაფერზე. ჩვენი „კოკუმი“ კი სულ უფრო და უფრო გვშორდებოდა ბაქოს მიმართულებით.

დაბოლოს, როცა „კოკუმის“ ანძა ჰორიზონტზე ძლივსღა ჩანდა, ჩემთან მოირბინა რადისტმა და მომახსენა: **„ამხანაგო კომისარო, რადიოთი ეს-ესაა მოვისმინე, რომ ბაქოს კომუნა დაეცა და შეიქმნა ცენტროკასპის მთავრობა“.**

**უცებვე მივხვდი, სტალინის მითითების შეუსრულებლობით როგორი სერიოზული შეცდომა დავუშვი.** გველნაკბენივით წამოვხტი, შევვარდი კატარღის კაპიტნის კაიუტაში და ვეუბნები: „დაუყოვნებლივ აუშვი ღუზა და დაეწიე „კოკუმს“.

— **არის, ამხანაგო კომისარო, დავეწიოთ „კოკუმს“,** — სამხედრო სტილში გაიმეორა კაპიტანმა, და ხუთი წუთის შემდეგ ისარივით მივქროდით „კოკუმის“ დასაწევად. დავეწიეთ და შევთავაზე „კოკუმის“ კაპიტანს, შემოეტრიალებინა გემი და წასულიყო ცარიცინისკენ. ასეც მოიქცა. მე კი სტარორეჩენსკაიაში დავბრუნდი ჩემი რაზმის წასაყვანად.

როგორც ჩანს, ნეიმანმა ამ ყველაფრის შესახებ მოახსენა სტალინს და მე მასთან გამომიძახეს. ამჯერად შეხვედრა მის ვაგონში შედგა.

— **რაო,** — მკითხა მან, — **აჭამე ბაქოელებს პური?** — და ქართულად დაამატა, — **რაღაც ახირებული კაცი ყოფილხარ. ვანოს ძმა რომ არ იყო, დაგხვრეტდი.**

**(ვანო სტურუამ, — განმარტავს ბატონი დევი, — მამაჩემის უფროსმა ძმამ, ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთმა შემქმნელმა, რეკომენდაცია გაუწია სტალინს „მესამე დასში“ — კავკასიაში პირველ მარქსისტულ-რევოლუციურ ორგანიზაციაში მისაღებად).**

**«ბაქოს მაინც ვერ შევინარჩუნებთ. ბაქო დაეცემა. ამოცანა ის არის, რომ ვოლგისპირეთი შევინარჩუნოთ. მას თუ შევინარჩუნებთ, გადავარჩენთ საბჭოთა ხელისუფლებას და ბაქოს დავიბრუნებთ. თუ ვოლგისპირეთს დავკარგავთ, შიმშილი მოაშთობს საბჭოთა ხელისუფლებას, რადგან ვოლგისპირეთის გარეშე არ გვექნება პური. ამიტომ, მოდით, გავაკეთოთ ისე, როგორც ლენინი გვთავაზობს»**

## „იგი არასოდეს ყოფილა მარქსისტი და არც იქნება“

**1922 წელს ვცხოვრობდი მოსკოვში და რსფსრ-ში საქართველოს სსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლის, მიხა ცხაკაიას, მოადგილედ ვმუშაობდი.**

ვზივარ ჩემთან კაბინეტში. უცებ რეკავს ტელეფონი. ვიღებ ყურმილს. ლაპარაკობს ამხანაგ სტალინის თანაშემწე (სტალინი მაშინ რუსეთის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო). იგი მთავაზობს დაუყოვნებლივ მისვლას ცკ-ში, მიძახებს სტალინი. მივდივარ ცკ-ში. თანაშემწე დაუყოვნებლივ მოახსენებს სტალინს ჩემ შესახებ. გამოდის სტალინის კაბინეტიდან და მეუბნება — „შებრძანდით“. შევდივარ უზარმაზარ კაბინეტში.

ამხანაგი სტალინი ბოლთასა სცემს. აცვია ფრენჩი, ჩექმები, ერთ ხელში ჩიბუხი უჭირავს, მეორე — ჯიბეში აქვს ჩაყოფილი.

მივესალმეთ ერთმანეთს. მკითხა, როგორ არის მიხა ცხაკაია და, სანამ ვუპასუხებდი, მეორე შეკითხვა მოაყოლა:

— **წარმომადგენლობაში უფრო მეტს მუშაობს თუ კომინტერნში?**

ვუპასუხე, რომ იგი იქაც და იქაც მუშაობს.

გაიღიმა, არაფერი თქვა და წამიერი პაუზის შემდეგ შემეკითხა:

— **შეძლებთ თბილისში ერთი წერილის წაღებას და ამხანაგ სერგოსთვის** (ორჯონიკიძისთვის) **მიტანას?**

ვუპასუხე სიტყვასიტყვით ასე:

— **თუ საჭიროა, რატომაც არ შემიძლია?!**

მე ჩემი მივიღე ამ „თუ საჭიროას“ გამო!

— **როგორ ფიქრობთ,** — მეუბნება, — **საჭირო რომ არ იყოს, რატომ შემოგთავაზებდნენ?**

მაშინ „თუს“ გარეშე ვუპასუხე:

— **შემიძლია.**

— **აი, ასე,** — რაღაც განსაკუთრებული ტონით წარმოთქვა და შემეკითხა:

— **არ დაკარგავთ?**

ვუპასუხე, რომ არ დავკარგავ.

— **და თუ დაკარგავთ?** ▶

მ. გრეკოვი — „ცარიცინის დაცვა“ (ფრაგმენტი)



**ერთი საათის შემდეგ სერგომ გახსნა პრეზიდიუმის სხდომა და სტალინის წერილი წაიკითხა. მხოლოდ მაშინ გავიგე ჩემი ჩამოტანილი წერილის შინაარსი. წერილი ეხებოდა საქართველოს კომპარტიის ცკ პრეზიდიუმის ერთ-ერთ წევრს. იგი იმდენად საიდუმლო იყო, რომ მე ახლაც არ მაქვს უფლება რაიმეს თქმის, მით უფრო, რაიმეს დაწერის. ალბათ, მრავალი ათეული წელი იქნება საჭირო იმისთვის, რომ გასაჯაროვდეს ის, რაც წერილში იყო ნათქვამი.**

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ გავიმეორე, რომ არ დავკარგავ.

— **და მაინც თუ დაკარგავთ?**

ვუპასუხე, რომ თავით ვაგებ პასუხს.

მაშინ ის მეუბნება:

— **მე თქვენი თავი არ მაინტერესებს, მე პაკეტი მაინტერესებს.**

— **ყველაფერს გავაკეთებ, ამხანაგო სტალინ,** — ვუთხარი მე.

ამ კითხვა-პასუხის შემდეგ მან მითხრა, რომ მეორე დღესვე, 6 საათზე მივსულიყავი მასთან, რომ იგი მოამზადებს წერილს და მე პირდაპირ მისგან წავალ რკინიგზის სადგურზე თბილისში გასამგზავრებლად.

რადგან 1922 წელს ძნელი იყო ბილეთის შოვნა, გამოვთქვი ეჭვი, რომ შევძლებდი ბილეთის ყიდვას.

— **თქვენ გეუბნებიან, რომ აქედან გაემგზავრებით პირდაპირ სადგურზე, ბილეთზე კი ნუ წუხხართ.**

მივხვდი, რომ ცკ უზრუნველმყოფდა ბილეთით და ვუთხარი, რომ დანიშნულ დროს მასთან ვიქნებოდი.

მეორე დღეს მივდივარ მასთან. იგი აღებს ცეცხლგამძლე კარადას, იღებს წერილს, რომელიც დალუქული იყო ჩვეულებრივ პატარა საფოსტო კონვერტში, მაწვდის და მეუბნება:

— **მიუტანეთ ამხანაგ სერგოს. გადაეცით პირადად. თქვენი თანდასწრებით გახსნას, წაიკითხოს და თქვენი თანდასწრებითვე დალუქოს ისე, როგორც ახლაა დალუქული და უკანვე ჩამომიტანეთ.**

შემდეგ გამოიძახა თავისი თანაშემწე და დაავალა სადგურში ჩემი გაყვანა. დავემშვიდობეთ ერთმანეთს და მე და თანაშემწე გამოვედით კაბინეტიდან. თანაშემწემ თავისი ცეცხლგამძლე კარადიდან გამოიღო მეორე კატეგორიის საერთაშორისო ვაგონის ბილეთი ორადგილიან კუპეში, ჩამსვა მანქანაში და მითხრა: — თქვენთან ერთად კუპეში იმგზავრებს ესა და ეს ამხანაგი.

მე ვუთხარი — კი, ბატონო. შემდეგ სადგურზე გავემგზავრე...

## სტალინის წერილი, მასთან რომ ვიყავი, ჯერ კიდევ მაშინ პიჯაკის გულის ჯიბეში ჩავიდე.

გარეთ ოქტომბერი იდგა და საკმაოდ ყინავდა. კუპეში ჩემი ადგილი დავიკავე, რამდენიმე წუთში ჩემი თანამგზავრიც მოვიდა. ვაგონს არ ათბობდნენ, ამიტომ ტემპერატურა ვაგონში ცოტათი თუ განსხვავდებოდა ტემპერატურისგან ვაგონს გარეთ. ორივენი პალტოჩაცმულები ვისხედით და ტანსაცმლის გახდა დაწოლის წინ სიცივის



სტალინი და სერგო ორჯონიკიძე, თბილისი, 1925 წ.

გამო უკიდურესად არასასიამოვნო იყო. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც ზანტად დავიწყეთ ტანთ გახდა და შევძვერით გაყინულ ლოგინებში, პალტოები და კოსტიუმები საკიდზე ჩამოვკიდეთ. მე ქვედა ადგილი მქონდა, მეზობელს ზედა თარო ეკავა.

დავწექით. ცივა. არ მეძინება. მესმის, ჩემმა თანამგზავრმა ხვრინვა ამოუშვა, მე კი არა და არ მეძინება. არ მეძინება სიცივის გამო კი არა, უფრო მეტად იმიტომ, რომ წერილის გამო ვწუხვარ — არ მავიწყდება სტალინის სიტყვები. წერილი პიჯაკის გულის ჯიბეში მიდევს. ვიფიქრე, ავდგები, ამოვიღებ წერილს ჯიბიდან, ჩავდებ პორტფელში და თავქვეშ ამოვიდებ. მაგრამ ადგომა სიცივის გამო იყო საშინლად არასასიამოვნო.

**ვიწექი და ვაანალიზებდი — ვინ შეძლებდა კუპეში შემოსვლას, წერილს დაკარგვა რომ დამუქრებოდა? გამოწვლილვითი ანალიზის შედეგად დავასკვენი — არავინ! და დაძინება გადავწყვიტე. მაგრამ რაღაც ჭია მიღრღნიდა ტვინს და არ მაძინებდა. ორი ადამიანი გაჩნდა ჩემში: ერთი მეუბნებოდა — აიღე წერილი, მეორე კი — შეგიძლია არ აიღო. და კვლავ ძირფესვიანად გავაანალიზე საკითხი — ამეღო თუ არა, და კვლავ დავასკვენი — წერილს არაფერი ემუქრება, რადგან კუპეს აქვს მხოლოდ ერთი კარი, რომელიც შიგნიდან გასაღებით და ჯაჭვითაა ჩაკეტილ-ჩარაზული. დავუჭე თვალები დასაძინებლად. მაგრამ საქმეში ხარ? ჭია კვლავ ამუშავდა და მე კვლავ შევუდექი ანალიზს. და ასე — მრავალგზის, მაგრამ ყოველთვის ვასკვნიდი, რომ არ არსებობს წერილის დაკარგვის საფუძველი.**

**ასე გაგრძელდა დიდხანს. ჩემი მეზობელი კი უშფოთველად ხვრინავდა...**

**ბოლოს მომბეზრდა ეს ყველაფერი და ავდექი. ამოვიღე ჯიბიდან წერილი, ჩავდე პორტფელში, ავწიე ლეიბი, რომელზეც ვიწექი, და ქვეშ ამოვდევი.** ამის შემდეგ მაგრად დავიძინე და გავიღვიძე მხოლოდ დილით, როცა მეზობლის ხმა გავიგონე. მას საწოლიდან ფეხები გადმოეკიდა და ყვიროდა:

— **გიორგი, გიორგი, სადაა ჩემი შარვალი?!**

მე სახით კედლისკენ ვიწექი, თავი რომ მოვატრიალე საკიდს შევხედე და ოი, საშინელება! იქ სადაც ჩვენი ორი ზამთრის პალტო და ორი ზამთრის კოსტუმი ეკიდა, ტანსაცმლის არავითარი კვალი არ ჩანდა.

**მომენტალურად წამოვხტი, ავწიე ლეიბი, ხელი ჩავავლე პორტფელს, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ არ დაიკარგა წერილი. წერილი, რა თქმა უნდა, პორტფელში იდო. ამიტყდა სიცილი, — გადავრჩი! მეზობელი შეშინდა — ხომ არ შევიშალე?!**

შემდეგ, როცა გონზე მოვედი, გამოვიძახე ვაგონის გამცილებლები, ყველანი სოლიდური ადამიანები იყვნენ. ერთი ამბობს: „27 წელიწადია, ვმსახურობ და ასეთი რამ არ მომსხდარია." მეორე ამბობს: „31 წელიწადია, გამყოლად ვმუშაობ და მსგავსი არაფერი მომხდარა".

გამოვიძახე მატარებლის უფროსი და მან უაზროდ ჩვენ გადმოგვაბრალა ყველაფერი — კარს არ დაკეტავდითო...

უახლოეს სადგურზე მე, როგორც საქართველოს სსრ დიპლომატიური წარმომადგენლის მოადგილემ, ვისარგებლე ექსტერიტორიული უფლებებით და მოვითხოვე მატარებლის მთელი შემადგენლობის გაჩხრეკა, მაგრამ გულმოდგინე ჩხრეკა უშედეგო აღმოჩნდა...

ბედად აღმოჩნდა, რომ ამ მატარებლით მგზავრობდა აზნავთობის უფროსი ამხ. სერებროვსკი, რომელმაც თავისი ძველი კოსტიუმი მომცა, ჩემს მეზობელს კი ძველი კოსტიუმი ჩემოდანში აღმოაჩნდა. ასე ჩავედით თბილისში.

**დილის ექვსი საათი იყო. სადგურიდან პირდაპირ სერგო ორჯონიკიძის ბინისკენ გავემართე. დაჟინებული ზარის შემდეგ კარი გააღო სერგოს ცოლმა — ზინამ. მან თავი გამოჰყო კარში და გაიკვირვა ასეთი ადრიანი სტუმრობა. ვუთხარი, რომ ჩამოვედი მოსკოვიდან ამხანაგ სტალინის დავალებით. თურმე ჩვენი ლაპარაკი ესმოდა სერგოს და თავისი ნახევრადბარიტონით უთხრა ზინას — შემოიყვანე ეს კაცი. შევედი და რამდენიმე წუთის შემდეგ იგი უკვე კითხულობდა სტალინის წერილს. მაგრად შეაგინა ვილაცას. შემდეგ გამოიძახა მანქანა და ორივენი საქართველოს კომპარტიის ცკ-ში წავედით.**

იქ მორიგის მეტი არავინ იყო. სერგომ გასცა განკარგულება, გამოეძახებინათ ცკ პრეზიდიუმის ყველა წევრი.

**ერთი საათის შემდეგ სერგომ გახსნა პრეზიდიუმის სხდომა და სტალინის წერილი წაიკითხა. მხოლოდ მაშინ გავიგე ჩემი ჩამოტანილი წერილის შინაარსი. წერილი ეხებოდა საქართველოს კომპარტიის ცკ პრეზიდიუმის ერთ-ერთ წევრს. იგი იმდენად საიდუმლო იყო, რომ მე ახლაც არ მაქვს უფლება რაიმეს თქმის, მით უფრო, რაიმეს დაწერის. ალბათ, მრავალი ათეული წელი იქნება საჭირო იმისთვის, რომ გასაჯაროვდეს ის, რაც წერილში იყო ნათქვამი.**

სხდომის შემდეგ სერგომ თავისთან წამიყვანა და, როცა მას დეტალების შესახებ მოვუყევი, კერძოდ, როგორ გაგვქურდეს ვაგონში, მითხრა, რომ წერილს თვითონ წაუღებდა სტალინს, როცა მოსკოვში გაემგზავრებოდა. არ დავთანხმებოდი, არ შემეძლო, და რამდენიმე დღეში, როგორც კი შევიძინე კოსტიუმი, დავბრუნდი მოსკოვში.

როგორც კი ჩავედი დედაქალაქში იმავე დღეს მიმიღო სტალინმა, რომელსაც ყველაფერი წვრილად მოვუყევი.

მცირე ხანს დუმდა იოსებ ბესარიონის ძე და შემდეგ მითხრა:

— **ამაოდ არ გამიფრთხილებიხართ.**

შემდეგ შემეკითხა:

— **რა რეაქცია ჰქონდა ამხანაგ H-ს?** (ვისაც წერილი ეხებოდა).

ჩემი ინფორმაციის შემდეგ სტალინმა ხელი ჩაიქნია H-ს მისამართით და თქვა: **„იგი არასოდეს ყოფილა მარქსისტი და არც იქნება".**





# ეს გულიდან ამოძახილი «ვაშააა!» — ათ წუთზე მეტ ხანს გრძელდებოდა

**„საქართველო და მსოფლიოს" მკითხველებს უთუოდ დააინტერესებს დევი სტურუას მოგონების ეს ფრაგმენტიც.**

მე და მამაჩემი 1944 წელს კრემლში გამართულ სანოემბრო სადღესასწაულო სხდომას ვესწრებოდით. მოხსენებით სტალინი გამოდიოდა. მაშინ 13 წლისა ვიყავი...

კარგად მახსოვს წითელარმიელთა მრავალრიცხოვანი მწკრივები, ჯერ კიდევ კრემლის სპასკის კოშკის შესასვლელამდე რომ გავიარეთ.

გვამოწმებდნენ დიდხანს და საგულდაგულოდ...

განსაკუთრებულად შეგვამოწმეს კრემლის სასახლეში შესასვლელთან. ოფიცერმა, რომელიც მოსაწვევ ბარათებს ამოწმებდა, ზრდილობიანად ჰკითხა მამაჩემს, იარაღი ხომ არ გაქვთო, რაზეც მამამ უპასუხა: „არა, ჩვენ განიარაღებულები ვართ". ოფიცერმა ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა, აუღო სამხედრო სალამი და გაიჭიმა. ჩანდა, რომ ხუმრობას თავისებური ხუმრობით უპასუხა...

კრემლის დიდი, გაჩახჩახებული, მოგრძო დარბაზის პრეზიდიუმის კულუარებიდან პირველი მოსკოვის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე პრონინი გამოჩნდა. გარკვეული დროის შემდეგ გამოვიდა სტალინი მარშლის ტანსაცმელში და ცოტა მოშორებით — საკ. კპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრები.

**დარბაზმა იფეთქა. ეს გულიდან ამოძახილი „ვაშააა!" გრძელდებოდა, ალბათ, ათ წუთს, შეიძლება, უფრო მეტ ხანსაც. ვერც პრონინის ზარებმა, ვერც თვით სტალინის დამამშვიდებელმა ჟესტებმა ვერ დააშოშმინა ეს აზოზოქრებული სტიქია.**

ყველასა და ყველაფრის უარყოფისა და მსხვრევის, თვითგვემის დღევანდელი გადასახედიდან ეს ყველაფერი უზომოდ უტრირებულად, არაბუნებრივად გვეჩვენება, რაც ვერაფრით ესადაგება ცივილიზებული ყოფის ნორმებს. მაგრამ მაშინ ეს სავსებით ნორმალური ქმედება იყო ერთ მუშტად შეკრული აღფრთოვანებული მასის და უცნაური იქნებოდა, ეს მასა, რომელიც რჩეულთაგან შედგებოდა, სხვაგვარად მოქცეულიყო.

ვადასტურებ: **არ იყო არავითარი შიში, დაძალების არავითარი ელემენტიც კი არ იგრძნობოდა. სავსებით შესაძლებელია, რომ უწინ იყო შიშიც და დაძალებაც, მაგრამ 1944 წლის ნოემბერში იყო აღფრთოვანება, გაღმერთება, განსხეულებული შეხება ღმერთთან, რომელიც ამ აზოზოქრების შემდეგ ალაპარაკდა მშვიდად და დამაჯერებლად, ყოველგვარი ორატორული ილეთების გარეშე, ვიტყოდი, ყოველდღიურ ტონალობაში, და იმ პრინციპული, გამაღიზიანებელი აქცენტის გარეშე, რომლითაც პედალირებს თითქმის ყველა ქართველი და არაქართველი მსახიობი, რომლებიც სხვადასხვა დროს განასახიერებდნენ სტალინის როლს.**

ორი მომენტი განსაკუთრებით დამახსომდა, როცა სტალინმა თქვა, რომ საბჭოთა არმია იბრძვის არამარტო საბჭოთა კავშირის გასათავისუფლებლად, არამედ მთელი მსოფლიოს გასათავისუფლებლადაც, მან მოულოდნელად გაიშვირა თავისი პატარა, ლამაზი ხელი კრემლის დიდი დარბაზის ზედა ნაწილში მდებარე ლოჟებისკენ, სადაც ისხდნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატები და უცხოელი სტუმრები. ეს ჟესტი ღირსეულად იქნა შეფასებული. დიპლომატები წამოხტნენ ადგილებიდან, გაისმა მქუხარე ტაში და შეძახილები.

და მეორე მომენტი, როცა ყველა პროჟექტორი სტალინისკენ მიმართეს და ისიც თითქოს გაქრა მზის ოქროსფერ ათინათში. ეტყობა, ეს ხელს უშლიდა სტალინს. იგი უცებ შეჩერდა და მთელი ტანით შებრუნდა „იუპიტერების" ერთი ჯგუფისკენ, შემდეგ — მეორისკენ. ეს საკმარისი აღმოჩნდა. „იუპიტერები" ერთბაშად შებრუნდნენ დარბაზისკენ.

**სტალინი ტრიბუნასთან მივიდა საქაღალდეებისა და ქაღალდების გარეშე. მოხსენება, როგორც ჩანს, წინასწარ იყო ტრიბუნაზე დადებული.**

**სტალინი ლაპარაკობდა დინჯად, ზოგჯერ დიდი პაუზებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მაგრამ არა ყრუდ. ზოგჯერ ტრიბუნის პიუპიტერს დახედავდა, ეტყობა, მოხსენების ტექსტს რომ არ დაცილებოდა.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# ზღაპრული ქალაქი «ალბეროზელო»

**იტალიის სამხრეთში, პირდაპირ „ფეხსაცმლის ქუსლზე“ მდებარეობს პატარა ზღაპრული ქალაქი ალბეროზელო (Alberobello). ეს ცნობილი ტრული-სახლები შეტანილია მსოფლიო მემკვიდრეობის იუნესკოს სიაში.**

ქალაქში ცხოვრობს მხოლოდ 11 000 ადამიანი და მისი ფართობი 900 ჰექტარს შეადგენს.

ტრული-სახლები ღირსშესანიშნავია, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ისინი აშენდა ქიმიური ხსნარის (შენაზავის) გამოყენების გარეშე. ეს კი ნიშნავს, რომ ასეთი ნაგებობების დანგრევა-განადგურება ძალიან ადვილია — მხოლოდ უნდა იცოდეთ, კედლიდან რომელი აგური გამოაძროთ და მთელი კონსტრუქცია დაიშლება...

საქმე ისაა, რომ მე-17 საუკუნეში რაიმე ობიექტის მშენებლობის დაწყება მმართველი მონარქის ნებართვის გარეშე აკრძალული იყო, მაგრამ ხალხს ხომ სადღაც უნდა ეცხოვრა და მათ მოიფიქრეს ისეთი ნაგებობების აშენება, რომელთა დანგრევა სამეფო თანამდებობის პირების გამოჩენისთანავე ერთ წუთში იქნებოდა შესაძლებელი.

პატარა სახლების კედლები, როგორც წესი, თეთრი ფერისაა, ხოლო გუმბათებზე შესაძლებელია სხვადასხვა სიმბოლოს დანახვა, რომლებიც ასოცირდება მაგიასთან, კერპთაყვანისმცემლობასთან და ასევე ქრისტიანობასთან.









# 5 ყველაზე საოცარი არსება

**მიუხედავად მეცნიერების განვითარებისა, ბუნება მუდამ ახერხებს ადამიანთა გაოცებას აქამდე უხილავი უცნაური ეგზემპლარებით. მათგან ყველაზე გამაოგნებელი ხუთეული კი ასე გამოიყურება:**

**გოჭი, რომელსაც მაიმუნის სახე აქვს.** ცხოველს, გარდა იმისა, რომ მაიმუნის ფიზიონომია აქვს, სხვაგვარი ანომალიებიც აღენიშნება. კერძოდ, წინა ფეხები უკანასთან შედარებით მოკლე აქვს, გონებრივი განვითარებაც ღორისგან განსხვავებული აქვს. გოჭი სხვა დანარჩენ 5 გოჭთან ერთად დაიბადა და მათთან ერთაც ცხოვრობს ჩინეთში.

**შვიდფეხიანი თხა** დაიბადა ჩინეთში, ჟილინის პროვინციაში. ცხოველთა ექსპერტმა და ადგილობრივმა ბიოლოგმა მას დიდი ხნის სიცოცხლე არ უწინასწარმეტყველა.

**სურათებზე ასახული დანარჩენი წარმოუდგენელი არსებების წარმომავლობაც გაურკვეველია. ისინი პრეისტორიული ხანის წარმომადგენლებს უფრო ჰგვანან, ვიდრე რომელიმე ჩვენს ხანაში მცხოვრებ ცხოველს.**

ზოგი მეცნიერის აზრით, ეს საზარელი არსებები ერაყელებმა შექმნეს, თუმცა რისთვის, ვერ აუხსნიათ.











ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მსოფლიოში ყველაზე მაღალი კაცი დაქორწინდა

**მსოფლიოში ყველაზე მაღალი კაცი, გინესის მსოფლიო რეკორდსმენი, ეროვნებით თურქი სულთან კოსენი დაქორწინდა.** მისი სიმაღლე 2 მეტრი და 51 სანტიმეტრია. მისი რჩეული 20 წლის მერვე დიბოა. მიუხედავად იმისა, რომ წყვილს შორის სიმაღლეში სხვაობა 78 სანტიმეტრია, თავს ბედნიერად გრძნობენ და არც ხალხის აზრი ადარდებთ. კოსენი ხშირად ჩიოდა, რომ გოგონები მასთან ურთიერთობას სიმაღლის გამო გაურბოდნენ და ეშინოდა, ამის გამო უცოლო არ დარჩენილიყო, თუმცა გაუმართლა. **„შეუძლებელია, ჩემი სიმაღლის ქალი ვიპოვო. ახლა საკუთარი ოჯახი და პირადი ცხოვრება მაქვს, ძალიან ბედნიერი ვარ“,** — განაცხადა მან ქორწილში. სიმაღლეში ზრდა სულთანმა 10 წლის ასაკში დაიწყო და 2011 წლამდე აგრძელებდა.



## კატებზე შეყვარებული მაიმუნი

კუნძულ Koh Kood-ზე, ტაილანდში, ცხოვრობს მაიმუნი მულანი. მას აქვს საკუთარი სახლი, ჰამაკი და განივა.

როდესაც მის ტერიტორიაზე გამოჩნდებიან კატები, მულანი მათ გულში ჩაიკრავს, ეფერება და ისინიც სიამოვნებისგან კრუტუნებენ. მულანი დიდხანს არ უშვებს მათ, როგორც ჩანს, ეს სიყვარულია.



# უცნაური საჩუქრები პრეზიდენტებისთვის



### სიყვარულში გამოტყდომა

**მიშელ ობამა** სახალხოდ გამოუტყდა თავის ქმარს **ბარაკ ობამას** სიყვარულში დაბადების დღეზე. იმ დღეს ბარაკ ობამა 52 წლის გახდა და მიშელმა დაუწერა ტვიტერზე: „გილოცავ დაბადების დღეს, ბარაკ! მე ახლა უფრო მყვარხარ, ვიდრე ადრე!“



### MayBach-ი

2012 წელს დაბადების დღეზე **ალექსანდრე ლუკაშენკოს** ავტომობილი აჩუქეს. ბელარუსის ლიდერმა განაცხადა, რომ ის მანქანით სიარულს არ აპირებდა, მაგრამ შემდეგ ეს მანქანა მის კორტეჟში აღმოაჩინეს.



### იაფფასიანი სვიტერი

ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა 2006 წელს გადაწყვიტა, რომ დაბადების დღეზე მნიშვნელოვანია არა საჩუქარი, არამედ ყურადღება და აჩუქა **ჯორჯ ბუშს** იაფფასიანი სვიტერი. სვიტერის ფასი 140 დოლარი იყო.



### გეების ქორწილი

2011 წელს კუბის ისტორიაში პირველად მოხდა ერთსქესიანთა ქორწილი. ეს ქორწილი მიეძღვნა **ფიდელ კასტროს.** 13 აგვისტოს, როდესაც კასტრო 85 წლის გახდა, მამაკაცი და ტრანსექსუალი დაქორწინდნენ. იგი მიიჩნიეს ქალად და, შესაბამისად, არ დარღვეულა კანონი, რომელიც ერთსქესიანთა ქორწილს კრძალავს.



### ორქიდეა

2001 წელს **მიხეილ გორბაჩოვს** დაბადების დღე მიულოცა გერმანელმა მეცნიერმა ფრანკ ბრანდერბურგმა. მეცნიერმა ბოლივიაში აღმოაჩინა ორქიდეათა ახალი სახეობა და დაარქვა მას Maxillaria gorbaschowii. დაბადების დღეზე გორბაჩოვისთვის თვით მცენარე არ მიუტანიათ, მაგრამ მიუტანეს სურათი ორქიდეის გამოსახულებით.




### საჩუქრების მატარებელი

2010 წელს ჩრდილოეთ კორეის ლიდერს, **კიმ ჩენ ინს**, უნდა მიეღო საჩუქრების მთელი მატარებელი, ეს მატარებელი აილებდა გეზს ჩინეთის საზღვრიდან და დაასრულებდა მოგზაურობას ფხენიანში, მაგრამ შემდეგ მატარებელი რელსებიდან გადავიდა, ხოლო ტვირთს რა მოუვიდა, ამის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.



### ოქროს მონეტა იანუკოვიჩისთვის

**იანუკოვიჩის** დაბადების დღეზე უკრაინის ცენტრალურმა ბანკმა დაამზადა ნახევარკილოიანი ოქროს მონეტა იანუკოვიჩის გამოსახულებით. მონეტას ამშვენებს ორი ძვირფასი ქვა, ხოლო მეორე მხრიდან არის წარწერა „მრავალი წელი“. პრეზიდენტი მაშინ 63 წლის გახდა.



### ახალი ცოლი

2007 წელს **სვაზილენდის მეფემ** საკუთარ თავს გაუკეთა საჩუქარი და მოიყვანა მე-13 ცოლი. იმ დროს 39 წლის მეფემ ცოლად შეირთო 19 წლის ფინდალ კემბალი. როგორც ცნობილია, მე-13 ცოლმა მიიღო ქმრისგან ძვირფასი საჩუქრები და მათ შორის BMW X5.



### ღია წინდა

**უფროს ბუშს** დაბადების დღეზე საჩუქარი გაუკეთა ინტერნეტ-სამყარომ და სოციალურ ქსელებში გამოფინეს მისი ფოტო ღია წინდებში. ამით მათ აღნიშნეს საყვარელი პოლიტიკოსისადმი.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# კოქტეილები სიურპრიზებით



**„ტრიუფელ მარტინის"** დაგემოვნებას მხოლოდ ლონდონის სასტუმრო Rocco Forte's Browns Hotel ბარში შეძლებთ. სასმელი 100 დოლარი ღირს. რეცეპტი მარტივია: მარტინი, შოკოლადის ლიქიორი და გახეხილი ტრიუფელი.

**„აგიე იორ"**-საც ლონდონში დააგემოვნებთ. მას მხოლოდ ლონდონის კლუბ „უმბაბაში" ამზადებენ. სასმელი ადგილობრივმა ბარმენმა ჯაილ ანდრემ ერთ-ერთი მილიონერის შეკვეთით დაამზადა. სასმისში მაყვლის კრემ-ლიქიორს, **„ჰენესის"** კონიაკსა და **„პერინიონის"** შამპანურს ურევენ. კოქტეილს ბროლის ბოკალში ასხამენ. მას 24-კარატიანი თეთრი ოქროს საწრუპი ჩხირი მოჰყვება. სამშვენისი ბრიტანელმა იუველირმა ტომ ბინსმა დაამზადა. კოქტეილი 550 დოლარი ღირს.

4 350 დოლარად დააგემოვნებთ ბრილიანტის კოქტეილს, რომელსაც ლონდონის **„პანო ბარის"** ბარმენი მოგიმზადებთ. კოქტეილი „მარტინით" (ერთი ბოთლი 2 000 დოლარი ღირს), შამპანურით, შაქრითა და ბრილიანტით მზადდება. კოქტეილის ფასს ბრილიანტის ზომა განსაზღვრავს. რამდენიმე წლის წინ კოქტეილი 9 000 დოლარად გაიყიდა. **„ბრილიანტის მარტინის"** ნიუ-იორკის ბარშიც მოგიმზადებენ. ჩაცივებულ **„მარტინში"** ბრილიანტის თვალს აგდებენ. სიურპრიზიან სასმელს შეყვარებული მამაკაცები საყვარელი მანდილოსნებისთვის უკვეთენ, მაგრამ ბარმენის ვალია, კლიენტი წინასწარ გააფრთხილოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტები ბრილიანტის თვალს უბრალოდ ყლაპავენ. სიურპრიზიანი სასმელი 10 000 დოლარი ღირს.

**High Roller Martini**-ს ლასვეგასის ერთ-ერთ რესტორანში დააგემოვნებთ. კოქტეილს ცირკონებით დამშვენებული ბეჭედი მოჰყვება. სასმელი 1 000 დოლარი ღირს და თანხის ნაწილი ქველმოქმედებას ხმარდება.

ბარ **„ჰემინგუეში"** (პარიზის სასტუმრო „რიცი") საფირმო კოქტეილი 515 დოლარი დაგიჯდებათ. ლიმონის წვენისა და კუანტროს ლიქიორის გარდა სასმელში უიშვიათეს კონიაკს — 1830 ლიტზ ლესერვე-ს ურევენ, რომელიც სულ რამდენიმე ბოთლიღა დარჩა.

აშშ-ში ყოველწლიურ დერბიზე ბარმენები **Kentucky Derby's Special Mint Julep**-ის ამზადებენ. ერთი შეხედვით, სასმელი მარტივი ინგრედიენტებისგან მზადდება, მაგრამ განსხვავება მაინც არსებობს. სპეციალურად დერბისთვის პიტნა ირლანდიიდან ჩამოაქვთ, შაქარი — ავსტრალიიდან, ყინული — ბავარიის ალპებიდან და ამ ყველაფერს საკოლექციო ვისკის უმატებენ. კოქტეილი მოოქროვილ ჭიქაში ისხმება და თავისი ვერცხლის ჩხირით 1 000 დოლარად იყიდება.

იამაიკური რომით მზადდება კოქტეილი **Mai Taim**, რომელიც 1 400 დოლარი ღირს. იგი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს Merchant Hotel ბარში მზადდება და ბარმენის თქმით, რომის მხოლოდ 6 ბოთლია დარჩენილი.

ნიუ-იორკის ერთ-ერთ ბარში **Platinum Passion**-ს მოგართმევენ, რომელიც 1 500 დოლარი ღირს. კოქტეილს ფრანგული შამპანურის, საკოლექციო კონიაკის, ხილის წვენის, შაქრისა და ყინულისგან ამზადებენ. კოქტეილის ჭიქებს ორქიდეით აფორმებენ.

**„საფირონის მარტინი"** 3 000 დოლარი ღირს. ეს კოქტეილი ნამდვილი განძი გახლავთ. მას კონექტიკუტის ერთ-ერთ კაზინოში ამზადებენ. ჭიქის ზედაპირი ცისფერი შაქრითაა დაფარული. ზეთისხილის ნაცვლად ჭიქაში ვერცხლის ქინძისთავია მოთავსებული, მასზე კი საფირონისთვლიანი საყურეებია დამაგრებული. ამ კოქტეილით შეყვარებული მამაკაცები საყვარელ მანდილოსნებს უმასპინძლდებიან.

დაბოლოს, კოქტეილის მომზადება ბარმენის მოვალეობაა, რამდენად ეფექტურად და ლამაზად მოამზადებს იგი სასმელს, მასზეა დამოკიდებული. ფლეირინგი ბარმენის ოსტატობაა. მან კოქტეილის მომზადებასთან ერთად შოუც უნდა მოაწყოს.

**ფლეირინგი** 150 წლის წინ ამერიკელმა ჯერი ტომასმა (მეტსახელად „პროფესორი", რომელსაც ახლა ყველა ბარმენი „მამას" ეძახის) მოიგონა.

1997 წელს ფლეირინგ-ბარმენების საერთაშორისო ასოციაცია ჩამოყალიბდა. ყოველწლიურად კი ბარმენების შეჯიბრება ეწყობა. საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. დღესდღეობით ფლეირინგი ორ ძირითად ნაწილად იყოფა: სამუშაო ფლეირინგი და შოუფლეირინგი. ხოლო ინგლისელმა ბარმენმა ნიკოლას ჯანიმ ახალი მიმართულება — სტრიტ-ფლეირინგი მოიგონა და ბარმენის ოსტატობას ბრეიკ-დანსი შეუხამა.

ფლეირინგის მიზანია, კოქტეილი მაქსიმალურად სწრაფად, ეფექტურად და ზუსტად მოამზადოს. ფლეირინგის პროფესია ფილმ „კოქტეილის" (1988 წელი) გამოსვლის შემდეგ გახდა პოპულარული. მთავარი როლის შემსრულებელს, ტომ კრუზს ფლეირინგის დიდოსტატი ჯონ ბენდი ავარჯიშებდა.



# კატამ პოლიციაში დარეკა

**ლონდონში სახლში მარტო დარჩენილმა კატამ, სახელად ბრუსმა, გასართობი იპოვა და ტელეფონის ყურმილზე თათებით 999 აკრიფა.** როდესაც სამაშველო ნომერზე ზარი გავიდა, ოპერატორს არავინ უპასუხა. ადგილზე, საიდანაც ზარი განხორციელდა, პოლიცია მივიდა; როდესაც პოლიციის გაფრთხილებას არავინ უპასუხა, სამართალდამცავებმა კარი შეამტვრიეს. ოფიცრის თქმით, შეშინებული კატა გარდერობის უკან იმალებოდა.

**„სამსახურიდან ვბრუნდებოდი, როდესაც დავინახე, რომ სახლის წინ პოლიციის ოფიცერი იდგა. დამამშვიდა და მითხრა, რომ კატა კარგადაა. მივხვდი, რომ ბრუსმა რაღაც დააშავა. ჩვენს კატას ტელეფონი ძალიან უყვარს და ღილაკებზე თამაშით ერთობა",** — ამბობს ცხოველის პატრონი მონიკა დე ლა კრუზი.

პოლიციამ ჟურნალისტებთან ინციდენტის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია დაადასტურა და განაცხადა, რომ **„სამართალდამცავები ყველა შემოსულ ზარზე შესაბამისად რეაგირებენ".**





# ალბინოსების ყველაზე დიდი ოჯახი

**ალბინოსების ყველაზე მრავალრიცხოვანი ოჯახი ინდოეთში ცხოვრობს.**

**ალბინიზმი გენეტიკური გადახრაა, რომელსაც, მეცნიერების ვარაუდით, იწვევს ფერმენტ ტიროზინაზის ნაკლებობა ან სრული ბლოკადა.** ეს ფერმენტი აუცილებელია ორგანიზმში მელანინის სინთეზისთვის (ეს უკანასკნელი კი არის პასუხისმგებელი ქსოვილების შეფერილობაზე).

ალბინოსებს კანის, თვალის ფერადი გარსისა და თმის პიგმენტების თანდაყოლილი (გენეტიკური) უქონლობა ახასიათებთ.

პულანების ოჯახი, რომლის რვავე წევრი ალბინოსია, იშვიათი გენეტიკური გადახრის მატარებელია.

მელანინის ნაკლებობის გამო ოჯახის თითოეულ წევრს თმა და კანის ფერი ერთნაირი აქვს.

როზეტაური პულანს, მის მეუღლეს მანის, სამ ქალიშვილს — რენუს, დიპოის და პუჯოს, სამ ვაჟს — შანკარს, რამკიშანს და ვიჯაის თმის და კანის ფერი თეთრი აქვთ, ხოლო თვალები — ლურჯი, რაც ინდოელებისთვის იშვიათობაა.

# 1 მილიონ 376-ათასიანი ტუალეტის ქაღალდი

**გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ავსტრალიურმა კომპანიამ შექმნა ტუალეტის ქაღალდი, რომელიც 22 კარატის წონისაა, ფასი კი 825 ათასი დოლარია.** კომპანიამ Toilet Paper Man ამ ერთობ განსაკუთრებული ფუფუნების საგნის შესაქმნელად ერთი წელი დახარჯა. კომპანიის მესვეურები ირწმუნებიან, რომ ეს „ნივთი" შექმნილია ხელით და მის შესაქმნელად 22 კარატი ოქრო გამოიყენეს.

**„ეს იდეა მაშინ მომივიდა თავში, როცა დუბაის ვესტუმრე საქმიანი ვიზიტით,** — განაცხადა კომპანიის დირექტორმა. — **სასტუმროში, სადაც გავჩერდი, იყო ოქროს უნიტაზი, რომელიც პირველად ვიხილე. ამ „შედევრმა" შთამაგონა, რომ აუცილებლად უნდა შემექმნა მისთვის მისადაგებული ატრიბუტი და, აი, შევქმენი კიდეც".**





ალბათ, არავის გაგიკვირდებათ იმის გაგება, რომ ჯერჯერობით ოქროს პირადი ჰიგიენის ნივთი არ გაყიდულა, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს ნივთი მოძებნის შესაფერის მეპატრონეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოქროს გამოყენება პიკანტური საქმეებისთვის ყველაზე უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის ყველაზე სასარგებლოა. ის ბაქტერიებისგან დამცავი ნივთიერებითაა დამუშავებული და მილიონერებს აძლევს იმის გარანტიას, რომ მათ დუნდულებს ბაქტერიები ვერას დააკლებს.

კიმ კარდაშიანმა და კენი ვესტიმ, რამდენიმე ხნის წინ შეიძინეს მოოქროვილი უნიტაზი, რომელშიც 700 ათასი დოლარი გადაიხადეს.

ყველაზე ძვირადღირებული საპირპარეშო კი ჩინურ კომპანია „ხან ხუნ ფუნგ ტექნოლოგ კომპანის" გააჩნია, მისი ფასი 4,5 მილიონი დოლარია.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ექიმი სქესის მიხედვით უნდა შევარჩიოთ

**მონრეალის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა ჩაატარეს კვლევა, რომელმაც დაამტკიცა, რომ ექიმის სქესი მისი სამუშაოს ეფექტურობაზე გავლენას ახდენს.** 870 საშუალო ასაკის ექიმის (ქალები და კაცები თანაბრად) მუშაობის ანალიზმა აჩვენა, რომ ქალი ექიმები მკურნალობასა და დიაგნოსტიკასთან დაკავშირებულ ყველა რეკომენდაციას გულდასმით იცავენ, რასაც ვერ ვიტყვით მათ კოლეგა მამაკაცებზე. ასე, მაგალითად, დიაბეტის დროს თვალების გამოკვლევას ქალების 75% ნიშნავს, მაშინ, როცა ექიმი მამაკაცები ამას 70% შემთხვევაში აკეთებენ. სამკურნალო წამლებს დადგენილი წესით ქალი ექიმების 71% და მამაკაცი-ექიმების მხოლოდ 67% ნიშნავს. ამასთან, მამაკაცი ექიმები წელიწადში 1000 პროცედურით მეტს ატარებენ, ვიდრე მათი კოლეგა ქალები. ეს იმას მოწმობს, რომ ქალი ექიმები პაციენტებს ბევრად მეტ დროს უთმობენ, — ამტკიცებენ მკვლევარები.

# ყველაზე მსუქანი ქალი თხოვდება







**33-წლის სიუზან ემანის წონა 343 კილოგრამს შეადგენს.** იგი მსოფლიოში ყველაზე მსუქანი ქალია და სურს, რომ გახდეს ყველაზე მსუქანი ქალი ისტორიაში. სიუზანს ამაში ეხმარება მისი 35 წლის შეყვარებული პარკერ კლარკი, რომელიც რესტორანში მუშაობს შეფ-მზარეულად და ასევე მასტერ-კლასის ავტორია საერთაშორისო კონკურსებში; წყვილმა ერთმანეთი ინტერნეტში გაიცნო 2012 წელს.

სიუზან ემანი თვლის, რომ ყველა ქალი ანგარებით თხოვდება. მან ჟურნალისტებთან განაცხადა: „ყოველ ნაბიჯზე როდი შეხვდებით ორმხრივ წრფელ სიყვარულს. ეს ხომ მხოლოდ რჩეულთა ხვედრია! ახლა სხვა დროა, თუმცა დღესაც ბევრი ქალი თხოვდება უსიყვარულოდ, ანგარებით, საკუთარი თავის „მსხვერპლშეწირვით“ ან უბრალოდ იმისთვის, რომ მარტო არ დარჩეს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთს უყვარს, მეორე კი უფლებას აძლევს, უყვარდეს. მე კი ჩემი ცხოვრება დავუკავშირე პარკერ კლარკს და ვიმედოვნებ, რომ გამიმართლა“.

# IPhone 5s-ის სანაცვლოდ ცოლ-ქმარმა შვილი გაყიდა

**ჩინელ ცოლ-ქმარს 6 წლის პატიმრობა მიესაჯათ, რადგან საკუთარი ახალშობილი ქალიშვილი გაყიდეს, ხოლო მიღებული ავანსით კი თანამედროვე ციფრული ტექნიკა შეიძინეს.**



როგორც გამომძიებლები იტყობინებიან, ჩინელ წყვილს წინასწარვე ჰქონდა შვილის „გასხვისება“ დაგეგმილი, ქალმა სახლში იმშობიარა, რადგან საავადმყოფოში მშობიარობას მთელი რიგი პრობლემები მოჰყვებოდა და „საყვარელ“ შვილს სარფიანად ვერ გაყიდდა.

**„ჩვენ არ ვმუშაობთ და შემოსავალი თითქმის არ გვაქვს, საარსებოდ სახელმწიფოსგან დაწესებულ დახმარებას ვიღებთ და ჩვენ არ გვინდოდა, ჩვენი მესამე შვილი ასეთ მძიმე სიტუაციაში გაზრდილიყო. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ბავშვი აღსაზრდელად შეძლებული ოჯახისთვის მიგვეცა, ხოლო ფული იმის გამო ავიღეთ, რათა დავრწმუნებულიყავით, რომ ოჯახს შეუძლია ჩვენს პატარა კიმს არაფერი დააკლოს“,** — განაცხადა შვილის ბედზე „მზრუნველმა“ დედამ.

როგორც გამომძიებლები იტყობინებიან, მას შემდეგ, რაც წყვილმა თანხა აიღო შვილის სანაცვლოდ, გაეშურნენ ელექტროტექნიკის სახლში და უკანასკნელი მოდელის ტელეფონები და აქსესუარები შეიძინეს. შენაძენთა შორის იყო ბოლო გამოშვების IPhone 5s.

ცოლ-ქმარს, გასხვისებული შვილის გარდა, ჰყავდა კიდევ ორი შვილი, რომელთა გაშვილებაზე ჩინეთის მთავრობა ზრუნავს.

ოჯახი კვალის დასაფარად ქალის ორსულობას მალავდა, ქალი ბინიდან არ გამოდიოდა. ხოლო მეზობლებს, რომლებმაც მისი სხეულის ცვლილება შეამჩნიეს, არწმუნებნენ, რომ მუცელი ავადმყოფობის გამო ჰქონდა გაზრდილი.

ამ ორმა „ადამიანით მოვაჭრემ“ ქალიშვილის სანაცვლოდ 50 000 იუანი მიიღეს, რაც 7 500 დოლარის ექვივალენტია.

ჩინეთში, როგორც სტატისტიკა ირწმუნება, IPhone მოდაშია. გასულ თვეს ჩინეთის ერთ-ერთ პროვინციაში დააკავეს მამა, რომელიც ჰყიდდა შვილის თირკმელს. თირკმლის სანაცვლოდ ბავშვმა IPhone-ის ბოლო მოდელი იყიდა.



# ლონდონში ელექტრონული ველოსიპედები ივლიან

**მომავალ წელს ლონდონში ქალაქის მერ ბორის ჯონსონის ინიციატივით ველოსიპედებისთვის განკუთვნილი ტერიტორია გაფართოვდება და ახალ მოდელებს შემოიღებენ.**



რამდენიმე ასეულ ელექტრონულ ველოსიპედს 2014 წელს ექსპერიმენტული პროგრამის ფარგლებში შეიძენენ. მათი განსაკუთრებულობა რთულ გზებზე მართვის სიმარტივეში მდგომარეობს. ველოსპორტის ფონდიდან ახალი ეგზემპლარების შესაძენად და ველოსიპედების დასატენი სადგურების ორგანიზაციისთვის 913 მილიონი ფუნტი სტერლინგი გამოიყოფა. ელექტრონულ ველოსიპედებს გამოიყენებენ პოლიციის თანამშრომლებიც, რომლებიც მათი დახმარებით საცობებში მოხვედრის გარეშე შეძლებენ დამნაშავეების დევნას.

# ქმრების 40%-ს შიშველი ცოლი არ უნახავს

**თუ პარტნიორთან გაშიშვლების გრცხვენიათ, თქვენ მარტო არ ხართ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოკითხული 1902 ქალიდან 40%-მა განაცხადა, რომ ქმრებს ისინი შიშველი არ უნახავთ და ამის გამო ინტიმურ ურთიერთობაშიც სერიოზული პრობლემები აქვთ.** ყოველი 6 გამოკითხულიდან ერთმა აღიარა, რომ ქმარს უფლებას არ აძლევს, შიშველი იხილოს. 16%-მა აღიარა, რომ, ბოლო რამდენიმე წელია, პარტნიორის წინ არ გაშიშვლებულა. ქალების დიდი ნაწილი ამ პრობლემას იმით ხსნის, რომ საკუთარი გარეგნობა არ აკმაყოფილებთ. გამოკითხვა ამერიკულმა ფარმაცევტულმა ონლაინ კომპანია UKMedix.com-მა ჩაატარა. „ეს ქალებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. მათ ეშინიათ, რომ გარეგნობაში ნაკლს უპოვიან და გააკრიტიკებენ. ვიცნობთ ქალებს, რომლებიც ქმარსაც კი მთლიანად შიშველი არ უნახავს“, — ამბობენ პროექტის ორგანიზატორები.



# 26 მაისის საქმეზე მერაბიშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისმა ყოფილმა მოადგილემ მისცა

**ჟურნალისტებს მერაბიშვილის ადვოკატმა ოთარ კახიძემ განუცხადა, რომ შალვა ჯანაშვილი ბრალდების მხარის მოწმეა, მაგრამ, თუ პროკურატურა მის დაკითხვაზე უარს იტყვის, შს მინისტრის ყოფილ მოადგილეს დაცვის მხარე აუცილებლად დაკითხავს.**



„მტკიცებულებათა ნუსხაში არიან 26 მაისის მიტინგში მონაწილე პირები, რომლებიც მიტინგის დაშლის შესახებ საუბრობენ, თუმცა ისინი არაფერს ამბობენ მერაბიშვილის ბრალეულობის შესახებ. ალბათ, ობიექტური მოქალაქე აცნობიერებს, რომ ძალადობრივი ხასიათის მიტინგი უნდა დაშლილიყო. შეიძლება ცალკეულმა პოლიციელმა ძალას გადაამეტა, თუმცა ეს ვანო მერაბიშვილის გადაწყვეტილებასთან, რომ მიტინგი უნდა დაშლილიყო, არანაირ კავშირში არ არის. მერაბიშვილის წინააღმდეგ ცრუ ჩვენება ბატონ ჯანაშვილს აქვს მიცემული, თუმცა ჩვენ ასევე გვაქვს დასკვნა, რომლის მომზადებაშიც მინისტრის მოადგილეობის ჟამს ჯანაშვილიც იყო ჩართული. საინტერესოა, რას უპასუხებს იმ კითხვებს, რომლებიც უკავშირდება თავად მიტინგის დაშლის გადაწყვეტილებას და იმ არგუმენტებს, რომლებიც დასკვნაშია", — განაცხადა კახიძემ.

მისივე თქმით, კომპანია „დენსუსის" მიერ მომზადებული დასკვნა მერაბიშვილის უდანაშაულობას ადასტურებს.

კახიძის ინფორმაციით, აღნიშნული ორგანიზაცია შსს-თან დღესაც თანამშრომლობს და პოლიციელებს ასწავლის საერთაშორისო სტანდარტებს, თუ როგორ უნდა დაიშალოს მიტინგები.

**„ბუნებრივია, დასკვნაში საუბარია ცალკეული პოლიციელის გადაცდომაზე, თუმცა თავად გადაწყვეტილება მიტინგის დაშლის თაობაზე, იყო სწორი. ამ მტკიცებულებას ჩვენ გვიმალავდნენ და მხოლოდ ამერიკის ელჩის თხოვნით გადმოგვეცა",** — განაცხადა კახიძემ.

# უცნობი პუტინი




**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა" გამოსცა წიგნი „უცნობი პუტინი". წიგნში მოთხრობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პირადი ცხოვრების და სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებზე მუშაობის დროს მის მიერ განხორციელებული პროექტების, ქვეყნის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების, აგრეთვე, ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ.**

**ვლადიმერ პუტინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის" და „ბესტსელერის" მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში" (ყაზბეგის გამზ. №4).**

## ირაკლი ღარიბაშვილი: მოსახლეობა მალე გაიგებს, როგორ იკარგებოდნენ ადამიანები უგზო-უკვლოდ

**უახლოეს ხანში მოსახლეობა გაიგებს, როგორ იკარგებოდნენ ადამიანები უგზო-უკვლოდ და შემდეგ რა ბედი ეწიათ მათ. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა, ირაკლი ღარიბაშვილმა უმრავლესობასთან შეხვედრაზე განაცხადა.**

ამით ირაკლი ღარიბაშვილი მესტიის მაჟორიტარ დეპუტატს, ვიქტორ ჯაფარიძეს გამოეხმაურა, რომელმაც პრემიერობის კანდიდატს დავით ცინდელიანის უგზო-უკვლოდ დაკარგვასთან დაკავშირებით დაუსვა კითხვა. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სამწუხაროდ, ეს რეალობაა, როდესაც ძალიან ბევრი ადამიანი უგზო-უკვლოდ იკარგებოდა.

**„მე ამ შემთხვევაში არ მაქვს საუბარი თქვენს მიერ ნახსენებ ცინდელიანზე, მაგრამ, ზოგადად, ძალიან ბევრი ადამიანია გამქრალი უგზო-უკვლოდ",** — უპასუხა ღარიბაშვილმა ვიქტორ ჯაფარიძეს. მისივე თქმით, ამ ეტაპზე რამდენიმე უგზო-უკვლოდ გამქრალ ადამიანთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

**„სამწუხაროდ და საუბედუროდ საპარლამენტო უმცირესობისთვის, იკვეთება სერიოული დანაშაულის ნიშნები, რომ სწორედ მათ მიერ ნახსენები პირები მონაწილეობდნენ სხვადასხვა ადამიანების გატაცებაში და მათ ლიკვიდაციაში.**

**ეს არის ძალიან მძიმე საქმეები. ჩვენ უკვე ვაწარმოებთ გამოძიებას რამდენიმე პიროვნებაზე. ეს არის ჩვენი ტკივილი, როცა ჩვენი ქვეყნის შვილები, თანამოქალაქეები ასე უგზო-უკვლოდ იკარგებოდნენ და დღესაც ოჯახის წევრები ელოდებიან შვილებს. მათ სჯერათ, რომ ისინი არიან ცოცხლები, თუმცა სამწუხაროდ ბევრი მათგანი, წინასწარი ინფორმაციით, იქნა ლიკვიდირებული. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს სჭირდება დამტკიცება და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს საქმეები იქნას გახსნილი და გამოძიებული. არ შეიძლება ასეთი მძიმე საქმეების გაუხსნელობა, როდესაც რამდენიმე ასეულ ადამიანზე გვაქვს საუბარი, რამდენიმე ასეულ ადამიანზე და არა ერთ და ორ ადამიანზე, თუმცა ერთი ადამიანის სიცოცხლეც სიცოცხლეა. თითოეული მოქალაქის სიცოცხლე ძვირფასია ჩვენთვის",** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, მას არ სურს, გამოძიების დასრულებამდე რაიმე დამატებითი კომენტარი გააკეთოს, თუმცა ადასტურებს, რომ წინასწარი ინფორმაციით, გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც ადამიანის გატაცება და მათი ლიკვიდაცია ხდებოდა.




**არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა" გამოსცა ცნობილი პოლიტოლოგის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას წერილების, გამოსვლებისა და ინტერვიუების კრებულის მეორე ტომი. პირველი ტომი 2002 წელს გამოიცა. მეორე ტომი ორი ნაწილისგან შედგება, პირველ ნაწილში წაიკითხავთ ალექსანდრე ჭაჭიას 2012-1013 წლების პუბლიკაციებს, ხოლო მეორე ნაწილში — 2001-2011 წლების ინტერვიუებს, წერილებს და გამოსვლებს.**

**ათეული წლის წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუები და წერილები, სამწუხაროდ, დღევანდელობას ისე ესადაგება, თითქოს არც დრო შეცვლილა და არც ხელისუფლება.**

**კრებულის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსისა" და „ბესტსელერის" მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, წიგნების მაღაზია „სამშობლოში" (ყაზბეგის გამზ. №4)**

# მარგველაშვილის ინაუგურაციაზე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ოჯახი არ მიიწვიეს

**„ეს იგივეა, ამერიკის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე მოკლული პრეზიდენტის, ჯონ კენედის, ოჯახის წევრები რომ არ დაეპატიჟებინათ", — ასე შეაფასა გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციაზე პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ოჯახის წევრების არმიწვევა მისმა უმცროსმა ვაჟმა.**



„ჩვენს ოჯახთან დაკავშირებით იმდენ რამეს ჰქონია ადგილი, გაკვირვება უცხოა. აქ საუბარია პოლიტიკურ გემოვნებაზე. ჯდება თუ არა შენს პოლიტიკურ გემოვნებაში რომელიმე სახელმწიფო მოღვაწე, ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი, გიორგი მარგველაშვილი, თუ, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ, მათ აქვთ შესაბამისი რეგალიები, რომელთაც უნდა ვცეთ პატივი. მივესალმები ბატონი გიორგის განცხადებას, რომ ისტორიის ახალი ფურცელი უნდა გადავშალოთ, მაგრამ დამერწმუნეთ, ისტორიის ახალი ფურცლის გადაშლა წარმოუდგენელია ისტორიის დავიწყებით. აქ პიროვნებების კულტიზირებაზე საუბარი არ არის. ამერიკის თუ სხვა ნებისმიერი ქვეყნის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე რაღაც დოზით გათვალისწინებული იქნებოდნენ ოჯახის წევრები. ვინ მოახდინა საორგანიზაციო საკითხების სელექცია, ჩემთვის უცნობია, არც ჩავძიებივარ. ჩემი სამოქალაქო პოზიციით გამოვთქვი მოსაზრება და არამც და არამც პროტესტი. არ ვთვლი საჭიროდ, რომ ამის კომენტირებას დიდი დრო დავუთმო, რადგან თავად ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ არის ხარვეზი, რომელიც უნდა დავხვეწოთ. მიუხედავად პოლიტიკური გემოვნებისა, უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მოიტანა ზვიად გამსახურდიამ თავისი ბეჭებით, მასთან ერთად მერაბ კოსტავამ და ამ ადამიანების იგნორირება, უბრალოდ, ვერ მოხდება. ამას არ აქვს არანაირი ლოგიკური საფუძველი. ეს იგივეა, ამერიკის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე მოკლული პრეზიდენტის, ჯონ კენედის, ოჯახის წევრები რომ არ დაეპატიჟებინათ. გარკვეული შეკითხვები იბადება და მინდა ამ შეკითხვებზე პასუხები მივიღო", — განაცხადა გამსახურდიამ.

## ძვლის პრობლემები

მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემებზე, კოქსართროზი, ოსტეოქონდროზის, ოსტეპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზი, პოდაგრული ართრიტი, დაზიანებული ხრტილის და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, ასევე გახდომა თვეში 5-15 კგ მიღებული შედეგის შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენებების გარეშე 100% გარანტიით.

**ტელ. 218-46-08 (ოფისი)**
**555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" ჟურნალისტ ქეთი ხომერიკს ულოცავს ოჯახის შექმნას. ვუსურვებთ, ბედნიერებას, გამრავლებას, ულევ სიხარულსა და სიყვარულს.

ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009